



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-2 /  
1989 / 29

ენისა  
და  
ლიტერატურის  
სერია

41  
675-2

3 . 1989





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ  
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი  
ТБИЛИСИ

3. 1989

ყურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეჯი: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიმიგური (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენე“, ენისა და ლიტერატურის სერია  
1989, № 3

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადაეცა წარმოებას 14.6.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.9.89; უე 04425;  
ანაწყობის ზომა 7×12<sup>3</sup>/<sub>4</sub>; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა;  
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14,7; პირ. საღ.-გატ. 15,4; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,94;  
ტირაჟი 1500; შეკვეთა 1643; ფასი 1 მან. 20 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბე, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

ა. ანთაძე, ვეფხისტყაოსნის პერსონაჟების სახეთა ინტერპრეტაციისათვის დროისა და სივრცის თვალსაზრისით . . . . .	5
ბ. კალანდაძე, ვ. აზარიაშვილი, რევოლუციამდელი ქართული საბავშვო პროზა . . . . .	16
გ. კოტინოვი, ლ. მეფარიშვილი, ბრძოლა სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციისათვის 1886—94 წლებში (ქართული პრესის მასალების მიხედვით) . . . . .	28
დ. ბუაჩიძე, საქართველო ი. სკლუტაუსკის შემოქმედებაში . . . . .	40
მ. თხინვალი, ამინ რეიპანის სამოგზაურო ჟანრის თხზულება „ლიბანის გული“ . . . . .	50
ფ. ალიმბეკოვა, ირანელი მწერალ-განმანათლებელი და დაღესტნელი საზოგადო მოღვაწე აბდურაჰიმ ტალიბოვი . . . . .	54
გ. ნაკუდაშვილი, ჰიმნოგრაფიული ტროპარის ტექსტობრივი დაყოფისათვის . . . . .	59
დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის ლექსიოგრაფიული ხასიათის სქოლიოებისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიმართებისათვის . . . . .	68
ე. -თარგამაძე, სპარსული მუსამმათი . . . . .	78
მ. რაფაეა, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი სიტყვის გაგებისათვის („შური“) . . . . .	88
ჯავდათ იბრაჰიმი, არაბული ლექსის უახლესი ფორმების შესახებ . . . . .	95
დ. შენგელია, ნასახელი მეფიოპტივ ზმნათა სემანტიკის საკითხები XVII—XVIII საუკუნეების ქართული ენის წერილობითი ძეგლების მიხედვით . . . . .	97
თ. რევი, სეფაჰ და ლაშქარ სამხედრო ტერმინები IX—XI საუკუნეების სპარსულ ნარატიულ თხზულებებში . . . . .	101
რ. ენუქიძე, ძირითად „ლინგვისტურ აბსტრაქციათა“ სისტემა და მხატვრული ტექსტის თხრობითი დინამიკა . . . . .	109
რ. ტყემალაძე, უნივერსალურ ფონეტიკურ ნიშანთა თეორია ტრანსფორმაციულ-გენერატიულ ფონოლოგიაში . . . . .	123
რ. ჩხარტიშვილი, ლექსიკურ-სემანტიკური და ინტონაციური საშუალებები ინგლისურ და ქართულ ენებში . . . . .	130
წ. ჩიჩუა, ნარატიული ტექსტის სემანტიკური კვლევის ასპექტები . . . . .	133

პუბლიკაცია

ქ. ბეზარაშვილი, იოანე სინელის „კლემაქსის“ ახალგამოვლენილი ქართული ვერსია . . . . .	142
--	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. ნებიერიძე, ერთი გაუგებრობის გამო . . . . .	164
ი. ზიცარი, გამყრელიძე-ივანოვის თეორია და ქართველურ-ბასკური ჰიპოთეზა . . . . .	165

ქრონიკა და ინფორმაცია

ახალი წიგნები . . . . .	168
-------------------------	-----

1926

ბაქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. საბ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

## СОДЕРЖАНИЕ

### Статьи

И. З. Антадзе, К интерпретации образов героев «Витязя в барсовой шкуре» с точки зрения времени и пространства . . . . .	5
З. Г. Каландадзе, В. М. Азаришвили, Дореволюционная грузинская детская проза . . . . .	16
И. И. Котинова, Л. Л. Мепаришвили, Борьба за нормализацию грузинского литературного языка в 1886—94 гг. (по материалам грузинской прессы) . . . . .	28
Д. О. Буачидзе, Грузия в творчестве П. Скляускаса . . . . .	40
М. Г. Тхинвалели, Жанр путешествий в творчестве Амина Рейхани («Сердце Ливана») . . . . .	50
П. М. Алимбекова, Иранский писатель-просветитель и дагестанский общественный деятель Абдуррахим Талибов . . . . .	54
И. Ф. Накудашвили, К вопросу текстуального деления гимнографического тропаря . . . . .	59
Д. Ш. Твалтвадзе, Об отношении лексикографических схолий Ефрема Мшире к словарю Сулхана-Саба Орбелиани . . . . .	68
И. А. Таргамадзе, Персидский мусаммат . . . . .	78
М. А. Рапава, О понимании слова «зависть» в словаре Сулхана-Саба Орбелиани . . . . .	88
Джавдат Ибрагим, О новейших формах арабского стиха . . . . .	95
Д. С. Шенгелия, Вопросы семантики отыменных медиаактивных глаголов по письменным памятникам грузинского языка XVII—XVIII веков . . . . .	97
Т. С. Ревия, Военные термины sipah и lashkar в персидских нарративных сочинениях IX—XI вв. . . . .	101
Р. И. Енукидзе, Система основных «лингвистических абстракций» и повествовательная динамика художественного текста . . . . .	109
Р. В. Ткемаладзе, Теория универсальных фонетических признаков в трансформационной генеративной фонологии . . . . .	123
Р. И. Чхаргишвили, Лексико-семантические и интонационные средства выражения оттошений обусловленности . . . . .	130
Н. Ш. Чичуа, Аспекты семантического изучения нарративного текста . . . . .	133

### Публикации

К. П. Безарашвили, Нововыявленная грузинская версия «Лестницы» Иоанна Синанта . . . . .	142
---	-----

### Критика и библиография

Г. С. Небиеридзе, По поводу одного недоразумения . . . . .	164
Ю. В. Зыцарь, Теория Гамкрелидзе-Иванова и картвело-баскская гипотеза . . . . .	165

### Хроника и информация

Новые книги . . . . .	168
-----------------------	-----

## წერილები

ია ანთაძე

### მეფხისტყაოსნის პერსონაჟების სახეთა ინტერპრეტაციისათვის დროისა და სივრცის თვალსაზრისით

მხატვრულ ნაწარმოებში მოდელირებული დრო და სივრცე ის ასპარეზია, რომელიც აუცილებელია ყოველი ლიტერატურული პერსონაჟისათვის. ნებისმიერი კონკრეტული ნაწარმოების სიუჟეტის განვითარება გვერდს ვერ უვლის გარკვეულ დროსა და სივრცეს, რის გამოც ყოველი მორიგი სიუჟეტური კვანძი, რომლის გამოყოფა შესაძლებელია ამა თუ იმ ნაწარმოებში, ქრონოტოპული ღირებულებით აღინიშნება. ჩვენი კვლევის საგანია ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა სახის განსაზღვრა ამ მიმართულებით.

**„ტარიელ არის სახელი იმა მოყმისა ხელისა“.** ტარიელი ვეფხისტყაოსანი მოყმეა. ათი წლის განმავლობაში ატარებს იგი უცნაურ სამოსს. ათი წლის განმავლობაში აოცებს მნახველს ელვარე სილამაზესთან შერწყმული უსაზღვრო მწუხარება. მის გამოჩენას სამყაროსა და „ხმელთა კიდის“ გაციკროვნებას აღარებენ, „კვალ-წმიდად წარხდომას“ — დევთა გრძნეულებას. გრძნეული არ არის, თუმცა დევების გამოქვაბულში ცხოვრობს. გაუზრბის ადამიანებს, რადგან ვერ იზიარებს მათ დაღბნებებს. გაჭირვებაში ჩავარდნილ რაინდს — მულღაზანზარის მეფეს, ფრიდონს — თავად შესთავაზებს სამსახურს და სამუდამოდ დაიმეგობრებს, „დევეურ“ ცხოვრებას მაინც ვერ თმობს. მთელი სამყარო გაითავისა და მთავარ საიდუმლოს ვერ მიაკვლია. ამიტომ მისთვის ყველაფერი უცხოა; სამყარო იმ საიდუმლოს სადგურია, რომლის ამოცნობის იმედი სამუდამოდ დაკარგულია; მომავალი არ არსებობს. ამგვარია ტარიელის ცხოვრება, როდესაც მის სამყაროში შემოდის ავთანდილი — „მოყვასი მისი“:

ტარიელის გადაწყვეტილება, უცხო ჭაბუკს გაანდოს საკუთარი აწმყო და წარსული, თავისი არსით განმსაზღვრელია გმირის მომავლისა. ერთი შეხედვით, უიმედო მიჯნური დახმარების ხელს უწყდის მისით მოიმედე მიჯნურს:

ტარიელ უთხრა: „მე შენი გული აწ მეგუზრვალეხს;  
 მიკვირს, თუ: ნაცვლად მავსიად შენ ჩემი რა გევალებს!  
 მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალეხს,  
 შენ საყვარელსა გაყარო, ესე რად გენაცვალეხს!“ (299)

მაგრამ, უბირველეს ყოვლისა, ტარიელის მონათხრობი აღსარებაა, რომელიც მომავალს უქმნის აღმსარებელს. ვიდრე ტარიელი მარტოა და დაკარგული ორიენტაციის გამო არ შეუძლია, უპასუხოს ყოველი ადამიანისათვის უმნიშვნელოვანეს კითხვებზე — „სად?“ და „როდის?“, მისი ცხოვრების გზა, სამყარო ლაბირინთადაა ქცეული. გმირის აწმყო იმგვარივეა, როგორც წარსული იყო წლების განმავლობაში, და ეს უიმედოს ხდის მომავალს. დროთა კავშირის გარეშე წარმოუდგენელია განვითარების პროცესი.

ავთანდილი შეხვედრის დროსა და ადგილს უნიშნავს მეგობარს და ამით ნაწილობრივ უბრუნებს ტარიელის ცხოვრებას დაკარგულ ორიენტაციას, უქმნის მომავალს, როგორც ცვლილების, განვითარების რეალურ შესაძლებლობას.

ტარიელის გამოქვაბული არც ანტიკური აგორაა, სადაც ყოველი მოქალა-

ქე საკუთარ ცხოვრებას წარმოაჩენს ზოგადობის წინაშე, და არც XIX საუკუნის ფრანგული რომანის სისტემრო-სალონი, სადაც წარმართველი გეგმების ენებათა სიმძაფრეა. ჩამოკავს კი ორივეს ეს დევების სადგომი, რომლის ახლანდელი ბინადარი ანტიკური გმირივით წარმოუჩენს მოყვასს თვისას ენებათა სიმძაფრით აღსავსე საკუთარ ცხოვრებას.

ტარიელის ცხოვრება კი გაცილებით მძიმეა მის ნაამბობზე. განვლილი წლები მეთვალყურე მკითხველის გარეშე მიედინება და ერწყმის აწმყოს. დროის მტანჯველ სელას შებნა არ მოაქვს. ნესტანის ძებნაში „...არ დაურჩა ხმელთა ზედა, ზღვათა გარე“ (649, 3)!. სივრცე განუსაზღვრელია ისევე, როგორც დროის ხანგრძლივობა. ტარიელისათვის მნიშვნელოვანია ეს განუსაზღვრელობა, რადგან იგი აღიქვამს განვლილ წლებს, როგორც დაუსრულებელს, არაჩვეულებრივად ხანგრძლივს.

თხრობისას ტარიელი ცდილობს, დაიცვას მოვლენათა თანმიმდევრობა, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს, რადგან ხელს უშლის მოვლენათა ტრაგიკულობა. მთხრობელი სისტემატურად აცნობიერებს საკუთარ მდგომარეობას თხრობის პროცესში და ამის გათვალისწინებით აღადგენს წარსულს. თვალზე შეუმშრალი ცრემლი, გრძობის დაკარგვა, ტრაგიკული მსოფლშეგრძნება მნიშვნელოვანს ხდის მოვლენათა არა გარეგნულ კავშირს, არამედ შინაგან თანმიმდევრობას, გამოკვეთს განვლილი ცხოვრების ამა თუ იმ მონაკვეთის ღირებულებას მთხრობელისათვის. ამიტომ ტარიელის თხრობა სუბიექტურია. მისი სიმართლე ერთი ადამიანის სიმართლეა. თხრობისას მუდამ იგრძნობა წარსულიც და აწმყოც, წარსული აწმყოს ფონზე, წარსულის ჩვენება აწმყოს ასახსნელად.

„ტარიელი“ დრო წარსულსა და აწმყოს შორის მძიმე და ტრაგიკულ კვალს ამჩნევს ტარიელის ფსიქიკას: ინდოეთიდან სატრფოს საქმენელად გაჭირლი გმირი ღმერთისა და საკუთარი თავის მოიმედება, აქტიური, მოქმედი. ავთანდილთან შეხვედრისას იგი უკვე გატეხილი და უიმედოა, სიკვდილის მომლოდინე და მსურველი.

დევების გამოქვამული და დაუსახლებელი, უკაცრიელი ქვეყანა წლების განმავლობაში ტარიელის სახლად იქცევა. მაგრამ ეს არ არის „შინ“, სადაც ადამიანი მხოლოდ მისთვის განკუთვნილ, „საკუთარ“ ადგილზე იმყოფება. ამ დიდი სახლის ყოველ კუთხეში ტარიელის შესაპყრობად აღმართული ხელი მოჩანს. უკიდურესი მწუხარების ჟამსაც იგი მზესავით განანათლებს სამყაროს და არ კარგავს დიდებულების ნიშანს. მაგრამ ნადირით სავსე უკაცრიელი მხარის კანონი ამგვარია: ყველაფერი მშვენიერი ყოჩაღ მონადირეს ეკუთვნის. დიდებულსა და მღაბობს — ყველას მოპოვების ეინი წარმარათავს.

ამ სამყაროს მიერ ნაკარნახევი ქცევის ნორმები მიუღებელია ტარიელიწათვის. გარე სამყაროსთან იძულებითი ურთიერთობისას იგი მუდამ რჩება რაინდად: „მკლავის უსხოსი“ მთარაზით იცილებს მოძალადეებს, მაგრამ მისი ზნეობრივი კრეოდ იცავს მეფის ხელშეუხებლობას.

ამდენად, თუ, ერთი მხრივ, ეს უკაცრიელი ქვეყანა სახლია ტარიელისათვის, მეორე მხრივ, მხოლოდ სახლისაკენ მიმავალი გზაა. ნესტანის საქმენელად წასული ტარიელის ცხოვრება იმეორებს შინიდან გასული გმირის მოგზაურობის ცნობილ მოდელს: ცენტრი — პერიფერია — ცენტრი. ცენტრი — ინდოეთის სამეფოა, უკიდურესი პერიფერია — ქაჯეთის ციხე. ტარიელს მხოლოდ ამ გზის დაძლევის შემდეგ შეუძლია საკრალურ ცენტრში დაბრუნება. ინდოეთთან დაცილების კვალდაკვალ გზა სულ მეტად რთულდება: ინდოეთის სამეფო ქალაქი — ტარიელის ქალაქი — ზღვა — ტყე — დევების გამოქვამუ-



ლი — ქაჯეთის ციხე. სივრცე, რომელსაც შინიდან გასული ტარიელი შინ დაბრუნებამდე გაივლის, არის სამყაროს გადალახვა პირიზონტალურად, რაც უტოლდება გმირობას და იწვევს გმირის სოციალური სტატუსის შეცვლას: ინდოეთს ტოვებს ამირბარი და უბრუნდება მეფე. ამავე დროს, ტარიელის ცხოვრების გზა არის სამყაროს გადალახვა ვერტიკალურად: „ტარიელის „ზელოზა“, „ველთა გაჭრა“, „მხეცთა ხლება“ მითოსურ ასპექტში მისი „სიკვილის“ მეტაფორაა, ხოლო ბრძოლა ლომ-ვეფხთან — სიკვილთან ბრძოლაა და სიკვილის დათრგუნვა“<sup>3</sup>.

ტარიელის ცხოვრება ინდოეთის სამეფოსა და დევების გამოქვაბულში ესადაგება იმ აზრს, რომ შესასუქუნებრივ წარმოდგენათა დუალიზმმა სამყარო დაყო წინააღმდეგობათა პოლარულ წყვილებად, დააჯგუფა ერთამეორას საწინააღმდეგო კატეგორიები ვერტიკალურ ხაზზე. ზეციური უპირისპირდება მიწიერს, ღვთაებრივი სამყარო — ჯოჯოხეთს. ყოველივე, რაც ვერტიკალის ზედა ნაწილში თავსდება, უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორცაა კეთილშობილება, სიწმინდე, სიკეთე: რაც ვერტიკალის ქვედა ნაწილში მდებარეობს, უკავშირდება მდამბიობას, უხეშობას, ბოროტებას<sup>4</sup>. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უღრანი ტყე სწორედ ის სამყაროა, სადაც სისტემატურ ხასიათს იღებს უხეშობა და ბოროტება დიდგვაროვანთა მდამბიო წადილის აღსასრულებლად. მოეხმობთ ასმათისა და ტარიელის ერთ-ერთ დიალოგს:

„რად დაბრუნდი? — მოახსენა, — მითხარ, რაცა წაგეკიდა!“  
მან უბრძანა: „მონადირე მეფე ვინმე გარდმეკიდა...“ (270, 1, 2)  
...მათგან მკრთალი შემოგებრუნდი, ტყესა შიგან დავიძალე,  
თქვი: „ნუ თუმცა უქუმრიდა, რა გათენდეს, წაივალ ხეაღ“ (271, 3, 4)

ამ ქრონოტოპების შეჯახება და დაპირისპირება მჭიდროდ არის დაკავშირებული გმირის ძირითად კონფლიქტთან. თუ გმირი მიიღებს ახალი გარემოთი ნაკარნახევ ქცევის ნორმებს, რომელიც ეწინააღმდეგება მის ბუნებას, ანის გამო შეიძლება დაილუპოს კიდევ<sup>5</sup>. ტარიელის სიცოცხლისუნარიანობის კანონზომიერება სწორედ მის შინაგან, ურყევ მთლიანობაშია საძიებელი. „ვეფხისტყაოსნის გმირების პიროვნება უფრო განცდაში ჩანს, ვიდრე ქცევაში... ვეფხისტყაოსანში უფრო საგრძნობია გმირთა შინაგანი სამყაროს უპირატესობა, მათი სულიერი ენერჯის ქმედობა, რომლითაც ისინი სძლევენ ცხოვრების ყოველგვარ განსაცდელს“<sup>6</sup> — გაიზო იმედაშვილის ეს აზრი მოვიხმეთ ტარიელის ცხოვრების წესის შინაგან და გარეგან მხარეთა შორის წინააღმდეგობის ასახვას.

მიუხედავად იმისა, რომ ველად გაჭრილი ტარიელი აღარ განიცდის საკუთარ თავს სოციალური მთელის ნაწილად და ამით კარგავს ინდოეთის ამირბარის სტატუსს, შინაგანად მუდამ მზად არის იმისათვის, რომ ნესტანის წინაშე წარსდგეს არა მდამბიოდ, არამედ დიდგვაროვნად; არა მონად, არამედ მეფედ. სწორედ ეს ანიჭებს მის ცხოვრებას სამარადყოფო ღირებულებას.

„ავთანდილ იყო სხასხეტი“... ავთანდილი ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ყველაზე „მოძრავი“ გმირია. იგი მოგზაურობს დასახლებულ ქალაქებშიც და ტყით, ნადირით, გამოქვაბულით სავსე დაუსახლებელ მხარეშიც. ზოგჯერ ზღვის პირს მიუყვება, შემდეგ ზღვასაც გადასერავს. ცხოვრობს ვაჭართა ქალაქში, როგორც სწორი სწორებთან, დაბოლოს, მეგობრებთან ერთად „ზნელ“ სივრცეს — ქაჯეთის ციხეს „განანათლებს“.

მოგზაურობისას გმირი იქნის მეგობრებს, ეცნობა ქვეყანას. მისი განწყობა ცვალებადია. იგი ხშირად ჩქარობს, თუმცა, მზე-თინათინთან განშორებასა

„თვალთა რეტად აყოლებს“. „უკუღმავე იხედვის“ და წასასვლელად გულქვე  
ემორჩილება.



დროც არ არის მუდამ თანაბრადმდინარი. ხან სწრაფად გარბის და ათავ  
ვერაგობას უმზადებს ავთანდილს, ხან კი წუთი უსასრულოდ ხანგრძლივდება.

არაბეთში იგი სპასპეტია, მეფის ერთგული და უმძიმეს წუთებში მისი თან-  
მსლები, ნუგეშისმცემელი. პირველი ზმნა, რომლითაც რუსთაველი წარმოგვიდ-  
გენს არაბეთის სპასპეტს, არის „ეპიკური თხრობის კლასიკური ფორმულა —  
„იყო“7, ხოლო მეორე — „ჰკლევდის“. ავთანდილი მიჯნურია და „მას თინათინ-  
ნის შევენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა“ (40, 4). იგი მალულად ეტრფის როს-  
ტვეანის ასულს და დროც მისთვის „მიჯნურთა წესზე“ მიედინება — სატრფოს-  
თან ერთი შეხვედრიდან მეორე შეხვედრამდე. თუმცა შეხვედრა ცეცხლის გა-  
ნახლებაა, წყლულის „უფრო წყლულად“ ქცევა. ავთანდილი მუდამ ამის მსურ-  
ველი და მომლოდინეა, რადგან მისი ცხოვრების დანარჩენი დრო „ფერ-ნაკ-  
ლულია“:

„გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;  
რა მოჰშორდის, ვერ-მჰვრეტელმან ვარდი შეჰქმნის ფერ-ნაკულად;  
ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად“ (41, 1, 2, 3)

ავთანდილისათვის ყველაზე მეტად საამოა თინათინის გამეფება. ეს შათი  
შეხვედრების გახშირების საუკეთესო გარანტიაა. როდესაც ახლად კურთხეული  
მეფე სპასპეტს დაიბარებს, ავთანდილი არ ჩქარობს: საუცხოოდ შეიმოსება,  
ლაღად მიბიჯებს, თინათინის სამოსსაც შეავლებს თვალს და, ვიდრე ქალი დაჯ-  
დომას შესთავაზებს, ორჯერ გაივლებს გონებაში, რომ სატრფო უგუნებოდა.  
ავთანდილს და მის თანამგრძნობ რუსთაველს სურთ, ეს ბედნიერი წუთები გა-  
ახანგრძლივონ. არც თინათინი ჩქარობს. ჯერ შეკითხვით ცდილობს, აიცილოს  
ყოველი ქალისათვის არასასურველი განმარტება. შემდეგ, მდინარის პირას  
ატირებულ უცხო მოყმეს მოაგონებს ავთანდილს და მის მოძებნას სთხოვს. ბო-  
ლოს გამოუტყდება, რომ ავალებს, როგორც ქვეშევდრომსა და როგორც მიჯ-  
ნურს.

ამ შეხვედრის შემდეგ ავთანდილს ძალიან უმძიმს თინათინთან განშორება.  
აქეთ თუ ლაღად მოეშურებოდა, შინ უგუნებო, თვალცრემლიანი ბრუნდება.

ღამე თინათინთან არცთუ ხანმოკლე შეხვედრას ერთ წამად აქცევს. გმი-  
რის შინაგანი მდგომარეობა დროს შეფარდებით ღირებულებას ანიჭებს. ავ-  
თანდილი წევს, ტირის, ცრემლი არ უშრება, თრთის, როგორც ვერხვი ქარში.  
ჩაეძინება თუ არა, თინათინის ხატება აკრთობს და აფხიზლებს.

„საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების,  
ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და ივეცების;  
რა მოჰლუნის, სიხლევე საყვარლისა ეოცების,  
შეკრთის, დიდნი დაიზახნის, მით პატყი ეოცების“ (140).

ამგვარად მიედინება დრო ავთანდილისათვის არაბეთში — მის სივრცეში,  
მის ადგილში, მის სამშობლოში.

უცხო მოყმის საძებნელად თვალუწვდენელ სამყაროში გაჭირილი ავთანდი-  
ლი არ არის შემთხვევითობას დამორჩილებული პასიური გმირი. მართალია,  
იგი ტოვებს არაბეთს, მაგრამ ყოველთვის და ყველგან რჩება არაბეთის სპას-  
პეტად. რჩება სოციალური მთელის ნაწილად, რაკილა მის არსებობას უცხო  
სამყაროში მუდამ თან სდევს მისია-მიჯნურის დაავალების შესრულება, ან მე-  
გობრის დახმარება.

ავთანდილის მოგზაურობისას დიდ მნიშვნელობას იძენს შემთხვევა, ან,  
უფრო სწორად, შემთხვევითი თანადროულობა და არათანადროულობა. არა-



ბეთიდან წასული, არაბეთში დაბრუნებამდე, ავთანდილი გზაშია. ამ გზაზე კი გმირთან ერთად მიედინება ერთურობთან შერწყმული დრო და სივრცე. ავთანდილის მიზანია, ერთსა და იმავე დროს აღმოჩნდეს ერთსა და იმავე სივრცეში მისთვის სასურველ ადამიანებთან. სწორედ ამგვარი დამთხვევები, ესე იგი შეხვედრები გზაზე, მნიშვნელოვნად წარმართავს ეფებისტყაოსნის ყოველი გმირის ცხოვრებას, პოემის სიუჟეტურ განვითარებას. გზაზე ხედებიან როსტევეანი და ავთანდილი ტარიელს, ავთანდილი ხატაელ ძემებს, ავთანდილი ტარიელს, ტარიელი ფრიდონს, ფრიდონი ავთანდილს, ავთანდილი ვაჭრებს. სამი წლის ძებნის შემდეგ უცხო მოყმეს გაღვენებული ავთანდილი რომ ბჭობს, უცნაურ რაინდთან „ახლოს შეყრა ვითა ავოს“, ხდება მისი ცხოვრების გზისა და რეალური გზის გადაკვეთა. სწორ კვალზე დამდგარი ავთანდილი ცხოვრების სწორ გზასაც ირჩევს.

იგი წლების განმავლობაში მოგზაურობს და დიდ სივრცეს გადასერავს (მათ შორის, არაერთხელ, ერთსა და იმავე სივრცეს). „რუსთველი ამბავს არ ტვირთავს მეორეხარისხოვანი სიტუაციებით, არ ჩერდება წვრილმანებზე, მოქმედების ტემპს არ ანელებს, მკითხველის ყურადღებას არ ღლის. რუსთველს სიუჟეტში შემოაქვს მხოლოდ ისეთი მოტივები, რომლებიც ინტერესს აცხოველებს, ხელს უწყობს მთავარი ამბის მწყობრსა და ბუნებრივ დინებას“<sup>8</sup>. ეფებისტყაოსანი გვერდს უვლის ყოველ შემთხვევით ამბავს, რომელიც ორგანულად არ არის დაკავშირებული სიუჟეტის განვითარებასთან (ამით რუსთველი იცავს მოქმედების ერთიანობის თაობაზე არისტოტელეს „პოეტიკაში“ გამოთქმულ თვალსაზრისს)<sup>9</sup>. მოგზაურობის დაწვრილებით აღწერას ეფებისტყაოსნის ავტორი ცეცხლს ამ მოგზაურობისას გმირის განცდებებს აღწერით, ავთანდილის ლოცვების გადმოცემით. ამით რუსთველი ამოკლებს გზებს და თან ქმნის მათი სივრცულობის და ხანგრძლივობის ფსიქოლოგურ ეფექტს იმით, რომ თავად ლოცვა, განცდათა აღწერა ახანგრძლივებს, ანელებს თხრობას. რუსთველი მისდევს შუა საუკუნეებში მოქმედ „გამოხატვის მთლიანობის კანონს“, რომელიც ავტორს ავალებს, გადმოსცეს მხოლოდ ის, რისი გადმოცემაც შეიძლება დასრულებულად<sup>10</sup>. გვიხსენოთ ერთ-ერთი ნიმუში: ავთანდილმა უცხო მოყმის ძებნაში „ყოველი პირი ქვეყნისა მოვლო, სრულად მოიარა“ (182, 1), მაგრამ მისი ამბის მსმენელსაც ვერ მიაგნო, „ამამიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა“ (182,4).

ამ ინფორმაციას წინ უძღვის ოთხი სტროფი, სადაც აღწერილია, როგორ განიცდის ავთანდილი სატრფოსთან განშორებას, და თავად ავტორის ერთ-სტროფიანი კომენტარი. შემდეგ კი ვრცლად არის მოთხრობილი ავთანდილის შეყრა ხატაელ ძმებთან და უცხო მოყმის კვალის მიგნება. თხრობის დაყოფენა, ყურადღების შეჩერება დეტალებზე მკითხველს მიანიშნებს, რომ ახლოვდება გარდატეხა, დრო და სივრცე იტვირთება მნიშვნელოვანი, სიუჟეტის განმავითარებელი შტრიხებით. ამბის დასაწყისი საიმედოს კვლავ ვერაფერს ჰპირდება ავთანდილს: „მიჰხვდა რასმე ქვეყანასა უვემურსა, მეტად მქისსა, თვე ერთ კაცსა ვერა ნახავს, ვერას შვილსა ადამისსა (183, 1, 2)“. ავთანდილისათვის ეს დამქანცველი მოგზაურობის მორიგი უფერული ეპიზოდია. გამოცდილი მკითხველისათვის კი მნიშვნელოვანია ამ მწიბრი ქვეყნის გამოცალკეება ავთანდილის მიერ განვლილი სივრცეიდან. თხრობა გრძელდება: გმირი მაღალი მთის მწვერვალზე შეჩერდება, შვიდი ღლის სავალ მინდორს და მთის ძირში მომდინარე წყალს გადმოხედავს. მდინარე ბატარაა, „არად სანდომი ხიდისა“, და „ორგნითვე“ მისი ნაპირი ტყით არის „შეკრული“. ავთანდილი ჩამოდის მდინარესთან და იწყებს დროის გამოთვლას. დარჩენილი ორი თვე საკონტაქტო ჩაადგებს: „თუ დავბრუნდე, ... ჩემსა რა ვკადრო მნათობსა“, „თუ არ დავ-



ბრუნდე, ... დრო გარდაუწყვედეს შერმაინს“. გამოუვალ მდგომარეობაში ჩა-  
ვარდნილი ავთანდილი ეძებს ლეთაებრივ სამართალს: „ღმერთო, სამართალს  
შენი ჩემთვის რად ამრუდენ?“ (189, 1); შემდეგ გადაწყვეტს, რომ გონიერული  
იქნება, თუ მოითმენს და განგებას მიენდობა, რომ სიკვდილი სჯობს „აუგვიან“  
სიცოცხლეს. თავისთვის კი დასაკენის: „ულონიოდ მართალ იყენეს, რომელთაც  
ქაჯად თქვიან“ (192, 3). ავთანდილი წყალს და ტყეს გადაიღვს, „სამინელ მზე-  
ცებს“ არ დააფრთხობს და, თუმცა დარღობთ თავადაც „მზეც-ქმნილია“, მომიე-  
დება „ადამის ტომთა წესითა“. ისრით ნადირს მოკლავს, ცეცხლს დაანთებს,  
ცხენს საძოვარს მისცემს მწვადის შეწვამდე და უცებ დაინახავს მისკენ მო-  
მავალ ექვს ცხენოსანს, რომელთაც მეკობრეებად ჩათვლის.

გმირი მშვილდ-ისრით გაემართება უკაცრიელ ქვეყანაში გამოჩენილი მხედ-  
რებისაკენ და პირველი შეეხმანება მათ. ხატაელი ძმები დაწვრილებით უამბო-  
ბენ ავთანდილს საკუთარ თავგადასავალს (რასაც პოემის თერთმეტი სტროფი  
ეძღვნება — 200—210) და ერთდროულად გამოიწვევენ მასში სიხარულსა და  
თანაგრძნობას. თავდაპირველად, რასაკვირველია, სიხარულს: „აჰა, მიჰხვდა ავ-  
თანდილსა დაწვთა ცრემლით არ დათოვნა, რათგან ცუდად არ წაუხდა მას ეზო-  
მი ვარეთ ყოფნა“ (211, 1, 2). მაგრამ გმირი გრძნობს, რომ ხატაელი ძმებისთვის  
სრულიად გაუზიარებელია მისი აღტაცება და ტაქტიანად, თავად ავთანდილის  
თვისაც მძიმე კუთხის წარმოჩენით („აჲ თქვენგან მიგზხვდი საქმესა ყოლა არ-  
საადვილოსა (212, 3)) და თანაგრძნობით („ღმერთიმიცა ნურას ნულარ იქმს  
თქვენსა დასაღრევილოსა“ (212, 4)) გაცნობა ძვირფასი ცნობის მომტან ადა-  
მიანებს. შემდეგ მათ საკუთარ სადგომს მისაწვდომს და რჩევასაც მისცემს:  
„...მიდითო ნება-ნებასა, ჩრდილსა გარდასვით, მაშვრალნი მიეცით მოსვენე-  
ბასა“ (213, 3, 4). მხოლოდ ამის შემდეგ ადგება ავთანდილი უცხო მოყმის  
კვალს და ეს წასვლა აღბეჭდილია მზარდი დინამიკით, რასაც უკვე ხაზგასმუ-  
ლად მოითხოვს მოვლენათა ლოგიკა პოემის ავტორისაკენ: „ესე უთხრა და წა-  
ვიდა (!), ცხენი გაქუსლა დეზითა (!!), ვითა გავაზი გაფრინდა (!!!), არ გაშეე-  
ბული ხეზითა“ (214, 1—2). ეს სრულყოფილი ეპიზოდი ვეფხისტყაოსანში ამ-  
ბის დასრულებულად გადმოცემის მორიგი ნიმუშია და უპირისპირდება არა-  
ნაკლებ სრულყოფილ ეპიზოდებს, სადაც ამბის თხრობა შეცვლილია გმირების  
განცდის აღწერით, მათი განსჯის, ლოცვების გადმოცემით.

ძალზე საყურადღებოა ავთანდილის ლოცვები მხატვრული დროის თვალ-  
საზრისით. იმისდა მიუხედავად, რამდენი საუკუნის წინ განიცდიდა გმირი თავს  
გარდახდილს, ან რამდენი საუკუნის შემდეგ წაიკითხავს მკითხველი ამ სტრი-  
ქონებს, იმისდა მიუხედავად, ვრამატიკული დროის რა ფორმითა გამოხატული  
სათქმელი, ავთანდილის ლოცვის მხატვრული დრო აწმყოა! მკითხველი სა-  
კუთარ განცდებს აიგივებს ლირიკული გმირის განცდებთან, სრულიად თანა-  
უგრძნობს მას. გმირებთან ყოველი ხელახალი შეხვედრისას მკითხველს გან-  
ცდა მეორდება; ამდენად, „სიმღერის“ აღქმაც მუდამ მეორდება აწმყოში.

მიუხედავად იმისა, რომ ვეფხისტყაოსნის გმირებს შორის ავთანდილის  
მოგზაურობა ყველაზე დაწვრილებითაა აღწერილი, მისი გზა მუდამ შეზღუ-  
დულია სივრცით ან დროით, უფრო ხშირად კი — ორმაგად. ვრცელ პოემაში  
დინამიკურობის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა დათქმული ვადები და  
აუცილებლობა — გმირმა არ დაიგვიანოს. ვეფხისტყაოსნის გმირები ხშირად  
ჩქარობენ. ავთანდილი მათ შორის გამოირჩეულია. მან უნდა მოასწროს: და-  
თქმულ ვადაში არაბეთში დაბრუნება, ტარიელისათვის მიცემული პირობის  
შესრულება, ერთი წლის განმავლობაში ნესტანის ამბის შეტყობა, მზე-თინა-  
თინთან შეუღლება. ავთანდილი წუხს, ზრუნავს, რომ არ დაირღვეს პირობა.  
იგი ჩქარობს, მაგრამ ჩქარობს დინჯად, რაც პირობის შესრულებას საწინდა-

რი ხდება. ამის დასტურია ორი დღე-ღამის განმავლობაში უცხო მოყმის კვლადაკვალ სიარული. ასმითთან პირველი საუბარი, გულანშაროში ცხოვრება, ფაქტ-მანთან ურთიერთობა. რეალურად აჩქარება რომ არსად იგრძნობა, ამის მიზეზია უკვე ნახსენები გმირის გრძნობათა აღწერა, რაც წყვეტს ღინამიკურობას და ახანგრძლივებს თხრობას. გმირის თანამგრძნობი მკითხველისათვის დათქმული პირობის შესასრულებლად კიდევ ერთი საიმედო ნიშანი არსებობს ვეფხისტყაოსანში: სივრცის გამტარუნარიანობა. სივრცე, რომელსაც გადალახავენ გმირები, თავისუფალია დაბრკოლებებისაგან. მას შემდეგ, რაც ავთანდილი შეასრულებს თინათინის პირობას, — იბოვის უცხო მოყმეს და მისი მწუხარების მიზეზსა და ვადაშის აღარ არსებობს დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლის დათქმულ ვიდეო ავთანდილის არაბეთში დაბრუნებას. ყოველი დაბრკოლება, რომელიც პოემის გმირებს ხვდებათ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიუჟეტის შემდგომ განვითარებაში (ნესტანის შეხვედრა რომაქთან და ქაჯეთის ციხეში მოხვედრა; ტარიელის მიერ ფრიდონის გაცნობა; ავთანდილის შეხვედრა ვაჭართა ქარავანთან).

სხვა შემთხვევაში ვეფხისტყაოსანში სივრცე დაცლილია დაბრკოლებებო-საგან. ეს ხაზგასმულია მეგობრებთან ბრძოლის შემდეგ ავთანდილის მშვი-ღობიანი მგზავრობისას:

„მუნთ წავიდეს, იარეს, არ თურე ხანსა ზმიდიან,  
მიხვდეს ტაროსსა ამოსა, ნიადაგ ამოდ ვლიდიან“ (1060, 1, 2).

ღრო და სივრცე, რომელსაც გადალახავენ ვეფხისტყაოსანის გმირები სახლ-თან, სამშობლოსთან განშორების შემდეგ შინ დაბრუნებამდე, არსებითია პო-ემის უმთავრესი გმირების ცხოვრებაში. ეს ღრო და სივრცე გმირისათვის არ ქმნება უკვალოდ. ვეფხისტყაოსანში არ გვხვდება უბრალო განლაგება შექცე-ვადი, განდანიცვლებადი ღროის და სივრცის მონაკვეთებისა. პოემაში აღწერილი ღრო და სივრცე არსებითია და შეუქცევადი. ეს ღრო და სივრცე არ არის მხოლოდ ერთი კერძო ადამიანის განცალკევებული ბედის განმსაზღვრელი. იგი კვალს ტოვებს არა ერთი ადამიანის ცხოვრებაში, არამედ მთელ სამყაროში: ცვლის არა რომელიმე კერძო ადამიანის ცხოვრებას, არამედ, ნაწილობრივ, სამყაროს. თინათინის დავალება იწვევს ავთანდილისა და ტარიელის დამეგობ-რებას, ნესტანის ტყვეობიდან განთავისუფლებას, ქაჯეთის ციხეში ბოროტების დამხობას, დაცემის პირას მისული ინდოეთის დიდი სამეფოს აღორძინებას, არაბეთისა და ინდოეთის მეფეთა ურღვევ მეგობრობასა და უძლეველ კავშირს.

ვეფხისტყაოსანში ზღვათა სამეფო და, კერძოდ, გულანშარო განსაკუთრე-ბული სივრცეა. არაბეთში ყოველივეს საჭაროობის ნიშანი აზის: თინათინის გამეფებას მთელი ერი ესწრება; ათობით მონის თვალწინ მეფეს სპასპეტი სჯობნის მშვილდის ტყორცნაში, ხოლო როსტეფანს „უხარის ეგრე სიკეთე მი-სისა განაზარდისა“ (82, 2). გულანშაროში ყოველივე პირიქითაა: მნიშვნელო-ვანი მოვლენები ჩაკეტულ სივრცეში ხდება, მნიშვნელოვანი საუნჯე საგულდა-გული მოედ დაფარულია. არაბეთში უდიდესი სახელმწიფო პირებიც პირად საი-დუმლოს მეგობარს ანდობენ, გულანშაროში ყოველგვარი გულახდილობა დამ-ღუპველია.

ავთანდილი, რომელიც ტარიელის დასახმარებლად კვლავ გზაზე დგას, გვერდს უვლის ცხოვრებას, რომელიც ამ გზის გვერდითაა. მხოლოდ ორჯერ შეიჭრება მასში: პირველად, როდესაც მულაზანზარის ქვეყანას ეწვევა ფრი-დონის გასაცნობად და, მეორედ, როდესაც გულანშაროში შეაზიჯებს ვაჭართა ქარავანთან ერთად. ფრიდონის სამეფოში ავთანდილისათვის ჩვეული წესები ბატონობს. აქ იგი მეგობარია. გულანშაროში კი „მისი ადგილი“ არ არას. არა-

ბეთის სპასპეტი ქარავნის უფროსის ნილას მოირგებს და თამამად შეიჭრება იმ სამყაროში, რომელიც სწორედ მისთვის მნიშვნელოვან საიდუმლოს ფარგლებში თავად ნილბოსანი, დამხედურთა ნამდვილ სახეს გააშიშვლებს, მათი ინტიმური თევზადსაველების მკოდნე შეიქნება და მათ საიდუმლოსაც ნათელს მოჰყენს<sup>12</sup>. გმირის შინაგან სამყაროსთან შეუთავსებელი ნილაბი მისიის შესრულებისთანავე წყვეტს ფუნქციონირებას.

დაბოლოს, „ზნელი“ სივრცე — ქაჯეთის ციხე. მეგობრების მიერ გამოქვამულში ნაპოვნი უცხო აღჭურვილობა, ნესტანის წერილი, თააბირი ბრძოლის წინ — სწორედ ეს პირობები ქმნის შესაძლებელს ქაჯეთის ციხის დამხობას ხანგრძლივი ბატალური სცენების გარეშე. ლიტერატურული ტრადიციაც რომ ამგვარია — გმირის გამარჯვება უმრავლესად ელვისებურია<sup>13</sup>. ტარიელს კი მიკითხველზე მეტად ეჩქარება სატრფოსთან შეყრა და, როდესაც გმირებთან ერთად მოვიკითხავთ, „ტარიელ რა იქმნაო?“, ვეფხისტყაოსან მოყმეს სატრფოსკენ მიმავალი ყველა კარი განხმული აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩაკეტილ კარს იქით თინათინის მძიმე ლოდინიც დასრულებულია.

ამგვარია ავთანდილის დრო და სივრცე, ესე იგი, ავთანდილის სამყარო.

„**მას ქალსა ნესტან-დარეჯან იყო სახელად ხმოზილი**“. ნესტან-დარეჯანი ინდოეთის მეფის ერთადერთი შვილია, ნანატრი, ქორწინებიდან წლების შემდეგ შეძენილი. ფარსადანის ბედნიერებას მთელი ინდოეთი იზიარებს: „წიგნი წიგნსა ეწეოდა, დედოფალი ოდეს შობდა, მოციქული-მოციქულსა, ინდოეთი სრულად სცნობდა“ (323, 1, 2).

მეფე უძვირფასეს საუნჯედ თვლის მშვენივით მზისა და მთვარის მსგავს ასულს. უძვირფასესი საუნჯის დარად უვლის და უფრთხილდება. შვიდი წლისა კოშკს აუვებს, აღსაზრდელად თავის დას — ბრძენ დეარს მიანდობს და მსახურად უერთგულეს ასმათს და ორ მონას მიუჩენს.

სწორედ მათ თვალწინ იზრდება ნესტანი, რომლის სამყარო წლების განმავლობაში კოშკითა და ბაღით ამოიწურება. ალბათ, მათ თვალწინ იქცევა მეფის ასული პიროვნებად, თავისუფლებისმოყვარე, დაუთრგუნავ პიროვნებად, რაც მრავალჯერ იხსნის ნესტანს შემდგომ, უმძიმეს წუთებში. და ვეფხისტყაოსნის მთელი სიუჟეტის მანძილზე ინდოეთის მეფის ასული დაზმული სივრციდან გაქრას ლამობს.

თავდაპირველად მხოლოდ მამის „ტყვეა“. შემდეგ დავარი კიდობნით მონებს გაატანს, რომელთა სიხარულის ყიფინა — „იბი, იბი“ — შიშისმომგვრელად უცხოა ნესტანისათვის. შემდეგ ინდოეთის მეფის ასული ფატმანის ტყვე ხდება. აქ სამყაროსაგან მას ფატმანის დიდი საიდუმლო ამორებს, უფრო სწორად, იფარავს. მალე ნესტანს ზღვათა სამეფოს მეფეს უძღვნიან. კვლავ ჩაკეტილი კარი და ცხრა მცველი ელობება მის თავისუფლებას. დაბოლოს, ქაჯეთის ციხე: პატარა სენაკი და ათასობით მცველი, ერთი ქალი და მთელი სამეფო.

ნესტანის მშვენიება და სიბრძნე აძულებს ყოველ მის ახალ მფლობელს, თაყვანი სცეს მოპოვებულ საუნჯეს. ყველაზე მდამბინი, მათ შორის, დავარის მონები, დროდადრო თავს ხდიან კიდობანს და მცირე ხნით ათავისუფლებენ ნესტანს მძიმე ტყვეობიდან. ზღვათა სამეფოს მეფე, მელიქ-სურხავი, მამობრივ გრძნობებს იჩენს ნესტანის მიმართ; შემოსავს, ტბილ სიტყვას არ მოაკლებს, ოქროს ტახტზე დასვა მს და მცველებს მიუჩენს „მისივე სიკეთისათვის“. ფატმანისადმი მადლიერების გრძნობით აღვისილი ნესტანი მას „დედისა მკობ დედას“ უწოდებს.

ამგვარ პირობებში ნესტანს არ უჭრება პროტესტის გრძნობა. ზღვათა სამეფოსა და ქაჯეთის „საჯილდოო ოქროცურვილის მაცდური ზიზზიმი“<sup>14</sup> არ აღუწებს მის სიფხიზლეს და საიმედო მომავალი ვერ ცვლის შორეულ სამშობლოში დატოვებული მიჯნურისაგან უიმედო ლტოლვას.



ნესტანი იზრდვის თავისუფლებსათვის. ჯერ კიდევ მამის კოშკში გამოკეტილი ისმენს დიდი სამყაროდან მომავალ ამბებს; შორიდან უთვალთვლებს ბავშვობის მეგობარს და გრძნობს, რომ მისი „ბედითი ბნედა, სიკვდილი“ მიჯნურობის ნიშანია. ტარიელისადმი დიდმა გრძნობამ უნდა იხსნას იგი ცხრაკლიტულიდან. ნესტანიც უკვე მზადაა ასპარეზისათვის.

მაგრამ განგება სადედოფლო ტახტის ნაცვლად ფიცრულ კიდობანს უმზადებს. მეფეთა პალატებს ჩვეულებრივი ნაფი ცვლის, მონებს — მცველები.

გზა ნესტანისათვის ყოველი ბოროტების სათავეა. წლების განმავლობაში სერავს ზღვას კიდობნაანი ნაფი და მალავს დიდ საიდუმლოს. ნესტანისათვის რეალური გზა ცხოვრების გზას ემთხვევა. ორივე ერთნაირად უსასრულო და უიმედოა. ფატიმანისაგან გამოქცეულ ნესტანს კვლავ გზა უმტყუნებს. იმედის ნაპერწკალს ხიფათი ჩაუქრობს და კიდევ ერთხელ დაუდასტურებს: „კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს“.

ამგვარი ცხოვრებისას ძნელია სასიცოცხლო ძალების შენარჩუნება. იმდენად მძიმეა ნესტანისათვის თავსგარდახდელი, მასზე საუბარი ფატიმანთანაც არ შეუძლია. სიტყვები უძლურია მისი სათქმელის გამოსახატად. წერილით ებოდიშება: „შენ ამბავი არ ვიამბე, მაშინ ამაღ დავიძალე, ვერ იტყოდა ენა ჩემი, თავი ჭირთა გავაკრძალე“ (1289, 1, 2).

ნესტანი არასოდეს არ ითვლის დროს. ბედს არ ნებდება, მაგრამ შიშობს, რომ მომავალი მისთვის მხოლოდ ახალი ტანჯვის მომტანი შეიძლება იყოს. ნესტანისათვის მარტოოდენ შინაგანი დრო არსებობს, სხვაგვარი წარმოუდგენელია. მისი ცხოვრების გზა სხვადასხვაგვარ სიერცხვე მიედინება: ინდოეთის სამეფო, ზღვა, ვაჭართა სამეფო, ქაჯეთის ციხე. აქედან, ბოლო სამი ნესტანისათვის სიკვდილმისჯილის საპყრობილეა. საპყრობილეში კი ობიექტურად მთავარი თუმცა რეალური დროა, სუბიექტურად დროს პატიმრის ტრაგიკული მსოფლშეგრძნება განსაზღვრავს. ნესტანიც ხსნას არსაიდან ელის და დრო მისთვის, ფაქტობრივად, კარგავს მნიშვნელობას. ამგვარი ცხოვრებისაგან დარდი და უბედობაც უფასურდება და ნესტანს თითქმის თანაბრად ეხება მელიქ-სურხანის მიერ დაპირისპირებული ორი აზრი:

„ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ეგონების, მისგან კიდევ არვისად სცალს, არცაღა ვის ეუბნების. ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხელი, არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზელი; ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბელი, სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრელი“. (1183--1184)

ფატიმანისა და ტარიელისადმი გაგზავნილ წერილებში დიდი წამების შემდეგ პირველად ვისმენთ ნესტანის შინაგან ხმას. გრძნობის სიმძაფრე აიძულებს ნესტანს, წერილის საქმიანი მონაკვეთები კვლავ და კვლავ შეცვალოს ღრმა განცდებში. მოვლენათა გარეგნულ თანმიმდევრობას ცვლის მოვლენათა შინაგანი კავშირი. აქ ერთმანეთის გვერდით თავსდება: სოფლის სამღურავა — „ჰხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!“ (1294, 1); შემოქმედის განდიდება — „აწ რა ბესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვბონე“ (1296, 1); ქაჯეთის ციხის აღწერა — „ციხეს ვზი ეზომ მაღალსა“ (1300, 1); თავის მოკვლის სურვილი — „ან თავსა კლდეთა ჩაეიქცე, ანუ მოვიკლავ დანითა“ (1302, 4); დარდი სამშობლოზე — „წადი, ინდოეთს მიჰპართე, არგე რა ჩემსა მშობელსა“ (1307, 1). „ამყარა ემოციურ კონტრასტზე არის აგებული შემდეგი სტროფი ნესტანის წერილიდან:

„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა, მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამჩნა გულსა;



სიმძიმისა და ნუგეშის მოტივი ნებისმიერად ცვლის ერთმანეთს, განწყობილება ორი საპირისპირო ემოციური ნაკადისაგან შედგება, შინაარსის ერთგვაროვანი თანმიმდევრობა აშკარად დარღვეულია, რადგან იგი წინაღმდეგობრივ სულიერ მოძრაობებს გამოხატავს. პოეტური მეტყველების ალოგიზმი ამ სტროფში განპირობებულია ქვეცნობიერი იმპულსების უადრესად ძალუმი მოქმედებით<sup>15</sup>. უმთავრესი, რაც წარმოჩნდება ნესტანის წერილში, ეს არის მისი ღრმა გრძნობა ტარიელის მიმართ, რომელიც ვეღარ ძლებს ტყვეობაში და ელტვის თავისუფლებას.

მაგრამ ნესტანი გულწრფელია, როდესაც არ სურს ტარიელის შეგმა ქაჯებთან. ცხოვრების მძიმე გზა ასხვავებებს მის ყმაწვილურ ბუნებას. მრავალტანჯვასთან წილნაყარი ნესტანისათვის უცხო ხდება უდარდელი „წა, შეები ხატავთა“. ნესტანის მიერ განვლილი გზა ამართლებს იმ აზრს, რომ „ყოველივერძო აღამიანის ცხოვრებას ენიჭება აზრი იმდენად, რამდენადაც მისი ხანძრძლივობა არის აღამიანის პედაგოგიური გარდაქმნის დრო. ხოლო სივრცე — ზოგადსაკაცობრიო სკოლის ადგილი“<sup>16</sup>.

ნესტანი ბრძნულად ითვისებს ამ სკოლის მიერ შემოთავაზებულ ძნელგაკვეთილებს. სამუდამოდ უკან რჩება დრო, როდესაც ბედნიერების მომლოდინე ლალი ასული განსაცდელის წუთებში სატრფოს ორაზროვნად შთააგონებს სამყაროში გატყორცნილ ღიმილისმომგვრელ მშვენიერ აზრს: „სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?!“ (565, 4).

სილადის წილ ნესტანი ტანჯვით მოიპოვებს იმ სიღრმეს, რომლის ვარეშე ახალი სამყარო არ შენდება. ეს სამყარო კი იმითაა ძველზე უკეთესი, რომ მასში უმაღლეს ზნეობრივ კანონად სიყვარულის კანონი ბატონობს: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მეელი ერთად სძოვდეს“ (1664, 4).

**„მისი ხახელი — თინათინ, არს ესე საცოდნარია!“**. თინათინი არაბეთის მეფის ასულია, თავადაც არაბეთის მეფე. ამქვეყნიური ყოველი სიკეთე მისთვის არსებობს: უხადო მშვენება, სიბრძნე, სიმდიდრე, ძალაუფლება და „საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“.

მაგრამ თინათინის ცხოვრებას მეფობისა და მიჯნურობის ორმაგი ტვირთი ახლავს. სამყარო, რომელშიც იგი იზრდება, სიბრძნის გაკვეთილებს უტარებს. არაბეთის უებრო მეფის — როსტევანის ასული მამის ტახტს ეკრძალების და თვალცრემლიანი მიიღებს სამეფო გვირგვინს, სკიპტრასა და სამოსელს.

როსტევანი ლაშქარ-მრავალი, უებროდ მეომარი, ღმრთისაგან სვიანი ხელმწიფეა და ვიდრე საწუთრო მის ყვავილს დაჰკნობს, ჩქარობს ერთადერთი ასულის გამეფებას. თინათინიც გრძნობს, რომ აღამიანის ნება მისი სიკვდილისთანავე ქრება, ყოვლად ძლიერი ხელმწიფეც კი უძლურია, შექმნას სამუდამო კანონი. ყოველი კანონი ცოცხლობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში და არ აღემატება ერთი აღამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას<sup>17</sup> („დრონი მეფობენ და არა მეფენი!“). ამიტომ, როსტევანისათვის მისალეები აზრი, რომ „ლექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, კანონად უნდა იქცეს მისავე სიცოცხლეში.

ასე იქნეს დრო ფასდაუდებელ ღირებულებას თინათინის ცნობიერებაში. მაგრამ თინათინი არასოდეს არ ჩქარობს, პირიქით, მისი ცხოვრება მოლოდინით ხანგრძლივდება. მიუხედავად ამისა, არაბეთში დაბრუნებულ ავთანდილს თინათინი ამხნევებს და კვლავ ტარიელთან აზვავნის. უდიდესი მსხვერპლის ფასად თანაუგრძნობს მისთვის უცხო აღამიანებს, რადგან როსტევანის ასულმა კარგად იცის: „რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“ (36, 3). თინათინი,





ნესტანის მსგავსად, ბრძნულად და შეუპოვრად ჰედს საკუთარ ბედს. მაგრამ ნესტანი იბრძვის; თინათინი — თავად სიმშვიდეა; ნესტანი სამყაროს გადასერავეს, თინათინის მთელი სამყარო კი მამისეული პალატებია. მაგრამ თინათინი არ არის პასიური გმირი. ბიძგი, რომელიც ამოძრავებს ტარიელის სტატიკურ, უიმედო სამყაროს და გადახლართავს ვეფხისტყაოსნის გმირების ბედს, თინათინის მშვიდ, გაწონასწორებულ გრძობა-გონებაში იხადება. თინათინი არა თავისი მეფური ღვაწლით, არამედ პიროვნული ღირსებებით ვეფხისტყაოსნის გმირებთან ერთად ახალი კანონის, ახალი სამყაროს შემოქმედია.

1. აქაც და ქვემოთაც სტროფები მოყვანილია 1957 წლის გამოცემის ნუმერაციითა და მართლწერით (სარედაქციო კოლეგია: ალ. ზარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე).
2. Т о п о р о в В. Н., Пространство и текст, в кн.: Текст: семантика и структура, М., 1983, გვ. 258.
3. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ც., „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მითოლოგიური ინტერპრეტაციისთვის, „ლიტერატურული ძიებანი“, თბ., 1983, გვ. 117.
4. Г у р е в и ч А. Я., Категории средневековой культуры, М., 1984, გვ. 84.
5. იქვე, 147.
6. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი გ., ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1963, გვ. 263.
7. იქვე, გვ. 251.
8. ზ ა რ ა მ ი ძ ე ალ., შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 91.
9. არისტოტელეს „პოეტიკის“ მიხედვით, ერთიანია მოქმედება, თუ მოვლენათა ნაწილები ისეა შედგენილი, რომ მათი შენაცვლებით ან ამოღებით იცვლება და მოძრაობაში მოდის მთლიანობა. ის, რისი არსებობა ან არარსებობა შეუმჩნეველია, არ არის მთელის ორგანული ნაწილი. (Хрестоматия по теории литературы, М., 1982, გვ. 86).
10. Л и х а ч е в Д. С., Поэтика древнерусской литературы, М., 1979, გვ. 249.
11. შდრ. Лихачев Д. С., დასახ. ნაშრ., გვ. 219—224.
12. შდრ. Бахтин М. М., Вопросы литературы и эстетики, М., 1973, гл. VI.
13. Л и х а ч е в Д. С., დასახ. ნაშრ., გვ. 234.
14. ა ს ა თ ი ა ნ ი გ., გერონტი ქიქოძე, კრებ. „ასეთი იყო ჩემი ცხოვრება (გერონტი ქიქოძე)“, თბ., 1985, გვ. 19.
15. ა ს ა თ ი ა ნ ი გ., სათავეებთან, თბ., 1982, გვ. 120.
16. А в е р и н ц е в С. С., Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977, გვ. 162.
17. Г у р е в и ч А. Я., დასახ. ნაშრ., გვ. 154—155.

И. З. АНТАДЗЕ

К ИНТЕРПРЕТАЦИИ ОБРАЗОВ ГЕРОЕВ  
«ВИТЯЗЯ В БАРСОВОЙ ШКУРЕ»  
С ТОЧКИ ЗРЕНИЯ ВРЕМЕНИ И ПРОСТРАНСТВА

Художественное пространство и время свойственны тем образным моделям действительности, которые создаются в художественных произведениях.

В статье рассматриваются образы главных героев поэмы Ш. Руставели с точки зрения художественного времени и пространства; дана попытка отыскать в похождениях героев особо ценные (по отношению ко времени и пространству) сюжетообразующие узлы, которые определяют функциональную сущность отдельных героев поэмы.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია წარმოადგინა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

ზურაბ კალანდიაძე, მლადიმერ აჯარიაშვილი

### რევოლუციამდელი ქართული საბავშვო მწერლობის განვითარების გზები ძირითადად იმდროინდელმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ და ეპოქის პედაგოგიკურმა იდეებმა განსაზღვრა.

საქართველოში მეცხრამეტე საუკუნემდეც არსებობდა საბავშვო ლიტერატურა, მაგრამ მან მძლავრი აღმავლობა XIX საუკუნეში განიცადა, რაც გამოიწვია მოზარდთა აღზრდა-განათლებისათვის ზრუნვაში იმდროინდელი მოწინავე მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების აქტიურმა ჩაბმამ, აგრეთვე საბავშვო პერიოდული გამოცემების დაარსებამ.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოში მთავარმმართველობის დაწესების შემდეგ, დაიწყო ძლიერი რეაქცია. ისე გაუარესდა მდგომარეობა საგანმანათლებლო სფეროში, რომ მოზარდს სკოლაში მშობლიურ ენას არ ასწავლიდნენ. მთავრობა რეაქციულ პოლიტიკას ბეჭდვითი საშუალებითაც ატარებდა. მმართველობის ორგანოები არამცთუ ახალი ჟურნალის ან გაზეთის გამოცემაზე იკავებდნენ თავს, არამედ არსებულ ჟურნალ-გაზეთებსაც ზღუდავდნენ მკაცრი ცენზურით.

ასეთ პირობებში დაარსდა ქართული საბავშვო ჟურნალი „ნობათი“, რომელიც თავისი შინაარსობრივი მრავალფეროვნებით პირველი ქართული საბავშვო პერიოდული გამოცემა იყო.

1883 წლის (№ 20, 29 იანვარი) გაზეთ „დროებაში“ კვითხულობთ: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ. ა. ს. ლულაძეს განუზრახავს გამოიცეს ქართული ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი და ნებართვისათვის თხოვნა უკვე წარუდგინა მთავრობისათვის“.

ანდრია სოლომონის ძე ლულაძეს ცენზურამ მხოლოდ წლის ბოლოს დართო ნება გამოეცა „ნობათი“ — ყრმათათვის საკითხავი სურათებიანი ქართული ჟურნალი პედაგოგიური დამატებით. ხსენებული ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1883 წლის 24 დეკემბერს.

ქართული საბავშვო ჟურნალის გამოსვლას სიხარულით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია. „ჩვენ ამ ახალ ნაბიჯს, ჩვენს ნიადაგზედ, ჩვენ შორის გადადგმულს წრფელი გულით და სიამოვნებით ვეგებებით და გამარჯვებას ვეტყვი“, — წერდა იაკობ გოგებაშვილი<sup>1</sup>.

დასახული მიზნის, რომელიც ეროვნული ინტერესებიდან იყო გამომდინარე, განხორციელებას ჟურნალი „ნობათი“ ცდილობდა როგორც მხატვრული სიტყვით, ასევე პედაგოგიკური მოძღვრების პროპაგანდით. იგი მკითხველს აწვდიდა მრავალფეროვან მასალას: საბავშვო ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, გეოგრაფიულ და ისტორიულ ცნობებს, აგრეთვე ცნობებს ბუნებისმეტყველებიდან. იგი მოითხოვდა სკოლებში მშობლიური ენის ცალკე სავნად სწავლებას, აგრეთვე მოზარდი თაობისათვის ისეთი რელიგიური ხასიათის სტატიების მიწოდებას, რომელსაც საფუძვლად ეროვნული მასალები ექნებოდა.

სტიფანე ჭრელაშვილი „ნობათის“ შესახებ წერდა: „მომეტებული ნაწილი ჟურნალისა შედგენილია სამშობლო სურათებიდამ, სამშობლო ცხოვრებიდამ..

<sup>1</sup> „დროება“, 1884, № 7.

ეტყობა „ნობათის“ რედაქციას თავის პროგრამის უმთავრეს საძირკვლად ჩაუგდია ასეთი საზრიანი და მოსაწონი განზრახვა და, მასასადამე, უნდა ვუსურვოთ, რომ ბოლომდინაც გაიტანოს თავი ამ მხრივ“<sup>2</sup>.

წელიწადში „ნობათის“ 12 ნომერი უნდა გამოსულიყო, რაც არ განზორციელებულა. ორი წლის მანძილზე გამოვიდა მხოლოდ თერთმეტი წიგნი. საერთოდ, ყურნალის არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა. იგი დაიხურა დაარსებიდან ორი წლის შემდეგ — 1885 წელს, ვინაიდან მან ვერ შეძლო შემოგვარიბა მუდმივ თანამშრომელთა წრე; შეენლდა მისადმი მკითხველის ინტერესიც. მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად პედაგოგიკური, მშობელთა და მასწავლებელთათვის მეთოდური წერილების ბეჭდვით იგი გასცდა მოზარდთა საკითხველთა ყურნალის ფუნქციას. „ვეიქრობთ, ამგვარმა განფენილობამ გამოიწვია ყურადღების გაფანტულობა, — აღნიშნავს არჩილ ჩაჩიბაია, — რამაც საბოლოო ჯამში რამდენადმე შეამცირა ყურნალის ის როლი, რომელიც მას ჰქონდა დავისრებული როგორც საბავშვო ლიტერატურის პერიოდულ ორგანოს“<sup>3</sup>.

ყურნალმა „ნობათმა“ ვერ შეასრულა ის ფუნქცია, რომელსაც მისგან იმდროინდელი ქართველი საზოგადოება მოელოდა, მაგრამ, როგორც ყმაწვილთათვის განკუთვნილმა პირველმა პერიოდულმა გამოცემამ, უდიდესი როლი ითამაშა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. მან მყარი ნიდაგი შექმნა ისეთი საბავშვო ყურნალის გამოცემისათვის, რომელიც შეძლებდა დიდი დროის განმავლობაში არსებობას და რომელიც დააყვავილებდა მოზარდთა მოთხოვნილებას.

„ნობათში“ დაბეჭდილი არაერთი ნაწარმოები მხატვრული და პედაგოგიკური ღირებულებით დღესაც ინარჩუნებს ესთეტიკური თუ მორალური ზემოქმედების ძალას.

პირველად ამ ყურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნამბობი“ (I და II თავი), რომელიც, საერთოდ, გამოირჩევა ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობებიდან. მართებულად აღნიშნავს არჩილ ჩაჩიბაია, რომ ეს მოთხრობა „თავისი მნიშვნელობით ეროვნულ ჩარჩოებს გასცდა“<sup>4</sup>.

„შვლის ნუკრის ნამბობში“ მწერალი ძალმომრეობასთან და ობლობასთან მშობლიური სიყვარულის, სიცოცხლის, თავისუფლების ტრფილის შეპირისპირებით, ჰუმანიზმის იდეას გამოხატავს. მოთხრობაში უდიდესი ოსტატობითაა გაცოცხლებული ბუნება. იგი, როგორც უნაკლო ქართული სალიტერატურო ენით, ღრმადსიქოლოგიური დავკირვებით შექმნილი ნაწარმოები, ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. „ეს პატარა მოთხრობა, — აღნიშნავს ბენაშვილი, — ერთი გრძელი კვნისაა ნატკერი გულისა. აქა ჩანს, თუ რა მიმე და ძნელია ცხოვრება ბუნების განუსაზღვრელ სამეფოში, თუ რამდენი სისხლი და ცრემლი იღვრება იმისათვის, რომ არსებობა შეინარჩუნოს სიცოცხლემ, როგორც ბუნების ყველაზე დიდმა ფენომენმა. ვაჟას აზრით, მხოლოდ იქ შეიძლება სიცოცხლის დაცვა, სადაც სიყვარული და სიბრალული მეფობს. ეს შეეხება არა მარტო ადამიანს, არამედ ცხოველთა სამეფოს, ფაუნას, ფლორას და საერთოდ მთელ სამყაროს“<sup>5</sup>. მკვლევარს კარგად აქვს შენიშნული, თუ როგორ აქვს განზოგადებული ვაჟა-ფშაველას ხსენებული ნაწარმოები.

„ნობათში“ გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის საბავშვო მოთხრობა „თოხი-

2 „ივერია“, 1884, № 1, გვ. 104.

3 ჩაჩიბაია ა., ქართული კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის საკითხები, თბ., 1974, გვ. 81--82.

4 იქვე, გვ. 301.

5 ბენაშვილი დ., „ვაჟა-ფშაველა“, თბ., 1961, გვ. 229.

შაქ. სსრ. ე. შარქოსი  
სახ. სსს. ჩაჩიბაია

95861

ტარა“. მასში ავტორი ყმაწვილთათვის ნაცნობი გარემოს ჩვენებით მოზარდებზე ფრინველებისადმი სიყვარულს უნერგავს, ძალმომრეობისადმი სიძულველს უღვიძებს.

„ნობათში“ მოჩხუბარიძის ფსევდონიმით გამოქვეყნდა ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა „მტრედი“, რომელიც მოზარდს მიანიშნებს, რომ ფრინველებს სიფრთხილითა და სიყვარულით უნდა მოეპყრონ.

„ნობათის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობა „ყაყიტას ქურდი“, რომელშიც ავტორმა მხატვრული დამაჯერებლობით გადმოსცა ქართველი გლეხის კეთილშობილება.

„ნობათში“ გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ეკატერინე გაბაშვილის საბავშვო მოთხრობები. „როგორ მიეგება სვიმონიკა ახალ წელიწადს“ და „სახალწლო ფეშქაში“.

მოთხრობაში „როგორ მიეგება სვიმონიკა ახალ წელიწადს“ ავტორი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას სოციალური უკუღმართობისადმი. კიტა აბაშიძე მაღალ შეფასებას აძლევს ამ მოთხრობას, რადგან მასში „უხედა არის გაბნეული სინამდვილის სურათები და სინამდვილითვე (რაკი უამისოდ აღარა გეწამსრა) აღსაესე საუცხოვო ფსიქოლოგიური მომენტები“<sup>6</sup>.

მოთხრობაში „სახალწლო ფეშქაში“ ორი, ერთი მხრივ, მდიდარი და, მეორე მხრივ, — ღარიბი ოჯახის სახალწლო განწყობილებათა შეპირისპირებით მწერალი თვალნათლივ აჩვენებს ღარიბთა უმძიმეს მდგომარეობას.

„ნობათის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან, გარდა ზემოხსენებული მოთხრობებისა, აღსანიშნავია სანდალას (ზაქარია ჭიჭინაძე) „კონის შეგირდი“, ე. კ. გაბაშვილის „რად დაგვიოფყეს“, ე. ასათიანის, თ. აბაზაძის, ა. მირიანაშვილის, ა. მღებრიშვილის ნაწარმოებები.

„ნობათის“ დახურვიდან ოთხი წლის შემდეგ საზოგადოება გაახარა საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემამ, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი. მ. ხელთუბნელის ცნობით, „ჟურნალს „ჯეჯილი“ იაკობ გოგებაშვილის წინადადებით უწოდეს“<sup>7</sup>. რედაქციას გათვალისწინებული ჰქონდა ორ თვეში ერთი ნომრის გამოცემა.

1889 წელს იაკობ გოგებაშვილი წერდა: „რამდენისამე წლის წინად გაგვანდა „ნობათი“ და დიდს იმედსაც გვაძლევდა, მაგრამ გაცრუვდა ეს იმედი. იგი ქვიშაზედ აშენებული ხუხულას მსგავსი რამ გამოდგა, — კუდიანი ბუხუტა ვარსკვლავივით გაჩნდა ჩვენს პედაგოგიურ ცაზედ, ჭერ ცოტა ხანს იკავშაშა, მერე სწრაფად მიიღია და ბოლოს მთლად გაჰქრა, ვითომც არც კი არსებულებო. მაგრამ მაინც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემლისა. ცოტას ხნობით ხომ დაუყენა ჩვენს მოზარდს თაობას გონებრივი დღესასწაული და ცოტაოდენი კვალი მაინც დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში...“

ყველა გარემოება, ძლიერ თადარიგიანად დაჰქრილი, გვაძლევს სრულს იმედს იმისას, რომ „ჯეჯილი“ იქნება ჩვენს პედაგოგურს ცაზედ არა დროებითი მოჩვენება კუდიანი ცდომილისა, არამედ ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის სასარგებლოდ და სასიხარულოდ წმინდა ჩათელით იკავშაშებს დიდხანს, ძლიერ დიდხანს, იქნება მუდამაც“<sup>8</sup>.

„ჯეჯილი“ — მოზარდი თაობის სიმბოლოა. იგი გამოდიოდა 30 წლის მან-

6 „მოამბე“, 1899, № 12.

7 ხ ე ლ თ უ ბ ნ ე ლ ი მ., საბავშვო ლიტერატურის მოამბე, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1941, გვ. 41.

8 „ივერია“, 1889, № 262.

ძილზე და ამ ხნის განმავლობაში ეპიგრაფად ჰქონდა იოსებ დავითაშვილის ცნობილი სტრიქონები; „იხარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი გახდი ყანაო“.

ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1890 წლის პირველ იანვარს. იგი იხსნებოდა შიო მღვიმელის ლექსით „ჯეჯილი“. მომდევნო ლექსი — „ჯეჯილი“ კი ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის.

ილია ჭავჭავაძე ამ ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემაზე წერდა: „დადის სიამოვნებით გადავიკითხეთ თითქმის მთელი წიგნი ამ ახლად დაბადებულისა და ნორჩის ჟურნალისა და, უნდა ვსთქვათ, გულითა და სულით ვისამოვნეთ, დავსტაბით და უფრო ტკბილად „დავბერდით“, ვიდრე მამაპაპის ნაანდერძები „აბრაამიანი“ და „გოზინაყი“ დავგაბერებდა“<sup>9</sup>.

აკაკი წერეთელი „ჯეჯილის“ შესახებ აღნიშნავდა: „არც ერთი ყოველთვიური ანუ დროგამოშვებითი გამოცემა არ ყოფილა ჩვენში ისე სათანადოდნობო ჩემთვის, როგორც ეს პატარა ჟურნალი“<sup>10</sup>.

ჟურნალი „ჯეჯილი“, „ნობათისაგან“ განსხვავებით, გაემაჯან პედაგოგიკურ სტატეგებს, უფრო მხატვრულ ნიადაგზე დადგა. იგი ცდილობდა მოზარდებში განეფიქრებინა თავისუფლებისადმი სწრაფვა, გაეღვიძებინა მათში პატრიოტული გრძნობა, ცოდნისა და შრომის სიყვარული. ჟურნალმა შემოიკრიბა საუკეთესო ქართველი მწერლები, რაც განსაკუთრებულად ზრდიდა მისადმი ინტერესს. მან გასაქანი მისცა საბავშვო მწერლობის მიმდევართ, ამასთანავე შესძლო აღეზარდა ახალი კადრი საბავშვო მწერლობისა, რითაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში.

„ჯეჯილს“ მეტად რთულ პირობებში მოუხდა მუშაობა როგორც უსახსრობის, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარების, მძიმე საცენსურო პირობების გამო. მისი შენარჩუნებისათვის თავს არ ზოგავდნენ ჟურნალის მუდმივი თანამშრომლები თუ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები. განსაკუთრებული წვლილი ჟურნალის არსებობისათვის ბრძოლაში თვით ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი მიუძღვის.

„ჯეჯილში“ აქტიურად თანამშრომლობდნენ იაკობ გოგებაშვილი და ვაჟა-ფშაველა. მასში დაიბეჭდა: აკაკი წერეთლის, მოჩხუბარიძის (ალექსანდრე ყაზბეგი) იროდიონ ევდოშვილის, შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილი), ბაჩანას (ნიკო რაზიკაშვილი), თედო რაზიკაშვილის, დუტუ მეგრელის (დიმიტრი ზომტარი), ბარნაველის (ვასილ ბარნოვი), ივანე გომართელის, სოფრომ მგალობლიშვილის, გიორგი წერეთლის, იაკობ მანსვეტაშვილის, წყალტუბოელის (გიორგი იოსელიანი), ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, მარიამ დემურას, ანასტასია ერისთავ-ზომტარიას, ცქვიტის (ანა ხახუტაშვილი) და 100-მდე სხვა ავტორის ნაწარმოებები.

ჟურნალ „ჯეჯილში“ გამოქვეყნებული საბავშვო მოთხრობების უმრავლესობა მოზარდის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვისაა გაიზრუნულა. ასეთი მოთხრობების ნაწილი ისტორიულ თემაზეა დაწერილი.

იაკობ გოგებაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიულ მოთხრობებს მოზარდთა აღზრდაში. „საუკეთესო მამულისშვილების მხურვალე სიყვარული თავის ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დაეწყებისა მის სიკეთისთვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის, უპირველეს ღონისძიებად ირიცხებოდა ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდი თაობის შორის მაღალი ზნის პრინციპებისა“<sup>11</sup>, — აღნიშნავდა იგი.

<sup>9</sup> „ივერია“, 1890, № I.

<sup>10</sup> „ჯეჯილი“, 1899, № II.

<sup>11</sup> გოგებაშვილი ი., რჩეული პედაგოგიური ნაწერები, ტ. I, ტფილისი, 1910,

ისტორიულ თემზე დაწერილი „ჯეჯილში“ გამოქვეყნებული იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები: „თავდადებული აზნაური“, „თავდადებული მძვინვარელი“, „სამასი თავდადებული გლეხი“, „ქართველთა მეფე გლეხის ქონში სტუმრად“ და არაერთი სხვა, რომლებიც პატრიოტული სულისკვეთებით მსჯეალავს მოზარდს და რომელთა შესახებ ქვემოთ კვლავ გვექნება საუბარი.

ძირითადად ისტორიულ თემას ეხება „ჯეჯილში“ გამოქვეყნებული ვასილ ბარნოვის მოთხრობები. მოთხრობა „მართალი კაცი“ არჩილ კახთბატონის დროს დიდგვაროვანთა შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას ეხება. მასში ავტორი მოზარდებს მოუთხრობს მეფის კარზე გამოჩენილი ვაჟაკის, მეფისათვის თავდადებულ კაცის — ზაზას ცხოვრების შესახებ.

„ჯეჯილში“ გამოქვეყნებული აკაკი წერეთლის მოთხრობა „პატარა ტარიელი“ მოზარდში პატრიოტული გრძნობის აღზრდისათვის არის გამიზნული. მასში აკაკი ნორჩ მკითხველს მიუთითებს, რომ ნამდვილი გმირობა სამშობლოს კეთილდღეობისათვის გმირულად ცხოვრება და საქმიანობაა, რომ ბავშვისათვის საგმირო ასპარეზი სასწავლებელია.

ბუნებისა თუ ცხოველთა სამყაროს სიყვარულის გაღვივებას უდიდესი როლი აკისრია ყოველი ერის საბავშვო მწერლობაში. ამავე დროს, მშობლიური ბუნების სილამაზის აღწერა პატრიოტული სულისკვეთებით ზრდის ბავშვს. ყურნალ „ჯეჯილში“ გამოქვეყნებული ვაჟა-ფშაველას მოთხრობები ძირითადად ამ მიმართულებითაა.

ვაჟა-ფშაველა ღრმად სწვდება მოზარდის სულიერ სამყაროს, შესანიშნავად აქვს ვადმოცემული ბავშვის შინაგანი განცდები. ამ მხრივ აღსანიშნავია „მელია კუდაგარძელი“, „გოგრა“ და მრავალი სხვა მოთხრობა.

ვაჟა-ფშაველა ბავშვისათვის გასაგებად და საინტერესოდ გადმოსცემს ცხოველებისა და ფრინველებისათვის დამახასიათებელ თვისებებს. მოთხრობაში „ჩვენი მამალი“ შინაური ფრინველების მოქმედებაა აღწერილი. მამალი თავს დასტრიალებს თავისი სამეფოს დედლებს. იგი ებრძვის უცხოებს, მოსულებს, მტაცებელ ქორსაც კი შეებრძოლება, მაგრამ ინდაურებთან ბრძოლაში მარცხდება. ავტორი უყვინებს მამალს, რომ ამით არ შეშინდეს. მას სწამს, რომ მამალი მაინც გმირია, მიუხედავად იმისა, რომ შინაური მტრის სიმრავლემ დაამარცხა და რომ „ერთხელც იქნება მორჩება, ყელს მოიღერებს გმირია“.

მოთხრობა „ჩვენი მამალი“ ალეგორიულია. მასში საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობაა მინიშნებული.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ვაჟა-ფშაველას მოთხრობებს მხატვრული ზემოქმედების ძალას მატებს მასში ჩართული ლექსები.

ყურნალ „ჯეჯილის“ თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის თედო რაზიკაშვილის საბავშვო მოთხრობები. თედო რაზიკაშვილის, ისევე როგორც ვაჟა-ფშაველას, მოზარდთათვის განკუთვნილ ნაწარმოებებში ძირითადი ყურადღება ბუნებასა და ცხოველთა სამყაროზეა გამახვილებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ მან აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა სწორედ „ჯეჯილში“ დაიწყო და აქ ჩამოყალიბდა პროფესიონალურ საბავშვო მწერლად.

„ჯეჯილში“ გამოქვეყნებული თედო რაზიკაშვილის ნაწარმოებებიდან გამოირჩევა მოთხრობა „ფითრი“, რომელშიც ალეგორიულადაა გადმოცემული იმდროინდელი ჩაგვრა და ძალადობა, თუ როგორ ირჩენს სხვის ხარჯზე თავს პარაზიტული ცხოვრების მოყვარული. ეს მოთხრობა თვალნათლავ მიანიშნებს იმ ოპტიმიზმზე, რომელიც თვით მწერალს ჰქონდა და რომელსაც იგი უნერგავდა პატარებს.

„ჩვეჯილში“ გამოქვეყნებული არაერთი ნაწარმოები შეეხება იმდროინდელი საქართველოს ყოფას, ხალხის მძიმე ცხოვრებას. ამ მხრივ გამოირჩევა ეკატერინე გაბაშვილის ნაწარმოებები, რომლებიც ჰუმანიზმითა და კაცთშოყვარობითაა გამსჭვალული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობა „მაგდანას ლურჯა“, რომელშიც გადმოცემულია ლატაკი ქვრივის აუტანელი ჯაფა, ბრძოლა ამ უსამართლობათა გადასალახავად.

ეკატერინე გაბაშვილმა გაიძვერა ვაჟრის სახე შექმნა მოთხრობაში „ღვთის შვილი“, რომელშიც კარგადაა გადმოცემული ვაჟრის გაუმაძღრობა და სიხარბე. მრავალი მოთხრობა მოზარდს სწავლისაკენ, შრომისაკენ მოუწოდებს. ამ ხასიათის მოთხრობებიდან გამოირჩევა გ. წერეთლის მოთხრობა „ღვთის წყალობა“, რომელშიც ავტორი ბავშვების ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ შრომა, გარჯა ადამიანს კეთილშობილს ხდის, რომ შრომას მიჩვეული ბავშვი ფიზიკურადაც და გონებრივადაც ძლიერია.

ჟურნალ „ჩვეჯილში“ გამოქვეყნდა არაერთი ნაწარმოები, რომელიც მოზარდში ავითარებს რელიგიურ გრძნობებს, რელიგიურ სულისკვეთებას აღძრავს. ასეთი ხასიათის ზოგიერთ მოთხრობაში სიკვილ-სიციოცხლის საკითხები სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაა დანახული. ამ მხრივ აღსანიშნავია ვასილ ბარნოვის მოთხრობა „ხარაზი“.

რელიგიური სულისკვეთებითაა გამსჭვალული იაკობ მანვეტაშვილის მოთხრობა „გიგლას სიზმარი შობა ღამეს“.

არაერთი მოთხრობაა „ჩვეჯილში“ დაბეჭდილი, რომელშიც აღდგომის, შობა-ახალწლის რელიგიური დღესასწაულებია აღწერილი, მოთხრობილია ამებები საღმრთო წერილიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია: წყალტუბოელის (გიორგი იოსელიანი) „იოსების ბედი“, „ქრისტე ყრმის დევნა“, გიორგი წერეთლის „შობა ქრისტესი“ და მრავალი სხვა.

ქართული სამღვდლოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საბავშვო ჟურნალ „ჩვეჯილს“ მოზარდთა რელიგიური სულისკვეთებით აღზრდაში. „ჩვეჯილში“ შესახებ ქართული ეკლესიის ასეთი დადგენილებაა გამოქვეყნებული: „თანახმად მათი ყოვლად უსამღვდლოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თბილისის საეპარქიო რჩევამ ოქტომბერს 1898 წელს გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჩვეჯილი“ მიღებულ იქნას საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლაში სახმარებლად და ხელი შეუწყოს მის გავრცელებას“<sup>12</sup>.

1905 წლის რევოლუციის მიჯნასთან, 1904 წელს დიდი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, მარიამ დემურიაშვილმა შეკრიბა თანამოაზრეთა წრე და დააარსა საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“. ჟურნალი დაარსდა იმ პერიოდში, როდესაც ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა მუშათა კლასი, რომელმაც ბრძოლა გააჩაღა სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ. 1904 წელს გაფიცვები მოხდა ბათუმსა და ბაქოში. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ცხოვრების ამ პერიოდმა გარკვეულად განაპირობა ჟურნალის გეზი, ძირითადი მიმართულება.

„ნაკადულის“ დაარსებიდან 6 წლის შემდეგ, 1910 წელს მარიამ დემურიაშვილმა გარდაიცვალა და ჟურნალის რედაქტორი გახდა ნინო ნაკაშიძე.

1904 წლის ნოემბერში გამოვიდა „ნაკადული“ მცირეწლოვანთათვის — პირველი და მეორე ნომრები და „ნაკადული“ მოზრდილთათვის — პირველი ნომერი. 1905 წლიდან გათვალისწინებული იყო ყოველთვიურად ოთხი ნომრის გამოცემა — ორის მცირეწლოვანთათვის და ორის მოზრდილთათვის.

<sup>12</sup> „ჩვეჯილი“, 1898, № 3.



პირველი ნომერი მცირეწლოვანთათვის იხსნებოდა შ. მღვათელის ლექსებით „ნაკადული“, მოზრდილთათვის — აკაკი წერეთლის ლექსით „ნაკადული“.

ჟურნალში „ნაკადული“ მოზრდილთათვის დაიბეჭდა: ვეჯა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, თედო რაზიკაშვილის, ივანე გომართელის, ბაჩანას, იროდიონ ევდოშვილის, მარიამ დემურიას, ნინო ნაკაშიძის, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას და ექვს ათეულამდე სხვა ავტორის საბავშვო მოთხრობები.

ჟურნალი „ნაკადული“ ცდილობდა მოზარდ თაობაში გავლენიანი თავისუფლებისადმი სწრაფვა, შრომის, ბუნებისა და ცხოველთა სამყაროს სიყვარული. მასში საკმაო რაოდენობით იბეჭდებოდა საბუნებისმეტყველო მასალაც. მაგრამ „ნაკადულის“ განსხვავება „ჩვეჯილთან“ შედარებით ის იყო, რომ მან უფრო მკვეთრად წამოაყენა სოციალური უთანასწორობის საკითხები, აჩვენა გლეხებისა და მუშების ოჯახები, ხელოსანთა მძიმე ცხოვრება, იმდროინდელი ქართული ხალხის სულიერი განწყობილებანი.

მუშათა მძიმე ცხოვრება ახალელი ნ. ნაკაშიძის მოთხრობაში „ნავთის სამეფოში“, მარიამ გარიყულის (თათიშვილი-რატიანი) მოთხრობაში „ფიქრობდა მომავალზე“, მარიამ დემურიას „პირველ ვაფიცვაში“ და არაერთ სხვა ნაწარმოებში. გლახთა მძიმე ცხოვრება აღმოცემული მეჭვრისხვეელის „რთველში“, ანა ხახუტაშვილის მოთხრობებში: „ცოცხალი სურათი“, „გებრალებოდით“, ვ. მალაქიაშვილის მოთხრობაში „სურათი სოფლის ცხოვრებიდან“ და ბევრ სხვა პროზაულ ნაწარმოებში.

„ჩვეჯილისაგან“ განსხვავებით, „ნაკადულში“ დაიბეჭდა ისეთი მოთხრობებიც, რომელიც რელიგიური რწმენის წინააღმდეგაა მიმართული. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ნაწყვეტი ცქვიტის (ანა ხახუტაშვილი) მოთხრობიდან „ახალწლის შეხვედრა სოფელში“: „თუ ჩამოილოცე, ერთი სიტყვით, სწორე მოგახსენო, ძალიან შეგისრულდება... მე მაგ სისულელებსა აღარა მჯერა რა. ეს არის დაჩვეულები ვართ, თორემ სულ ტყუილი ყოფილა“.

რევოლუციამდელი ქართული საბავშვო ლიტერატურის ძირითადი მიმართულება იმდროინდელმა საბავშვო პერიოდულმა გამოცემებმა განსაზღვრა. ამავე დროს გამოდიოდა საბავშვო კრებულები, რომლებიც ძირითადად იმავე ტენდენციებით ხასიათდება, როგორც იმდროინდელი საბავშვო პერიოდულ გამოცემები. ამ წიგნებში შესული ნაწარმოებების უმრავლესობა საბავშვო ჟურნალებშია გამოქვეყნებული. ამასთან ერთად, გამოვიდა არაერთი წიგნი, რომელშიც შესული ნაწარმოებები არ გამოქვეყნებულა პერიოდულ გამოცემებში და ამავე დროს ორგანული ნაწილია XIX საუკუნის დასასრულის და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული საბავშვო მწერლობისა.

1911 წელს გამოქვეყნდა ვეჯა-ფშაველას წიგნი „სამი საყმაწვილო ამბები“, რომელშიც შესულია მოთხრობები: „სათაგური“, „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“ და „ბუნების წიაღზე“; 1920 წელს კი „საყმაწვილო მოთხრობები“, რომელშიც შესულია: „შელის ნუკრის ნაამბობი“ „ია“, „მოგონება“ და „ჩხიკვა ქორწილი“.

1907 წელს წიგნად გამოიცა ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშვილი“, რომელიც სამშობლოსათვის თავდადებულ გმირზეა დაწერილი. ასევე ცალკე წიგნად გამოვიდა მისი მოთხრობა „სარჩობელაზედ“, რომელშიც აღმოცემულია, თუ როგორ ასცდა ახალგაზრდა და პატიოსანი ადამიანი შრომის გზას და სიცოცხლე სახრჩობელაზე დაამთავრა.

1885 წელს გამოვიდა აკაკი წერეთლის წიგნი „საყმაწვილო ამბები“, 1903 წელს კი ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ჩემი თავგადასავალი“, რომელსაც ავტორისეული წინასიტყვაობა აქვს წამძღვარებული.

1883 წელს წიგნად გამოვიდა ნიკო ლომოურის მოთხრობა „ალი“, რო-



მელშიც ნაჩვენებია ძველი ქართული სოფლის ცხოვრება, ხალხში გავრცელებული ცრურწმენების მიხედვით. 1885 წელს გამოიცა მისი მოთხრობა „ქაჯანა“, 1889 წელს — „ბედი უბედურთა“, რომელშიც გლეხობის მძიმე ცხოვრებაა ნაჩვენები, 1901 წელს — „ყოველის მხრიდან“, 1920 წელს — „პაწია მეგობრები“, რომელშიც გადმოცემულია პატარა სოფლელი გოგონების თავდადებული მეგობრობა და თუ როგორ დაუბრუნა ექიმმა პატარა გოგონას მხედველობა.

1904 წელს წიგნად გამოქვეყნდა იროდიონ ევდომვილის მოთხრობა „ორი ობოლი“, რომელშიც აღწერილია ობოლი და მშვიერ-მწყურვალე დაძმის კარდაკარ წაწალი ლუკმაპურისათვის და ტრაგიკული დასასრული. 1914 და 1916 წლებში გამოქვეყნდა მისი საბავშვო ნაწარმოებების კრებულები: „საყმაწვილო მოთხრობები“, „მოთხრობები მცირეწლოვანთათვის“.

1916 წლამდე გამოქვეყნდა ეკატერინე გაბაშვილის წიგნები: „ბავშვების სახალწლო ფეშქაშად“ (1885), „მაგდანას ლურჯა“ (1894), „საყმაწვილო ამბები“ (1898), „თინას ლეკური“ (1913), რომელშიც მდიდართა და ღარიბთა დაპირისპირების ფონზე დახატულია მოხუცი ქალის სასოწარკვეთილება, მისი უკანასკნელი გაბრძოლება შვილიშვილების საკეთილდღეოდ; „ღვინია გადაიჩხა“ (1914), რომელიც იმდროინდელი სოფლის ცხოვრებას ასახავს და „მოთხრობები მცირეწლოვანთათვის“ (1916).

1895 წელს წიგნად გამოვიდა შიო არაგვისპირელის მოთხრობა „ჩემო შვინდაე!“, რომელშიც გადმოცემულია ბავშვისა და ხარის მეგობრობა, დახატულია ქართული სოფლის სურათები.

რევოლუციამდელ პერიოდში აგრეთვე გამოქვეყნდა: ვასილ ბარნოვის „საკვირველი ხე“ (1888), რომელშიც გადმოცემულია პატარა გოგონას სიხარული სახალწლო ნაძვის ხესთან; თედო რაზიკაშვილის „მურია“ (1903), რომელშიც ნაჩვენებია ძაღლის ერთგულება, მისი გაცოფება და შემდეგ მოკვლის ამბავი: ნინო ნაკაშიძის „საყმაწვილო მოთხრობები“ (1915), სოფრომ მაგლობლიშვილის „საყმაწვილო მოთხრობები“ (1916), დეტუ მეგრელის „საყმაწვილო მოთხრობები“ (1919), ლეო ქიაჩელის „ნატვრისთვალი“ (1920), აგრეთვე: თომა ასათიანის, ნატალია გივაურის, დომენტი თომაშვილის (ოყრეშიძე), ივანე ელიაშვილის, გიორგი წერეთლის, აპოლონ წულაძის, ლადო გედევანშვილის, ტონკელის (მელიტონ კელენჯერიძე), დავით ნახუცრიშვილის და სხვათა წიგნები.

1881 წელს გამოვიდა ანთიმოზ ჯულელის მიერ შედგენილი კრებული „წყარო“, რომელშიც ორიგინალურ ნაწარმოებებთან ერთად თარგმანებიც შედიოდა. „წყაროში“ გამოქვეყნდა პირველად ლევ. ცაველის (ნიკო ლომოური) მოთხრობა „პატარა ქაჯანა“, რომელიც 1885 წელს „ქაჯანას“ სახელწოდებით დაიბეჭდა. ამ მოთხრობაში ასახულია იმდროინდელი ქართული სოფლის ცხოვრება, ნაჩვენებია ცრურწმენების გავლენა ხალხზე და მისი შედეგები. ამ ნაწარმოებმა მკითხველი საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. «„პატარა ქაჯანა“, ეს განაჩვენის მწერლობისა საუკუნოთ იქნება საყვარელი საკითხი არა მარტო ბავშვებისათვის, ვისთვისაც ეს მოთხრობა საგანგებოთ იყო დაწერილი, არამედ ყველასათვის, ვისაც კი ქართული კითხვა შეუძლიან და შესძლებს ოდესმე»<sup>13</sup>, — წერდა მის შესახებ ეკატერინე გაბაშვილი.

1874 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოაქვეყნა მცირეწლოვანთათვის განკუთვნილი მოთხრობების კრებული „საყმაწვილო კონა“, რომელშიც როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი ნაწარმოებები შედიოდა. მას დართული ჰქონდა იაკობ გოგებაშვილისავე წინასიტყვაობა. „საყმაწვილო კონაში“ ძირითადად საბუნებისმეტყველო თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს აქვს ადგილი დათმობილი.

<sup>13</sup> „ჩვენი“, 1915, № 4, გვ. 229.



1878 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა წიგნი „პატარა ბიბლიოთეკა“ რომელშიც შეიტანა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა დროს დაბეჭდილი ნაწარმოებები. 1883 წელს მანვე განაახლა ადრინდელი საყმაწვილო გამოცემა „პატარა ბიბლიოთეკა“ და გამოსცა იგი „კუნწულას“ სახელწოდებით. 1885 წელს კვლავ გამოსცა საყმაწვილო კრებული „კოკორი“, რომელშიც ადვილად გასაგები საბავშვო ნაწარმოებები შედიოდა.

რევოლუციამდე პერიოდში დაისტამბა იაკობ გოგებაშვილის არაერთი წიგნი. 1890 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა „იენანამ რა ჰქმნა“, რომელიც განსაკუთრებით უნდა გამოიყოს იაკობ გოგებაშვილის სხვა მოთხრობებიდან. იგი როგორც აღმზრდელითი, ასევე მხატვრული ღირებულებით დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. პატრიოტული სულისკვეთების გამომხატველი ეს მოთხრობა ბავშვის შინაგანი სამყაროს ღრმა ესთეტიკურ ანალიზს შეიცავს.

1892 წელს წიგნად გამოიცა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ასპინძის ომი“, რომელიც ისტორიული მასალებისა და ხალხური თქმულებების საფუძველზეა დაწერილი. მასში ავტორი გადმოსცემს ერეკლე მეორის მეთაურობით 1770 წელს ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარის მიერ ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარის განადგურებას.

1892 წელს გამოვიდა ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობა „ხატის მიზეზი“. მასში მოთხრობილია ავტორის მძიმე ვანცდების შესახებ მშობლიური კუთხიდან ქალაქში სასწავლებლად წამოსვლის გამო. „რას მოვიგონებდი მაშინ თუ შემდეგში სწავლა გამიტკებოდა, მე ვარიანზედ მეტად შემყვიარდებოდა თბილისი, როგორც კერა სწავლისა, განათლებისა“, — წერს ავტორი ნაწარმოების ბოლოს.

1895 წ. გამოვიდა საბავშვო მოთხრობების კრებული „თავდადებული ქართველი“. მასში მოთავსებულია მოთხრობები სამშობლოს კეთილდღეობის, მისი თავისუფლებისათვის თავდადებულ ქართველებზე: თევდორე მღვდელზე, იოთამ ზედგენიძეზე და ცოტნე დადიანზე. წიგნში შედის აგრეთვე მოთხრობა „გამარჯვებული დედა“, რომელშიც აღწერილია მოსე წინასწარმეტყველის თავდადება თავისი ერისადმი.

1897 წელს წიგნად გამოიცა ისტორიულ-პატრიოტული მოთხრობა „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, 1898 წელს — „სხივი წარსულისა“, რომელიც ნორჩ მკითხველს მოუთხრობს ქართველთა ბრძოლას მონღოლების წინააღმდეგ. 1900 წელს გამოვიდა საბავშვო მოთხრობების წიგნი — „აკიდო ან კრებული საყმაწვილო მოთხრობათა“, რომელშიც შესულია შემეცნებითი და აღმზრდელითი ხასიათის თვრამეტი ორიგინალური მოთხრობა.

1912 წელს გამოვიდა წიგნი, რომელიც ორ მოთხრობას მოიცავს: „თავდადებული ქართველი ეჯიბი“ და „ქართველთა მეფე გლეხის ქოხში“. „თავდადებულ ქართველ ეჯიბში“ ავტორი ნორჩ მკითხველს მოუთხრობს დავით ახალციხელის სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადების შესახებ. მოთხრობაში „ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად“ გადმოცემულია სვიმონ მეფის ცხოვრების ეპიზოდი, ნაჩვენებია ქართული ოჯახის სტუმართმოყვარეობა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ იაკობ გოგებაშვილის როლი ქართული საბავშვო მწერლობის განვითარებაში განსაკუთრებულია. მართებულად აღნიშნავს გ. თავნიშვილი: „ქართული მხატვრული ლიტერატურისა და პედაგოგიკის ისტორიაში იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი იყო პირველი ქართველი საბავშვო მწერალი; თავისი ლიტერატურული შემოქმედების აღმზრდელითი იდებით, თე-

მატიკითა და მხატვრული ფორმით მან პირველად შექმნა ჩვენში საბავშვო მწერლობა... ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს იაკობ გოგებაშვილამდე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ბავშვთათვის არაფერი იწერებოდა, არა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს საბავშვო მწერლობა, როგორც სპეციალური ლიტერატურული მიმდინარეობა და გარკვეული მოღვაწეობის სფერო, რომელმაც იაკობ გოგებაშვილით დაიწყო არსებობა<sup>14</sup>.

იაკობ გოგებაშვილი თვლიდა, რომ მოზარდთათვის მხატვრული საზრდოს ორგანიზებული მიწოდება იყო აუცილებელი. ამიტომ იგი ხელს უწყობდა საბავშვო ჟურნალების გამოცემას. მას დაწერილი აქვს ვრცელი რეცენზიები ჟურნალ „ნობათის“<sup>15</sup> და „ჭევილის“<sup>16</sup> პირველი ნომრების შესახებ.

იაკობ გოგებაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის როგორც საბავშვო ლიტერატურის თეორეტიკოსს. ამ მხრივ მისი მოსაზრებანი დღესაც არ კარგავენ მნიშვნელობას. მართებულად აღნიშნავს თინათინ ჯიბლაძე: „ი. გოგებაშვილი იყო არა მხოლოდ დიდი პედაგოგი და საბავშვო მწერალი, არამედ იგი ჩვენი საბავშვო ლიტერატურის პირველი თეორეტიკოსიცაა. თავის კრიტიკულ წერილებში მან ვრცლად განიხილა საბავშვო ლიტერატურის თეორიული საკითხები, შეიმუშავა აზრი საბავშვო მწერლობის როლსა და მნიშვნელობაზე მომავალი თაობის აღზრდის საქმეში და ქართველ საბავშვო მწერლებს სამოქმედო პროგრამა დაუსახა“<sup>17</sup>.

იაკობ გოგებაშვილის მთელი მხატვრული შემოქმედება დიდაქტიკური ხასიათისაა, სასწავლო-აღმზრდელობითი დანიშნულებისაა. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს მის, როგორც მწერლის, იდეურ სამყაროსა და ლიტერატურულ სტილს. მწერალი თავისი მოთხრობებით უღვივებს ნორჩ მკითხველს პატრიოტულ გრძნობას, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლის სურვილს, მაღალხეობრივ პრინციპებს.

გოგებაშვილის შემოქმედებაში მთავარი მოტივი პატრიოტიზმია. მისი ღრმარწმენით, ენის, ტერიტორიის და ლიტერატურის შესწავლით ყოველი მოწაფე გულით და სულით შეუთავსდება წარსულს და აწმდგომს თავის ერისას და შეიქმნება მისი ჭეშმარიტი სულიერი შვილი<sup>18</sup>. მოთხრობები: „ჩვენი სოფელი“, „ხატის მიზეზი“, „იანანამ რა ჰქმნა?“ და მრავალი სხვა სწორედ მოზარდის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისთვისაა გამიზნული.

გოგებაშვილს ღრმად სწამდა, რომ ბავშვში პატრიოტული სულისკვეთების ჩასანერგად აუცილებელი იყო მისთვის თავისი ერის ისტორიული წარსულიდან ღირსშესანიშნავ ამბავთა თუ პიროვნებათა გაცნობა. სწორედ ამ მიზნით აქვს დაწერილი ისტორიული მოთხრობები: „ასპინძის ომი“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „თავდადებულნი ქართველნი“, „სამასი არაგველნი“, „სამასი თავდადებული გლეხი“, „სხივი წარსულისა“ და მრავალი სხვა.

მწერალი საქართველოს ისტორიიდან დადებით მოვლენებთან ერთად ზოგჯერ უარყოფით მოვლენებზედაც მოუთხრობს ნორჩ მკითხველს. მის მოთხრობებში გამოყვანილი უარყოფითი, მოღალატე, ეგოისტი პირობი ბავშვებში ზიზღს იწვევს. ასეთი მოთხრობაა, მაგალითად, „სამიწეული სასჯელი მოღალატისა“, რომელშიაც მოთხრობილია საინო ბარათაშვილის მიერ სამშობლოს მოღალატის — ყორღანაშვილის დასჯის შესახებ.

14 თავი № 1 შვილი გ., იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1949, გვ. 92.

15 „ღრობა“, 1884, №№ 7, 12, 13, 14.

16 „ივერია“, 1890, № 262.

17 ჯიბლაძე თ., ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის, თბ., 1959,

18 გოგებაშვილი ი., რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., 1940, გვ. 117.

„ახლა ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ საეციოლური სწავლა უძლურია მეტნაკლებობით, თუ მას წინ არ უძღვის საზოგადო განვითარება, რომელიც უფურჩქნის მოსწავლეს ყოველგვარ ნიჭსა და ჰყოფს მას სრულადამიანად“<sup>19</sup>. — აღნიშნავდა იაკობ გოგებაშვილი. მისი ღრმა რწმენით, მოზარდთათვის ზოგადი განათლების მიღებაა აუცილებელი. სწორედ ამ მაზნით წერდა იგი საბუნებისმეტყველო საბავშვო ნაწარმოებებს, რომლებიც მისი მხატვრული შემოქმედების უმრავლესობას წარმოადგენს. ასეთ ნაწარმოებებში იგი ხშირად დიალოგს მიმართავს. ამ დიალოგში ერთ-ერთი ადამიანი მკითხველადაა გააზრებული, ანუ ის პირია, ვისაც სურს ესა თუ ის რამ გაიგოს.

„ჩვენი წიგნი რომ მარტო გონების გამდიდრებას მისდევდეს, ეს მიუტევებელი ცალმხრივობა იქნებოდა, რადგანაც პატიოსანის, კეთილშობილების გრძნობის აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა...“, — აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი „ბუნების კარის“ (1900) წინასიტყვაობაში. მას ეკუთვნის არაერთი მოთხრობა, რომელიც გამიზნულია მოზარდში სინდისიერების, გულწრფელობის, გამბედაობის, მოყვასის სიყვარულის, თანაგრძნობის, სიმართლის, პატიოსნების, ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს სიყვარულის, პირდაპირობის ჩასანერგად.

იაკობ გოგებაშვილის მხატვრული სტილი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო ამოცანებითაა განპირობებული. იგი სადაა, ლაკონიური, ბავშვისთვის ადვილად გასაგები; ამასთანავე მდიდარია და ემოციური. „გოგებაშვილის ენა, — აღნიშნავს გ. თავიშვილი, — მონუმენტალურია, როგორც ილიასი, ლირიკულია, როგორც აკაკის ლექსისა და ლაკონურია, როგორც ვეჟას პროზის ენა“<sup>20</sup>.

რევოლუციამდელ პერიოდში, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული სიტყვის გამოჩენილმა ოსტატებმა შექმნეს შთამაგონებელი, მაღალმხატვრული ღირებულების საბავშვო ნაწარმოებები, რომლებსაც მოზარდთა ფსიქოლოგიურ სამყაროში ღრმად წვდომის თუ მხატვრული განზოგადების გამო უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში, ასევე დღევანდელი მოზარდის აღზრდა-განვითარებაში.

ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა ჟურნალებმა: „ნობათმა“, „ჯეჯილმა“ და „ნაკადულმა“ (გაზეთი საბჭოთა პერიოდამდე არ არსებობდა), რომლებიც ათეული წლების განმავლობაში მოზარდში ზრდიდა სხვადასხვა დადებით ხასიათს, აღვივებდა შრომისადმი სიყვარულს, ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას, ხალხის სიკეთისათვის თავის განწირვის გრძნობას, უნერგავდა სამშობლოს მიმართ პასუხისმგებლობის შეგნებას, პროგრესულ იდეებს, სძენდა საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიულ თუ სხვა ხასიათის ცოდნას.

რევოლუციამდელი ქართული საბავშვო ლიტერატურა ეროვნული იდეებითაა გამსჭვალული. შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელი საბავშვო ნაწარმოებების უმრავლესობა პატრიოტულ თემაზეა შექმნილი. რევოლუციამდელი საბავშვო მწერლების შემოქმედებაში მხატვრული დამაჯერებლობითაა მოცემული არა მარტო იმდროინდელ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა ტიპები, არამედ სამშობლოსათვის თავდადებულ, გმირ პიროვნებათა სახეები საქართველოს წარსულიდანაცაა აღებული.

რევოლუციამდელი ქართველი მწერლები ქართული სოფლის, საქართვე-

<sup>19</sup> იქვე, გვ. 272.

<sup>20</sup> თავიშვილი მ., იაკობ გოგებაშვილი, გვ. 88.

ლოს წარმტაცი ბუნების ჩვენებით მოზარდებს უღვივებენ, ერთი მხრივ, მშვენიერებით ტკობისადმი მისწრაფებას, მეორე მხრივ, სამშობლოს სიყვარულს, ეროვნული თავისუფლებისადმი მისწრაფებას; სოციალურ უსამართლობათა, ადამიანის ღირსებათა აბუჩად ავლების, არაადამიანური შრომისაგან გაწამებულ ხალხთა ჩვენებით ხელს უწყობდნენ ბავშვებში, ერთი მხრივ, კაცთმოყვარეობის ჩანერგვას და სოციალური უსამართლობის ზიზღს, მეორე მხრივ, მოზარდის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას.

ქართული ოჯახისა და ყოფა-ცხოვრების რეალისტური სურათების წარმოსახვით, ეროვნულ დღესასწაულთა და დიდებოთი ხასიათების ჩვენებით, ეროვნული ჩაგვრის, სოციალური უსამართლობის ასახვით, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის იდეების გამოხატვით ქართულმა რევოლუციამდელმა საბავშვო მწერლობამ მყარი ნიადაგი მოამზადა ქართული საბავშვო ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის.

З. Г. КАЛАНДАДЗЕ, В. М. АЗАРИАШВИЛИ

## ДОРЕВОЛЮЦИОННАЯ ГРУЗИНСКАЯ ДЕТСКАЯ ПРОЗА

### Резюме

Основное направление дореволюционной детской прозы определили тогдашние детские периодические издания: «Нобати», «Джеджили» и «Накадули». Вместе с тем были опубликованы книги, которые составляют органическую часть детской литературы конца XIX — начала XX вв.

Во второй половине XIX и начале XX столетия выдающиеся мастера грузинского слова создали вдохновенные, высокохудожественные детские произведения, по сей день, сохраняющие свое значение в деле обогащения духовного мира подрастающего поколения.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილება  
წარმოადგინა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

ნორა კობინოვი, ლუბა მიშაკიშვილი

ბრძოლა სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციისათვის  
1886—94 წლებში  
(ქართული პრესის მასალების მიხედვით)

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ქართული ენა შევიწროებულა, დაძაბუნებული და უფლებაყრდილი იყო. სწორედ ამ დროს გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული ენის სიცოცხლისუნარიანობისათვის ბრძოლას მიუძღვნა. ილიას ეს ბრძოლა ქართველი ერის უკვდავებისათვის ბრძოლად მიაჩნდა.

სრულიად ბუნებრივი იყო ის ფაქტი, რომ თავისი პირველი პუბლიცისტური წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოლოვიდგან“ „შეშლილის“ თარგმანზედა“ ქართული ანბანის საკითხებს მიეძღვნა. კერძოდ, ამ სტატიაში ილიამ კატეგორიულად დასვა საკითხი ქართული წერითი მეტყველებისათვის უკვე უფუნქციო ასო-ნიშნების (ა, კ, ც, ვ, უ, შ) უპუგდების შესახებ. ძველი ორთოგრაფიული ტრადიციების ასე ხელაღებთ უარყოფას ძველი თაობის წარმომადგენლებმა არ დაუჭირეს მხარი და „ცისკარში“ დაიბეჭდა ილიას მოსაზრებათა საწინააღმდეგო თვალსაზრისის გამომხატველი წერილები, რასაც შემდგომ ილიას მკაცრად არგუმენტირებული პასუხები მოჰყვა. ასე დაიწყო პოლემიკა ქართული ორთოგრაფიის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმის გასატარებლად. პოლემიკა ვაგრძელდა 70-იან წლებამდე. ეს იყო პირველი ეტაპი დიდი საგრაამატიკო პაექრობისა, რომელიც მიმართული იყო ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისაკენ.

„ცისკარს“ დაუპირისპირდა ილიას „საქართველოს მოამბე“ თავისი ახლებური თემატიკით, ახალი პრობლემებითა და ახლებური წერის მანერათ. ილიას შემოქმედების ძირითადი ლერძი ეროვნული და სოციალური პრობლემატიკა იყო, რაც მკაფიოდ გამოიხატა აქურნალ „საქართველოს მოამბის“ თორმეტივე ნომერში.

აქურნალის მკაფიოდ გამოხატულმა იდეურ-თემატიკურმა ხასიათმა „საქართველოს მოამბის“ აკრძალვა გამოიწვია. ილია ჭავჭავაძის წინაშე ხელახლა მძიმე საზრუნავი წამოიჭრა — ახალი ორგანოს დაარსება, რაც აუცილებელი იყო ერის გათვითცნობიერებისათვის.

ქართველ მოღვაწეთა ხელშეწყობით ილიამ შეძლო ამ მიმე საქმის გატანა: დაარსდა „დროება“, შემდეგ „ივერია“. წამყვანი, ხელმძღვანელი იმ პერიოდის ქართული პერიოდიკისა ილია იყო. 80-იან წლებში ქართველი ერის კულტურის წინსვლისათვის ბევრი ეროვნული მნიშვნელობის საკითხის მოგვარება და ხელმძღვანელობა იყო საჭირო, სახელდობრ: ქართული სათეატრო დასის ჩამოყალიბება, თეატრის შენობისათვის ბრძოლა, „ეფესისტყაოსნის“ გამოცემისათვის დიდი ღონისძიების ჩატარება, ხალხური სიტყვიერების შეგროვება-გამოცემა, სათავადაზნაურო ბანკის ხელმძღვანელობა, ქართული სკოლების ქსელის ზრდა და მრავალი სხვა. დღის წესრიგში დადგა ამ ეროვნულ საკითხთა სახალხო ზრუნვის საგნად გადაქცევის საჭიროება. ამისათვის აუცილებელი იყო ყოველდღიური გაზეთი, როგორც უძლიერესი საშუალება ამ საზოგადოებრივ საქმეთა გაშუქებისა და მკითხველი მასის ქმედითი ინტერესების ზრდისათვის.



1886 წლის იანვრიდან „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების ნებართვაც მიიღო ილია ჭავჭავაძემ. მას ჩაფიქრებული ჰქონდა საბოლოოდ შეემუშავებინა ქართული ენის გრამატიკული ნორმები, ვაზ. „ივერიის“ საშუალებით ფართო მსჯელობის საგნად გაეხადა ქართული ენის საგრამატიკო საკითხები.

როგორც ნ. აბესაძე აღნიშნავს: „ქართულ ყურნალ-გაზეთებში განსაკუთრებით ვაცხარდა ინტერესი გრამატიკის საკითხებისადმი ოთხმოციან წლებში. ამ დროიდან უფრო მეტად გვხვდება კვლევითი ხასიათის სპეციალური წერილები, იბეჭდებოდა რეცენზიები ქართულ გრამატიკებზე. გრამატიკის საკითხები ინტერესებდათ ქართველ პედაგოგებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს“<sup>1</sup>.

1886 წლის დასაწყისში შეიქმნა დოკუმენტი ენის ნორმებზე მსჯელობის დაწყებისათვის. ეს გახლდათ ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილი „უწყება“, ცენზურის ნებართვით სასტამბოდ დაბეჭდილი, რომელიც ილიას დაუგზავნია ქართული ენისა და ლიტერატურის მცოდნეთა და გულშემმატიკეართათვის. ჩანს, ილიას განზრახული ჰქონია საგანგებო კომისიის შედგენა.

აკად. ა. შანიძეს 1939 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევისათვის „ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის“<sup>2</sup> გამოუყენებია აღნიშნული უწყების ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც პეტრე უმიკაშვილის არქივში შემონახულა. მიმართვას „მოწყალეო ბატონო“ ილიას ხელით მიწერილი აქვს: „იაკობ სიმონის ძეს“. დაუწერელ გვერდზე კი იმავე ხელით მიწერილია: „ბატონ პეტრე უმიკაშვილს ანჩისხატის უბანში“. ილიას მისამართი შემულია, მაგრამ ეს დოკუმენტი თვით ადრესატის — პ. უმიკაშვილის საფრთხილემ გადაავიჩინა. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხის ისტორიისათვის.

„უწყებაში“ აღნიშნული იყო, რომ სხდომაზე მოწვეულნი უნდა გამოცხადებულყვნენ „ივერიის“ რედაქციაში „მ მარტს, საღამოს“. მეორე უდიდესი მნიშვნელობა ამ „უწყებისა“ ის არის, რომ აქვე ილია ჭავჭავაძე წერდა: „რომ წინააღმდეგ ცნობილი იქნას, რა და რა საგანზედ იქნება სჯა, თვითეულ საგანს აქვე გაუწყებთ...“

ეს საგანგებო სხდომა ჩატარდა „ივერიის“ რედაქციაში 1886 წლის 8 მარტს. ამ მნიშვნელოვან ზეპრობას მომზადებული ნიადაგი დახვდა. ჯერ კიდევ 1886 წლის 17 იანვრის „ივერიაში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის მოწინავე წერილი ხელმოუწერლად და უსათაუროდ. ტექსტი იწყება ასე: «ჩვენ მოგვივიდა უცხოეთიდან ერთი კორრესპონდენცია, რომლის ავტორი ბოლოს ამას იწერება: „მედი მაქვს ჩემს გრამატიკულ ფორმებს არ შემეცვლით. ეწერ — ვენიალს, სოციალს, აღმინისტრატის და საზოგადოდ უცხო დასართავ სახელებს ისე ვხმარობ, როგორც არიან ძირეულ ენაში“. ამის საპასუხოდ ილია იქვე გვთავაზობს თავის მოსაზრებებს: „...ჩვენის ფიქირი, უფრო შესაფერია ქართულის ენისა, მაგალითებრ: ყმურის მაგიერ — ყმებური, ღვთიურის მაგიერ — ღვთაებური... და მეგრევე სხვანი. ამგვარი დაბოლოება უკვე შეწყნარებულია ჩვენის ენის მიერ. მაგ.: ჩვენებური, საქებური... და სხვანი... ძველადვე დაჩემებული და ხმარებული, მაგალითებრ: „ქართლის ცხოვრებაში“ ჰსწერია: „შენ ვიბრძანებია... კვალად ნათესთა ზედა თავისუფალსა დადებდა ხარკი ყმებური“ („ქართლის ცხ.“, ტ. II, ქვევიდან მეექვსე სტრიქონი“).

1 ნ. აბესაძე, გრამატიკის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში, თბ., 1960, გვ. 5.  
2 ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ., 1939, გვ. 1—33.

ილია, მართალია, სიტყვათწარმოების თავისებურ ნორმებს უპირისპირებას კორექსიონდენტის მიერ ნახმარ სიტყვათა დაბოლოებას, მაგრამ მოკრძალებული აღნიშნავს იქვე: „ისეც არ გავკანდიერდებით, რომ ეს ჩვენი აზრი იმისთანა უცილობელ ჭეშმარიტებად ვაღიაროთ, რომლის წინააღმდეგაც არა ითქმოდეს რა. ჩვენ იძულებული ვიქნებით ამ საგანზედ ჩვენი აზრი გამოვვეთქვა არა იმისათვის, რომ ჩვენი სიტყვა გავიყვანოთ, არამედ იმისათვის, ქართული ენის ჩვენზედ უკეთესად მცოდნეთა ყურადღება მიგვექცია ამ ფრიად სამძიმო საგანზე და ამით გამოგვეწვია მათი უტყუარი განაჩენი, ამ საგნის გამო სჯას და ბაას ჩვენ სიხარულით დავუთმობთ ჩვენი განეთის ფურცლებსა“.

ამ ერთგვარი მოწოდების მსგავსი წერილით დაიწყო მეორე ეტაპი ქართული ენის ნორმალზაციისთვის ბრძოლისა, კერძოდ, პაექრობა საგრამატიკო საკითხების ირგვლივ, რომელიც შეწყდა 1894 წლის დასასრულს.

სადისკუსიო მასალების დიდი ნაწილი დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“, იბეჭდებოდა ასევე ჟურნალებში: „კვალი“, „თეატრი“, „შრომა“, „მოამბე“. შემონახულია აგრეთვე რამდენიმე დაუბეჭდავი სტატიის ავტოგრაფიული ხელნაწერიც.

სადისკუსიო წერილებში საგრამატიკო საკითხებზე მსჯელობა ზოგჯერ გამაღიზიანებელსა და შეტევითს ხასიათს ღებულობდა, უმეტეს შემთხვევაში ამგვარი სტატიები ილიას წინააღმდეგ იყო მიმართული, სამწუხაროდ, უკადრისი ფორმითაც, მაგრამ ილია მისთვის დამახასიათებელი სიღინჯით ბოლომდე უძღვებოდა ამ ეროვნული მნიშვნელობის მეცნიერულ დავას და სტატიებში შიგადაშიგ ჩართულ ღვარძლიან ჩანართებს საქმიანი, თავშეკავებული ტონით პასუხობდა.

ამჯერად ჩვენთვის უცნობ კორექსიონდენტებს, რომლებიც ინიციალებით არიან მოხსენებულნი, ილია ასეთ განმარტებას აძლევს: „თქვენი ფრიად საყურადღებო წერილები არ დავბეჭდეთ იმიტომ, რომ საგრამატიკო საგანზედ ბევრი სხვა წერილები მოგვივიდოდა. ვაზეთი იმდენს წერილებს ერთსა და იმავე საგანზედ ვერ აუვიდოდა. რომ მკითხველი არ შეეწუხებინა, ჩვენ ვარჩიეთ შეგვეკრიბინა... ქართული ენის მცოდნენი და ყველა საცლობელი საგრამატიკო საგნები გავვერკვია, ამას უკვე შევეუღებთ კიდევ და ფქვენი წერილიც ქართული ენის მცოდნეთა კრებას თავის დროზედ წარედგინება სხვათა შორის განსაზღვრულად“ („ივერიის ფოსტა“, „ივერია“, 1886, № 64).

ამ ვრცელი ამონაწერის მიხედვით ირკვევა, რომ ილიას მიერ მოწვეული საგანგებო კომისიის მოღვაწეობა უკვე დაწყებულია. გაირკვა აგრეთვე ისიც, რომ მოზღვავებული მასალიდან ზოგი არ დაიბეჭდა, ვფიქრობთ, მისი განსაკუთრებული შინაარსისა და ხასიათის გამო. მათზე მსჯელობას ილია საგანგებო კრებას ანდობდა. ენის საკითხზე პოლემიკის ეს მეორე ეტაპი 8 წელს გაგრძელდა. ამის საფუძველს იძლევა ამჯერად მიკვლეული სტატიები. ვფიქრობთ, რომ ყველა სტატია მიგნებული არ არის. ილიას მიერ შედგენილი „უწყება“, რომელზედაც დასაწყისში ვგვქონდა საუბარი, ითვალისწინებდა 9 საკითხს საგრამატიკო ნორმების გარკვევისათვის, რომელზედაც უნდა წარმართულიყო მსჯელობა. მიგნებული მასალა „უწყებაში“ დასახელებულ საკითხებს მოიცავს, სტატიათა მეტი რაოდენობა მოდის იაკობ გოგებაშვილზე და, ჩვენი ფიქრით, იაკობის საპასუხო სტატიებში ილიას პრინციპული მონაწილეობა უეჭველია. ის თანავტორი უნდა იყოს იაკობის ხელმოწერილი სტატიებისა. როგორც ჩანს, პაექრობის მეთაურის პოზიცია ასეთ ტაქტიკურ სვლას საჭიროებდა.

დისკუსიის მონაწილენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სილ. ხუნდაძე, იაკობ გოგებაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, პეტრე მირიანაშვილი, ალექსანდრე ჭყონია, ივანე ხატიაშვილი, მ. ნასიძე, გ. დავითაშვილი, ნ. ნიკოლაძე, პ. ჭა-



რია (გიორგიძე), გ. წერეთელი, კ. დოდაშვილი, გრ. ვოლსკი (უკრაინელი). როგორც ითქვა, საგრამატიკო პაექრობას სათავე დაედო ილია ჭავჭავაძის მოწინავე სტატიით, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1886 წლის 17 იანვარს. მასში ილიამ ყურადღება გაამახვილა უცხოური წარმოშობის ზედსართავ სახელებზე და მკითხველებს შესთავაზა მსჯელობა - ებურ და -ულ/-ურ ბოლოსართებზე. მან ამკარად დაუჭირა მხარი - ებურ მაწარმოებლის ხმარებას, რისთვისაც დაიმოწმა „ქართლის ცხოვრება“. თუმცა აქვე გაუკეთა მოკრძალებული კომენტარიც იმის შესახებ, რომ ამ მოსაზრებას არ მიიჩნევს „უცილობელ ჭეშმარიტებად“ და მიზნად ისახავს „ამ ფრიად სამძიმო საგანზედ“ ქართული ენის უკეთესად მცოდნეთა ყურადღების მიქცევას, მათი უტყუარი განჩენის გამოწვევას.

ილიამ საჭიროდ სცნო შეედგინა სპეციალური „უწყება“, რომელშიც შეიტანდა იმ დროისათვის სალიტერატურო ქართულში სადავოდ მიჩნეულ საგრამატიკო საკითხებს და გადაწყვიტა ქართული ენის საუკეთესო მცოდნენი მიეწვია საგანგებო სხდომაზე. „უწყებაში“ ჩამოთვლილი იყო 9 საკითხი:

1. ზედსართავი სახელის ბრუნება საზღვრულთან ერთად სამ ბრუნვაში: ნათესაობითში („ცოდვილი პირისა“ თუ „ცოდვილ პირსა“), მოქმედებითში („დიდი წყალობით“, „დიდის წყალობით“ თუ „დიდ წყალობით“).
2. არსებითი სახელის ვითარებით ბრუნვაში -ად თუ -ათ („კაცად“ თუ „კაცათ“, „მწედ“ თუ „მწეთ“ და ა. შ.).
3. ზმნებში როდის უნდა იხმარებოდეს 3- თავსართი („მიყიდე“ თუ „მიჰყიდე“, „შველით“ თუ „ჰშველით“).
4. ზმნებში ერთნირად მისაღებია თუ არა 3- და -ს („სწერს“ თუ „ჰწერს“). ერთმანეთის ნაცვლად იხმარება თუ არა ეს თავსართები.
5. „სხვაგნური“ თუ „სხვაგნებური“, „გენიოსური“ თუ „გენიოსებური“.
6. „ყმური“ თუ „ყმებური“ — ერთნირი მნიშვნელობისა თუ არა, რაშია სხვაობა.
7. საჭიროა თუ არა წინადადებაში ნაწილაკი „რა“ („მივწერე რა“).
8. როცა ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია (-ებ ან „-ნ“ სუფიქსებით), როგორ უნდა შეუთანხმდეს „შესმენილი“ (შემასმენელი).
9. ქართული ენის წინადადების აგებულება რით განსხვავდება რუსული ენის წინადადებისაგან.

როგორც ვხედავთ, 17 იანვრის მოწინავე სტატიაში დასმული საკითხი — ებურ და -ურ, -ულ სუფიქსებიანი წარმოების შესახებ ილიამ საგანგებო სხდომის „უწყებაში“ მეხუთე და მეექვსე პუნქტებად შეიტანა. აღსანიშნავია, რომ ორი დღის შემდეგ (19 იანვარს) ამ საკითხის ირგვლივ დაიწერა პირველი საპოლემიკო სტატია ივ. ხატიაშვილისა<sup>3</sup>. ავტორი აკრიტიკებს ილიას მიერ შემოთავაზებულ -ებურ ბოლოსართიან ფორმებს და მათ ხელოვნურად მიიჩნევს. მისი აზრით, რამდენადაც ხალხის მეტყველება ამოსავალი სალიტერატურო ენის ამა თუ იმ გრამატიკული ნორმისათვის, უპირატესობა უნდა მიეცეს ხალხში ფართოდ გავრცელებულ ფორმებს, ხალხი კი ხმარობს -ურ/-ულ ბოლოსართებს: წიგნი→წიგნური, კაცი→კაცური, აზია→აზიური და ა. შ. აქვე უკეთებს შენიშვნას: თუ ფუძეში რ თანხმოვანია, მაშინ -ურ ბოლოსართი -ულ-ის სახით წარმოგვიდგება: არაბი→არაბული, ხევსური→ხევსურული, ფრანგი→ფრანგული. აქედან გამომდინარე, ივანე ხატიაშვილი ასკვნის, რომ უცხოური წარმოშობის ზედსართავებიც ამ წესს უნდა დაემორჩილონ და უნდა ეიხმარებოდნენ.

<sup>3</sup> ეს სტატია დატულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდში, № 658.

როთ: იდეალი→იდეალური, დემოკრატია→დემოკრატიული, ბარბაროსი→ბარბაროსული და მისთ.

1886 წლის 7 მარტს დაიწერა პაექრობის ერთ-ერთი მონაწილის ალ. ჭყონიას წერილი: „ბატონო რედაქტორო“<sup>4</sup>. ავტორი აღნიშნავს, რომ ვერ დაესწრება საგრამატიკო საკითხების განსახილველ სხდომას და წინასწარ აცნობებს თავის მოსაზრებებს „უწყებაში“ აღძრულ საკითხებზე. კერძოდ, პირველი პუნქტის შესაბამისად მას მისაღებად მიაჩნია ზედსართავისა და საზღვრული სახელის ამგვარი შეთანხმებები: ნათესაობით ბრუნვაში — „ცოდვილი პირისა“ ან „ცოდვილის პირისა“, მოქმედებითში — „დიდის წყალობით“ ან „დიდ წყალობით“. მეორე პუნქტის შესაბამისად — ვითარებით ბრუნვაში უნდა იხმარებოდეს - დ და არა - თ („უკანონოდ“, „უწყსოდ“ და არა „უკანონოთ“, „უწყსოთ“), მესამე პუნქტის შესაბამისად — 3- თვისართი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ომონიმური მნიშვნელობის ზმნურ ფორმებში განსასხვავებლად („მოკლეს ჯოხს“, მაგრამ „მოკლეს კაცი“). სხვა შემთხვევებში 3- არაა საჭირო. - ებურ და -ულ/-ურ ბოლოსართების შესახებ ალ. ჭყონია წერს, რომ ორივე წარმოება პარალელურად იხმარება, მაგრამ პირველი ძველია, ხოლო მეორე — ახალი.

მე-7 საკითხზე აღნიშნავს, რომ, რაკი ქართულს არ გააჩნია „причастие“ და „деепричастие“, საჭიროა „რა“ ნაწილაკის ხმარება (მოვიდა რა).

ილია ჭავჭავაძის მოწინავე სტატიის გამოქვეყნებისთანავე საგრამატიკო პაექრობაში ჩაერთო ყურნალი „თეატრი“. ყურნალის რუბრიკაში «ივერიის ჭორები» კ. მირიანაშვილი შენიშნავს, რომ საჭიროდ მიაჩნია უცხოურა წარმოშობის ზედსართავების ყოველგვარი დაბოლოების გარეშე ხმარება (გენიალი, სოციალი, აღმინისტრატვი და ა. შ.). უსაყვედურებს „ივერიის“ რედაქციას იმის გამო, მის მიერ შეთავაზებული უცხოური ზედსართავები მიცემით ბრუნვაში გამოიყენეს (გენიალს, სოციალს და ა. შ.). აქვე ცინიკურად მოიხსენიებს ილიასეულ ფორმას „ახლანდებური“.

ამას მოჰყვა მ. ნასიძის პირველი ვრცელი სტატია საგრამატიკო საკითხებზე, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ (№ 17) სახელწოდებით „ორი საგრამატიკო საგანი“. მასში ავტორი დაწვრილებით მსჯელობს ქართული ენის გრამატიკის ორ საკვანძო საკითხზე: სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებაზე.

იხილავს რა ბრუნვათა რაოდენობის საკითხს ქართულში, მ. ნასიძე მხარს უჭერს დ. ყიფიანის მოსაზრებას და მიაჩნია, რომ ქართულში ხუთი ბრუნვაა: სახელობითი (კაც-ი), ნათესაობითი (კაც-ისა), მიცემითი (კაც-სა), მოთხრობითი (კაც-მან) და წოდებითი (კაც-ო).

რაც შეეხება ზმნის უღლებას, მ. ნასიძის აზრით, ამ მხრივ ქართულ გრამატიკებში „სრული სიბეცე და გაურკვეველობაა“. იგი უარყოფს ქართული ზმნის უღლებაში მრავალი „დროის“ გამოყოფას და მიიჩნევს, რომ ქართულში ზმნას მხოლოდ სამი „დრო“ აქვს: აწმყო, წარსული და მომავალი. თან დასძენს, რომ ჩვენი ძველი გრამატიკოსები ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ „დროს“ და „სახეს“. ქართულ ზმნას, მისი აზრით, სახეც სამი აქვს: უსრული, სრული და უსრულესი. ბოლოს პირადება მკითხველს, რომ ახლო მომავალში ვრცლად იმსჯელებს აღნიშნულ საკითხებზე და გაუადვილებს მათ ამ ორი მნიშვნელოვანი „საგრამატიკო საგნის“ — სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღლებების ათვისებას.

იმავე 1886 წელს ყურნალ „თეატრში“ მ. ნასიძის სტატიის სპასუხოდ დაიბეჭდა ზ. ჭიჭინაძის წერილი „ორი საგრამატიკო შენიშვნის გამო“. ავტო-

4 წერილია დაცული იმავე ფონდში, № 567. დაიბეჭდა ალ. ჭყონიას წიგნში 1914 წ. 32

რი პატივისცემით მოიხსენიებს მ. ნასიძეს და მკითხველს სთავაზობს ქართული ენის გრამატიკებისა და პრესაში გამოქვეყნებულ საგრამატიკო სტატიების ნუსხას — სულ 14 ერთეულს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ნუსხაში შეტანილია მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში (ყურნ. „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“) დაბეჭდილი სტატიები, რომელიც „თაობათა ბრძოლის“ პირველ ეტაპს ასახავს და რომელიც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით წარიმართა.

ამის შემდეგ პაქტობაში ებმება ილია ჭავჭავაძისა და „ივერიის“ ირგვლივ შემოკრებილ მოღვაწეთა მოწინააღმდეგე ჯგუფი. ილიას ენათმეცნიერული პოზიციის მოწინააღმდეგეთაგან პირველად ხმას იმაღლებს სილოვან ხუნდაძე. სტატიაში „გაზეთი „ივერია“ და მისი ენა“ (ყურნალი „თეატრი“, 1886 წლის 20 მარტი) სილოვანი მკაცრად აკრიტიკებს გაზეთ „ივერიის“ და მისი რედაქტორისა — ილია ჭავჭავაძის ენასა და სტილს. უწოდებს და ილიას „მეთაურისტს“, ხოლო „ივერიის“ თანამშრომლებს „მედავიანე დიაკვნებს“, ს. ხუნდაძე ბრალს სდებს მათ იმაში, რომ გაზეთ „ივერიის“ პირველვე ნომერში რედაქცია მკითხველს სთავაზობს არქაულ ენას და მოითხოვს, რათა ყურნალ-გაზეთებში დაეკუთვნებინათ „ქართული საგრამატიკო წესები“. არქაიზმების გარდა, სილ. ხუნდაძე სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს „ივერიის“ ფურცლებზე დადასტურებულ „ამერულ“ (აღმოსავლურ) დიალექტიზმებს: შეეუწონამ, ვიკითხამ, დეაქრთამამ, შეაძლო, შეუძლია, აუფგევით და ა. შ. საბოლოოდ დაასკვნის შემდეგს: „ცალკე არც ამერული ვარგა და არც იმერული. ლიტერატურული ენა უნდა იყოს შეზავებული ჩვენი ქვეყნის მშვენიერი ფორმებისაგან და სიტყვებისაგან. მაგრამ ამისთვის საჭიროა კარგი გემოვნება“.

სილ. ხუნდაძე ეხება „უწყების“ პირველ პუნქტში დასმულ საკითხს და უარყოფს მსაზღვრელ-საზღვრულის ამგვარ შეთანხმებას „პირველ კაცის“; უპირატესობას ანიჭებს არქაულ სინტაგმატურ კონსტრუქციას — „პირველის კაცის“. შემდეგ სილოვანი სრულიად სამართლიანად ეკამათება „ივერიელებს“ იმის გამო, რომ ისინი ზმნიზღებში ხმარობენ -დ დაბოლოებას თ-ს ნაცვლად (აქედ), და პირუტყვ, სადაც საჭიროა „დ“ თანხმოვანი (ცითარებიითი ბრუნვის ნიშნად) ხმარობენ თ-ს („შესატყობათ“). იგი ბრალს სდებს „ივერიის“ მესვეურთ იმაში, რომ მათი გაზეთის ენა ძლიერ ბაძავს ანტონ კათალიკოსის ენას და კიდევაც „სესხულობს იქიდან სიტყვებს“. ამ დებულების საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ნიმუშები „ივერიაში“ დაბეჭდილი სტატიებიდან. ამის შემდეგ სილ. ხუნდაძე მკაცრად აკრიტიკებს ილიას მიერ შემოთავაზებულ -ებურ დაბოლოებას უცხოური წარმოშობის ზედსართავებში. სტატიის ბოლო ნაწილში („დასასრული“) სილ. ხუნდაძე ეხება „ივერიის“ ენაში დადასტურებულ „ვადვიარებ“ ფორმას და აღნიშნავს, რომ იგი უმართებულოა, საჭიროა ვიხმაროთ არქაული „აღვიარებ“. ბოლოს იგი უსაყვედურებს გაზეთის რედაქციას იმის გამო, რომ „სწერს“, „სწამლავს“ ფორმების სანაცვლოდ მან მკითხველებს შესთავაზა „ჰსწერს“, „ჰსწამლავს“ ფორმები. სტატიას ბოლოში ერთვის სატირული ლექსები „ივერიის“ რედაქტორისადმი („ბატონს“) და თანამშრომლებისადმი („დიაკვნებს“).

როგორც ვხედავთ, სილოვან ხუნდაძის პოზიცია უაღრესად პრინციპულია. იგი არ ერიდება ავტორიტეტებს და ხშირად სრულიად სამართლიანად მოუთხოვს „ივერიის“ ენის აშკარა შეცდომებზე, კერძოდ, აღმოსავლური დიალექტიზმების გამოყენებაზე, „დ“ და „თ“ თანხმოვანთა აღრევაზე ზმნიზღებსა და სახელებში. როგორც ჩანს, „ივერიის“ ფურცლებზე მართლაც ხშირად გვხვდებოდა ამგვარი დარღვევები.

მ. ნასიძის „ორი საგრამატიკო საგნის“ საპასუხოდ „ივერიაში“ (1886, № 50) იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის სტატია „საგრამატიკო შენიშვნა“ ფსევ-3. მა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 3

დონიით „სემინონისძე“. „გრამატიკა ენის ფილოსოფია, — აცხადებს ი. გოგებაშვილი, — ამიტომ, როგორც ყოველგვარ ფილოსოფიას, მასაც სჭირდება დიდი და სერიოზული დაკვირვება, მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავება“. იგი უსაყვედურებს მ. ნასიძეს იმის გამო, რომ მკვლევარი მხოლოდ ორ საგრამატიკო საკითხს შეეხო და არ განიხილა ისეთი საკითხები, რომლებიც „ყოველდღიურ საჭიროებას შეადგენს“, აგრეთვე იმის გამოც, რომ მან იხელმძღვანელა დიმი. ყიფიანის გრამატიკით და ქართული ენის ბრუნვათგან გააძევა მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები. ი. გოგებაშვილი ვრცლად განიხილავს მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციონირებისა და ბრუნვის დაბოლოების საკითხს, ანალიზებს მასზე დართულ თანდებულსაც. ბოლოს კი ამგვარ დასკვნას აკეთებს: მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება „თ“ არ წარმოადგენს „თურთ“ თანდებულის ნაშთს, როგორც ამას ამტკიცებს მ. ნასიძე. ამ ბრუნვის ნიშანი ისტორიულად იყო და ამჟამადაც არის ბოლოსართი ით.

შემდეგ გოგებაშვილი ანალიზებს „ცვლილებითს“ (ვითარებითს) ბრუნვას, რომელიც აგრეთვე უარყო მ. ნასიძემ თავის სტატიაში, და ასკვნის, რომ ეს ბრუნვაც, მოქმედებითის მსგავსად, უნდა დარჩეს სახელთა ბრუნების სისტემაში; რომ მისი ნიშანია -ად/-დ, რომელშიც დ თანხმოვანი არ უნდა შეიცვალოს თ-ით (კუდ, კალოდ, მდინარედ, მიწად და არა: კუთ, კალოთ, მდინარეთ, მიწათ). წოდებითის შესახებ აღნიშნავს, რომ ეს ბრუნვაც სრულიად კანონიერია ქართული ენისათვის.

ამრიგად, ი. გოგებაშვილის თვალსაზრისით, ქართულ ენაში სახელს შვიდი ბრუნვა აქვს: სახელობითი (კაცი), ნათესაობითი (კაცისა), მიცემითი (კაცი-სა), მოთხრობითი (კაცმან), მოქმედებითი (კაცითა), ცვლილებითი (კაცად) და წოდებითი (კაცი).

მ. ნასიძესთან კამათში ი. გოგებაშვილმა დაასაბუთა მ. ნასიძის შეხედულებათა მცდარობა და უჩვენა ამ შეცდომის მიზეზიც: ეს არის ქართული ენის თვისებები, მისი ბუნების ახსნა რუსული გრამატიკის მიხედვით. ი. გოგებაშვილმა კარგად იცის, რომ ყოველ ენას თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს. ამიტომ მოითხოვს, რომ ქართული ენის კანონები, მისი თვისებები ქართულის ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე აიხსნას და არა უცხო ენათა გრამატიკის ყალიბების გადმოღების გზით“<sup>5</sup>.

შემდეგ ი. გოგებაშვილმა იმავე გაზეთში გამოაქვეყნა მეორე სტატია — „შენიშვნა ქართული ზმნის შესახებ“ („ივერია“, 1886, № 52), რომელიც ეძღვნება ზმნის უღლების საკითხებს. იგი ედავება მ. ნასიძეს ორი გრამატიკული კატეგორიის — დროისა და ასპექტის (სახის) წარმოების საკითხებზე. ამგვარი დავა ორ მკვლევარს შორის შორს სცილდება საგრამატიკო პექრობის საფანს და ამდენად ჩვენ მას აქ არ შევეჩებით.

ვრცელ წერილში „დარბიყვებული ბრუნვები“ („ივერია“, 1886, № 49—52) ი. გოგებაშვილი დაწვრილებით მიმოიხილავს მ. ნასიძის მიერ უარყოფილ ბრუნვებს: მოქმედებითისა და ცვლილებითს (ვითარებითს). მასში წარმოადგენილია უფრო ფართო არგუმენტაცია, მოხმობილია დიდი საილუსტრაციო მასალა როგორც ძველი ქართული მწერლობიდან, ისე ავტორის თანამედროვე მწერალთა თხზულებებიდან. მკვლევარი ასკვნის, რომ მოქმედებით ბრუნვას ქართულში დაერთვის არა „თურთ“, არამედ „ურთ“ თანდებული. რაც შეეხება ვითარებითს, მასაც მოეპოვება საკუთარი თანდებული -მდე/-მდის.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდში (№ 515) დაცულია გრ. ვოლსკის (უმწიფარიძის) პირადი წერილი ილია

<sup>5</sup> ნ. აბესაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

ქვეყნაპისადმი, რომელიც გრამატიკის საკითხებს ეხება. ვოლსკის წერილი უთარილოა, მაგრამ მისი დათარიღება შესაძლებელია იქვე დართული სატრფიალო ალო ლექსის მიხედვით. 1885 წლით დათარიღებული სატრფიალო ლექსი გ. ვოლსკის გაუზზავნია ილიასთვის დასაბუქდად. იქვე მიუწერია წერილიც გრამატიკის საკითხებზე, რომელშიც ეხმაურება იმ დროისათვის უკვე დაწყებულ საგრამატიკო პაექრობას. ეს იქიდან ჩანს, რომ ავტორი წერაილის ბოლოს საგანგებოდ მიუთითებს: „მინდოდა ბატონ ნასიძისათვის პასუხი მეგო, წერაილი თითქმის მზა იყო, როცა წავიკითხე ბატონ გოგებაშვილის შენიშვნები. რადგან აღმოჩნდა, რომ ჩემი პასუხი მეტს არას იტყოდა და მე სრულიად ვეთანხმები ყველაფერში ბატონ გოგებაშვილს“. ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ ვოლსკას წერილი დაწერილია ნასიძისა და ი. გოგებაშვილის პირველი წერაილის გამოქვეყნების შემდეგ — 1886 წელს.

გრ. ვოლსკის წერილი საკმარად კრიტიკულია. იგი „ივერიის“ რედაქტორს — ილია ქვეყნაძეს აცნობებს თავის შენიშვნებს მის გაზეთში დაბეჭდილი სტატიების ენის შესახებ და ფრთხილად, ტაქტიანად მიუთითებს შეცდომებზე. ეს შეცდომებია: აღმოსავლურ-დიალექტური ფორმის — „ვიწყობ“ — ხმარება „ვიწყებ“ ზმნის ნაცვლად, „შორის“ და „შუა“ თანდებულების ხმარება ნათესაობით ბრუნვასთან, -ავ და -ამ თემის ნიშნების ხმარებაში დაშვებული დარღვევები (ერთი მხრივ, ვწერამ, პბერამს..., მეორე მხრივ, — სავავ, ურტყავს და სხვ.).

გრ. ვოლსკი სამართლიანად შენიშნავს: „ყველა მოვალეა, ვინც ხელში კალამს იღებს, თავის შენიშვნები არა დაფაროს, რადგან ჩვენში ენა ერთობ შემუშავებულია ჯერჯერობით და შეიძლება უბრალო შენიშვნაც მართალი და სასარგებლო გამოდგეს“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გრ. ვოლსკის წერილს აქვს ილია ქვეყნაძის ხელით შესრულებული მინაწერი: „ლექსი ვერაფერია, შენიშვნა საყურადღებოა“. ამ მინაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ილია დიდი ყურადღებით ეკიდებოდა პაექრობაში მონაწილე მწერალთა თუ მკვლევართა ყოველ მოსაზრებას, ნებისმიერ შენიშვნასაც კი, და ითვალისწინებდა მათ შემდგომ მუშაობაში.

ამის შემდეგ რუბრიკაში — „ივერიის“ ფოსტა“ — იბეჭდება ილია ქვეყნაძის კორესპონდენცია საგრამატიკო პაექრობასთან დაკავშირებით. იგი აცნობებს მ. გ. -ე-ს (გიორგიძეს)<sup>6</sup>, რომ მისი სტატია გაზეთ „ივერიაში“ არ დაიბეჭდება, რადგან გაზეთი ერთსა და იმავე საგანზე ბევრ წერილს ვერ დაიტევს. ბოლოს კი დასძენს, რომ მისი წერილი განიხილება საგრამატიკო საკითხებისადმი მიძღვნილ საგანგებო სტომამზე.

1887 წლის ოქტომბერში გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ილია ქვეყნაძის წერილი, რომელშიც იგი ეკამათება ნიკო ნიკოლაძეს „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებული სტატიის<sup>7</sup> გამო. აქ ილია განიხილავს ნ. ნიკოლაძის სტატიის მხოლოდ ერთ საგრამატიკო საკითხს. ჯერ ეკამათება იმის გამო, რომ მან ანტონ კათალიკოსის გრამატიკა რუსულიდან გადმოთარგმნილად მიიჩნია. ილია მყარი მეცნიერული არგუმენტაციით უსაბუთებს ნიკოლაძეს, რომ ანტონის გრამატიკაში არაა მოხსენიებული რუსული ენის გრამატიკა და რომ ანტონი თავის

<sup>6</sup> ფსევდონიმ „გიორგიძის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ორი მოსაზრება. ერთის მიხედვით, მასში მოსე ჯანაშვილი იფულისხმება (იხ. მ. ახვლედიანი, ზეპირსიტყვიერება როგორც ისტორიული წყარო: „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1926, № 3, გვ. 88), მეორე თვალსაზრისის მიხედვით კი „გიორგიძე“ ცნობილი ენათმეცნიერის — ქართველოლოგის პეტრე ჭარბაის ფსევდონიმი (იხ. ნ. აბესაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31).

<sup>7</sup> ნიკო ნიკოლაძე, Критика из грузинской литературы, გაზ. „Новое обозрение“, 1887, 9 ოქტომბერი, № 1312, ამ წერილის ილიასეულობა დასაბუთა და ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ც. ყიფშიძემ.

ნაშრომში გარკვეულად მიუთითებს წყაროების შესახებ; შემდეგ კი, ემყარება რა ალ. ცაგარის ნაშრომს, ეხება ანტონის გრამატიკის მეორე რედაქციას. ცნობას ევროპულ ენათა გრამატიკების შესახებ, რომელთაც იგი გაეცნო პეტერბურგში ყოფნისას.

ნ. ნიკოლაძესთან საგრამატიკო პაექრობის ობიექტია ნ. ნიკოლაძის მიერ გაკრიტიკებული ილიასეული სათაური ნაკვესებისა — „სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთანი“. ამ ფრაზაში ავტორი ილიას ედავება გრამატიკული ფორმის „ქართველთანი“-ს გამო, უწოდებს „შეცდომას“, მიიჩნევს ილიას არქაული პოზიციის გამოხატულებად და მის სანაცვლოდ მკითხველს სთავაზობს ასეთ ფრაზას: „ძველი და ახალი ქართველების სიტყვა“. ილიას საპასუხოდ მოჰყავს მაგალითები ძველი ქართული ენის გრამატიკიდან და იმოწმებს ე. წ. „ორმაგი ბრუნების“ ნიმუშებს (სიტყვასა ბრძნისასა, სიტყვამან ბრძნისამან, სიტყვანი ბრძნისანი, სიტყვათა ბრძენთათა). აქვეა მოხმობილი მსაზღვრელ-საზღვრელის წყვილები ანტონ კათალიკოსის გრამატიკიდან („ძენი ღვთისანი, გვამისა ქრისტისისა, ხელთა მოციქულთათა, ძენი კაცთანი და ა. შ.). იგი წერს: «განა შორს არიან ყოველნი ესენი ამ ფორმაზედ: „სიტყვანი ქართველთანი“?». ილია აქვე იმოწმებს ანალიგურ გამოთქმებს „ვეფხისტყაოსნიდან“, „დავითიანიდან“, ხალხური სიტყვიერებიდან („სიტყვას ისროდა ქვისასა“, „პირშავნი ღმინი მთისანი“). ბოლოს ასეთ დასკვნას აკეთებს: მსაზღვრელ-საზღვრულია „ორკეცი ბრუნვა“ ქართული ენისთვის მუდამ იყო დამახასიათებელი. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის ენათმეცნიერული პოზიცია აშკარად არქაულია. საპოლემიკო ფრაზის არქაულობა ნიკო ნიკოლაძის მიერ მართებულად იყო შენიშნული, ილია კი მის გასამართლებლად იმოწმებს ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და ანტონ კათალიკოსის ფსევდოარქაულ გრამატიკულ ნორმებს, ასევე ქართული ხალხური სიტყვიერების, კერძოდ, ფშაურის, ნიმუშებს, რომელშიც არქაიზმებია დადასტურებული. ამ სტატიის შემდეგ პაექრობა დროებით წყდება.

პაექრობის განახლება ხდება 1894 წლის „ივერიაში“ (№ 139). გიორგიძე სტატიამ „ენის მკვეცილებს“ ეხება „უწყებში“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს — თავსართის ხმარების საკითხს ზმნებში. იგი სრულიად სამართლიანად უეჭველ „პროვინციალიზმად“ მიიჩნევს „მიცემა“ ზმნის ფორმას — „მიცა“, ამასთან დაკავშირებით არ ერიდება დიდი აკაკის ავტორიტეტსაც. მოიხსენიებს რა ვინმე „ბებერ მწერალს“, გიორგიძე აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელმა ლამის აკაკიც აიყოლიოს; იგი უმართებულოდ კვეცს ქართული ზმნის ფორმებს, ბოლოს კი ასკვნის: არა რომელიმე დედის ენა არის საეროვნო ენა, არამედ ენა ყველა დედმამათა... საჭიროა მწერალმა იცოდეს კანონები იმ საერთო ენისა, რომლითაც მეტყველებენ ყველა ქართლისიანი...“ ავტორს მოჰყავს ფრაზა აკაკის მიერ „კვალში“ (№ 27) დაბეჭდილი სტატიიდან: „მიცა ერს ერთი მიზანი“ და მკაცრად აკრიტიკებს მას შემდეგი საბუთებით: ჯერ ერთი, მთელ საქართველოში იხმარება „მისცა“, მეორეც, „მისცა“-ს ნაცვლად თუ „მიცა“-ს ვიხმართ, ერთმანეთში აირევა ორი ზმნა — „მიცემა“ და „ცემა-ტყევა“. გიორგიძე თავის სტატიას ამთავრებს ასეთი ზოგადი ფრაზით: „ენის დამახინჯება იგივე დედის ძუძუს გამოაა“.

იმავე წელს იბეჭდება ა. წერეთლის წერილი „ქრელი ფიქრები“ (1894, „კვალში“, № 28). მასში პოეტი იხილავს ი. გოგებაშვილის მიერ „ივერიაში“ (№ 137-ში) დაბეჭდილ იგავს — „ვირი, ზულბული და გუგული“. იგი შენიშნავს, რომ ამ არაკვი ვირი გამოყვანილია ჭკვიან არსებად, ზულბული — სულელად, ზოლო გუგული — გაიძვერად. ბოლოს ოსტატურად ჩამოაგდებს სიტყვას იგავის ავტორის ი. გოგებაშვილის მიერ ნახმარ, „ჩიქორთულ“ ზმნურ



ფორმაზე — „გალიარებ“. აკაკის ამ გადაკრული ფრაზით იწყება მწკავებ პოლემიკა „ალგიაარებ“ და „გალიარებ“ ფორმათა მომხრეებს შორის, რომელმაც ფართო გამოხმაურება პოვა იმდროინდელ ქართულ პრესაში. ამის გამო საგრაამატიკო პაექრობა ნაწილობრივ გაემიჯნა ზემოთ დასახელებულ საგანგებო „უწყებებს“ საგრაამატიკო საკითხებს და გარკვეულად გააფართოვა პაექრობის ფარგლები. იმავე წლის „ივერიაში“ (№ 144) აკაკის მოხსენიებული სტატიის საპასუხოდ „სიმონიძის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ი. გოგებაშვილის მცირე მოცულობის წერილი „პაწია სამაგიერო“. მასში ავტორი გარკვეულად მიჯნავს ერთმანეთისაგან ერთი ზმნის ორ ფორმას: „ალგიაარებ“ და „გალიარებ“. პირველს უწოდებს „ძველს“, ხოლო მეორეს „ახალს“. მისი აზრით, ძველ ფორმაში აღზმნისწინი შეუხორცდა ფუძეს „იარ“, რის გამოც პირის მაჩვენებელმა ვ-მ წინ გადაიანაცვლა. ბოლოს დასკვნის, რომ „ამგვარი პროცესი ენის ზრდაში კანონიერად არის აღიარებული. შემდეგ ი. გოგებაშვილი აკრიტიკებს აკაკის „ჭრელი ციფრების“ ენას, მიუთითებს მის ათიოდე გრამატიკულ შეცდომაზე, თუმცა იქვე აღიარებს: „ამ შეცდომების მიუხედავად აკაკის ვთვლით ქართული ენის უკეთეს მცოდნედ“.

იმავე წლის „კვალში“ (№ 29) დაიბეჭდა სილოვან ხუნდაძის სტატია „გაზეთ ივერიის“ ლინგვისტი“, რომელიც გიორგიძის სტატიის პასუხს წარმოადგენდა. მიუთითებს რა რამდენიმე შეცდომაზე, ავტორი საგანგებოდ ეხება გიორგიძის მიერ გაკრიტიკებულ ზმნას „მიცა“; მიიჩნევს „მისი“ ფორმის პარალელურად გამოყენებულ „უფრო კეთილხმოვან“ ფორმად, თუმცა ეთანხმება გიორგიძის იმას, რომ „მიცა“ ომონიმური ზმნაა (ცემა-ტყეპასაც აღნიშნავს). ბოლოს კა დასკვნის: ომონიმები ყველა ენაში არის, აგრეთვე ჩვენსაშიაც“. ანალოგიურ პარალელურ ფორმებად ასახელებს ფორმებს „სთქვა“ და „თქვა“. მისი აზრით, ხალხი ორივეს ხმარობს. თუ რომელი დარჩება საბოლოოდ, ამას მომავალი გვიჩვენებსო.

1894 წლის „კვალში“ (№ 30) იბეჭდება აკაკი წერეთლის მეორე სტატია „არ ცოდნა არ ცოდვაო“, რომელიც უპასუხებს გოგებაშვილის „პაწია სამაგიეროს“. აქ აკაკი წყენით აღნიშნავს, რომ იაკობს მისი შენიშვნა „მორიელას კბენად“ მიუჩნევია, ხოლო სამაგიეროდ პოეტისათვის ათ შეცდომაზე მიუნიშნებია. აკაკი ცდილობს გამართლება გამოუძენოს იაკობის მიერ მითითებულ შეცდომებს და თავგამოდებით იცავს თავისივე გრამატიკულ ფორმებს. შემდეგ ეხება „ალგიაარებ“ ზმნას და პრინციპულად აცხადებს მას ერთადერთ სწორ გრამატიკულ ფორმად, რომელიც დადასტურებულია უძველეს სამწერლობო ძეგლებში. აქვე სამართლიანად აკრიტიკებს ი. გოგებაშვილს დიალექტური „სწორე“ ფორმის გამოყენების გამო.

ამის შემდეგ იწვება პოლემიკა სილოვან ხუნდაძესა და გიორგიძეს შორის. გიორგიძე უპასუხებს სილოვანს სტატიაზე „გაზეთ ივერიის“ ლინგვისტი“. კამათის ობიექტია უმთავრესად ზმნები „ვალგიაარებ“ და „მიცა“. გიორგიძე მხარს უჭერს, ერთი მხრივ, გოგებაშვილის მიერ მოწონებულ „ვალგიაარებ“ ფორმას, მეორე მხრივ კი, ეკამათება სილოვანს „მიცა“ ზმნის გამო, იცავს ჰ-, ს-/ჰს- თავსართებიან ფორმებს (ჰყავს, ჰსთქვიან, აღჰსდევ, ჰხედავს და მისთ); მიუთითებს თვით სილოვანის მიერ გამოყენებულ ჰ-, ს- თავსართებიან ფორმებზე და უსაყვედურებს იმის გამო, რომ მკაცრად გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძის ნაწერებში გამოყენებული ჰ, ს- თავსართებიანი ფორმები. ბოლოს დასკვნის: „ქართულთა გვარტომი“ ჯერ არაა ისე მჭიდროდ გაერთიანებული, რომ გრამატიკულ ფორმათა მრავალგვარობა არ გვქონდეს, „ჰ-ს და ს-ს ხმარება თუ არ ხმარება არა ახალი ამბავია, არამედ ძველი. ეს კითხვა პირველად აღძრა პატივეკემულმა ილია ჭავჭავაძემ პირველსავე წელს ივერიის“ გაზეთად გამოსვლისა“.



გიორგიძის სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ ილია და მისი თანამედროვეები აშკარად უჭერდნენ მხარს პ, ს, თავსართიან ფორმათა ხმარებას სალიტერატურო ქართულში. ამას ადასტურებს თვით „ივერიის“ ენაც, ოთხმოცდაათიან წლებში, საგრამატიკო პაექრობის მეორე საფეხურზე. აშკარად გამოიკვეთა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკი, ორი განსხვავებული თვალსაზრისი ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე. ილიას ენათმეცნიერულ პოზიციას გამოხატავენ მისი თანამოაზრეები, უმთავრესად კი იაკობ გოგებაშვილი, აგრეთვე პეტრე ჭარაია (გიორგიძე). საპირისპირო პოზიციასზე დგანან: სილოვან ხუნდაძე, აკაკი წერეთელი, კონსტანტინე დოდაშვილი და სხვები. ილიას მომხრეთა თვალსაზრისი გამოიხატა გაზეთ „ივერიაში“, ხოლო მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისი ქურნალეებში „კვალი“, „თეატრი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „მოამბე“.

1894 წლის „კვალიში“ (№ 32) დაიბეჭდა სილ. ხუნდაძის უაღრესად კრიტიკული სტატია „ახალი თუ ძველი ენა“. მასში ავტორი თავს ესხმის ი. გოგებაშვილის მიერ წამოყენებულ ფორმას „ვალიარებ“. ემყარება რა დიმ. ყიფიანის გრამატიკას, ამ ფორმას იგი მიიჩნევს „ენის უცოდინარო ბრბოს მიერ შემოღებულად“ და არა „ახალ ფორმად“. სალიტერატურო ქართულის „გაკეთილხმოვანების მიზნით სილოვანი მკითხველებს სთავაზობს ასეთ ფორმებს: „აველი“ და არა „ალველი“, „გავათავისუფლე“ და არა „განვათავისუფლე“, „ებძანებ“ და არა „ებრძანებ“, „წავიდენ“ და არა „წავიდენენ“ და მისთ.

იმავე წლის „ივერიაში“ (№ 170, 171) ი. გოგებაშვილი მკაცრად აკრიტიკებს აკაკი წერეთლის სტატიას „არ ცოდნა არ ცოდვაო“. ეკამათება მას „აღვიარებ“, „სჭვიერი“ და „სწორე“ ფორმების გამო. პირველ მათგანს მიიჩნევს მოძველებულად, მეორეს — ხელოვნურად, ხოლო აშკარად უმართებულო ფორმას „სწორე“ კვლავ ამართლებს აღმოსავლურ დიალექტებში ფართოდ გავრცელებულობის საბუთით.

ცოტა მოგვიანებით „ივერიაში“ იბეჭდება ი. გოგებაშვილის ვრცელი წერილების სერია სათაურით „პასუხი „კვალის“ რაზმსა“. ამ წერილებში უფრო მკვეთრად გამოვლინდა ორი მოწინააღმდეგე ბანაკის გრამატიკული პოზიციები. ი. გოგებაშვილი აქ უდავოდ ილია ჭავჭავაძის ენათმეცნიერული კონცეფციის გამომხატველად გვევლინება. იცავს რა ფართოდ გავრცელებულ ფორმას „ვალიარებ“, გოგებაშვილი გამოხატავს ილია ჭავჭავაძის თაობის უმთავრეს კრედოს: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა რაიმე თეორეტიკა“. ანალიზებს რა „ვალიარებ“ ზმნის შედგენილობას და განვითარების გზას, იგი ასკვნის: „ხალხის უტყუარ ალღოს ღ ზმნის ძირისათვის მოუბამსო“.

ი. გოგებაშვილის წერილთა ამ სერიას მოჰყვა კ. დოდაშვილის საპასუხო წერილთა ორი სერია: „საგრამატიკო კვლევა“ და „ახალი გზა-კვალი“, რომლებშიც ავტორი პრინციპულად იცავს „კვალის“ თანამშრომელთა გრამატიკულ პოზიციებს, კერძოდ, „აღვიარებ“ ფორმას, როგორც ძველი ქართული ენის ძეგლებში დადასტურებულს. იგი კიცხავს გოგებაშვილის ტერმინების „ბგერისა“ და „ასოს“ აღრევის გამო, უწყუნებს მას გამოთქმებს „უხმო ხვა“, „კეთილხმოანობა“ და სხვ., მკაცრად აკრიტიკებს იმის გამო, რომ მან ქართული ენის სამეცნიერო ბგერები „ჟ“ და „ჯ“ „მაზიანებელ ბგერებად“ მიიჩნია.

კ. დოდაშვილის წერილების საპასუხოდ გოგებაშვილი კვლავ განაგრძობს სტატიათა სერიის „პასუხად „კვალის“ რაზმსა“ გამოქვეყნებას, სადაც იცავს თავის პოზიციას გრამატიკულ ტერმინთა გამოყენებაში.

„ივერიაში“ (1894, № 195) კვლავ იბეჭდება გიორგიძის სტატია — „ქართული ენა და სილოვანი“, რომელშიც იგი სილ. ხუნდაძეს ეკამათება უმთავრესად „ვალიარებ“ ზმნის გამო, იცავს მის მიერ დაწუნებულ და აშკარა დიალექტურ ფორმებს: „ენახვევი, გავიგევი“, რომელთაც გამართლებას უძებნის ძველ ქარ-



თულ სასულიერო ძეგლებში („ფსალმუნნი“). აგრეთვე მოჰყავს ანალოგიური ფორმები საბას ლექსიკონიდან და გურამიშვილის „დავითიანიდან“. დასარულ, ეკამათება ჰ- და ს- თავსართების უარყოფის გამო და მიუთითებს, რომ იგი ქართულ ზმნებში მესამე პირის ნიშნებია (ჰ-ყვარება, მიჰ-ყო). იცავს აღმო-სავლურ-დიალექტურ შა- ზმნისწინიან ფორმებს, იმომწმებს რა რ. ერისთავის ნაწერებს („შამოჩვეულო“ და სხვა).

ამრიგად, 1886—94 წლების საგრამატიკო პაექრობის შედეგად ნათელი შე-იქნა სალიტერატურო ქართულის ნორმათა დადგენისა და დაკანონებისათვის ძირითადი საკითხების გამოყოფა და აზრთა დაპირისპირების გზით პრინცი-პული, მეცნიერული მსჯელობა. ეს იყო ბრძოლა მშობლური ენის სიყვარულით, მისი დაცვის წყურვილით წარმოებული, ბრძოლა ქართული ენის გრამატიკულ ფორმათა ნორმალიზაციისათვის.

Н. И. КОТИНОВА, Л. Л. МЕПARIШВИЛИ

## БОРЬБА ЗА НОРМАЛИЗАЦИЮ ГРУЗИНСКОГО ЛИТЕРАТУРНОГО ЯЗЫКА В 1886—94 ГГ. (ПО МАТЕРИАЛАМ ГРУЗИНСКОЙ ПРЕССЫ)

### Резюме

В 60-ых годах XIX в. И. Чавчавадзе начал дискуссию по вопросам орфографии грузинского языка, которая длилась до конца 70-ых годов. Это был первый этап борьбы за нормализацию грузинского литературного языка.

Второй этап начался в 1886 году и длился до конца 1894 года. На этот раз И. Чавчавадзе поставил перед грузинским обществом вопрос о нормализации грамматической структуры грузинского литературного языка. Он подготовил специальную «повестку» для обсуждения грамматических вопросов и послал всем видным писателям и общественным деятелям того периода.

Полемика началась на страницах газеты «Иверия», а затем продолжилась почти во всех журналах Грузии. В ней участвовали крупные представители грузинской общественности: И. Чавчавадзе, А. Церетели, Г. Церетели, Н. Николадзе, Я. Гогешашвили, а также ученые-языковеды: А. Насидзе, С. Хундадзе, К. Додашвили и др.

На дискуссии выявились различные, иной раз и противоположные соображения по поводу параллельных языковых форм и синтаксических конструкций.

Вопреки консервативной позиции некоторых участников дискуссии, И. Чавчавадзе и Я. Гогешашвили поддерживали грамматические формы, присущие общенародной речи, основываясь на главном тезисе — «Законодателем языка является народ».

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ

## დარეჟან ბუაჩიძე

## საქართულო ი. სკლუტაუსკასის შემოქმედებაში

„ბავშვობიდან ცხოვრობს ჩემში მაძიებლის დაუოკებელი ბუნება. დროთა განმავლობაში იგი მექცა სულიერ მოთხოვნილებად... ეს არის ყოველდღიური ბრძოლა საკუთარ თავთან, რომლის სახელია — შემოქმედება...“<sup>1</sup>. ლიტველი დრამატურგის პროზაიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის იოკუბას სკლუტაუსკასის ეს სიტყვები კარგად ახასიათებენ თავად მათ ავტორს, როგორც ჰემსარიტ შემოქმედს, მართლაც დაუოკებელი და მაძიებელი ბუნების ადამიანს.

იგი დაიბადა 1925 წელს ქალაქ კაუნასში. 1949 წელს დაამთავრა ვილნიუსის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მისი პირველი მოთხრობები, ნარკვევები, პიესები და ლიტერატურული წერილები დაიბეჭდა 1940-41 წლებში. თავის შემოქმედებაში მწერალი თავიდანვე დიდ ადგილს უთმობდა ლიტვის ლიტერატურულ ურთიერთობებს მომე საბჭოთა ხალხების ლიტერატურასთან.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ი. სკლუტაუსკასს ქართული კულტურის შესწავლასა და ლიტვაში მისი პოპულარიზაციის კეთილშობილურ საქმეში და, თუ დღეს ლიტველი მკითხველი ასე კარგად იცნობს ჩვენს სულიერ კულტურას, ეს უპირველეს ყოვლისა ი. სკლუტაუსკასის დამსახურებაა.

რატომ იჩენს ლიტველი მწერალი საქართველოსადმი ასეთ ცხოველ ინტერესს? სად უნდა ვეძებოთ მისი სათავეები? ამ კითხვაზე თავად ი. სკლუტაუსკასმა ასე უპასუხა: „თქვენ მეკითხებით, თუ საიდან იღებს სათავეს ჩემში ქართული პოეზია, ვენუოლისის ლეგენდები და, რაც მთავარია, ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ სიჭაბუკეში მუდამ გარს მეხვიენენ ისეთი ადამიანები, რომელთაც უსახლგროდ უყვარდათ საქართველო. ქართული ლიტერატურა, რუსთაველი...“<sup>2</sup>.

1940 წელს სრულიად ახალგაზრდა სკლუტაუსკასმა მუშაობა დაიწყო გაზეთ „ტარლბუ ლეტუვას“ („საბჭოთა ლიტვა“) რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა პოეტი იოზას კრუმინასი. იმ პერიოდში ლიტველი მკითხველისათვის ქართული მწერლობის შესახებ ცოტა რამ იყო ცნობილი, მაგრამ, როგორც თავად სკლუტაუსკასი იგონებს, მის გვერდით მაინც აღმოჩნდა კაცი, რომელიც უზომოდ იყო შეყვარებული გიორგი ლეონიძის პოეზიაზე და მშობლიურ ენაზე თარგმნიდა ქართველი პოეტის ლექსებს.

ქართული ლიტერატურის დიდი მეგობარი იყო აგრეთვე გაზეთის რედაქტორი იონას შიშკუსი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში, ლიტველი მკითხველისათვის თითქმის ასევე უცნობი იყო საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები. ამ ხარვეზის შესავსებად გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა ნომე რესპუბლიკების პოეტთა შემოქმედების ნიმუშები რუბრიკით „საბჭოთა ქვეყნის დიდი პოეტები“. გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ამ რუბრიკით გამო-

<sup>1</sup> „Литва литературная“, 1973. № 3, გვ. 143.

<sup>2</sup> „Дом под чинарами“, Тб., 1980, გვ. 272.

ქვეყნდა გიორგი ლეონიძის სამი ლექსი. ეს იყო პირველი ქართველი პოეტი, რომლის ნაწარმოებებიც ლიტერურ ენაზე ითარგმნა. თარგმანი შესარულა კრუ-

მიანასა.  
გაზეთის რედაქტორი ი. შიშკუსი თავის წერილში, სადაც გ. ლეონიძის შემოქმედებას სამართლიანად აძლევდა მაღალ შეფასებას, წერდა: „ლეონიძე ერთ-ერთი ნიჭიერი პოეტია საბჭოთა ქვეყნისა, მისი სიტყვა ლაღია, პაეროვანი, მუსიკალური — სიმღერის მსგავსი, მაგრამ თავისი სიღრმით უდიდესი აზრის დამტვევი და შთაბეჭედავი“ (გაზ. „ტარიბუ ლიტევა“, 1940, № 15). 1940—41 წლებში კრუმინასმა ბერი გააკეთა იმისათვის, რომ ლიტერული მკითხველი გასცნობოდა ქართული პოეზიის შედევრებს. მანვე თარგმნა ლიტერურად ა. წერეთლისა და ტ. ტაბიძის ლექსები, მაგრამ მთავარი მაინც „ვეფხისტყაოსანი“ იყო. პოემის ნაწყვეტები დაიბეჭდა ეურნალში „რამტაი“ (1941, № 2). „მაშინ მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ საქართველო მდიდარია არა მხოლოდ ლამაზი მთებით, არამედ ბუმბერაზი პოეტებითაც. ჯერ კიდევ სიკაბუჯის წლებში რუსთაველი გახდა ჩემთვის იდეალური, მშვენიერი და ამალღებული სიყვარულის სიმბოლო“, — წერს სკლუტაუსკასი<sup>3</sup>.

იყო კიდევ მწერლის ცხოვრებაში პიროვნება, რომელმაც იგი აგრეთვე ძალიან დაინტერესა და განაწყო საქართველოსთან სამეგობროდ. ეს იყო პოეტ-აკადემიკოსი ლუდას გირა, რომელიც ჯერ კიდევ 30-იან წლებში (გაზეთი „ლიტერატურის ნაუენოს“ („ლიტერატურის სიახლენი“), 1937, № 9—10) მგზნებარებით მოუწოდებდა ლიტველ პოეტებს შეექმნათ რუსთაველის მსოფლიო შედეგის ლიტერული თარგმანი. ლუდას გირა, თუმცა არასოდეს ყოფილა საქართველოში, მაინც ქართული ლიტერატურის დიდი მეგობარი იყო. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ბურჟუაზიულ ლიტერაში მან შეძლო გამოექვეყნებინა ბრწყინვალე კრიტიკული სტატიები შოთა რუსთაველზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე. ამ სტატიებს კარგად იცნობდა სკლუტაუსკასი. „ბარათაშვილის ბედი პოეტს განსაკუთრებით აღივებდა, — წერს იგი, მან გააღვივა ჩემშიაც ბარათაშვილის პოეზიისადმი სიყვარული“.

1946 წლის 14 ნოემბერს გამოქვეყნდა ი. სკლუტაუსკასის პირველი ზტატია ნიკოლოზ ბარათაშვილზე (ეურნ. „პერგადე“, 1946, 14. X). მას შემდეგ იგი არაერთხელ მიუბრუნდა დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებას. კერძოდ, 1971 წელს დაწერა ბიოგრაფიული ნოველა ბარათაშვილის ცხოვრებაზე — „სიყვარულის ძველი ისტორია“. იგი დაიბეჭდა მწერლის კრებულში „რაინდი საქართველოდან“. ნოველა გულთბილად მიიღო ლიტველმა მკითხველმა. მას წლების მანძილზე დიდი წარმატებით კითხულობდა სცენაზე ლიტვის სახალხო არტისტი კაზიმირა კიმიანტაიტე.

„ასე ამგვარად, სიკაბუჯეში ამალღებული სიყვარულის სილამაზე შემავგონობინეს ისეთმა ღმერთებმა, როგორებიც არიან რუსთაველი და ბარათაშვილი, ტაბიძე და ლეონიძე. აი, უკვე 38 წელია ვწერ პიესებს, ნოველებს, ნარკვევებს, რეცენზიებს. ქართული თემა ორგანულად შეერწყა ჩემს შემოქმედებას...“, — წერს იგი<sup>3</sup>.

იოკუბას სკლუტაუსკასი არაერთხელ ყოფილა ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც იგი ყოველთვის სასურველი და ძვირფასი სტუმარია. მას მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები აქვს ქართველ მწერლებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა

<sup>3</sup> ი. სკლუტაუსკასი, რაინდი საქართველოდან, ვილნიუსი, 1972, გვ. 62 (ლიტერურ ენაზე).

მეგობრობის მუხეუმთან; სისტემატურად ამიღიდრებს მის ფონდებს საინტელექტუალურ რესო მასალეობით.

მწერალი თავის პირველ სტუმრობას თბილისში ასე იგონებს: „პირველად მევაბიჯებ თბილისის ქუჩებში, მაგრამ მეჩვენება, თითქოს რაღაც უხილავი ძაფებით დიდი ხანია მასთან დაკავშირებული ვარ. იქნებ, ეს ანარეკლია ჩემი უზრუნველი სიჭაბუქისა? ჩემს ცხოვრებაში თბილისი და საქართველო ხომ იმ ადამიანთან ერთად შემოიჭრა, რომელიც დამეხმარა ოცნებების და ზმანებების ცისფერი სამყარო მეხილა... ის ჯადოქარი კი ოდესღაც აქ, თბილისში ცხოვრობდა“<sup>4</sup>.

1972 წელს, ვილნიუსში, გამომცემლობა „მინტისმა“ („აზრი“) ლიტვურ ენაზე დასტამბა ი. სკლუტაუსკასის წიგნი „რაინდი საქართველოდან“. ამ მცირე მოცულობის წიგნში (268 გვ.) თავმოყრილია მწერლის მიერ ლიტვურ პერიოდულ პრესაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ჩინებული წერილები, ესეები და ნოველები, რომლებიც უშუალოდ საქართველოსა და ლიტვის კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებს ეძღვნება.

თავის წერილებში ავტორმა ლიტველ მკითხველს მოუთხრო რუსთაველის პოემასა და თამარ მეფეზე, სვეტიცხოველსა და კონსტანტინე გამსახურდიანზე, ნ. ბარათაშვილის უიღბლო სიყვარულზე, თანამედროვე ქართველი მწერლებისა და მთარგმნელების — სერგი წულაძის, ნიკო ყიასაშვილის, ვლადიმერ ალფენიძის — შემოქმედებაზე, ცნობილი ლიტველი მწერლები — ა. ვენუილის-ჟუკაუსკასის, ა. ვენცლოვასა და იურგის ბალტრუშაიტისის — საქართველოსთან კონტაქტებზე; წიგნის ერთ-ერთი წერილი ეძღვნება აგრეთვე საქართველოსა და ლიტვის ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიას.

მათში ავტორი წარმოგვიდგა, პირველ ყოვლისა, როგორც სიტყვის ოსტატი და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მწერალი. საერთოდ, ესეი თავისუფალი ფორმის (არა სისტემატურ-მეცნიერული ხასიათის ნარკვევია, რომელშიც განხილულია ლიტერატურული, ფილოსოფიური, სოციალური და სხვა პრობლემები.

აღსანიშნავია, რომ ი. სკლუტაუსკასის ლიტერატურული ესეები მისივე სუბიექტური შთაბეჭდილებების ფიქსაციაა, საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა, რომელსაც ხშირად არც ახლავს მტყიცება.

ი. სკლუტაუსკასის ესეებში, პირველ ყოვლისა აღრესატის პორტრეტი და ხასიათის თვისებანია გამოძერწილი, ძუნწი, მაგრამ მრავლისმეტყველი ნიშნებით. ყოველი მეცნიერული თუ მხატვრული ნააზრევი აღქმულია პიროვნების პრიზმიდან, ბიოგრაფიიდან და შემოქმედებიდან გამომდინარე.

ცალკე უნდა გამოიყოს მხატვრულ-დოკუმენტური და მემუარული ტიპის ნარკვევები, რომლებშიც მოგონება, მეცნიერული ფაქტები და ცხოვრებისეული დეტალები ერთ მთლიან მოთხრობად არის ქცეული.

აღსანიშნავია, რომ ი. სკლუტაუსკასის ეს კრებული პირველი, შედარებით ფართო, გამოცემაა, სადაც ასე მრავალმხრივ არის წარმოდგენილი ორი მოძვერესპუბლიკის ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიის სხვადასხვა საკითხი.

ი. სკლუტაუსკასის შემოქმედებისათვის, საერთოდ, დამახასიათებელია უანრობრივი მრავალფეროვნება: იგი წერს ლიტერატურულ ნარკვევებსა და ესეებს, სამეცნიერო-პოპულარულ გამოკვლევებს, შემოქმედებით პორტრეტებს, მოგზაურის ჩანაწერებს, მოგონებებს.

უანრობრივი მრავალფეროვნების მიუხედავად, მისი ნაწერები ერთი საერ-

<sup>4</sup> იქვე, გვ. 62.

თო გამართიანებული თვისებით გამოირჩევა. ეს არის საბჭოთა ხალხების მეგობრობის, მაღალი მოქალაქეობრიობისა და ინტერნაციონალიზმის იდეები.

საინტერესოა, რომ მწერალი თავის შემოქმედებაში ხალხთა მეგობრობის ცნებას ხსნის ერთი ადამიანის მსოფლგაგების კუთხიდან, ცხოვრებისეული ბიოგრაფიის რომელიმე დეტალიდან, რაც მის ნაწარმოებებს სძენს ჰუმანურობას, დამაჯერებლობასა და ემოციურობას.

ი. სკლუტაუსკასის სამწერლო სტილისათვის არსებითია თხრობის დინამიკურობა და სიუჟეტის განვითარების საინტერესო პერსპექტიები. შემთხვევით დანახული ფოტოსურათი, ბიოგრაფიული დეტალი ან ჰიპოთეზა არ რჩება მწერლის ყურადღების გარეშე. ყველაფერი ეს კი იწვევს მკითხველის გაძლიერებულ ინტერესს მოძმე რესპუბლიკების კულტურისა და ისტორიისადმი.

როცა კითხულობთ ამ წიგნს და ეცნობით მისი გმირების გალერეას, უნებლიეთ გახსენდებათ მწერლის სიტყვები: „ადამიანებმა, რომელთაც მე დაუშვებოდა, გამოვიარეს არა მხოლოდ პური, არამედ გულის სითბოს ნაწილიც. ისინი ვახდენენ ჩემი ახალი მეგობრები, ჩემი ძალ-ღონის შემადგენელი ნაწილინი“<sup>5</sup>.

„რაინდი საქართველოდან“ დიდი ხანია პოპულარობით სარგებლობს ლიტვაში. თვითონ მწერალი თავის წიგნს ასე აფასებს: „რაინდი საქართველოდან“ ჩემს წიგნებს შორის ყველაზე რომანტიკულად მიმაჩნია, რადგანაც მას დიდი შინაგანი აღმაფრენით, ტემპერამენტით და, რაც მთავარია, უსაზღვრო სიყვარულით განწყობილი ვწერდი. მე შევიყვარე არა მარტო საქართველო, არამედ ჩემი ნარკვევების ყველა მოქმედი გმირი. ვფიქრობ, რომ ამ წიგნს ჩავატანე ჩემი გულის სითბოს დიდი ნაწილი. წიგნის შექმნისას ვცდილობდი განსაკუთრებული ყურადღება გამემახვილებინა ჩვენი ხალხების სულიერ კონტაქტებზე და ლიტერატურულ ურთიერთობებზე, წიგნის ყურადღების ცენტრშია შემოქმედი ადამიანები, რომლებითაც ასე მდიდარია საქართველო...“<sup>6</sup>.

მართლაც, ეს წიგნი დიდი ინტერესით იკითხება. მასში ჩანს ავტორის დიდი ერუდიცია, ქართველი ხალხის ხასიათში წვდომის, ნაციონალური რეალიზების დანახვისა და გადმოცემის შესანიშნავი უნარი.

ზემოთ, ჩვენ ზოგადად მიმოვიხილეთ ი. სკლუტაუსკასის წიგნში „რაინდი საქართველოდან“ თავმოყრილი ის ნოველები, ესეები და ლიტერატურული წერილები, რომლებიც უშუალოდ ქართულ-ლიტვურ ლიტერატურულ კონტაქტებს შეეხებოდა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხს წარმოადგენს მწერლის შემოქმედება, კერძოდ ქართულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების უფრო ღრმა და კონკრეტული ანალიზი, რადგან ი. სკლუტაუსკასის შემოქმედება ჩვენში ნაკლებად არის შესწავლილი<sup>7</sup>.

ი. სკლუტაუსკასის წიგნში „რაინდი საქართველოდან“ შესული ერთ-ერთი წერილი — „ქართულ-ლიტვური ლიტერატურული ურთიერთობანი“ — ბირველი სამეცნიერო-პოპულარული ტიპის ნაშრომია, რომელიც ახალ შუქს ფენს ქართულ-ლიტვური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიის ზოგაერთ, აქამდე უცნობ ფაქტს. ჩვენთვის, გარკვეული თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უფრო საინტერესოა ეს წერილი; ამდენად მასზე ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

<sup>5</sup> „Литва литературная“, 1979, № 3, გვ. 147.

<sup>6</sup> „Дом под чинарами“, Тб., 1980, გვ. 272.

<sup>7</sup> არსებობს მხოლოდ პროფ. ი. ბოგომოლოვის სტატიები: „Рицарь из Литвы“, газ. „Вечерний Тбилиси“, 1979, 15 IX; „Дом под чинарами“, 1980.

უნდა ითქვას, რომ ეს წერილი გამოირჩევა დოკუმენტური მასალის უხვით. მწერალი ძირითადად ამოდის ფაქტებიდან, საანალიზო მასალიდან კუმენტებიდან.

როგორც ნარკვევიდან ჩანს, მკვლევარს ქართულ-ლიტვური ლიტერატურული ურთიერთობების დასაწყისად მიაჩნია XIX საუკუნის 30-იანი წლები და არა მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდი (1937—1940), როცა ლიტვურ პერიოდულ პრესაში პირველად აქტიურად დაიწყო ქართული ლიტერატურული ნიმუშების თარგმანთა ბეჭდვა. აი, რას წერს ამის შესახებ თვითონ სკლუტაუსკასი: „ვამაყობ იმით, რომ პირველს მე მხედა წილად ბედნიერება დამეწერა პირველი შრომა „ქართულ-ლიტვური ლიტერატურული ურთიერთობანი“, სადაც შევძელი დამემტკიცებინა, რომ ამ ურთიერთობათა დამწყებნი იყვნენ გ. ერისთავი და გრ. ორბელიანი“<sup>8</sup>.

მართლაც, ამ ორი უძველესი ხალხის მეგობრობა და ერთმანეთის კულტურისადმი ინტერესი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გაჩნდა. XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების — გიორგი ერისთავისა და გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიაში ლიტვამ გარკვეული ადგილი დაიკავა. როგორც ცნობილია, ისინი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით მეფის მთავრობამ ლიტვაში გადასახლა (1834—1838 წწ.).

დიდი ინტერესით ეცნობოდნენ გადასახლებაში მყოფი ქართველი მწერლები ლიტველთა ცხოვრებას, მათ კულტურასა და ისტორიას.

ლიტვაში ცხოვრების წლებმა გარკვეული ასახვა პოვა მათ შემოქმედებაში. აღსანიშნავია, რომ აქ დაიწერა გ. ერისთავის ცნობილი ლექსი „როზალია ბიშპინგის ქალს“, რომლის ადრესატიც გ. ერისთავის მეგობარი, პოეტი ქალი როზალია ბიშპინგი იყო. აქვე თარგმნა და გადაამუშავა გ. ერისთავმა ა. მიცკევიჩის ლექსები: „პოლიგრიმი“ („მწირი“), „ბალჩისარაია“, „არამხანის საფლავი“, „პოტოცკის საფლავეზე“, „ავერმანის მინდორი“<sup>9</sup> და სხვა.

გიორგი ერისთავის თარგმანები ავსებს მის ორიგინალურ შემოქმედებას. აღსანიშნავია, რომ მას შემთხვევით არა აქვს ნათარგმნი არც ერთი ლექსი, ყოველი მათგანი გამოხატავს პოეტის განწყობილებებს იმ ეტაპზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ გადასახლებაში ყოფნის პერიოდში დაიწერა გრ. ორბელიანის ცნობილი ლექსები: „ჩემს დას ეფემიას“ (1835 წ., რიგა) და „სალომეს“ (1834 წ., ვილნიუსი). ეს ლექსები იშვიათი დოკუმენტებია პოეტის იმდროინდელი სულიერი განწყობის გასაცნობად. შორეული ლიტვისადმი ინტერესზე მეტყველებს აგრეთვე გრ. ორბელიანის პირადი წერილები და დღიურები, სადაც საკმაოდ ვრცლადაა გადმოცემული გადასახლებაში მყოფი პოეტის ცხოვრებისეული ეპიზოდები, ლიტვის თვალწარმტაცი ბუნების სურათები და ლიტველი ხალხის ეროვნული ზნე-ჩვეულებანი.

გ. ერისთავისა და გრ. ორბელიანის ლიტვაში ცხოვრების პერიოდის გასარკვევად ავტორს შეუსწავლელი არ დარჩენია არა მარტო ლიტვური, არამედ ქართული წყაროებიც. კერძოდ, ნარკვევში გამოყენებულია ელ. მალრაძის ბიოგრაფიული რომანი გრ. ორბელიანზე (1967 წ.), გრ. ორბელიანის წერილები და დღიურები ა. გაწერელის შენიშვნებითა და კომენტარებით (თბ., 1963 წ.), დ. გამეზარდაშვილის „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან“ (ტ. 1, 1963 წ.).

როგორც წერილიდან მკითხველი შეიტყობს, თავის მხრივ ლიტვაშიც იზრდებოდა ინტერესი საქართველოსადმი. კერძოდ, 1892 წლის ჟურნალ „გარპას“

<sup>8</sup> ლიტვური საბჭოთა მცირე ენციკლოპედია.

<sup>9</sup> „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან“, ტ. 1, თბ., 1963, გვ. 72.

შესამე ნომერში (რომლის მიკვლევაც სკლუტაუსკასს ეკუთვნის) გამოქვეყნდა ი. აღმაშენებლის სტატია „ქართველები და მათი მდგომარეობა“. სტატიის ავტორი ქართული ლიტერატურის საკითხებსაც ეხებოდა და წერდა, რომ ქართული მოთხრობები თარგმნილია უცხო ენებზე, თბილისში არის ქართული თეატრი თავისი ორიგინალური რეპერტუარით, რაც ჩვენ არ გავაჩნიათ. იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ ქართველებს უფროსად „ივერიას“ გარდა მოეპოვებათ მშვენიერი საყმაწვილო უფროსად „ჯეჯილი“. სტატიაში მოხსენიებულია აგრეთვე ვ. ერისთავისა და გრ. ორბელიანის ცხოვრების ფაქტებიც ლიტერაში.

1914 წელს ვილნიუსში გამოიცა წიგნი „ვეროპასა და აზიამი მოგზაურობიდან“, რომლის ავტორი, იული პრანატიტი ქართველი ხალხის ცხოვრებასაც აღწერდა და აღნიშნავდა, რომ თბილისში იმ დროს ოთხასამდე ლიტველი ცხოვრობდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1916 წელს თბილისში ჩამოყალიბდა ლიტერული თეატრის დასი. თეატრს ასამდე სპექტაკლი დაუდგამს და თბილისელი მაცურებლის გულწრფელი მოწონება დაუმსახურებია. თეატრს ჰყავდა მომღერალთა გუნდიც. საგულსხმოა, რომ ამ გუნდში ლიტველებთან ერთად ქართველებიც მღეროდნენ. ამ ფაქტს გვაუწყებს უფროსად „XX საუკუნე“ (1937, XII, 20, № 289).

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ცნობილი ლიტველი მწერლები: ანტანას ვილუტიტისი, ვინცას კრევე-მიცკაივიჩუსი, ანტანას ვენუოლის-უჟაუსკასი — „კავკასიური ლეგენდების“ ავტორი. ნარკვევში საგანგებოდაა ყურადღება შეჩერებული ზემოჩამოთვლილი მწერლების ურთიერთობის ფაქტებზე საქართველოსთან.

ნარკვევში განხილულია აგრეთვე ცნობილი ლიტველი მწერლის ბალის სრუოგას პოემის („სვანეთის მიწის ლეგენდის — ტბის ქალღმერთი“ დაწერის გენეზისი. კერძოდ, ნახევენბია, თუ როგორ პროექციონდა, როგორი სტრუქტურით წარმოდგა ქართული მითოლოგია სრუოგას შემოქმედებაში. ავტორი ეთანხმება პრიფ. ი. ბოგომოლოვის აზრს იმის შესახებ, რომ სრუოგას ეს პოემა წარმოადგენს ავტორის ფანტაზიის ნაყოფს, დაფუძნებულს ქართულ ფოლკლორზე.

წერილში ზოგადად განხილულია აგრეთვე ომის შემდგომი პერიოდის ლიტერ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი.

ნარკვევი „იურგის ბალტრუშაიტისი და საქართველო“ მოგვითხრობს ცნობილი ლიტველი პოეტისა და მთარგმნელის იურგის ბალტრუშაიტისის კონტაქტებზე საქართველოსთან.

წერილში, კერძოდ, მოთხრობილია იურგის ბალტრუშაიტისისა და ტიციან ტაბიძის მეგობრობაზე. ამ მეგობრობის ფესვები კი ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში იღებს სათავეს. მაშინ როცა ტიციანი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. ამ დროს განეკუთვნება მისი ნაცნობ-მეგობრობა რუს პოეტ კონსტანტინ ბალმონტთან. მათი დაახლოება გამოწვეული იყო ბალმონტის სიყვარულით საქართველოსადმი და „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანზე მუშაობით. ლექსში „შეხვედრა ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“ ტ. ტაბიძე მოგვითხრობს თავის შეხვედრებზე ბალმონტთან აგარაკზე, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ პოეტები: იურგის ბალტრუშაიტისი და მაქს ვოლოშინი:

„თითქო ჩასთვილია ბალტრუშაიტისს,  
ვოლოშინს შენის ლომის ფაფარი“

ასეთ შეხვედრებზე ხშირად იმართებოდა დისპუტები ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე, კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს და თარგმანებს.

„ლიტველი პოეტის ი. ბალტრუშაიტისის შემოქმედებისათვის, რომელიც რუსულადაც წერდა, დამახასიათებელი იყო ფილოსოფიური ლირიკა. ახალგაზრდები გატაცებულნი იყვნენ მისი ლექსებით. ტიციაჩმა ზეპირად იცოდა ბევრი მათგანი და ხშირად უკითხავდა მეგობრებს. სავსებით დასაშვებია, რომ რუსთაველის ფილოსოფიური პოემის თარგმნისას ბალმონტს დაინტერესებდა ლიტველი მეგობრის აზრი და ამიტომაც სთხოვდა მას თარგმანას მოსმენასა და შეფასებას“<sup>11</sup>, — წერს თავის სტატილაში მკვლევარი ვალენტინა ბალუაშვილი.

მჭიდრო შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდათ ერთმანეთთან კოტე მარჯანიშვილსა და ი. ბალტრუშაიტისსაც. მარჯანიშვილს იგი მოსკოვში თავისი ე. წ. „თავისუფალი თეატრის“ ლიტერატურული ნაწილის გამგედაც კი მიუწვევია.

ნარკვევიდან ჩანს, რომ ი. ბალტრუშაიტისი დიდად აფასებდა ქართულ კულტურას. კრიტიკოსი ბ. ჟენტი თავის ერთ-ერთ მოვონებაში აღნიშნავდა, რომ 30-იან წლებში, მარჯანიშვილის თეატრის პირველი გასტროლებისას მოსკოვში მას ჰქონდა ბედნიერება პირადად გაეცნო პოეტი ბალტრუშაიტისი. იგი მოხიბლულა მისი პიროვნებით. გასტროლების დასურვისას, ერთ-ერთ ბანკეტზე მოსკოვის „არტისტულ კაფეში“, რომელსაც თურმე ლუნარსკიც ესწრებოდა, ბალტრუშაიტისს უთქვამს: „სამწუხაროა, რომ რუსეთი აქამდე არ იცნობს გენიალური რუსთაველის შედეგს — „ვეფხისტყაოსანს“. პოემის რუსული თარგმანი კი მსოფლიოს გააცნობდა კიდევ ერთ საოცრებას...“<sup>12</sup>.

1916 წელს თბილისში, რუსთაველის თეატრის სცენაზე მოეწყო ი. ბალტრუშაიტისის პოეზიის საღამო, რომლის ინიციატორები ტ. ტაბიძე და პ. იაშვილი იყვნენ. მაშინ ეს იყო ბალტრუშაიტისის პირველი ვიზიტი საქართველოში.

აი, რას იგონებს ამის შესახებ მწერალი კ. გამსახურდია: „იურგის ბალტრუშაიტისის პოეზია, არა მარტო რუსეთში, საქართველოშიც დიდი სიმპათიით და პოპულარობით სარგებლობდა. ჩემი თაობა ინტერესით ეცნობოდა მის ლექსებს, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა მოსკოვში, მოდერნისტული ჟურნალების „სევერნიე ცვეტისა“ და „ვესის“ ფურცლებზე. 1916 წელს მე მქონდა ბედნიერება პირადად გამეცნო პოეტი, თბილისში მისი სტუმრად-ყოფნისას. სასიამოვნოდ გამოაცა და ამაღელვა იმ ამბავმა, რომ მან ქართული კლასიკური ლიტერატურის ღრმა ცოდნა გამოავლინა. იგი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული „ვეფხისტყაოსნით“, რომლის თარგმანზე ოცნება და ფიქრი არ ასვენებდა...“<sup>13</sup>.

ნარკვევი „ბალტრუშაიტისი და საქართველო“ მხატვრულ-დოკუმენტურა ხასიათისაა. იგი დიდი ინტერესით იკითხება და წარმოადგენს უცნობ და დიარებულ ფურცელს ქართულ-ლიტვეური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში.

უნდა ითქვას, რომ ი. სკლუტაუსკასმა ფასდაუდებელი შრომა გასწია იურგის ბალტრუშაიტისის საქართველოსთან დამაკავშირებელი ბილიკების აღსად-

<sup>10</sup> ტ. ტაბიძე, ლექსები, პოემები, თბ., 1978, გვ. 67.

<sup>11</sup> „Литературная Грузия“, 1963, № 12, გვ. 87; В. Балужашвили, В содружестве с переводчиком поэмы Руставели.

<sup>12</sup> ი. სკლუტაუსკასი, დასახ. კრებული, გვ. 43.

<sup>13</sup> იქვე.



გენად, რაშიც მას ძალიან დაეხმარნენ ქართველი მწერლებიც. ა.ი, რას წერს ამის შესახებ თვითონ ავტორი: „ნარკვევი „ბალტრუშაიტიისი და საქართველო“ დავეწერე ისეთი შესანიშნავი ადამიანების დახმარებით, როგორებიც არიან: კონსტანტინე გამსახურდია, ბესო ჟღენტი, კოლაუ ნადირაძე, სერგო კლდ-აშვილი, ტანტ ტაბიძე-ანდრიაძე, ვალენტინა ბალუაშვილი... მათი დახმარებით მე შევძელი აღმედგინა ახალი, აქამდე იღუმალებით მოცული უცნობი ფურცლები ლიტველი პოეტის იურგის ბალტრუშაიტიისის ცხოვრებისა და შემოქმედებისა“<sup>14</sup>.

ცნობილი ლიტველი მწერლების — ა. ვენუოლისის და ა. ვენცლოვას ურთიერთობებს საქართველოსთან გვაცნობს წერილები: „სამი შეხვედრა ვენუოლისთან“ და „ანტანას ვენცლოვა საქართველოში“.

პირველი ლიტველი მწერალი, რომელმაც ქართული თემა შეიტანა მშობლიურ ლიტერატურაში იყო ლიტვური მწერლობის კლასიკოსი ანტანას ვენუოლის-ჟუკაუსკასი. იგი, 1903—07 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა კავკასიაში, ფეხით ჰქონდა მოვლილი დარიალის ზღაპრული ხეობა და საქართველოს სხვა კუთხეები. მწერალი დაინტერესებულა ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებითა და კულტურით, აგროვებდა და სწავლობდა ქართულ ხალხურ პოეტურ ნიმუშებს. სწორედ კავკასიაში შეგროვილ მასალათა საფუძველზე აავო მან თავისი ცნობილი წიგნი „კავკასიური ლეგენდები“.

ა. ვენუოლისის „კავკასიური ლეგენდებით“ გაიცნო და შეიყვარა ლიტველმა მკითხველმა საქართველო. მან გაუღვიძა ინტერესი ამ რომანტიკული ქვეყნისადმი არაერთ ლიტველ მწერალს, მათ შორის ანტანას ვენცლოვასაც, რომლის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა საქართველოში მოგზაურობამ. ა. ვენცლოვას დაინტერესებდა საქართველოთი ვენუობით ნარკვევში „ანტანას ვენცლოვა საქართველოში“. ჩვენი ქვეყნის ბუნებით, მისი ისტორიითა და აწმყოთი მოხიბლულმა პოეტმა საქართველოს უძღვნა ლექსების ციკლი: „თბილისი“, „მეგობარ ქართველ პოეტებს“, „შემოდგომა კახეთში“, „აფხაზეთი“, პოეტური ნოველა „სიმღერა კოცონთან“, რომელიც დიდი სამამულო ომის თემაზეა შექმნილი და ლიტველი და ქართველი ხალხების მეგობრობას ეძღვნება.

ძალზე მნიშვნელოვანია ი. სკლუტაუსკასის წვლილი ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში. მას ეკუთვნის მრავალი მეცნიერული თუ პოპულარული სტატია. მწერალს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი და მეცნიერულად გააზრებული ქართული ლიტერატურა, როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე.

საინტერესო მეცნიერულ-პოპულარული წერილი უძღვნა რუსთაველს მწერალმა — „რაინდი საქართველოდან“, რომელიც მის ამავე სახელწოდების წიგნშია დაბეჭდილი. მასში გვხვდება საინტერესო ცნობები ძველ ქართულ კულტურაზე, რუსთაველის ეპოქაზე, თამარ მეფეზე. წერილში სკლუტაუსკასმა ყურადღება გაამახვილა „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-შემეცნებითა და მხატვრულ ღირებულებაზე. მან ფართოდ განიხილა ნაწარმოების ძირითადი საკითხები, პოემის ფაბულა და სიუჟეტი, დიდი ადგილი დაუთმო ავტორის ვინაობას, ხალხურ გადმოცემებს, დაწვრილებით დაახასიათა პოემის მთავარი გმირები. აღსანიშნავია, რომ ავტორი მიმოიხილავს რა რუსთაველის ეპოქას, „ვეფხისტყაოსანს“ უდარებს შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სარაინდო რომანებს.

<sup>14</sup> И. Богомолов, Новые материалы о литовско-грузинских литературных связях, „Дом под чинарами“, 1980, гл. 272—277.

იგი პარალელს ავლებს „ვეფხისტყაოსანსა“ და დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“. შორის და აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემის გმირები გაცილებით რეალურნი არიან, ვიდრე „ღვთაებრივი კომედიის“ პერსონაჟები. წერილში ლიტველი მკითხველი ეცნობა აგრეთვე პოემის ნაწყვეტებს ლიტვეურ ენაზე, რომელიც თარგმნა ლიტველმა პოეტმა იონას გრაიჩუნასმა.

„სიყვარულის ძველი ისტორია“ რომანტიკული ხასიათის ბიოგრაფიული რემინისცენციაა, სადაც ავტორი გვიხატავს ინტიმურ ეპიზოდებს დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის ცხოვრებიდან, კერძოდ, მის სიყვარულს ეკატერინე ჭავჭავაძისადმი.

ნოველაში კარგად არის მიგნებული ბარათაშვილის სულის ფაქიზი ნიუანსები. მწერალი გვიხატავს პოეტის ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ნოველის ცენტრშია ადამიანი თავისი რთული სულიერი სამყაროთი. ავტორი შესანიშნავად უღებს ამას ალღოს და ნოველას თავისებურ, ძირითადად სწორ გასაღებს უძებნის. ჩვენ წინაშე ცოცხალი ადამიანის ფიგურა იკვებება თავისი ლექსებით, ვნებებითა და ფიქრებით. ავტორმა ნოველისათვის სქემად აიღო პოეტის ბიოგრაფია და მისი მიდევნებით განიხილა ნ. ბარათაშვილის მიმართება კონკრეტულ ადრესატებთან: ბუნებასთან, სიყვარულთან, სამშობლოსთან. ნოველა დაწერილია მწერლის მიერ, რომელმაც იცის შემოქმედის სულის საიდუმლო. ეს კი ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს ანიჭებს სიმსუბუქეს, სინათლეს და გამჭვირვალობას.

მრავალფეროვანია ნოველაში გამოყენებული მხატვრული ხერხები და საშუალებები: მწყობრი კომპოზიცია, სადა, დაუძაბავი მეტყველება, თბილი და ნათელ ფერთა სიუხვე, რაც საკმაოდ ზუსტად წარმოაჩენს ნ. ბარათაშვილის პიროვნების შინაგან პარმონიას.

ნოველაში გამოყენებულია ნ. ბარათაშვილის ლექსების პოეტური თარგმანები ლიტვერ ენაზე, შესრულებული ლიტველი პოეტისა და მთარგმნელის ვიტაუტას რუდოკასის მიერ.

საინტერესო მხატვრული ნარკვევი უძღვნა კონსტანტინე გამსახურდიას მწერალმა სიმბოლური სათაურით — „ქვაში დამარხული საიდუმლო“.

ნარკვევში პირველყოვლისა დიდი ქართველი მწერლის პორტრეტი და ხასიათის თვისებანია გამოძერწილი, ძუნწი, მაგრამ მრავლისმეტყველი ნიშნებით. ი. სკლუტაუსკასი დეტალურად გადმოგვცემს კ. გამსახურდიასთან შეხვედრის ისტორიას და მისი გაცნობით გამოწვეულ ღრმა შთაბეჭდილებას უზიარებს ლიტველ მკითხველს.

ყოველივე კი დაიწყო სვეტიცხოვლით... უძველესი ბაზილიკის ბარელიეფზე გამოკვეთილმა მოჭრილმა მარჯვენამ და ტაძრის აშენების ლეგენდარულმა ისტორიამ ძალიან დაინტერესა საქართველოში სამოგზაუროდ ჩამოსული ლიტველი მწერალი და მეგობარ ქართველ მწერალთა დაყენებული რჩევით სტუმრად ეწვია კ. გამსახურდიას.

დიდი ქართველი მწერალი ლიტვის ძველი მეგობარი ყოფილა. მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა იურგის ბალტრუშაიტისთან, ანტანას ვენუოლისთან, პიატრას ცვირკასთან, ანტანას ვენცლოვასთან და სხვებთან. სწორედ მათ გაუღვიძეს ინტერესი ქართველ მწერალს ლიტვერი ლიტერატურისადმი.

ნარკვევში აშკარად იგრძნობა ავტორის ცდა — დაგვიხატოს საქართველოს ისტორიის ცოცხალი და მისაღები სურათი კ. გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენას“ მავალითზე.

მხატვრულ-დოკუმენტური ტიპის ნარკვევთა რიცხვს განეკუთვნება „თეთრი სიმღერის ექო“, რომელიც ქართველ ჟურნალისტს — ვლადიმერ ალფენიძეს ეძღვნება.

ნარკვევში ასახვა პოვა ქართველ და ლიტველ ჟურნალისტთა ერთობლივ-  
მა მუშაობამ ლიტვაში, დიდი სამამულო ომის პერიოდში პარტიზანული მოძ-  
რაობის ისტორიის გასაშუქებლად.

როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტში“ და ლი-  
ტვის რესპუბლიკურ გაზეთებში დაიბეჭდა ვლ. ალფენიძის დოკუმენტური მო-  
თხრობების სერია ქართულ, რუსულ და ლიტველ ენებზე, სრულიად ლიტვის  
პარტიზანული მოძრაობის მეთაურის გიორგი დვალაძისა და მისი ინტერნა-  
ციონალური რაზმის მებრძოლთა უმაგალითო გმირობაზე.

წარმატება ზედა ლიტვაში ვლ. ალფენიძის ლექსებს: „თეთრი დაინა დო-  
ნელიტისზე“, რომელიც ლიტვეური მწერლობის დიდი კლასიკოსის კრისტინას  
დონელიტისის ცხოვრების პოეტური ასახვის ცდაა და „ლიტველ სავას გი-  
ორგი დვალაძეზე“. ლექსები ლიტველ ენაზე თარგმნა პოეტმა ქალმა იანა  
დევუტიტემ.

აღსანიშნავია, რომ ი. სკლუტაუსკასის წიგნმა „რაინდი საქართველოდან“  
ლიტველი და ქართული ლიტერატურული კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსა-  
ხურა. მასზე რეცენზიები გამოქვეყნდა რესპუბლიკურ ჟურნალებში: „ლიტერა-  
ტურულ ლიტვას“ და „პერგალეში“. წიგნზე ვრცელი რეცენზია გამოქვეყნა  
აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ფალოლოგიურ  
მეცნიერებათა დოქტორმა ი. ბოგომოლოვმა. ეს კი ლიტველი მწერლის ფასდა-  
უდებელი შრომის დიდი აღიარებაა.

ლიტველი მწერლის ქართულ თემაზე შექმნილი ნოველების, ნარკვევებისა  
და ლიტერატურული წერილების დამაჯერებლობა და ესთეტიკური ღირებუ-  
ლება განაპირობა იმან, რომ ავტორი კარგად იცნობს საქართველოს წარსულსა  
და თანამედროვეობას, ორგანულად უხამებს მას პირადად განცდილსა და დანა-  
ხულს.

მწერალი დღესაც მუდმივ შემოქმედებითს ძიებაშია და ეჭვი არ გვეპარება,  
რომ იგი კვლავ მრავალჯერ მიიზიდავს მკითხველს ორი მოძმე ხალხის კულ-  
ტურულ-ლიტერატურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი ახალ-ახალი ნა-  
წარმოებებით.

დ. ო. ბუაჩიძე

## ГРУЗИЯ В ТВОРЧЕСТВЕ И. СКЛЮТАУСКАСА

Впервые анализируется научно-публицистическая проза выдаю-  
щегося писателя и исследователя литовской литературы, популяри-  
затора грузинской культуры в братской Литве Йокубаса Склутаус-  
каса.

Грузинская тема в творчестве И. Склутаускаса нашла отражение  
в книге «Рыцарь из Грузии», вышедшей в вильнюсском издательстве  
«Минтис» («Мысль») в 1972 году.

Работа посвящена анализу очерков, эссе, исследующих грузино-  
литовские литературные взаимосвязи («Юргис Балтрушайтис и  
Грузия», «Рыцарь из Грузии», «Грузино-литовские литературные  
взаимосвязи» и др.). Художественно-эстетическая значимость и  
фактическая достоверность произведений И. Склутаускаса на грузинскую тему обусловлена глубокой эрудицией автора, знанием  
грузинской истории, культуры, которые у литовского писателя  
органически совмещаются с личными впечатлениями от увиденного  
и пережитого в Грузии.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ერთაშორისი  
ლიტერატურული ურთიერთობების განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმმა.



## მარინე თხინვალი

ამინ რეიჰანის სამოგზაურო ჟანრის თხზულება  
„ლიბანის გული“

ამინ რეიჰანის „ლიბანის გული“ გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1947 წ. ბეირუთში<sup>1</sup>. გამოცემა განახორციელა ავტორის ძმამ — ალბერტ რეიჰანამ. წიგნმა გამოსვლისთანავე მოიპოვა საყოველთაო აღიარება. „ლიბანის გულით“ მოხიზლული მიხაილ ნუაიმე ალბერტ რეიჰანის სწერდა: „ძვირფასო ალბერტ! „ლიბანის გულის“ გამოცემით შენ (ნამდვილად) გამოიჩინე დიდი ერთგულება სამშობლოსადმი, არაბული ლიტერატურისა და ძმისადმი... ნაწარმოების კითხვისას მე ემოგზაურე ლიბანში, ავმაღლდი სულიერად და განვიცადე ტკბობის წუთები... „ლიბანის გულში“ ამინ რეიჰანი გვევლინება ამაღლებულ პოეტად, დაკვირვებულ ისტორიკოსად და ბრძენკაცად, რომელიც უმნიშვნელო მოვლენებსაც კი ღრმად აანალიზებს. ამინ რეიჰანის თხზული თვალი ამჩნევს ყველაფერს: აქამდე ცნობილს და უცნობს... ეს ძვირფასი მოგზაურობა გამოიწვევს მრავალი მკითხველის აღტაცებას, რომელსაც მეც შეეუერთდები სიტყვებით: ჩინებულია, ჩინებული, მარჯვენა დაგელოცოს!“ (5, გვ. 13).

ლიბანელი მწერალი და კრიტიკოსი აბუდ მარუნ მწერლის შემოქმედების განხილვისას წერდა: „ლიბანის გულში“ „პროზაული კასიდების კითხვისას გაიგებ, რომ ამინ რეიჰანი რომანტიკოსია ამ სიტყვის სრული მნაშენელობით. ნისი კალმის ქვეშ ცოცხლდებიან და მოძრაობენ ქვები, ხეები, ხევეები ისე, როგორც ცოცხლდება ქვა მიქელანჯელოს საპრეთლით, ან ტილო რაფაელის ფუნჯით... ამინ რეიჰანი „ლიბანის გულში“ უფრო მეტად პოეტია, ვიდრე მებრძოლი, მაგრამ მას არც ამჯერად ჩაუგია მწერლური მიხვილი“ (6, გვ. 114).

ამინ რეიჰანის სხვა სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, აქ არ ვგვხვდება დახვეწილი ლიტერატურული კრიტიკა: „ლიბანის გული“ განსაკუთრებული სითბოთია დაწერილი. ბუნების თემას მწერლის აღრეული ნაწარმოებების მსგავსად, აქაც წამყვანი ადგილი უკავია. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში აკად. ე. კრაიკოვსკი წერდა: „რეიჰანის აღფრთოვანებით უყვარს ბუნება. მე არ ვიცნობ სხვა არაბ მწერალს, ვისაც ასე მძაფრად ექნებოდა განვითარებული ბუნების გრძნობა... ძველ (არაბულ) პოეზიაში ჩვენ ზოგჯერ ვპოულობთ გარე სამყაროს დაწვრილებით, თითქმის ფოტოგრაფიულ აღწერას, მაგრამ არასდროს — ბუნების აღქმას... ბუნების გრძნობით არის გამსჭვალული რეიჰანის ყველა ნაწარმოები... პოეზია და ბუნება მისთვის განუყოფელია“ (3, გვ. 14—15).

„ლიბანის გული“ შედგება 15 თავისაგან<sup>2</sup>. თითოეული თავი წარმოადგენს მწერლის ცალკეული მოგზაურობის აღწერას ლიბანის მთებში საუკუნის და-

<sup>1</sup> „ლიბანის გული“ 6-წერ გამოცემა არაბულ სამყაროში. ცალკეული თავები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. მათ შორის ინგლისურად, ფრანგულად, ესპანურად, პორტუგალიურად, რუსულად, სომხურად. წინამდებარე სტატიისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ამინ რეიჰანის არაბულ თხზულებათა სრული კრებულის III ტომში დაბეჭდილი „ლიბანის გულის“ სრული ტექსტი (ბეირუთი, 1980).

<sup>2</sup> X, XI და XV თავის სათაურები და ფრაგმენტებია შემორჩენილი, ხოლო XII, XIII და XIV თავის — მხოლოდ სათაურები.

საწყისიდან 40-იან წლებამდე. თავები ქვეთავებადაა დაყოფილი, ახლავს ავტორისეული ჩანახატები. ნაწარმოების ლიტერატურული მთლიანობა განპირობებულია ცალკეული თავების შინაარსობრივი და მხატვრული მრავალფეროვნებით, რომლებიც ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს. რეიპანიმ გამოიყენა ლიტერატურაში კარგად დამუშავებული თემები და მშობლიური ქვეყნის წარუშლელი სურათი დახატა. წიგნში მწერლის შთაბეჭდილებებთან ერთად მოცემულია ლიბანელი ხალხის უძველესი ისტორია, ეთნოგრაფია და სულიერი ღირებულებანი. პირველი მოგზაურობიდან დაწყებული, ნაწარმოების ფოკუსში დგანან ლიბანური კედრები. ისინი ასაზრდოებენ მწერლის შთავგონებას, იწვევენ ლიტერატურულ ასოციაციებს. ამინ რეიპანი სიამაყით წერს, რომ «ყველაზე დიდი (ხე) 3000 წლისაა, ე. ი. პატარა იყო, როცა სოლომონ ბრძენი ტახტზე იჯდა იერუსალიმში» (5, გვ. 59). სახელოვან ფინიკიელ წინაპრებზე მსჯელობის დროს ამინ რეიპანის მეხსიერებაში ამოტივტივდება სილამაზითა და სიღაღით თვალსიმოჭრელი ლიბანური კედარი, რომელიც ამჟამად თითზე ჩამოსათვლელია ლიბანის მთებში და მწერალი საყვედურით იტყვის სახელგანთქმულ გემთმშენებლებზე: «არა მგონია, ფინიკიელები ხეების მეგობრები ყოფილიყვნენ... ჭრიდნენ, ყიდდნენ და არ ფიქრობდნენ, რა დარჩებოდა მომავალში» (5, გვ. 282). საერთოდ, ფინიკია მწერლის განსაკუთრებული თემაა. ნაწარმოების მეცხრე თავი სათაურით «დროის წყვილიაღებში» ისტორიული ხასიათისაა. მასში დაცულია მასალის გადმოცემის მეცნიერული სტილი, თუმცა აქაც გვხვდება რეიპანისათვის დამახასიათებელი მახვილსიტყვაობა. მწერალი ეხება ლიბანის 4000 წლის ისტორიას, ჯაბილის, ერთ დროს ფინიკიელთა უდიდესი, აყვავებული ქალაქის, არქეოლოგიურ გათხრებს: «ჯაბილი ერთადერთი ფინიკიური ქალაქია ლიბანში, რომლის გალავნის კედლები დღესაც დგანან» (5, გვ. 511). დამატებებლად გვესაუბრება ავტორი ფინიკიელთა სამეფოს ძლიერებაზე ი. ვ. XXI ს-ში. სანტიერესოდ მოგვითხრობს უცხოელ დამპყრობლებზე, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ცვლიდნენ ერთმანეთს. ცალკე მსჯელობს ფინიკიური ლიტერატურის შესახებ და ა. შ. აღსანიშნავია ამინ რეიპანის მიერ დახატული მზის ქალაქ ბაალბექის სურათი, რომლის არქიტექტურული გრანდიოზულობა და სინატიფე დღესაც აოცებს მნახველს. «ლიბანის ვულში» ამინ რეიპანი აღწერს ჯაბირიდან ბაალბექსა და პალმირაში მიმავალ რომაელთა მიერ მკვიდრად ნაგებ და დღემდე შემორჩენილ მსოფლიოში უძველეს გზას, რომლის ორივე მხარეს ამშვენებს სხვადასხვა ეპოქის იეროგლიფური, ლურსმული, ფინიკიური, ბერძნული და ლათინური ეპიგრაფიკული წარწერები.

თანამედროვე ლიბანური სოფლის აღწერისას რეიპანი ახასიათებს სოფლის ადგილმდებარეობას, სოფელში არსებულ ციხე-სიმაგრეებსა და სალოცავებს, იძლევა გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგიას, ეხება საარსებო საშუალებებს, ეძებს სოფლის მეურნეობის აღორძინების პერსპექტივებს. ამინ რეიპანის არც ლიბანური სუფრა და სტუმართმოყვარეობა გამოჩნა. «ჩვენთან ლიბანში, სტუმართმოყვარეობა ადამიანური მოვალეობაა» (5, გვ. 136), — წერს იგი.

მეშვიდე მოგზაურობის დროს ამინ რეიპანი ეწვია ამშითს, სადაც დამარბული არიან ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი ერნსტ რენანი და მისი და ჰენრიეტა. ამ თავში მწერალი ეხება ერნსტ რენანის დიდ დამსახურებას აღმოსავლეთის წინაშე, დაწვრილებით გადმოსცემს ერნსტ რენანის და მისი ერთგული დის ცხოვრებას. რეიპანის სიტყვებით, «ცხოვრება იესოსისა» ავტორები არიან ერნსტ რენანი, ჰენრიეტა და ლიბანი» (5, გვ. 373), რომელიც შთავგონების წყაროს წარმოადგენდა ფრანგი მკვლევრისათვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნაწარმოების მეოთხე თავი, რომე-

ლიც წარმოადგენს პოეტურ ნაწილს. მასში შესულია ამინ რეიპანის ლექსები.  
პროზით: „კედარი“ და „კლდეები“.



„ო, ქალღმერთო ხეთა და ძალგულოვანი მთების ღვთაებაე,  
მაღლა, რუხ კლდეთა შორის ფრიალებენ შენი მწვანე ალმები,  
ასულო ჟამთა, მნათობთა სწორო, ხმა მომაწვდინე,  
საღვთო სიტყვით განანათლე გონება ჩემი და ამიყვანე  
შენდამი რწმენის თვალშეუღდამ სიმაღლეზე,  
რომ დავეწყო უკვდავი წყაროს ძალას და სიბრძნეს!“

ასე იწყება პოეტური ქვეთავი „კედარი“, რომელშიც ავტორი აღძვლებს კედარს, წარმოაჩენს მის ღვთაებრივ სილამაზეს.

კედარი ამინ რეიპანის სალოცავი ხატია. იგი პოეტს სტიქიურ ძალთა მე-საიდუმლედ წარმოუდგება. ამინ რეიპანი ცდილობს ჩაწვდეს ლიბანური კედარის იღუმალ კავშირს ბუნებასთან:

„შიამბე რამე ჩრდილოეთის ქართა შესახებ,  
ხმა მგოდებელის მასმინე და შენი სურნელით გაპირებულს ექვე საღბუნად.  
შხაპუნა წვიმის ამბავიც მარქვი:

თუ როგორ ცეკვეს იგი კლდეზე კისკისით და ჩემი ქნარის სიმებს ავღვრებს...  
შენ ქარიშხალთა ამბავიც უწყვი,

როგორ ჩნდებიან ხეობებიდან და პორიზონტებს კვეთენ სიშმაგით. როს დაფდაფების მძლავრი გრვეინვა მიახლოვდება, მე გულს შევიხსნი და ჩემს მკლავებში მძვინვარება ქართა ნელდება (. . .)  
ჟამი.

ღლე თანამეინახე, ხოლო ღამე მიჯნურია ჩემი. განმგებლად უფალმა მზე დამიდგინა, მესაიდუმლედ კი მთვარე.

ვარსკვლავები ჩემსკენ გამოწვდილი უფლის ხელებია, მოეღვარენი ვარდისფრად, ვერცხლისფრად ოქროსფრად და იისფრად.

და არიან ისინი უფლისგან ბოძებულნი სილამაზის, სიხარულის, სიმშვიდისა და სათნოების წიშნად.

და არიან ბოძებულნი სილამაზედ და პოეზიის მუზად“ (5, გვ. 214—216).

ჟურნალდებს იქცევს პოეტური სტრიქონების ფილოსოფიური სიღრმე. რაც საერთოდ დამახასიათებელია ამინ რეიპანის შემოქმედებისათვის. ლიბანი და კედარი პოეტისათვის განუყოფელი ცნებებია. იგი დატყვევებულია კედარის სრულყოფილებით, რომელიც იწვევს მასში კოსმოსური სამყაროს ასოციაციებს.

მაღალმხატვრულობით გამოირჩევა მომდევნო ქვეთავიც — „კლდეები“. აქ ამინ რეიპანი კვლავ გვევლინება ბუნების მესაიდუმლედ, რომლის წინაშე ავტორს აქვს განსაკუთრებული, თითქმის რელიგიური გრძნობა. პოეტი მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით ცდილობს დაუკავშიროს ადამიანური სამყარო ბუნებისას, ჩაწვდეს ჟამთაშუაის არსს, თვალი გაუსწოროს მთათა თვალშეუღდამ სიმაღლეებს:

„შეჩრებულხარ ოდესმე თვალშეუღდამ მთებში, კლდეთა შორის,  
აღვივამს მათი საოცარი წყობა და მრავალფეროვნება?  
ჩაწვდომიხარ კლდეთა სიმშვენიერესა და სიღიადეს?  
ვიხილავს ძველი ტაძრის ნანგრევებს მიღმა დროით აღბეჭდილი პირვანდელი სამყარო?  
კლდეთა სიმაღლით აღიქმება მათი ზებუნებრიობა, ბრწყინვალეობით — ქლემამოსილება,  
სიმტკიცით — ძალა, ხოლო მათ ნაპრალებში გამოკრთის სასოწარკვეთა, უძლურება და დროს-თან კიდილი“ (5, გვ. 222).

„ლიბანის გულში“ შესული კასიდები ხასიათდებიან ბუნების აღქმის იშვიათი ფერადოვნებით. პოეტური ამალღებულობით, გრძნობათა სიუხვითა და სიფაქიზით. „კედარი“ და „კლდეები“ პოეტური მიძღვნაა ლიბანისადმი.

ამინ რეიპანი სამართლიანად ითვლება პოეტური პროზის ლიტერატურული



ფორმის (შიყრ მანსურ) შემქმნელად ახალ არაბულ ლიტერატურაში (4, გვ. 71-93, 2, გვ. 21). აღნიშნული ფორმის რეიპანისეული შედეგები არაბული ლიტერატურის მშვენიერებას წარმოადგენენ. მისი ლექსები პროზით შედგება სხვადასხვა ზომის სტროფებისაგან, რომლებიც განსხვავდებიან რიტმით. მკაფიო, აქცენტური რითმა მოეპოვება მხოლოდ სტროფების ცალკეულ წევრებს, მაგრამ, ტრადიციის საწინააღმდეგოდ, იგი ცვალებადია (1, გვ. 76).

თბილისში „ლიბანის გული“ ამინ რეიპანიმ ოსტატურად გაშალა ლიტერატურული მასალა, თუმცა ცალკეული თავები არ არის ერთმანეთთან სიუჟეტურად დაკავშირებული. ნაწარმოებში ნათლად შეინიშნება ორი სტილი: მხატვრული და აკადემიური. პირველი მათგანი, გამოირჩევა რა მუსიკალურობით და რომანტიკული სახეებით, განსაკუთრებით ვლანდება პოეტური პროზით დაწერილ თავებში, ხოლო მეორე თავს იჩენს ისტორიულ ნაწილში, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეცნიერული სიზუსტე და გადმოცემის დამაჯერებლობა.

„ლიბანის გულის“ შემქმნით ამინ რეიპანიმ მშობლიური ქვეყნის წარუშლელი სურათი დატოვა. აღნიშნულმა მხატვრულმა ტილომ გაამდიდრა არაბული ლიტერატურა და განავითარა არაბული სამოგზაურო ქანრი.

### ლიტერატურა

1. გ. წერეთელი, ემინ რეიპანი, „მნათობი“, 1945, № 6, გვ. 73—80.
2. Амин ар-Рейхани, Избранное, вступительная статья А. А. Долинной, Л., 1988.
3. Амин Рейхани. Избранные произведения, перевод и примечания Н. Ю. Крачковского, Петроград, 1917.
4. И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, т. III, М. — Л., 1956.

— أمين الريحاني، قلب لبنان، الأعمال العربية لكاملة، المجلد الثالث، بيروت ١٩٨٠  
 — مازون عبود، أمين الريحاني، مصر ١٩٥٢

М. Г. ТХИНВАЛЕЛИ

### ЖАНР ПУТЕШЕСТВИЙ В ТВОРЧЕСТВЕ АМИНА РЕЙХАНИ («СЕРДЦЕ ЛИВАНА»)

#### Резюме

«Сердце Ливана» стоит несколько в стороне от других произведений жанра путешествий Амина Рейхани. Здесь писатель больше поэт, чем борец за единство арабов. Это песнь песней Амина Рейхани, восторженный гимн родному Ливану. Наряду с поэтическими главами («Кедр», «Скалы»), в книге дан историко-географический обзор страны.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ლაბორატორია  
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა კ. წერეთელმა

П. М. АЛИМБЕКОВА

## ИРАНСКИЙ ПИСАТЕЛЬ-ПРОСВЕТИТЕЛЬ И ДАГЕСТАНСКИЙ ОБЩЕСТВЕННЫЙ ДЕЯТЕЛЬ АБДУРРАХИМ ТАЛИБОВ

Известный иранский писатель-просветитель, видный общественный деятель своего времени Абдуррахим Талибов родился в Тебризе в 1834 г. в семье плотника (наджджара). Получив начальное образование, еще юношей он попадает в поле зрения иранской полиции за свою революционную деятельность. А. Талибов был вынужден покинуть Иран «из-за религиозных убеждений и участия в политических схватках» [1].

В 1855 г. он приезжает в Россию [2]. Некоторое время жил в Тифлисе, где изучил русский язык, русскую литературу. Здесь он работал в качестве подрядчика на постройке дорог и обслуживал почтовый тракт: Ростов — Ставрополь — Георгиевск — Пятигорск — Владикавказ (ныне Орджоникидзе). В Дагестан А. Талибов приезжает в конце 60-х гг., когда на Северном Кавказе началось строительство железной дороги [3]. А. Талибов приехал в Темир-хан-Шуру (ныне г. Буйнакск), в котором жил в почете до конца своей жизни. Здесь он занимался торговлей, брал подряды на строительство дорог, держал почту. А. Талибов принимал большое участие в общественной жизни города. Он был избран членом Дагестанского Попечительского совета женской гимназии, Статистического комитета Дагестанской губернии, Темир-хан-Шуринского комитета тюрьмы [4], пожизненным членом общества просвещения туземцев-мусульман Дагестанской области [5] и членом других общественных организаций. А. Талибов пользовался огромным уважением среди местного населения. На Востоке и в Европе он был известен как писатель и философ.

В 1889 г. А. Талибов едет в Стамбул, где издает газету «Шахсевен», запрещенную в Иране [6].

Деятельность и творчество А. Талибова сыграли важную роль в развитии просвещения Ирана и народов Дагестана. А. Талибов был борником женского образования, внес значительный вклад в основание женской гимназии в г. Темир-хан-Шуре. В Дагестанском Центральном Государственном архиве в деле Темир-хан-Шуринского реального училища Дагестанской области нами обнаружено письмо. Этот автограф, написанный черными чернилами на полутора страницах, от 16 апреля 1896 г., является заявлением «персидского подданного Муллы Абдул-Рахима Талибова в Попечительский совет Темир-хан-Шуринской прогимназии», в котором он пишет: «Осведомившись о том, что в непродолжительном времени предполагается преобразовать вверенную попечением Совета женскую прогимназию в семиклассную прогимназию и обеспечить такую же помещением постройкою необходимого для сего здания на собственные средства, которыми, однако, Совет еще не располагает, я, сочувствуя делу просвещения и в ознаменование священного коронования Его Императорского Величества Государя Императора Николая Александровича, прошу принять от меня посильное пожертвование в размере 500 рублей единственно на образование капитала для возведения в г. Темир-хан-Шуре собственного здания для женской гимназии с тем, чтобы до начала работ имеющийся быть прирост на жертвую-





жуюсь сумму был бы приобщаем к этой сумме и не был бы расходуем, как и сама капитальная сумма, ни на какие другие нужды гимназии» [7]. Под заявлением стоит подпись А. Талибова (Мулла Абдул Рахим Талибов).

А. Талибов своим творчеством внес большой вклад в дело просвещения народов Востока. Перу А. Талибова принадлежат многочисленные публицистические и художественные сочинения. Среди них наиболее известны: «Книга Ахмада», «Пути добродетелей», «Вопросы жизни», «Политика Талибова», «Книга о физике». Кроме оригинальных сочинений авторы биографических очерков упоминают и переводы А. Талибова с русского и персидского языков. Писал он и стихи лирического и гражданского содержания.

В художественных и публицистических произведениях, о чем бы ни писал А. Талибов, он призывал к процветанию Ирана. Одним из важнейших факторов развития страны он считал просвещение народа. Достижение народного счастья он связывал с развитием наук. А. Талибов призывал к свободе. Он писал: «Свобода — это право каждого человека, и никто не должен продавать свою свободу, и никакое правительство не имеет права посягать на свободу людей... Свобода — это право без различий, свобода, которая не связана с равенством, есть нарушение других прав» [8].

В своих произведениях А. Талибов выступает против войн, насилия. В частности, он писал, что войны — это временное явление, они исчезнут, страны Востока станут свободными, европейские государства перестанут захватывать чужие земли, они разоружат, распустят свои армии. Тогда наступит всеобщее согласие, государства начнут помогать друг другу, изменится положение бедных, и на земле возникнет великая федерация, которая будет называться «Красная Республика», и 150 коруров [9] населения станут членами одной семьи» [10].

Деятельность А. Талибова сыграла важную роль и в развитии и просвещении народов Дагестана; «его произведения имели распространение среди местного населения, способствуя просвещению и пробуждению национального самосознания горцев» [11]. Книга А. Талибова «Кетаб-е Ахмад» («Книга Ахмеда») имела огромное просветительское значение. «До сих пор на восточных языках не издавалась такого рода полезная книга, которая настолько полно давала бы и детям и взрослым все необходимые знания» [12].

Главными персонажами этой книги являются трое детей — два брата и сестра: Ахмад, Асад-хан и Махрах. Эти имена взяты не произвольно. Дело в том, что когда А. Талибов приехал в Россию, в Тифлисе он работал вместе с иранцем, подрядчиком Мухаммед-ханом на строительстве дорог. У Мухаммед-хана было трое детей — Асад-хан, Форух-хан и Махрах. В дальнейшем оба сына получили высокие посты в иранском посольстве. Когда Талибов работал с Мухаммед-ханом, он хорошо знал его детей, именами которых и назвал героев своей книги [13].

О назначении книги «Кетаб-е Ахмад» сам А. Талибов пишет так: «Книга содержит старинные притчи, полезные сведения об открытиях науки и техники с целью дать необходимые знания по физике, химии, биологии, астрономии, географии. Это явится как бы подготовкой, фундаментом для дальнейшей учебы». Книга «Кетаб-е Ахмад» разбита на несколько бесед и снабжена множеством иллюстраций. В беседе восьмой А. Талибов пишет, что прототипом Ахмада является Эмиль — герой романа французского философа, писателя Жан-Жака Руссо «Эмиль». Талибов пишет: «Ахмад с Востока и Эмиль из Европы похожи, но во многом отличаются. Система воспитания и обучения детей на Западе достигла высокого

уровня, также наука, техника на Западе в отличие от других стран широко развиты. Но если же те огромные усилия, которые были приложены европейскими странами для распространения просвещения, приложить к моей стране, результаты были бы ошеломляющими. Из-за того, что нет современной системы обучения, природные способности многих детей скрыты под покровом невежества и такими и останутся» [14].

Среди многих произведений А. Талибова наибольший интерес представляет его сочинение «Масалек-оль-мохсенин» («Пути добродетелей»). В нем описывается восхождение на вершину горы Демавенд трех путешественников. По пути они проходят через города, поселки, деревни, беседуют с разными людьми. В романе встречаются различные легенды. В частности, описывая долину Байго, автор приводит такую легенду: шаху Ирана Камбизу снится сон, будто Зарадушт (Зороастр) в долине Байго зарыл в землю клад и восемь золотых дощечек с надписями. И во сне к нему спускается ангел, который сообщает ему место расположения этого клада. В романе содержатся и бытовые сценки. Так, автор описывает свадебный ритуал в одной деревне, когда свадебная процессия через улицы и переулки двигалась к дому жениха, все время обращаясь к кибле, и путь их лежал через базар, где их остановили родственники жениха и потребовали по обычаю выкуп. Предложенный выкуп им показался недостаточным, и тут завязывается бурная драка с мечами и дубинками, в результате которой оказываются разбиты головы ни в чем не повинных прохожих, разнесены несколько лавок.

В романе рассказывается о поселках Байсонгур и Чубе. Это новые поселки, оснащенные современной для того времени техникой, в них работает гидромельница, от энергии которой в домах жителей горит электрический свет, в поселках имеется телефон. О таких селениях мечтает писатель.

Далее, Талибов рассуждает о социализме, при котором люди поймут, что каждый должен трудиться по способностям, и тогда жизнь на земле совершенно изменится.

В этом произведении А. Талибов выражает свои прогрессивные мысли, ратует за просвещение, критикует духовенство, рисует новый идеальный общественный строй, в котором не будет ни бедных, ни богатых.

Кроме оригинальных сочинений известны и переводы А. Талибова с русского на персидский и с персидского на русский языки. Это «Наиднамеё Маркус», 1893 г. («Наставление Маркуса»), «Рисале дар хей'ят, тәрджоме аз Фламаринон» (Трактат об астрономии, перевод книги Фламарииона, 1895 г.), перевод учебников по физике, химии на персидский язык и перевод на русский язык своего сочинения «Избранник небес» (Грозный, 1903 г.). Это произведение А. Талибова представляет собой описание истории возникновения ислама, его содержания, истории пророка Мухаммеда. Целью перевода этого сочинения на русский язык, как отмечает автор, является предоставление возможности детям мусульман ознакомиться с историей ислама, т. к. арабское письмо представляет большую трудность для быстрого его изучения (в мактабах), а для русского читателя оно может послужить источником для знакомства с историей ислама.

А. Талибов в ходе описания мусульманской религии, сущности тех или иных положений выражает свои мысли, суждения. Так, говоря о закяте (40-й доле урожая в пользу немущих мусульман) — об одном из предписаний шариата, Талибов считает его необходимым, полезным и выражает сожаление по поводу того, что мусульман-

ское духовенство не уделяет этому вопросу должного внимания. Он пишет, что это «величайшее установление шарията можно было бы сделать постоянным источником дохода, который шел бы на удовлетворение нуждающихся мусульман» [15].

Заканчивает А. Талибов свою книгу главой «Мусульманские секты», в которой излагает сущность двух главных мусульманских сект (суннитской и шиитской), их отличия, разногласия в обрядах и отмечает абсолютную необоснованность вражды между этими сектами.

Эта книга на персидском языке и «Кетаб-е Ахмад» были переданы А. Талибовым 28 сентября 1894 года в дар Петербургской Государственной публичной библиотеке.

А. Талибов был не только писателем, просветителем, но и философом. Интересны его взгляды на природу, человека. Исходя из его произведений, можно сказать, что А. Талибов находился под влиянием Руссо и Льва Толстого о всеобщем благе, о прославлении природы. Большое значение для персидской прозы имели переводы на персидский язык произведений Л. Н. Толстого [16].

А. Талибов был подлинным патриотом, он болел душой за свою Родину и делал все для просвещения своих соотечественников. Несмотря на то, что он находился вдали от родины, он не переставал думать о ней. В одном из писем, адресованных Мирзе Садык Нами, он пишет: «В меджлисе много попусту говорят обо всех проблемах в стране: «для сельского хозяйства воды не имеем, школ не имеем, знаний не имеем, на границе застав не имеем, чиновников не имеем». Так каждая речь кончается словом «не имеем». Но ни один человек не говорит, что нужно сделать для того, чтобы все это иметь... Если в этом меджлисе все придут к единому мнению и не будут просто говорить, а первым делом возьмутся за просвещение народа, то вся Европа будет поражена» [17].

Весь смысл своей жизни А. Талибов видел в труде на благо своего народа. В письме к Хасану Али Гаффари Талибов пишет: «Я тридцать лет уже работаю каждый день. В последнее же время мое самочувствие неважное. Зрение мое с каждым днем ослабевает. Если я не буду читать и писать, мне может быть будет лучше. Но какой смысл, если я не могу жить без духовной пищи» [18]. А. Талибов выражал надежду, что его произведения принесут пользу иранскому народу. И действительно, они имели колоссальное значение для просвещения иранского народа. Книги А. Талибова духовенством в Иране были объявлены запрещенными.

Изучение биографии и творчества А. Талибова и сейчас представляет большой интерес.

А. Талибов скончался 26 февраля 1911 г. в возрасте 77 лет. Похоронен он в Буйнакске на мусульманском кладбище. Могила А. Талибова находится в хорошем состоянии, выделяется внушительными размерами. На могиле стоит высокий, колоннообразный камень, на котором имеется множество надписей на персидском и арабском языках. Ценность этих надписей в том, что указывается дата смерти А. Талибова, т. к. в литературе имеются расхождения по этому вопросу. В надписях год его смерти приводится по европейскому и мусульманскому календарям, а именно — 1329 г. хиджры и 1911 г. европейского календаря, также указываются имя, фамилия, происхождение А. Талибова, приводятся цитаты из корана.

А. Талибов наряду с Зайн-оль-Абидином Мараган и Мирзой Мальком-ханом внес огромный вклад в дело просвещения народов Востока.

1. Литература Востока и новое время, М., 1975, с. 240.
2. Рахнама-ей кетаб, Тегеран, 1960/70, т. 12, №№ 9/10, с. 579.
3. «Дагестанские областные ведомости», 6 марта 1911 (некролог).
4. Кавказский календарь, Тифлис, 1897, с. 180.
5. Дагестанский Государственный архив, Махачкала, фонд 21, опись 3, дело 62.
6. Манafi М. М. Жизнь и творчество А. Талибова, Баку, 1966.
7. Дагестанский Центральный архив, фонд 76, опись 2, ед. хр. 3.
8. А. Талибов, Масайль-уль-хайат (Вопросы жизни), Тифлис, 1906, с. 93.
9. Корур — 150 тысяч.
10. Масайль-уль-хайат (Вопросы жизни), с. 91.
11. Гаджиев А., Просветитель и философ, «Дагестанская правда», 1964, 23 декабря.
12. «М. А. Талибов», Тегеран, 1948, с. 11. Из публикаций Общества культурных связей между Ираном и Советским Союзом.
13. Аръян Пуряхья, Аз Саба та Нима, Тегеран, 1972.
14. А. Талибов, Кетаб-е Ахмед, Стамбул, 1894, с. 81.
15. А. Талибов, Небесный избранник, Грозный, 1906, с. 63.
16. А. З. Розенфельд, Русская литература в Иране и современная персидская проза, «Вестник ЛГУ», 1968, № 20.
17. Из письма А. Талибова Мирзе Абу-ль-Касему Азеру Мортазави, «Рахнама-йе кетаб», 1969/70, т. 12, с. 580.
18. «Рахнама-йе кетаб», 1969/70, т. 12, с. 579.

Представил академик АН Грузинской ССР С. С. Джиква

## ნინო ნაპულავშილი

## ჰიმნობრაზიული ტროპარის ტექსტობრივი დაყოფისათვის

ბიზანტიურ და ქართულ საეკლესიო საგალობელთა ფორმის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნიდან მოყოლებული ამ სფეროში კვლევა ინტენსიურად მიმდინარეობს და შეიქმნა ფუნდამენტური ნაშრომები, საგალობელთა ქართული დეფინიციის საკითხი კვლავ პრობლემად რჩება.

ქართულ საგალობელთა ფორმის კვლევა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის კვლევის შედეგთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია და ამიტომ მიღწევები ამ დარგში მუდამ ექცეოდა ხოლმე ქართულ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ბიზანტიურ საგალობელთა კვლევის ისტორია პირველად სიმონ ყაუხჩიშვილმა მიმოიხილა. „იყო დრო, როდესაც ბიზანტიურ ჰიმნებს პროზაულ ნაწარმოებებად თვლიდნენ და მათში შენიშნული არ იყო სალექსოფობო კანონები“, — აღნიშნავდა მკვლევარი<sup>1</sup>. ეს „სალექსოფობო“ კანონები, კერძოდ კი ჰიმნების სტროფული აგებულება, აქცენტუანობა და სილაბურობა, პირველად პეტერბურგელ მკვლევარს კონსტანტინე იკონომოსს შეუნიშნავს. მიუხედავად ამისა, როცა მისი გამოკვლევის გამოქვეყნებიდან თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ რომში დაისტამბა პიტრას ცნობილი წიგნი<sup>2</sup>, საგალობელთა სტროფული წყობის აღმოჩენა, მათში ირმოსისა და ტროპარის გამოყოფა, მეცნიერებაში სამუდამოდ დაუკავშირდა ქანბატისტ ფრანსუა პიტრას სახელს. ახალი სახის ლექსოფობა „რიტმულ პოეზიად“ მოინათლა და ეს ტერმინი საფუძვლიანად დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ქართულ საგალობლებში კი „რიტმული პოეზიის“ კანონების გამოვლენა პავლე ინგოროყვას ეკუთვნის. როგორც ცნობილია, მან სქელტანიანი ნაშრომი მიუძღვნა საგალობელთა სალექსო ფორმის კვლევას, სცადა მათში ვერსიფიკაციული კანონზომიერების აღმოჩენა და განსაზღვრა მათთვის დამახასიათებელი ლექსოფობის სისტემა, როგორც „სილაბური უკვეთელი ლექსი“<sup>3</sup>.

ქართველ მკვლევართა ნაწილმა არ გაიზიარა პავლე ინგოროყვას გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და საეჭვოდ მიიჩნია საგალობელში მკაცრად ჩამოყალიბებული მეტრული სტრუქტურის არსებობა. კორნელი კეკელიძეს სადავოდ არ ესახებოდა ქართული ჰიმნების პროზაული ფორმა და დაბეჯითებით წერდა ამის შესახებ: „რასაკვირველია, აქ ჩვენ გვაქვს უბრალო პროზაული თარგმანი“<sup>4</sup>. აკაკი გაწერელია მარცხისათვის განწირულად თვლას საგალობლებში სილაბური სიმეტრიის აღმოჩენის ყოველგვარ ცდას<sup>5</sup>. გაიოზ იმედაშვილც ასევე პროზაული მეტყველების ნიმუშად მიიჩნევს ქართულ საგალობლებს<sup>6</sup>.

1 ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1949, გვ. 384.

2 Hymnographie de l'église grecque, publiée par le Cardinal I. B. Pitra, Rome, 1867.

3 პ. ინგოროყვა, ვიორტი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 557, 559.

4 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 590.

5 აკ. გაწერელია, ქართული ვერსიფიკაციისა და ჰიმნოგრაფიის საკითხები, „მნათობი“, თბ., 1969, № 1, გვ. 144.

6 გ. იმედაშვილი, ქართული კლასიკური საგალობლის პოეტიკის საკითხები, „ლიტერატურული ძიებანი“, 13, თბ., 1960, გვ. 184.

როგორც ვხედავთ, პავლე ინგოროყვას შეხედულებების წინააღმდეგ, როგორც თავის დროზე პიტრას თეორიის წინააღმდეგ, მყარი და საფუძვლად დასაყრდენი ოპოზიციის ჩამოყალიბება მიუხედავად ამისა, ქართველ მეკლესიურთა გარკვეულ ნაწილში არ შერყეულა რწმენა, რომ საგალობლები „რიტმული პოეზიის“, ე. ი. სილაბურ ოდენობებზე დამყარებული სალექსო ფორმის, ნიჟუმებს წარმოადგენენ<sup>7</sup>. თუმცა მათთვის დამახასიათებელი „მარცვლედოვნება“ არსებითად სხვაობს კლასიკური ლექსის მარცვლედოვნებისაგან<sup>8</sup>.

რა წარმოადგენს კლასიკური სალექსო ფორმებისაგან ესოდენ განსხვავებული ლექსწყობის, „რიტმული პოეზიის“, არსს? თვითონ ტერმინი, მიუხედავად იმისა, რომ ტავტოლოგიური ხასიათისაა და გარკვეულ უხერხულობას ქმნის, ტენდენციას აშკარად ავლენს. ეს მითითება რატომზე მიგვანაშნებს, რომ ლაპარაკია სალექსო მეტყველების ნიჟუმებზე. თავად რიტმი კი ემყარება არაერთ რომელიმე სტროფში (ტროპარში) შემავალ ტაქტთა იზოსილაბიზმს (ჰიმნოგრაფიული ტროპარის „ტაქტები“, გარდა თორმეტმარცვლიანი იამბიკოსი, არათანაბარმარცვლიანია). არამედ სხვადასხვა ზომის „ტაქტთაგან“ შედგენილი სტროფების კანონზომიერ განმეორებას (დუბლირებას) საგალობელში. ე. ი. სალექსო ფორმას ქმნის არა ერთი რომელიმე ტროპარი (სტროფი) ცალკე აღებული, არამედ მათი ერთობლიობა. აქედან გამომდინარე, ერთი სტროფის ფარგლებში ამ „სალექსო ფორმისათვის“ დამახასიათებელი რიტმის დაჭერა შეუძლებელია. მკითხველმა თვალი უნდა გაადევნოს რამდენიმე სტროფს, რადგან მხოლოდ მათი ურთიერთშეთანაბრების საფუძველზე მეკლესიურად ის პროპორციები, რომელსაც „რიტმული პოეზიის“ მომხრენი სალექსო რიტმად მიიჩნევენ. ეს პროპორციები ტექსტის კითხვისას ზედაპირზე არ დევს და თვალშისაცემი არ არის. ამას კარგად მოწმობს ისიც, რომ მათ აღმოჩენასა და გამოვლენას სპეციალური გამოკვლევები დასჭირდა.

საგალობელში შენიშნული პროპორციების კვალიფიცირება „რიტმულ პოეზიად“, სილაბურ ლექსად, თავის დროზე საფუძვლიანად გააკრიტიკა ე. ლოვიაგინმა<sup>9</sup>. ლოვიაგინის ძირითადი დებულებები განხილული აქვს აკაკი გაწერელისა<sup>10</sup>. ამიტომ ჩვენ მათზე აღარ შევჩერდებით.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კორნელი კეკელიძემ წამოაყენა ძირითადი არგუმენტი ხელნაწერთა პუნქტუაციის მიხედვით საგალობლის ტაქტებად დაყოფის წინააღმდეგ. იგი შეცდომად თვლიდა ხელნაწერებში არსებული „განკვეთის ნიშნების“ (ორი წერტილი) მიხედვით საგალობლის ტექსტის ტაქტებად დალაგებას, როგორც ამას პავლე ინგოროყვა აკეთებდა. კორნელი კეკელიძის აზრით, ამ „განკვეთის ნიშნათა“ შორის მოთავსებული ტექსტის ნაწილი არ წარმოადგენს სალექსო ტაქტს. ეს გამომდინარეობს შემდეგიდან: თუ ამ წერტილებს დაკისრებული ჰქონდათ ტაქტამყოფი (აგრეთვე, ნახევარტაქტის აღმნიშვნელი) ფუნქცია, მაშინ თორმეტმარცვლიან იამბიკოში მოსალოდნელი იყო მათი არსებობა ტაქტის ბოლოს (ანუ თორმეტი მარცვლის შემდეგ) და ცუზურის ადგილას (შვილი ან ხუთი მარცვლის შემდეგ), მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ეს ასე არ არის!<sup>11</sup>.

7 ე. მეტრეველი, ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, თბ., 1971, გვ. 043; ლ. კვიციანი, შვილი, პირობითი კანონის კომპოზიცია, თბ., 1982, გვ. 10; ლ. ხაჩიძე, ითან მინჩის პოეზია, თბ., 1987, გვ. 46.

8 ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 045.

9 Е. И. Ловягин. О форме греческих церковных песнопений, Христьянское чтение, март-апрель, Спб., 1876, გვ. 431—491.

10 აკ. გაწერელია, დასახ. ნაშრ., გვ. 141—146.

11 კ. კეკელიძე, ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ, „ლიტერატურული ძიებანი“, 11, თბ., 1958, გვ. 454.

მიქაელ მოდრეკელის კრებულში გადამწერი იამბიკური ფორმით დაწერილ საგალობლებთან ასეთ შენიშვნას აკეთებს: „ყოველსა მუხლსა და შეტყუება აქუს, ე ჭერ იზ, ფრთხილო, შენ გულისკმა ყავ და ჩემთვის ლოცვა ყავ“. ე. ი. გვაფრთხილებს: თითოეული 60-მარცვლიანი ტროპარი ხუთი თორმეტმარცვლიანი ტაეპისაგან შედგება. წერტილებს რომ ტაეპგამყოფი ფუნქცია ჰქონოდათ დაკისრებული, გადამწერს ჩვენი ასე საგანგებოდ გაფრთხილება აღარ დასჭირდებოდა. ჩვენ თვითონ დაყოფდით ტექსტს ტაეპებად დიაკრიტიული ნიშნების მიხედვით. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, უმეტეს შემთხვევაში ამ საგალობლებში წერტილების მიხედვით დაყოფილი ტექსტი იამბიკოს ბუნებრივ დაყოფას არ ემთხვევა<sup>12</sup>. ასეთი საგანგებოდ გაფრთხილება ამ საგალობლებთან ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ იამბიკო თავისი მოწესრიგებული სილაბური სტრუქტურით გამოჩაყლის წარმოადგენს საეკლესიო საგალობელთა შორის.

„განკვეთის წერტილთა“ შუა მოქცეული ტექსტის ნაწილის კვალიფიცირებას სალექსო ტაეპად ხელს უშლის ისიც, რომ ეს ნაწილი არ წარმოადგენს სემანტიკურად დასრულებულ ოდენობას, წერტილები ხშირად ცალკეულ სიტყვებსაც კი ჰყოფენ შუაზე.

სალექსო სისტემას თავისი შინაგანი ლოგიკა აქვს, რომლის მიხედვითაც ჩვენ ადვილად შეგვიძლია ამა თუ იმ სალექსო ფორმის რეკონსტრუქცია, მისი გრაფიკული სახის მიუხედავად. თორმეტმარცვლიან იამბიკოსაც იოლად დავალაგებთ სტრიქონებად „განკვეთის ნიშანთა“ გარეშეც.\* იამბიკურ საგალობელში „განკვეთის წერტილთა“ გადანაცვლება-გადმონაცვლება ვერ დაარღვევს სალექსო საზომს. ისევე, როგორც ვერ შექმნის მას სხვა ტიპის (არა-იამბიკურ) საგალობლებში. ამ დიაკრიტიულ ნიშნებს რომ საზომის აღნიშვნის ფუნქცია ჰქონოდათ დაკისრებული, ჩვენ მათ გარეშეც შევიძლებდით საგალობლის ტექსტის ტაეპებად დაყოფას (ლაპარაკია არაიამბიკურ საგალობლებზე), რადგან ამას თვით სალექსო სტრუქტურა გვიკარნახებდა. მაგრამ საქმარისია, ამოვუშალოთ ტექსტში ეს წერტილები, რომ ვერაფერთარი ლოგიკა ვეღარ მიგვანიშნებს მათ თვდაპირველ ადგილებს. მაშასადამე, საგალობლის ტროპარის დაყოფა მათი საშუალებით ტექსტის შინაგანი სტრუქტურით, საზომის ლოგიკით კი არ არის ნაყარნახევი, არამედ ეკუთვნის გარედან დატანილ სისტემას (მუსიკალურ სისტემას).

მუსიკალურ ნიშნებად მიიჩნევენ „განკვეთის წერტილებს“ ე. ლოვიჯანი, კ. კეკელიძე, გ. იმედაშვილი, ვ. გვახარია<sup>13</sup>. ის მარცვლობრივი დაყოფაც, რომელიც ამ წერტილთა საშუალებით ხორციელდება საგალობლის ტექსტში, მუსიკალურ სისტემაზე მიგვიითივებს და არა სალექსო საზომზე. როგორც აღვნიშნავს ვეფა გვახარია: „აქ არსებითია არა ტექსტის მარცვლობრივი რაოდენობა, არამედ თვით ის სისტემა, რომელიც მუსიკალურ ლიტერატურაში იოხანე დამასკელის სახელთან არის დაკავშირებული, ესაა ოქტოიხოსის ხმათა კონსტრუქციის პრინციპი, რომლის საფუძველიცაა გარკვეული დაკანონებული მელოდიური სტრუქტურა, ან ჰანგი და ამ ჰანგთან შედარებითაა ტექსტის მარცვლობრივი მხარე გამართული“<sup>14</sup>.

როგორც ვხედავთ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის

12 იხ. მიქაელ მოდრეკელის ჰიმნები, II, ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ვეფა გვახარია, თბ., 1978, გვ. 60, 69, 131, 370, 410, 435.

13 აკ. გაწერულია. დასახ. ნაშრ., გვ. 143; კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 454; გ. იმედაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 215; ვ. გვახარია, მიქაელ მოდრეკელის ჰიმნები, I, გვ. 0237.

14 ვ. გვახარია, იქვე, გვ. 0237.



ემპევემ არის დაყენებული „განკვეთის წერტილთა“ შორის მოქცეული ტექსტის ნაწილის მიჩნევა საგალობელში საღმრთო ტაეზად, რაც „რიტმულუნიკური ეზის“ საფუძველს წარმოადგენს. ანალოგიურ დასკვნამდე მივიდნენ ბერძნული ტექსტების მკვლევარნიც, როგორც ელენე მეტრეველი აღნიშნავს, C. Höeg-ის აზრით, წერტილებში მოქცეული რიტმული მონაკვეთების ღირებულება არ არის განსაზღვრული. ეს კი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ხელნაწერების პუნქტუაცია ასახავს წმინდა მუსიკალურ დაყოფას, რომელიც მეორე — ტექსტობრივი დაყოფის გვერდით არსებობდა<sup>15</sup>.

ბუნებრივია, ასეთი დასკვნების შემდეგ ისმის კითხვა — თუ ხელნაწერთა პუნქტუაცია მუსიკალურ დაყოფას აღნიშნავს, რაც საეკლესიო დამაჯერებელი ჩანს, როგორი უნდა ყოფილიყო ტექსტობრივი დაყოფა? ან არსებობდა კი იგი საერთოდ? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდას წარმოადგენს ჩვენ ნაშრომი.

ჰიმნოგრაფიული ტროპარის კომპოზიცია ზუსტად იმეორებს ბიბლიურ საგალობელთა მუხლის აგებულებას. ჰიმნოგრაფიული კანონის შინაარსობრივი მიმართება ბიბლიურ საგალობლებთან ცნობილია. ჰიმნოგრაფიული კანონის ცხრა ოდას საფუძვლად დაედო ცხრა ბიბლიური საგალობელი: აქედან რვა ძველი, ხოლო ერთი ახალი აღთქმიდან<sup>16</sup>. ეს საგალობლებია: უგალობდითსა (გამოსვლათა, 15, 1—19), მოიხილესა (მეორე სჯულისა, 32,1—43), განძლიერდასა (პირველი მეფეთა, 2,1—10), უფალო მესმასა (წინასწარმეტყველება ამბაკუმისა, 3,1—19), ღმთიფანსა (წინასწარმეტყველება ესაიასი, 26,9—19), ღაღატყავსა (წინასწარმეტყველება იონასი, 2,3—10), კურთხეულარსა (წინასწარმეტყველება დანიელისა, 3,26—55), აკურთხევდითსა (წინასწარმეტყველება დანიელისა, 3,57—88). აღიდებდითსა (სახარება ლუკასი, 1,46—55)<sup>17</sup>. ამიტომაც მიმართეს მკვლევრებმა ებრაულ პოეზიას ბიზანტიური ჰიმნების ფორმის კვლევისას. თუმცა ეს თავისთავად სწორი ორიენტაცია ვერ ასცდა ზიგზაგებსა და ცდომილებებს. ამის მიზეზი იყო ის, რომ ამ მკვლევრებმა (ბიკელი, მეიერი, გრიმე, სივერსი) აპრიორად მიიჩნიეს პიტრას შეხედულება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაზე და ებრაულ პოეზიასაც სწორედ ამ კუთხით მიუღწერნ. ცნობილია, რომ ბიკელისა და სივერსის გახმაურებული ცდები, ბიბლიურ პოეზიაში სილაბური კანონზომიერებების ძიებისა, მარცხით დამთავრდა<sup>18</sup>. ებრაული პოეზია არ ეყრდნობა სილაბურ ოდენობებს, ამიტომ პარადოქსულია ბიკელის განცხადება, რომ მარცვალთა რაოდენობა საზომში მათი სიგრძე-სიმოკლის მაგიერ ბიზანტიურმა ჰიმნოგრაფიამ ებრაულიდან მიიღო<sup>19</sup>.

ბიბლიის პოეზია ორგანულად არის დაკავშირებული მუსიკალურ განმარტებებთან (კანტილაცია), ამიტომ მყარ მეტრულ სქემებს ის არ იძლევა. ბიბლიურ საგალობელთა მუხლი (ფასუქი) ჩვეულებრივ ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილის პაუზას ზოგჯერ ცეზურასაც უწოდებენ. მასზე უფრო გრძელია მეორე ნაწილის პაუზა, რადგან იგი მუხლის დასასრულს ემთხვევა. თითოეულ ამ პაუზას ორი განსხვავებული სახე აქვს. სწორედ ამ ორი სხვადასხვა ღირებულების პაუზის (მუხლის შუაში — „ეთნახისა“ ან „ყოლე ვეიორედის“ და

<sup>15</sup> ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 078.

<sup>16</sup> К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века, Тифлис, 1912, გვ. 324.

<sup>17</sup> აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმის ორი უკანასკნელი გალობა დანიელის წინასწარმეტყველებიდან დღევანდელ ებრაულ ბიბლიაში არ არის. ისინი შემოვიწინა ბერძნულმა ბიბლიამ, სექტუაგინტამ.

<sup>18</sup> А. Эфрос, Библиенская лирика, журн. „Восток“, кн., 2, М.—П., 1923, გვ. 20.

<sup>19</sup> А. Васильев, О греческих церковных песнопениях, В. Вр., т. 3, вып. 3,4 Спб., 1896, გვ. 627.



მუხლის ბოლოს — „სილუკისა“ ან „სოფ ფასუკის“) მონაცვლეობა ქმნის განსხვავებულ ფორმებს. მუხლის (ფასუკის) თითოეული ნაწილი თავის მხრივ თვითონაც იყოფა ნაწილებად შედარებით მოკლე პაუზებით. ჩვენთვის საინტერესო ბიბლიურ საგალობლებში ფასუკი ძირითადად წარმოდგენილია ერთი ფორმით — შუაში ეთანხის პაუზით (ამ ძირითადი პაუზით გაყოფილი ნაწილები თავის მხრივ შეიძლება კიდევ იყოფოდეს). ბიბლიის პოეზიაში, სადაც მუხლები ორნაწილიანი ან ოთხნაწილიანი (შესაძლებელია სამ- და ხუთნაწილიანიც) პარალელიზმებით არის გადმოცემული, დიდი მნიშვნელობა აქვს მეორეხარისხოვან, მცირე პაუზურ აქცენტებს, რომლებსაც ჩვენ მიერ წარმოდგენილ ტექსტებში აღვნიშნავთ ერთი ვერტიკალური ხაზით (შესაბამისად მთავარი პაუზა, ანუ ეთანხის პაუზა, აღინიშნება ორი ვერტიკალური ხაზით, მუხლის დასასრულის პაუზა — სამი ვერტიკალური ხაზით). ტექსტის კომპოზიცია კი ოთხნაწილიან პარალელიზმებში ასეთ აზრობრივ მიმართებებს გვაჩვენებს: ა) პირველი ნაწილი შეესაბამება მეორეს (მისი აზრობრივი პარადიგმა), მესამე — მეოთხეს, ბ) პირველი მესამეს, მეორე — მეოთხეს<sup>20</sup>. მაგალითად:

ēykāh iredōp ahād elep | ūšenaim yānisū rebāhāh || im—lō kī—sūrām mekārām | wayhōāh hisegī.ām ||

πῶς διήρεται εἰς χιλιούς | καὶ δύο μεταξυσήσασιν μυσιδάς, || εἰ μὴ ὁ θεὸς ἀπέθοε αὐτοῖς | καὶ κήρυξ καρθεῶν αὐτοῖς: ||

ვითარმე იოტოს ერთმან ათასებში | და ორმან წარიქცის ბევრები. ||  
 არა თუმცა ღმერთმან განიჭა იგინი | და უფალმან მისცა იგინი || (მეორე სჯულს 32, 30)

ეს არის ტიპური სახე ოთხწევრიანი პარალელიზმისა შუაში „ეთანხის ცეზურით“ (მთავარი პაუზა). ამ ორად გაყოფილი მუხლის თითოეული ნაწილი თავის მხრივ კიდევ ორად იყოფა მცირე პაუზებით. მცირე პაუზების შემდეგ ახალი წევრი და კავშირით იწყება (ქართულ საგალობლებში და კავშირის პაუზალურ მნიშვნელობას ვაჟა გვახარიაძემ მიაქცია ყურადღება).

შედარებთ ჰიმნოგრაფიული ტროპარი:

მოგუებალა ჟამი გამოხსნისაი | და დღე მაცხოვრებისა ჩუენისაა || რამეთუ ბეთლემს შინა იშვების კორცითა მაცხოვარი უძლოსაგან დედისა | და კუალდ აგებს სამოთხედ აღამს ნაშობოთურთ მისით ||<sup>21</sup>.

მეორე ტიპის ოთხწევრიანი პარალელიზმი, რომელშიც პირველი წევრი შეესაბამება — მესამეს და მეორე — მეოთხეს, შედარებით იშვიათია. ა. მაგიდს ასეთი მაგალითი მოჰყავს:

(teḥiēmū wetitā'emō behar na'alāt[hā] mākōn lešibte[hā] | pā'alā yehōāh || miqdās | adōnāy kōnenū yādēhā ||

είσομαγυῶν κατὰρῶσασου ἀδισὺς εἰς ἄρως ἀληθινῶν(ας σου) εἰς ἔσομα κατὰρῶσῆρῶσ σου, | ὃ κατὰρῶσῶ, κήρυξ, || ἀρῶσῶμα, κήρυξ, | ὃ ἔσομασῶν αἰ χεῖρὲς σου ||

(შეიყვანენ და დაჰწერენ იგინი მთასა მკედრობისა შენისასა) განწმადებულსა სამკედრებელსა შენსა, | რომელ ჰქმენ, უფალო, || სიწმიდე(ში), უფალო, | რომელ განჰმზადეს (ქელთა შენთა, უფალო! || (გამოსვლათა, 15, 17).

სამწევრიანი პარალელიზმი:

ūberūāh apēy[hā] ne'erēm—ma'im | nišebū kemō-ned nōzelim || qāpeū teḥōmōt beleb—yām ||

<sup>20</sup> ებრაული ფსალმოდის შესახებ იხილეთ: А. Магид, О древнееврейской музыке и о псалмодии евреев, De musica, Временник отдела теории и истории музыки, вып., 3, Л., 1927, გვ. 140—154; აგრეთვე, Еврейская Энциклопедия, т. 9, Спб., გვ. 225—229.

<sup>21</sup> მთაველ მოდრეკილის ჰიმნები, 11, გვ. 49.

και δια παθματος τοσ μισοσ σωσ διειση τσ εδωρ | επάγγ ωσι τσ εχοσ τσ εδωρ  
|| επάγγ τσ κμαια εν μεσθ τησ θαλλισσησ |||

და სულისაგან გულისწყრომისა შენისა განიყო წყალი, | შეჰყინდეს ვითარცა ზღუდენა  
წყალნი, || შეჰყინდეს ლეუანისა შუა ზღუასა ||| (გამოსვლათა, 15, 8).

შეადარეთ ჰიმნოგრაფიული ტროპარი:

მოგუთა მოუწოდე ვარსკვლავისაგან, ქველისმოქმედი, | და ძლუნისა შეწირვითა ესენა გა-  
ნაყენენ კერპთმსახურებისა საკუთრისაგან || და სარწმუნოებასავე დაამტყიცენ მგალობლად შე-  
ნისა ღმრთეებისა |||<sup>22</sup>.

ორწვერიანი პარალელიზმი:

haazinū hašama'im waadaberāh || wetišma' hāāreš imre—pī ||  
პირსეჲ, იბრანს კაი ლაღისთ || კაი ძიოსეთო გჲ რჲმათა ეკ სთომატოს მოს |||

მოიხილე, ცაო, და ვიტყვოდი, || და ისმენდინ ქუეყანაი სიტყუათა პირისა ჩემისათა ||| (მე-  
ორე სჯულის, 32, 1).

შეადარეთ ჰიმნოგრაფიული ტროპარი:

დაემკედრა მტეელსა ქალწულისასა || და მისგან იშვა უხილავი ძმ ღმრთისა |||<sup>23</sup>.

შეადარებით იშვიათაი ხუთწვერიანი პარალელიზმები:

reū 'ajāh kī anī anihū | weeyn elōhim 'imādī || anī amīṭ waahayeh | māhāseī  
waanī erepā | weeyn miyādī mašīe |||

შბეთ: შბეთ თუი ღჲთ იჲმი, | კაი ითხ მსთო მსთოს პღჲთ ჲმოთ || ჲგჲთ ძმოკთეუთ კაი  
ღჲთ პოიჲთო, | კაი ძგჲთ, კაი გჲთ იაშომაი | კაი ითხ მსთო თგჲთ გგჲთ ჲსთი კაი თჲთ ჲმძი  
მოს |||

იხილეთ, იხილეთ რამეთუ მე ვარ | და არა არს სხუა ღმერთი ჩემსა გარეშე, || მე მოვკუ-  
დინი, მე ვაცხოვნე, | მე მოვწყლი, მე განვეყრნი | და არა არს, რომელნი განერეს კელსა ჩემ-  
სა ||| (მეორე სჯულის, 32, 39).

შეადარეთ ჰიმნოგრაფიული ტროპარი:

ვედრებასა ჩემსა განჰჰენ უფლისა მიმართ, | და მას აუვარებ ბრალთა ჩემთა მარადის || რა-  
მეთუ ბოროტთა ავისო სული ჩემი | და სიმტყიცეა ჩემი ჯოჯოხეთა მიეახლა | და იონაისებრ  
ვღალადებ აღმოიყვანე მე ღმერთო ჩემო |||<sup>24</sup>.

ბიბლიურ საგალობელთა მუხლების სახეთა პარალელიზმის პრინციპით აგე-  
ბა მეცნიერებაში ცნობილი ფაქტია. შარლ ლეტურნო პარალელიზმის სამ სა-  
ხეს გამოყოფს: 1. როცა ერთი და იგივე აზრის გამეორება ხდება თითქმის  
ერთი და იგივე სიტყვებით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უბრალო უხესიტყვა-  
ობასთან, 2. როცა პარალელიზმის მეორე წვერი ეყრდნობა პირველ ნაწილში  
გამოთქმულ იდეას და თითქოს ავითარებს მას, 3. როცა პარალელიზმის ნაწი-  
ლები ერთმანეთს უპირისპირდებიან აზრობრივად<sup>25</sup>.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ქრისტიანულ საგალობელში პარალელიზმთა  
სემანტიკა უფრო გართულებულია. აქ აზრობრივი პარადიგმები ზშირად ეყრ-  
დნობიან არა უბრალო განმეორებას ერთი და იმავე აზრისას, არამედ თეოლო-

<sup>22</sup> უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საჩიებლები დაურთეს  
ელ. მერტერველმა, ც. ჰანკიემა და ლ. ხეგსტრიანმა, თბ., 1980, გვ. 16.

<sup>23</sup> უძველესი იადგარი, გვ. 19.

<sup>24</sup> ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 31.

<sup>25</sup> III. Летурно, Литературное развитие различных племен и народов, Спб., 1895,  
გვ. 201.

გაიში ცნობილ ალეგორიულ მიმართებებს ძველი და ახალი აღთქმის მოვლენათა შორის.



ტექსტის ამგვარ ორგანიზაციას მოითხოვს ებრაული ფსალმოდია, თავის მხრივ ბიბლიის მელოდიური მეტყველება, კანტილაცია, ემსახურება ტექსტის სწორ წაკითხვას. ბიბლიური კანტილაციური ნიშნები, ანუ აქცენტები, ერთდროულად ასრულებენ რიტმული, გრამატიკული და ლოგიკური (სასვენი ნიშნები) მახვილების ფუნქციებს<sup>26</sup>. ასე რომ, ებრაული ფსალმოდია ტექსტის დეკლამაციური და რეჩიტაციული შესრულების საშუალება უფროა, ვიდრე დამოუკიდებელი მუსიკალური სისტემა. იგი ხელს უწყობს, აგრეთვე, ტექსტში აზრობრივად მნიშვნელოვანი ადგილების ხაზგასმას. ზემოთ მოყვანილ ტექსტებში ჩვენ ვნახეთ, რომ პარალელიზმის შესაბამისი წევრები (აზრობრივი პარადიგმები) სილაბურად თანაზომიერი არ არის, მაგრამ მათ ათანაბრებს მელოდიური დეკლამაცია, ისე, რომ ტაქტი არ ირღვევა. ებრაული ფსალმოდია ტექსტის მუსიკალური შესრულების ბუნებრივი და ძალდაუტანებელი ფორმაა. ამიტომ სხვა ენაზე ბიბლიურ საგლობელთა თარგმნის დროს მისი გადატანა რაიმე სიძნელეს არ წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ, ოქტოიხოსის ხმათა პრინციპისაგან განსხვავებით, ის არ იყო მკაცრად დაკანონებული სისტემა და იმპროვიზირების საშუალებას იძლეოდა. ცნობილია ისიც რომ თავდაპირველად ქრისტიანულ საგლობლებში ჭარბობდა ფსალმუნური ელემენტი<sup>27</sup>. ჰიმნოგრაფიულ ტროპართა ტექსტის ორგანიზაციამ დაგვანახვა, რომ ჰიმნები თავიდან სწორედ ფსალმოდის პრინციპზე იგებოდა.

ტექსტის ამგვარი (ე. ი. პარალელიზმებად) დაყოფა ქართულ საგლობლებში (უძველეს იადგარში) პირველად პავლე ინგოროყვამ შეამჩნია. მანვე მიუთითა, რომ ქართული ბიბლიის ზოგიერთ ხელნაწერში საგლობლები წარმოდგენილია ისეთივე დაყოფით, როგორც ეს ორიგინალში (ებრაულ ბიბლიაში) იყო მოხსალოდნელი. მამსადაძემე, ქართულად გადმოტანილი ყოფილა არა მარტო შინაარსი, არამედ ფორმაც ბიბლიური საგლობლებისა. ეს ფორმა პავლე ინგოროყვამ ებრაულიდან მომდინარე, მაგრამ მაინც ქართული ლექსის დამოუკიდებელ სახეობად გამოაცხადა და უწოდა „წყობილ სიტყუა რიცხუელი“. მისი აზრით, ამ ლექსის რიტმს შინაარსობრივად შეკრული ტაეპების რიცხვი განსაზღვრავდა, ე. ი. მისთვის დამახასიათებელი იყო „რიცხველობა“ და არა „მარცვლელობა“ ტაეპებისა<sup>28</sup>.

ამგვარ განსაზღვრებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რადგან ებრაული ფსალმოდის პრინციპების განხილვისას ტექსტისა და მისი მელოდიური გახმოვანების გათიშვა ყოველად შეუძლებელია. თანაც ებრაულ პოეზიაში ვალობის რიტმისათვის პარალელიზმის წევრთა რიცხვს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება, მთავარაა შესაბამისი წევრთა მელოდიურა შეთანაბრება და ტაქტის შენარჩუნება. განსხვავებულ რიტმულ ფორმებს აქ სხვადასხვა სიგრძის პაუზათა მონაცვლეობა ქმნის და არა პარალელიზმის წევრთა რიცხვი.

3. ინგოროყვას აზრით, საგლობლები „წყობილ სიტყუა რიცხუელით“ მხოლოდ გარკვეულ პერიოდამდე იწერებოდა (მე-8 საუკუნემდე), შემდეგ ეს ფორმა შეცვალა „სავალბელთა მარცვლემამ“ (სილაბურმა უკვეთლამა ლექსმა), ანუ იმან, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში „რიტმულ პოეზიას“ უწოდებენ.

საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ სილაბური სალექსო სისტემა („რიტმული პოეზია“) ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში იოანე დამასკელმა დაამკვიდრა.

26 კანტილაციის შესახებ იხ: ა. მაგიდის სტატია და ებრაული ენციკლოპედია.  
27 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 588.  
28 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 709-734.

„VIII საუკუნიდან ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიაში იწყება ახალი ე. წ. საბაწმიდური პერიოდი. საბაწმიდის შესანიშნავ პოეტ-მელოდოსტმა იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის სახელთანაა დაკავშირებული ამ დროს ბიზანტიის ჰიმნოგრაფიასა და მუსიკის დარგში ჩატარებული დიდი რეფორმა. ჰიმნოგრაფიის ადგილი ლეთისმსახურებაში განუზომლად გაიზარდა, კანონმა მიიღო დადგენილი სახე, პროზაული ჰიმნები შეცვალა რიტმულმა გალობამ, რომელიც ძლისპირ-ტროპარის თანაფარდობას ემყარება“<sup>29</sup>.

იოანე დამასკელის რეფორმის შემდეგ ტროპართა საერთო მარცვლობრივ შეთანაბრებას თან დაერთო ტექსტში დიაკრიტული ნიშნების (ორი წერტილი) გაჩენა. ამ ნიშნების მიხედვით, ტროპარი იყოფა მცირე მონაკვეთებად და ეს დაყოფა მეტ-ნაკლები მარცვლობრივი სიზუსტით მეორდება მომდევნო ტროპარებშიც. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საგალობელი იქცა სილაბურ ლექსად, მარცვლობრივ ოდენობებზე დამყარებულ სალექსო ფორმად (რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ თორმეტმარცვლიან იამბიკოს). ამგვარ დაყოფას მოითხოვდა ის მუსიკალური სისტემა, რომელიც იოანე დამასკელის სახელთან არის დაკავშირებული (ოქტოიხოსის ხმათა პრინციპი). როგორც აღვნიშნეთ, მკვლევართა უპირაღვლესობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს ნიშნები ასახევენ მუსიკალურ დაყოფას.

ჩვენი აზრით, ჰიმნოგრაფიული ტროპარის ტექსტობრივი დაყოფა როგორც რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგ ტრადიციულად ემყარება პარალელიზმის პრინციპს. ამიტომ საყარადებელი იყო, რომ მუსიკალური პუნქტუაციის გვერდით რომელიმე ხელნაწერს შემოენახა ეს ტექსტობრივი დაყოფაც. მართლაც, უძველეს  $KaO$  ირმოლოგიონში (sin. 34)<sup>30</sup> არსებული ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ამ ხელნაწერის ძლისპირთა პუნქტუაცია სწორედ ტექსტობრივ დაყოფას გვიჩვენებს.

მოგვყავს ტექსტი ხელნაწერისეული პუნქტუაციით (ორი წერტილი):

ესმა მოსლავა შენი დიდებული: და დაუვირდა ამბაკუმ ქრისტე: და შიშით ღალადებდა გამოხუედ მაქოვრად ერისა შენისა: და ქსნად ცხებულთა შენთა: (გვ. 19).

როგორც ვხედავთ, ეს არის ტიპური ოთხწევრიანი პარალელიზმი, შესაბამისად (ოთხ ნაწილად) დაყოფილი ხელნაწერისეული პუნქტუაციით.

სამწევრიანი პარალელიზმი:

გალობით მითა სიხარულსაითა გაქებდა ეკლესია შენი ქრისტე: განწმიდნა რამ იგი სისხლითა მაგით: რომელიცა გარდამოვდა გუერდსა საღმრთოსა წმიდასა: (გვ. 29).

ორწევრიანი პარალელიზმი:

უფროსად ამაღლებულმან ღმერთმან მამათა ჩუნეთამან საქმილი მოტყინარჲ ყრმათა მათ განუქარვა: და იგინი ღალადებდეს ღმერთო შენ კურთხეულ ხარ: (გვ. 21).

ხუთწევრიანი პარალელიზმი:

ესაია მზიარულ იყავ ქალწულმან მუცლად-ილო: და შვა ძმ დაუსაბამო ევმანუელ ღმერთი და კაცი: აღმოსავალ სახელი მისი: მას ვაღიდებდეთ: და რომელმან შვა იგი ვნატრიდეთ: (გვ. 21).

ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერიდან (sin. 34) ამ გამოცემაში შესულია ძლისპირთა ერთი აკოლუთია (64 ძლისპირი). ამათგან 36 ძლისპირის ხელნაწერისეული პუნქტუაცია ზუსტად ემთხვევა ტექსტის ლოგიკურ პაუზებს, ე. ი. წარმოადგენს მის ტექსტობრივ დაყოფას პარალელიზმის პრინციპით (N<sub>1</sub>N<sub>2</sub> 1, 2, 4, 5, 6, 7, 9, 13, 14, 15, 16, 18, 19, 20, 22, 23, 24, 28, 29, 35, 36, 38, 40, 41, 42, 43, 45, 46, 48, 50, 51, 52, 53, 58, 60, 61). გამომცემელს აქვე, უძველესი  $KaO$  ირმოლოგიონის ძლისპირთა გვერდით (sin 34), მოუთავსებია

<sup>29</sup> ელ. მეტრეველი, ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 07, 08.

<sup>30</sup> ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა, იხ.: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 3—33.



რევიე ტექსტები სხვა ხელნაწერთა მიხედვითაც, რომელთა პუნქტუაციაც. ჩვე-  
ნი აზრით, sin. 34-საგან განსხვავებით, მუსიკალურ დაყოფას ასახავს. მათი  
შედარება საშუალებას მისცემს მკითხველს დაინახოს განსხვავება მუსიკალური  
და ტექსტობრივ დაყოფას შორის:

Sin 34

განმაძლიერებელ მექმენ დამბადებულო ცი-  
სა და ქუეყანისაო: წყალთა ზედა დამამტკი-  
ცი მე ქრისტე:  
ეკლესიისა კლდესა ზედა: რამეთუ არავინ  
არს წმიდა შენებრ კაცთმოყუარე:

Sin 65

განმაძლიერებელ მექმენ მე დამბადებულო:  
ცისაო და ქუეყანისაო წყალთა ზედა:  
დამამტკიცე მე ქრისტე:  
ეკლესიისა კლდესა ზედა:  
რამეთუ არავინ არს წმიდა შენებრ კაცთ-  
მოყუარე:

როგორც ვხედავთ, მუსიკალური პუნქტუაცია ანგარიშს არ უწევს ტექს-  
ტის ლოგიკურ პაუზებს, (ზოგჯერ იგი სიტყვებსაც კი ყოფს შუაზე).

დასკვნის სახით ყოველივე ზემოთ თქმული შეიძლება შემდეგნაირად შევა-  
ჯამოთ: სავარაუდოა, რომ იოანე დამასკელის მუსიკალური რეფორმა მიმარ-  
თული იყო ჰიმნოგრაფიაში ებრაული ფსალმოდის პრინციპების წინააღმდეგ.  
ტექსტის დეკლამაციური მელოდიურობა, ბუნებრივი რეჩიტაცია შეცვალა  
მკაცრად დაკანონებული სტრუქტურის მქონე მუსიკალურმა სისტემამ (ოქტო-  
ნოსის ხმათა პრინციპი). ამ სისტემის ნორმატიულმა ხასიათმა, სტერეოტიპე-  
ბისაკენ მისწრაფებამ გამოიწვია ის, რომ დაირღვა ტექსტის ლოგიკური და  
მუსიკალური პაუზების ერთიანობა, მათი ურთიერთგანპირობებულობა, რაც  
აუცილებლობას წარმოადგენდა საგალობლის ფსალმოდის პრინციპით შეს-  
რულებისას. ტექსტის მარცვლობრივი მხარეც, ტროპართა მარცვლობრივი შე-  
თანაბრება, მოწესრიგდა მასზე მელოდიური ფორმულების განლაგების თვალ-  
საზრისით და არა ვერსიფიკაციული სისტემის მიხედვით. კომპოზიციურად კი  
ჰიმნოგრაფიულმა ტროპარმა (ტექსტმა) შეინარჩუნა თავდაპირველი აგებუ-  
ლება, თუმცა ფსალმოდის პრინციპების შეცვლასთან დაკავშირებით პარალე-  
ლიზმის წვერთა გამყოფი პაუზური აქცენტების (ნიშნების) ღირებულებაც მო-  
იშალა და ტექსტუალური დაყოფა მთლიანად გამოეთიშა მუსიკალურ პუნ-  
ქტუაციას. ერთმანეთს ასცდა მუსიკალური და ლოგიკური პაუზები.

Н. Ф. НАКУДАШВИЛИ

К ВОПРОСУ ТЕКСТУАЛЬНОГО ДЕЛЕНИЯ  
ГИМНОГРАФИЧЕСКОГО ТРОПАРЯ

Форма грузинских церковных песнопений является одним из  
спорных вопросов литературоведения. Большинство ученых пришли  
к выводу, что пунктуация древних рукописей — это музыкальные  
знаки, не имеющие никакого отношения к стихотворному ритму.  
Было высказано и такое мнение, что, вполне возможно, рядом с  
этими чисто музыкальными знаками употреблялись знаки, озна-  
чающие текстуальное деление.

Мы предполагаем, что композиция гимнографического тропаря  
повторяет построение стиха известных библейских песнопений, и, сле-  
довательно, текстуальное деление в тропарях было обусловлено  
принципами еврейской псалмодии. Пример такой текстуальной пунк-  
туации (показывающий композицию литературного текста) сохрани-  
ла нам одна из древних рукописей sin. 34.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართუ-  
ლი ლიტერატურის ინსტიტუტის ლექსმცოდნეობის ჯგუფი  
წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

## დარეზან თვალთვალი

## ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიული ხასიათის სქოლიოებისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიზანშეწონიანობის

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი XI საუკუნის ქართველი მთარგმნელის, მეცნიერის, ფილოლოგის ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის თავისებურებანი. ეფრემი მის მიერ ბერძნული ენიდან თარგმნილ ძეგლებს, ბიზანტიურ მწერლობაში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, არშეიბზე უხვად ურთავდა შენიშვნებს, ანუ როგორც თვითონ უწოდებს „შეისწავეებს“, „სქოლიოებს“, „განსაზღვრებანს“, „სიტყვადართულობებს“, სადაც მთელ რიგ ლიტერატურულ-ისტორიული, ფილოსოფიური, ტექსტოლოგიური, გრამატიკული და ლექსიკოგრაფიული ხასიათის ცნობებს გვაძლევს. ამ შენიშვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების, ზოგჯერ ბიზანტიური ლიტერატურისა და კულტურის ისტორიისთვისაც. საინტერესო მასალას შეიცავენ ისინი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, ლექსიკოგრაფიის, ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის, ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შესასწავლადაც. ეფრემის ნათარგმნი ძეგლები ფილოლოგიურად შესწავლილი და გაანალიზებული ტექსტებია, რომლებსაც სათანადო სამეცნიერო აპარატიც აქვს დართული მრავალრიცხოვანი სქოლიო-კომენტარებისა და ანდერძ-მინაწერების სახით.

ეფრემის კომენტარების ერთ დიდ ნაწილს ლექსიკოგრაფიული ხასიათის სქოლიონი შეადგენს. კომენტარების ამ რიგში ჩვენ ვაერთიანებთ ეფრემის იმ შენიშვნებს, რომლებსაც ამა თუ იმ სიტყვის ახსნას, განმარტებას ან ზოგ შემთხვევაში თარგმანს შეიცავს. ამ სახის სქოლიოთა ნაწილი შესწავლილი და გამოქვეყნებულია [1, 201—252; 2, 328—339], მაგრამ დიდი ნაწილი დღემდე შეუსწავლელია. ამჯერად ჩვენ გვიანტერესებს ეფრემ მცირის ის ლექსიკოგრაფიული შენიშვნები, რომლებიც სხვადასხვა სახით გამხდარა წყარო დიდი ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონისათვის“.

საბას ლექსიკონში განმარტებულ სიტყვათა დიდ ნაწილს წყაროზე მითითება ახლავს. „ქართულ ლექსიკონში“ 140-ზე მეტი წყაროა დასახელებული [3, 55], მათ შორისაა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლიტერატურაც. ლექსიკონის „ანდერძნამავში“ საბა ჩამოთვლის წყაროდ გამოყენებულ თხზულებებს: „რომელიცა წერილთა შინა ვნახე, გამოვიღე, საღმრთო წერილთა და ღუთისმეტყულებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილასოფოსთა წიგნებითგან და ღუთისმეტყულებათა კავშირთა პროკუს პლატონურთა დიოდორისთა, არისტოტელისა და პორფირის კათილორიათაგან გამოვიღე, ნეპესიოსისა და იოანე დამასკელის პლატონური სიტყვის საქვევები აღვწერე“. [4, 32]. ამ მოკლე ნუსხაში ზოგადად დასახელებულ „ღუთისმეტყულებათა“ და „ღრმათა ფილასოფოსთა წიგნებში“ საბა გულისხმობს დიონისე არეოპაგიტის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის და სხვათა თხზულებებს, რომელთა ეფრემ მცირისეული თარგმანები უნდა ჰქონოდა მას ხელთ, რადგანაც მისი ლექსიკონის რამდენიმე სიტყვის განმარტება ამ თხზულებათა ტექსტებზე დართული ეფრემის შენიშვნებიდან მომდინარეობს.

ცნობილია, რომ საბას ლექსიკონმა საბოლოო სახის მიღებამდე რამდენიმე საფეხური გაიარა [6, IX—XI; 7, 337—343; 8, 53—82]. თავდაპირველად საბას თავის ლექსიკონში (ადრეული რედაქციები CDE) წყაროს ჩვენებითა და

მოწმობით შეპქონდა სიტყვები. იგი წერლობით ძეგლებს იმოწმებდა მაშინ, თუ სიტყვა ძნელი ასახსნელი იყო და მისი განმარტება მაშინვე არ ხერხდებოდა, სიტყვის განმარტების შემდეგ კი საბა წყაროსა და ციტატას შლიდა და ახალ ნუსხაში აღარ გადაპქონდა [9,34].

პირველწყაროზე მუშაობის საბასეული მეთოდების, ქართული წყაროების მიმართ ლექსიკოგრაფის დამოკიდებულების და კონკრეტული წყაროების, თუ განსამარტავ სიტყვათა დამოწმებულ ადგილებთან შეფარდების საკითხის შესასწავლად გარკვეული მუშაობაა ჩატარებული [10,235—243; 11,212—220; 2,277—296, 17,253—270; 18], მაგრამ ლექსიკონის ყველა ლიტერატურული წყაროს დადგენა ჯერ კიდევ მომავლის საქმედ რჩება.

ეფრემ მცირე, რომელიც ავტორია ჩვენს დრომდე შემონახული პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული ხასიათის ნაშრომისა [12,77—122], ბერძნულიდან თხზულების თარგმნის დროსაც იძლევა ამა თუ იმ სიტყვის განმარტებას. როგორც ჩანს, საბას ლექსიკონის შედგენისას სხვა წყაროებთან ერთად ეფრემის ამ შენიშვნებითაც უსარგებლია.

საბა ეფრემის ლექსიკოგრაფიულ სქოლიოებს სხვადასხვა სახით იყენებს: 1. ის პირდაპირ უთითებს, რომ სიტყვის განმარტება მომდინარეობს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა სქოლიოდან, თუმცა მთარგმნელს არსად ასახელებს; 2. მეორე შემთხვევაში საბა სიტყვასიტყვით იმეორებს ეფრემის „შეისწავეს“, მაგრამ წყაროს არ უთითებს, თუმცა უდავოა, რომ სიტყვის განმარტება ეფრემის შენიშვნიდან მომდინარეობს; 3. ზოგიერთ სიტყვას საბა ეფრემ მცირის მსგავსად განმარტავს. შესაძლოა, მისთვის ამოსავალი ამ შემთხვევაშიც ეფრემის სქოლიოები იყოს, მაგრამ არც სხვა წყაროდან მომდინარეობაა გამორიცხული. განვიხილოთ ეს შემთხვევები კონკრეტული მაგალითების მიხედვით:

ა) **ბისონი**. XII—XIII საუკუნით დათარიღებულ Ier.-43 ხელნაწერში, რომელიც შეიცავს ეფრემ მცირის ნათარგმნ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებს, მთარგმნელს შეხვედრია სიტყვა „ბისონი“. ყოველნივე შემოიღებდეს ჭადბებულია მათდა და რომელნიმე თუთ აღთქმულთა, რომელიმე ოქროსა, რომელიმე ვეცხლსა.. რომელიმე **ბისონსა** ძახლისა, სხუად მეწამულსა შესთულსა“ (Ier.-43. 8v). „ბისონ“ სიტყვის გამო ეფრემ მცირე არშიაზე აკეთებს შენიშვნას: „ბისონ არს სახე მწუანვილისა რაასამე, რომლისა მიერ შეღებულთა სამოსელთა ბისონ უწოდიან, ხოლო ვიეთნიმე იტყვან, ვითარმედ არს იგი ნაკუჭცი ხისა ჰინდურისაჲ, ხოლო მოესწავების ბისონისა მიერ ბრწყინვალეზაჲცა, რამეთუ ბრწყინვალე არს ფერი ბისონისაჲ“ (Ier.-43. 8v არშიაზე). საბას ლექსიკონის Z რედაქციაში, რომელიც ავტორისა და მისი ძმის მიერ არის გადაწერილი 1725 წელს, „ბისონ“ სიტყვა ასეა განმარტებული: „ბისონი (ბალ.) [3,23 ესაია] ესე არს სახე მწუანვილისა რასამე, რომლისა მიერ შეღებულსა სამოსელთა ბისონად უწოდენ. არს ფერი ბისონისა ელვარე და ნაკუერცხლის ფერი“ [4,108]. ლექსიკონის D რედაქციის ხელნაწერებში კი „ბისონ“ სიტყვის განმარტება სიტყვასიტყვით ემთხვევა ეფრემის სქოლიოს და მითითებაცა არის წყაროზე: „გრიგოლ ღვთისმეტყველის სხოლიონში ესე ეწერა“ [4, 109].

ბ) **კამში**. იმავე ივრუსალიმურ ხელნაწერში, იმავე თხზულების („სიტყუათა მიმართ და ივლიანეს განმასწორებელისა თანამოსწავლე მისსა ყოფილისა“) ერთ-ერთ სქოლიოში განმარტებულია სიტყვა „კამში“, რომელიც ტექსტში ასეთ კონტექსტშია: „განვიყაროთ კამში თვალთაგან“. .... კუალად კამშისა მოესენებთია ცხად ჰყოფს, ვითარმედ მხედველობაჲ სულისა თუალთაჲ სიზრქისაგან კორციელთა გემოთაჲსა დაიფარვის, ვითარ იგი კამში, სიზრქისაგან ნოტიოჲსა სისპეტაკისა დამფარველი გუგათა მხედველობისაჲ“ (Ier.-43. 280r. არშიაზე). საბას ლექსიკონის CD რედაქციაში ამ სიტყვის გან-

მარტება ასეთია: „კამში არს სიზრქისაგან ნოტიოსა სისპეტაკისა დამფრ-  
ველი გუგათა მხედველობისათა“. ყველაზე ადრინდელ E რედაქციაში კამში  
ითივებულია ამ განმარტების წყარო: „გრიგოლ ღმრთისმეტყველი: „განვიყა-  
როთ კამში თვალითაგან“ [4, 354]. როგორც ჩანს, სულხან-საბას თავისი ლექ-  
სიკონის შედგენისას გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ეფრემ მცირისეუ-  
ლი თარგმანით უსარგებლია და მასზე დართული მთარგმნელის თუ სხვა კო-  
მენტატორთა სქოლიოები გამოუყენებია წყაროდ თავისი ლექსიკონისათვის.

ვ) **ტრიონი** („სკარამანგი“). იმავე (Ier.-43) ხელნაწერში გრიგოლ ნაზიან-  
ზელის თხზულებები — „ეპიტაფიად დიდისა ბასილისათს“ — ერთი ადგილის  
განსამარტავად გვაქვს ეფრემ მცირის შენიშვნა: „ტრიონ უწოდიან თვსაგანსა  
რასმე სამოსელსა სწავლულებათასა (!), ვითარ-იგი რიტორთა იისფერი და  
მეწამული ჰმოსიეს, ხოლო ფილოსოფოსთა შავ, აღსანიშნავად თითოეულისა  
მათისა, ვითარ-ესე აწ პოლიტნი მოქალაქენი სკარამანგსა შეიმოსენ“ (Ier.-43,  
34v. არშიაზე). საბას ლექსიკონში „ტრიონი“ ასეა განმარტებული: „ტრიონი  
ფართო სამოსელია ფილასოფოსთა ბალანთაგან, შეურაცხებისათს იქმან“  
[5,144], მაგრამ სხვა ადგილას, სიტყვა „სკარამანგის“ განმარტებისას E რე-  
დაქციაში განმეორებულია ეფრემის სქოლიო და მითითებულია წყაროც: „გრიგოლ  
ღვთისმეტყველის სქოლიონი: ტრიონ უწოდიან თვსაგანსა რასმე  
სამოსელსა სწავლულებათასა, ვითარ-იგი რიტორთა იისფერი და მეწამული  
ჰმოსიედ და ფილასოფოსთა შავი, აღსანიშნავად თითოეულისა მათისა, ვითარ-  
ესე აწ პოლიტნი მოქალაქენი სკარამანგსა შეიმოსენ“ [5,104]. ნათელია, რომ  
საბა „ტრიონ“ და „სკარამანგ“ სიტყვების განმარტებისას ეფრემის შენიშვნას  
ვერდნობა.

როგორც აღვნიშნეთ, საბას ლექსიკონის რამდენიმე სიტყვის განმარტება  
ემთხვევა ეფრემის სქოლიოს, თუმცა ამის შესახებ მითითება არ არის არც  
ერთი რედაქციის ხელნაწერებში.

ა) **უკუზღვა**. დიონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმნის დროს ეფ-  
რემს უხმარია სიტყვა „უკუზღვა“ შემდეგ კონტექსტში: „რომელნი-იგი უმე-  
ტესად ჰქონან უკუზღვისაებრ სიტყუსა წესისა“. ქართველი მკითხველისათვის  
აზრის ნათელსაყოფად მთარგმნელს არშიაზე ამ სიტყვის გამო ასეთი „შეის-  
წავე“ გაუკეთებია: „შეისწავე, ვითარმედ უკუზღვა ესე არს, რაჟამს შემდგომ-  
ნა საკითხავსა შინა პირველისა საკითხავისთვის მოიქსენებდეს. ვითარმედ მუნ  
ესე და ესე რაჟმე ვთქუთ“ (A 110, გვ. 75; A 163, გვ. 98; A 684, 40r; H 194,  
36r). საბას თავის ლექსიკონში შეაქვს სიტყვა „უკუზღვა“ წყაროს დამოწმე-  
ბის გარეშე და მისეული განმარტება ამ სიტყვისა ზუსტად ისეთივეა, რო-  
გორც ეფრემისა: „უკუზღვა ესე არს, რაჟამს შემდგომსა საკითხავსა შინა პირ-  
ველისა საკითხავისათს მოიქსენებდეს, ვითარმედ მუნ ესრეთ ვთქუთ“ A  
[5, 159]. ცხადია, ამ შემთხვევაში საბასთვის ეფრემის სქოლიოა ამოსავალი.

ბ) **ორცხოველი**. დიონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმანის შემცვე-  
ლი ხელნაწერების არშიაზე მოთავსებულია ეფრემის კიდევ ერთი „შეისწა-  
ვე“, რომელიც სიტყვა „ორცხოველობას“ განმარტავს, არეოპაგიტული კორ-  
პუსის ავტორი მსჯელობს სულიერ არსებათა შესახებ და აღნიშნავს: „ამათ  
თანა უკუეთუ ნამდულე თუთ მათთვისცა ჯერ-არს თქუმაჲ, პირუტყუთა ანუ  
ცხოველთა სულებისა რაოდენი არს ჰაერისა განმკუთვლელ და რაოდენი ქუე-  
ყანასა ზედა მავალ, და რაოდენი ქუეყანასა ქუეშე დამალულად და დაფლუ-  
ლად ცხოვრობს, რაოდენი არს ქუეყანასა ზედა მეთრევე და რაოდენი ზღუათა  
შინა მცურვალ, რაოდენი წყალთა შინა ცხოვლობს და რაოდენი ორ-ცხოვ-  
ლობს, და ერთბამად ყოველთა, რაოდენთა გრძნობადი აქუს სული, ანუ ცხოვ-



რება — ესე ყოველი სახიერებისგანვე სულიერ და ცხოველ არიან“ (A 110 გვ. 50). ეფრემს ამ ტექსტში ბერძნული სიტყვა *ἀφ'ἑαυτοῦ* „ორცხოველობად“ უთარგმნია და ამ სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად არშიაზე ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „შეისწავე, ვითარმედ ორცხოველობა მისთვის ითქმის, რომელი წყალთა შინაცა ცხოველ იყოს და ჯმელსა ზედაცა და წყალადენ იყოს და ჯმელსა ზედა მოკუდებოდის ანუ ჯმელსა იყოს და წყალთა შინა შეიშთებოდის“ (A 110 გვ. 51; A 163, გვ. 72; A 684,25r, H 194, 27v). საბას ლექსიკონში შეტანილია სიტყვა „ორცხოელი“ („ორცხოველი“ AB) — „ესე არს ჯმელზე რა ცოცხალ იყოს და წყალთა შინაცა, არცა წყალთა ოდენ იყოს და ჯმელთა ზედა მოკვდეს, ანუ ჯმელთა ოდენ იყოს და წყალთა შინა შეიშთოს“. C რედაქციის ხელნაწერებში საბას განმარტება და ეფრემის სქოლიო იდენტურია: „შეისწავე, ვითარმედ ორცხოველობა მისთვის ითქმის, რომელი (რომელთა Cb) წყალთა შინაცა ცოცხალ (ცხოველ Cb) იყოს და ჯმელზედაცა და არა წყალთა ოდენ იყოს და ჯმელზედაც მოკუდეს, ანუ ჯმელსა ოდენ იყოს და წყალთა შინა შეიშთებოდეს“ [4, 609]. უდავოა, რომ საბას ლექსიკონისათვის წყაროს ეფრემ მცირის შემოთ მოხმობილი კომენტარი წარმოადგენს.

გ) **დასო**. S 1276 ხელნაწერში, რომელიც ეფრემ მცირის ავტოგრაფადაა მიჩნეული [13.115—125], გრიგოლ ნოსელის საკითხავის — „სიტყუა შობისათჳს უფლისა ჩუენისა და ყრმათათჳს ბეთლემს მოწყუედილთა“—ტექსტში იკითხება: „რამეთუ მაშინ დასახული იგი წინათვე მაყუალსა შინა და ცეცხლსა წიაღმოკდა შორის გარდასრულთა ყამთა და ზედამიწეენით განცხადნა საიდუმლოსა შინა ქალწულისასა, ვითარ-იგი მუნ **დასოთა** შინა ცეცხლი სწუვიდა და არა დასწუვიდა, ეგრეთვე აქაცა ქალწული შობს ნათელსა და არა განიხრწნების“ (იხ. აგრეთვე, Ier.-23, 100r). მთარგმნელს აქ ბერძნული სიტყვა — *τὸ βῆρ*, რაც ნიშნავს უღრან ტყეს, ტევრს, უთარგმნელად დაუტოვებია ტექსტში, მაგრამ არშიაზე გაკეთებულ შენიშვნაში ნათქვამია: „შეისწავე, რამეთუ დასოა მღნარისა და ჯშირისა ფიჩხისა სახელი არს“. საბას ლექსიკონში ამ სიტყვასთან დამოწმებულია ესაია [9,18] და მოცემულია ასეთი განმარტება: „დასო მღნარისა და ჯშირისა, რომელთამაც ფიჩხთა სახელი არს“ [4,205]. ამ სიტყვის საბასეული განმარტებაც ეფრემის „შეისწავედან“ მომდინარეობს.

დ) **ომილია**. გრიგოლ ლვისმეტყველის თხზულებათა შემცველ A 292 ხელნაწერში, რომელიც 1800 წლით თარიღდება, შესულია ერთი საკითხავი — „ქელთდასხმისათჳს დოროელთასა, ომილია გარდაეცა ევლოლიოსს ებისკოპოსს“. სათაურთან არის ასეთი შენიშვნა: „შეისწავე, ვითარმედ წერიოთსა გამოთქმასა აღმწერლობა სახელ-ედების, ხოლო ზეპირით წარმოთქმასა ომილია. ესე იგი არს პირისპირ ზრახუა“ (A 292, 319r). საბას ლექსიკონის ZAB რედაქციაში „ომილია“ განმარტებულია შემდეგნაირად: „ომილია ზეპირ თქმა, ლათინურია“. C რედაქციის ხელნაწერებში კი ამ სიტყვის განმარტება სიტყვასიტყვით იმეორებს ეფრემის სქოლიოს: „ვითარმედ წერილითსა გამოთქმასა აღმწერლობა სახელ-ედების, ხოლო ზეპირით წარმოთქმასა ომილია, ესე იგი არს, პირისპირ ზრახუა“ Cab [4,605]. რადგანაც ეს ჰომილია ჩვენამდე მხოლოდ ერთი, 1800 წელს გადაწერილი, ხელნაწერითაა მოღწეული [14,438], გამოორიცხული არ არის ამ კომენტარის საბას ლექსიკონიდან მომდინარეობაც.

ე) **გოჯი**. გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიის „ახალკურიაკისათჳს, არისა და ენკენისათჳს“ ეფრემ მცირისეულ თარგმანს კიდევუ აქვს შენიშვნა, სადაც განმარტებულია სიტყვა „გოჯი“: „გოჯ უწოდიან უკანა კერძისა სადრეველსა მუკლთასა, რომელსა ზედა მოღრკების და გაემართვის ფერჯი, ხოლო სიტყუა

ესე წერილისაჲ მეფეთასა შინა იპოვების ელიას მიერ მიდელთა მათ მართ...“ (Ier.-43,227 v). საბას ლექსიკონის CD რედაქციაში „გოჯი“ სიტყვა განმარტება ზუსტად იმეორებს ეფრემის სქოლიოს: „ესე გოჯი არს უკანა კერძი საღრევისა მუხლისა, რომელსა ზედა მოდრკების და გაემართების ფერკი“ [4,172]. აღსანიშნავია, რომ საბაც ეფრემის მსგავსად ამ სიტყვისათნ მეფეთა წიგნს იმოწმებს [3 მეფეთა, 18,21].

ვ) **მედგარო**. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ თარგმანზე ეფრემ მცირეს დაურთავს ასეთი შენიშვნა: „შეისწავე, რამეთუ სახელსა ამას მედგარსა ორი სახე აქუს: წიგნურად მცონარესა უკმობს მედგარსა, ხოლო სოფელურად მზაკურასა ჰრქვან თუთ ქართულსა ენასა ზედა“ (A 689, 43r. არშიაზე). იმავე ხელნაწერის 73 r-ზე კი ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: „შეისწავე, რამეთუ ამას ადგილსა სახარებისასა, ვითარმედ: „მონათ ბოროტო და მედგარო“, „მცონარებისა“ წილ თქმულ არს „მედგარობა“, დაღათუ რომელთამე ადგილთა „მედგარო“ „მზაკუვარად“ გულისკმა-იყოფების, უფროასლა ლიტონსა საუბარსა შინა“. საბას ლექსიკონში სიტყვა „მედგართან“ დამოწმებულია სახარების სწორედ ის სიტყვები, რომლებზეც ეფრემის სქოლიოშია ლაპარაკი. [მათე, 25,26], და ასეთი განმარტებაა მოცემული: „მედგარი მცონარი და მოუძღურებული; მედგარი ითქმის მარადის ძვირისა დამმარბველი გულითა შინა აღუჯოცელად; მედგარი მსოფლიოთა ენითა მზაკუვარად ითქმის, რომელმან ფერკითა დააკვეთის მორკინალი თვისი მიწასა ზედა ძლიერად“ [4, 463]. ამ სიტყვის საბასეული განმარტებისთვის ამოსავალია ეფრემის შენიშვნები, რის შესახებ აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც [1,226; 15,174].

ეფრემ მცირის მრავალრიცხოვანი სქოლიოები ახლავს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ძველ ხელნაწერ კრებულებს (A 16, A 109, Ier. 13, 15, 43 ხელნაწერები), რომელთა ნაწილი გამოუყენებია საბას წყაროდ თავის ლექსიკონში განმარტებული სიტყვებისათვის. მათი ეფრემის სქოლიოებიდან მომდინარეობა აშკარაა: ეფრემი ზოგჯერ ერთ „შეისწავეში“ ორ ან მეტ სიტყვასაც განმარტავს, იმისდა მიხედვით, თუ რა ვითარებაა სათარგმნელ ტექსტში, მის კომენტარში შეიძლება ერთმანეთის გვერდით იყო ახსნალი სინონიმური, ანტონიმური, საერთო ძირის მქონე სიტყვები, ან ზოგჯერ ისეთი სიტყვებიც, რომლებსაც გარეგნულად არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, მაგრამ კონტექსტში ერთად გვხვდებიან და ამიტომაც მათი ერთ სქოლიოში განმარტება მართებულიცაა. საბას ლექსიკონში კი იმავე სიტყვების ერთად განმარტება ერთგვარად უჩვეულო ჩანს.

ა) **ეპიტაფია, გენეთლია**. ეფრემი თარგმნის გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავს „ეპიტაფიად დიდისა ბასილისათუს“, სადაც ტექსტში ერთმანეთის გვერდით ხვდება ბერძნული სიტყვები  $\epsilon\pi\tau\alpha\phi\epsilon\iota\alpha$  და  $\gamma\epsilon\nu\epsilon\theta\lambda\iota\alpha$ . ეფრემი ტექსტში მათ უთარგმნელად ტოვებს, ხოლო არშიაზე აკეთებს შენიშვნას: „ვიინაჲგან ქრისტეს შობისაცა და აღდგომისა სიტყუანი წარმოთქუნა სიტყუასა შინა, ამისთვის აწ ესერა, ჩუნედა მსმენელთა უწოდს მათ სიტყუათასა ვითარკი გენეთია შობისად გამოითარგმნების, ხოლო აწ ეპიტაფია საფლავისზედად“ (A 109,200v). ამავე ხელნაწერის 218v-ზე არის მინაწერი: „რამეთუ გენეთლია შობისად გამოითარგმანების, ხოლო ეპიტაფია საფლავისზედად“.

საბა ლექსიკონში განმარტავს სიტყვას „გენეთლია“; მიუთითებს, რომ ის ბერძნულია და წერს „შობისად გამოითარგმანება“ (ZA). C რედაქციის ხელნაწერებში კი ასეთი განსაზღვრებაა: „გენეთლია შობისად გამოითარგმანების, ხოლო ეპიტაფია — საფლავისზედა“ [4, 160]. აქ სიტყვა „გენეთლისთან“ ერთად „ეპიტაფიის“ განმარტება ეფრემის სქოლიოდან მომდინარეობაზე მეტყველებს, სადაც ეს ორი სიტყვა ერთადაა ნათარგმნი ქართულად.

ბ) **პელტი, კატაპელტი.** მსგავსი ვითარება გვაქვს სიტყვა „პელტის“ განმარტების დროსაც. ეფრემს გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავის — „სიტყუაჲ მკატაპელთათჳს“ — თარგმნის დროს ტექსტში შეხვედრია ბერძნული სიტყვა *καταπέλτης* საწამებელი იარაღის მნიშვნელობით ასეთ კონტექსტში: „რომელი ვერ მოდრიკა, ვერცა მოავო, ვერცა უკადრყო... ვერცა ურმებმან წინა დადებულმან, ვერცა საქცევლმან, ვერცა კატაპელტებმან, ვერცა აღმახუვამან რკინისფერცხილთამან, ვერცა ლესულმან მახულთამან. (Ier.-43, 241v). ეფრემ მცირე არშიაზე ქართული მკითხველისათვის უცნობი ბერძნული სიტყვის „კატაპელტის“ განსამარტავად ჯერ „პელტ“ სიტყვას განმარტავს და შემდეგ აღნიშნავს, რომ წინდებულ *χαλα-*ს დამატებით სიტყვა *της πέλτης*, რომელიც მცირე ზომის ფარია, საწინააღმდეგო მნიშვნელობას იძენს და აღნიშნავს სატანჯველ იარაღს: „პელტ უწოდებენ მცირესა ფარსა სხუთავან უკუჲ საფარად შექმნულსა, ხოლო მძლავრთავან სატანჯველად შეცვალბულსა მას შინა მოსხმითა მახულთათა, ამისთვის პელტისა წილ კატაპელტ უწოდა, რაჲთა მატებითა ასოასათა ცხად ყოს, ვითარმედ წინაუკმო მოპოვნებულ იყო“ (Ier.-43, 241v არშიაზე). ეფრემი აქ ჯერ ძირეული სიტყვის მნიშვნელობას გვიხსნის და შემდეგ კი მისგან ნაწარმოები სიტყვის განმარტებას გვაძლევს.

საბას ლექსიკონში განსამარტავ ერთეულად შეტანილია სიტყვა — „პელტი“, რომელიც ასეა ახსნილი: „პელტ ეწოდების მცირესა ფარსა სხვათავან უკვე საფარად შექმნილსა, ხოლო მძლავრთავან სატანჯველად შეცვალბულსა მოსხმითა მახვილებისათა, ამისთვის პელტისა წილ კატაპელტ (კატაპელტი CD) უწოდეს, რათა მატებითა ასოთათა (ასოთასა A) ცხად-ყონ“ (ZAB), [4,621]. საბასეული განმარტების მეორე ნაწილი, რაც „კატაპელტს“ შეეხება, ერთგვარად უადგილოდ გვეჩვენება, თანაც ასეთ კონტექსტში: „ამისთვის პელტისა წილ კატაპელტ უწოდეს, რაჲთა მატებითა ასოთათა ცხად-ყონ“, რაც განსამარტავი ტექსტის („სიტყუაჲ მკატაპელთათჳს“ შესაბამისი ადგილის) გარეშე გაუგებარია. ეფრემის სქოლიოში კი ყველაფერი თავის ადგილასაა. მთარგმნელი ტექსტში ნახმარი „კატაპელტის“ განსამარტავად ჯერ „პელტს“ ხსნის და შემდეგ კი „კატაპელტს“. ამ შემთხვევაშიც აშკარაა ეფრემის სქოლიოსა და საბას ლექსიკონის ურთიერთმიმართების სახე: საბა წყაროდ ეფრემის შენიშვნას იყენებს, თუმცა მას საგანგებოდ არ უთითებს.

გ) **ევრობი, ამპოტიდი.** გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიის — „სერგასისთა მიმართ ეპისკოპოსთა სიტყუაჲ ჯმნისა“ — ტექსტში ეფრემს უთარგმნელად დაუტოვებია ბერძნული სიტყვები *ἐν ἕξει*, რაც ნიშნავს ვიწრო სრუტეს, არხს (узкий пролив, водный рукав, канал, ров) და *ἀποτὶς*, იმე „ზღვის მიტევვა“ (морской отлив). „უკუეთუ წინაუკმო პბერვიდეს ქარი მტერობისა და მეგობრობისა თანა სახელნიცა და უძვრესი, რომელ არა გურტხუენის მათივე ქონება მსმენელად წინააღმდეგობისა, არცაღა მათვე ზედა დავადრებით სხუად სხუჭბრ ყოფითა ჩუწნთა ძლევისმოყუარებათა მიერ შეცვალეზად რადმე ევრობოთა ანუ ამპოტიდთა“ (Ier.-43, 161v). ეფრემ მცირე ამ სიტყვების გამო შენიშნავს — „ესე საკუთრებით ზღუს მიმოქცეობისათჳს იოქუმის ევრობობად, რომელი გამოითარგმანების ადგილმქცეობად, რამეთუ არს ადგილები ზღუსაჲ, რომელი დღესა შინა მრავალგზის იცვალს იდესმე განჯმობასა და ოდესმე მწყურნებობასა, ხოლო ამპოტი აღმოცენებასა უწოდიან, რაჲამს განჯმელი კუალად წყურნებ იქმნეს. ესე ზღუსმოქცევანი სიკილას ოკიანოსინი დღივ ორგზის, ხოლო ხალკედონისანი დღივ შუდგზის ითქუმიან მოქცევად, და სახელ ამის საქმისა არს ევრობოჲ განჯმობისათჳს და ამპოტი კუალად წყლისა აღმოცენებისათჳს და ამათგან მოღებითა შეეტყუებთან რქუმად ესე ადვილმიომქცევთა კაცთა“ (Ier.-43, 161v, არშიაზე).



საბას ლექსიკონში შეტანილია ორივე სიტყვა „ევროპი“ და „ამპოლიტი“ ფორმით. „ევროპი“-სთან მითითებაა: „ამპოლიტთან ნახე“, ხოლო „ამპოლიტი“ ასეა განმარტებული: „ამპოლიტი ზღვათა შინა არიან ადგილნი მოქცევი, ოდესმე განკმებიან და ოდესმე მწყურნებ იქმნებიან. ოდეს განკმებიან ევროპი ეწოდების და ოდეს აღმოცენდეს და განკმელი მწყურნებ იქმნას — ამპოლიტი ეწოდების“ [4,57]. მსგავსება საბასა და ეფრემისეულ განმარტებათა შორის ამ შემთხვევაშიც საბას მიერ ეფრემის სქოლიოს წყაროდ გამოყენებით შეიძლება ავხსნათ.

დ) **მეკანონე**. ამ სიტყვის საბასეული განმარტებაც ეფრემის შენიშვნიდან მომდინარეობს. „მეკანონე — მეწესე ZAB, მეწესე მამაკაცი, გინა დედაკაცი“ [4,465]. ეფრემი სიტყვა „მეკანონეს“ განმარტავს ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ერთ-ერთი თხზულების („მეკანონეთა მიმართ“) თარგმანზე დართულ სქოლიოში: „შეისწავე, ვითარმედ მეკანონე ეწოდების ბერძენთა მიერ მოწესესა მამაკაცსა გინა დედაკაცსა, ხოლო აწინდელი დედაკაცის მიმართ არს“ (A 132. გვ. 133v). ეფრემს იმის აღნიშვნა, რომ მეკანონე შეიძლება მამაკაციც ყოფილიყო და ქალიც, იმის გამო დასჭირდა, რომ ბასილის ამ ეპისტოლის ადრესატია მონაზონი ქალი თეოდორა. ბერძნულად მას ასეთი სათაური აქვს „Πρὸς μεσιόπραυ κασιγχεῖν“ [15,169]. საბას ლექსიკონში ასეთი დახუტება მოსალოდნელი არც არის. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სულხან-საბა ორბელიანი იცნობს ბასილი დიდის „ასკეტიკონს“ („ასკეტიკონსი — სამოღვაწეო წიგნია ბასილისა“ [4,73]), უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი მთარგმნელს, ეფრემ მცირის, ზემოთ მოყვანილი შენიშვნაც მისთვის უცნობი არ იქნებოდა და „მეკანონე“ სიტყვის განმარტებაც იქიდან აუღია.

ე) **ქლოვი**. „სამოციქულოს“ ეფრემისეული რედაქციის ხელნაწერებში კორინთელთა მიმართ I ეპისტოლის ერთი ადგილის განსამარტავად არშიაზე გაკეთებულია შენიშვნა: „ქლოვი გამომეძიებლად გამოითარგმანების. ამის მიერ ცხად არს, ვითარმედ ზედამდგომელთაგან და წინამძღუართა ეუწყა პავლეს“. ეს სქოლიო მიემართება შემდეგ ტექსტს: „რამეთუ მეუწყა მე თქუენთვის, ძმანო ჩემო, ქლოველთა მათგან, ვითარმედ კლომა რამე არს თქუენ შორის“ (I კორინთ. I, II). აქ ნახსენები ქლოვი (ბრძ. *πάπ τῶν κληῶν*) არის პიროვნება, რომლის სახელიც ქართულ თარგმანში შეცდომით არის გაგებული წარმომავლობის სახელად „ქლოველი“ [2,280—281]. ეს შეცდომა განმეორებულია საბას ლექსიკონში, სადაც განსამარტავად შეტანილია სიტყვა „ქლოველი“ და განმარტებულია ასე: „ქლოველი (I კორინთ: I, II) გამომეძიებელია ZABCD“ [6,369]. ცხადია, ეს საბასეული განმარტება ეფრემის კომენტარიდან მომდინარეობს.

ვ) **ვაქილი, სუნადროსი**. „სამოციქულოს თარგმანების“ ქართულად გადმოღებისას ეფრემს უთარგმნელად დაუტოვებია ბერძნული სიტყვა *ὁ αὐτῆς*, მაგრამ არშიაზე ასეთი „შეისწავე“ დაურთავს: „შეისწავე რამეთუ ამას სუნოდროსსა. რომელ არს თანამოსარჩლე, მესხთა მიერ ვარქირი ჰქვან, მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“ [16,012—013]. სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ განსამარტავად შეტანილია „ვაქილი“. „ვაქილი — თანამოსარჩლე, ვაქირი, მიზდური მოსარჩლე, რომელ არს სუნოდროსი“ (ZAa). C რედაქციის ხელნაწერებში კი ასეთი განმარტებაა: „თანამოსარჩლე, მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“. ეფრემის სქოლიოსთან ამ კომენტარის დამოკიდებულება აქაც ნათელია: საბა სარგებლობს ეფრემის რედაქციის „სამოციქულოთი“ და მასზე დართულ მთარგმნელის შენიშვნებს იყენებს წყაროდ თავისი ლექსიკონისათვის.

საბას ლექსიკონში არის რამდენიმე სიტყვა, რომელთა განმარტება, შესა-

ძლოა, მომდინარეობდეს ეფრემის ლექსიკოგრაფიული ხასიათის სქოლიოებიდან, მაგრამ არც სხვა წყაროს არსებობაა გამორიცხული. რადგანაც ეფრემისული და საბას განმარტებები ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა, საჭიროდ ვცანით მათი პარალელურად მოყვანა:

საბა

ეფრემ მცირე

1. „ანგლოზი გამოითარგმანების მომთხრობელად, გინა ქადაგად“ [4,59]. „სატანა (უცხ)-წინააღმდეგობი, გინა მზღობი“. [6,300].
2. „ეკლესია — შესაკრებელი“ [4,237].
3. „კვრა — ერთი შვიდეული, ხოლო პირველსა დღესა რომელ არს ერთშაბათი, ბერძულად კვირაცე, ხოლო ქართულად საუფლო და მზისა“. [4,405].
4. „იეროთეოს (უცხ.) ტაძარი ღმრთისა. ბერძნულია B“ [6,148].
5. „ლირწი (გალატ. 5.12) ესე არს დედათა მიმართ დაუცადებელი გულისთქუმა და სიმხურვალე, ჯორცთა ბოროტება ქვებურობა უკუე არს კლებით მოძრაობა, ხოლო ლირწება უწყესოდ ნაშენტნავად მოძრაობა“ [4,420].
6. „მარტულია (I კორინთ. 16,8) პენტეკოსტე. ZAA. სულის წმიდის მოსვლას ეწოდება მეერგასესა მას დღესა B [4,447].
8. „მესიტი (უცხ.) შუამდგომელი [4,207].
9. „მოცემა ესე არს არა ქონებული აქონიო, ხოლო უკუმოცემა ოდესმე ქონებული და ეამ რაოდენმე მიღებული კუალად ავოს“. [4,516].
10. „ნამდვილი — ქეშმარტი, გინა უცილო“ [4,575].
11. „ღმერთი არს სული ნათელი, დასუბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოველთა ღმერთი გამოითარგმანების ზედვა და წვა [5,253].

„ანგლოზი ქადაგად გამოითარგმანების, ხოლო სატან ენითა ებრაველთათა მქდომსა სახელ-ედების“ (Ier 9, 91r).

„ეკლესია შესაკრებულად გამოითარგმანების“ (Ier-9,8r).

„ერთშაბათად კვირაცესა უწოდს“ (Ier-9, 38r).

„შეისწავე, ვითარმედ იეროთეოს ტაძრად ღმრთისა გამოითარგმანების“ (A 163, გვ. 67 დიონისე არეობაველის თხზულებანი).

„ლირწებად იტყვის დაუპყრობელსა დედათა მიმართ გულის-თქუმასა“ (A 137, 173r „სამოციქულო“) [2,330—331].

„შეისწავე, რამეთუ ბერძლ მეერგასედ უკმობენ სულისა წმიდისა მოსვლასა, ხოლო მარტულია, თუ რომლისა ენითა არს, არა ვიცი (Ier.-9,39r), [2,328, 329; 1, 219].

„სახელი მისი მესიტ, რომელი ითარგმანების შუამდგომელს“ (A 162, 124 r).

„შეისწავე, რამეთუ „მოცემა“ არს, რომელი ახლად მოგუეცემოდის და არაოდეს გუქონებოდის, ხოლო „უკუმოცემა“, რომელი ოდესმე ჩუენი ყოფილყს და წარგუეყმოდის და კუალად ვეძიებდეთ. ამისთჳს შეცოდებულნი კუალად უკუმოცემად ვითხოვთ სულსა წმიდასა, რომელი ნათლისღებისას მიერ მოგუეცა და ცოდვისა მიერ წარგუეყმიდეთ“ (A 689, 41r. ბასილი დიდი „ასკეტიკონი“).

„ნამდულეელობა ქეშმარტიად გამოითარგმანების (A 24, 48r. იოანე დამასკელი, „გარდამოცემა“).

„შეისწავე, გარდამოცემასა შინა ესრეთ თარგმნის იოანე დამასკელი სახისმეტყუელებასა ღმრთისა სახელისასა, ვითარმედ ზედვად და წუვად გამოითარგმანების, რამეთუ ბერძულად თეოს ჰრუქან ღმერთსა და თეან ზედვასა და ეთინ ცეცხლსა“ (Ier.-43, 233 v არშიაზე). იხ. აგრეთვე, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ სქოლიო A 24, 46v.

ზემოთ თქმულის საფუძველზე შეიძლება გაცეთდეს ასეთი დასკვნები:

1. საბას ლექსიკონის წყაროდ გამოუყენებია გრიგოლ ღვთისმეტყველის, დიონისე არეობაველის, ბასილი დიდის, იოანე დამასკელის და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა ეფრემ მცირისეული თარგმანები, აგრეთვე, „სამოციქულო“ ეფრემისეული რედაქცია, რადგან სწორედ ამ თხზულებებზე დართული მთარგმნელის ლექსიკოგრაფიული ხასიათის სქოლიოებით უსარგებლია მას თავისი ლექსიკონის რამდენიმე სიტყვის განმარტებისას.



2. საბა წყაროდ იყენებს ეფრემის ლექსიკოგრაფიულ სქოლიოებს სხვადასხვა სახით: ზოგჯერ ის პირდაპირ იწერს ეფრემის სქოლიოს და უთხრებს სიტყვის განმარტების წარმომავლობას („ბისონი“ „კამში“ „ტრიონი“, „სკარამანგი“), ზოგჯერ ის სიტყვის სიტყვით იმეორებს ეფრემის „შეისწავეს“, მაგრამ არავითარ მითითებას წყაროზე არ აკეთებს („უკუზღვა“, „ორცხოველი“, „დასო“, „ომილია“, „გოჯი“, „მედგარი“), ხან კი საბა სიტყვას ეფრემის შენიშვნის საფუძველზე განმარტავს („ეპიტაფია“, „გენეთლია“, „პელტი“, „კატაპელტი“, „ეერობი“, „ამოლიტი“, „მეკანონე“, „ქლოვი“, „ეკელი“). ამ შემთხვევაშიც სულხან-საბა ლექსიკონის არც ერთ რედაქციაში წყაროს არ უთითებს.

საბას ლექსიკონში შეტანილი რამდენიმე სიტყვის განმარტება („ანგელოზი“, „ეკლესია“, „კრაიკე“, „იერთოფოსი“, „ლირწება“, „მარტულია“, „მესიტი“, „მოცემა-უკუმოცემა“, „ნამდვილი“, „ღმერთი“) მსგავსებას ამჟღავნებს ეფრემისეულ ახსნასთან, მაგრამ დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ეფრემის ლექსიკოგრაფიული შენიშვნები წარმოადგენენ მათ პირდაპირ წყაროს, ძნელდება, თუმცა სხვა ზეპირ თუ წერილობით მასალებთან ერთად ალბათ ეფრემ მცირის სქოლიოებიც წარმოადგენდა მნიშვნელოვან წყაროს ამ სიტყვების საბასეული განმარტებისათვის.

**ლიტერატურა**

1. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
2. კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983.
3. ა. დლოტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983.
4. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV<sub>1</sub>, თბ., 1966.
5. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV<sub>2</sub>, თბ., 1966.
6. სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, ი. ყიფშიძის და ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.
7. ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1952.
8. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957.
9. ე. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ავტოგრაფი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B.
10. ზ. ქუმბურიძე, ვეფხისტყაოსანი, როგორც საბას ლექსიკონის წყარო, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბ., 1959.
11. კ. დანელია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო, „მაცნე“, 1964, № 2.
12. მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11 (საიუბილეო), თბ., 1968.
13. ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959.
14. თ. ბრეგაძე, ეფრემ მცირის ნათარგმნი ძეგლები (ბიბლიოგრაფია), მრავალთავი, I, თბ., 1971.
15. ე. ხინთიბიძე, ბასილი კაბადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბ., 1968.
16. ი. აბულაძე, საქმე მოციქულთა, თბ., 1950.
17. ი. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, თსუ შრომები, ტ. III, 1936.
18. თ. კუკავა, სულხან-საბას ლექსიკონის ფილოსოფიური წყაროები, „ლიტერატურული გაზეთი“, 1958, № 4.

ОБ ОТНОШЕНИИ ЛЕКСИКОГРАФИЧЕСКИХ СХОЛИЙ  
ЕФРЕМА МЦИРЕ К СЛОВАРЮ СУЛХАНА-САБА ОРБЕЛИАНИ

Резюме

В рукописях переводов памятников византийской литературы, относящихся к Ефрему Мцире, встречаются многочисленные лексикографические примечания, сделанные на полях. Эти примечания — схолии — объясняют значения некоторых грузинских, греческих, а иногда и еврейских слов, непонятных для грузинского читателя.

Изучение ефремовских лексикографических схолий показало, что в своих объяснениях к ним часто обращался Сулхан-Саба Орбелиани. Следует отметить, что эти примечания сделаны Ефремом к переводам трудов Григория Богослова, Диониса Ареопагита, Василия Великого, Иоанна Дамаскина, Григория Нисского, а также к Апостолу редакции Ефрема Мцире.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა, ლაბორატორია „ორიონი“

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

## ენიწლი თარბაბაძე

### სპარსული მუსამათი

სპარსულ პოეზიაში გვხვდება ბეითური და სტროფული სალექსო ფორმები. ბეითური სალექსო ფორმების გავრცელებული ნიმუშებია: ყასიდა და დაზელი. სტროფული სალექსო ფორმები უფრო გვიანდელი წარმოშობისაა. მათი გავრცელებული ნიმუშებია: თარჯიყები და მუსამათები.

ბეითური და სტროფული სალექსო ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება ლექსის ძირითადი კომპოზიციური ერთეულის რაობით. ბეითური სალექსო ფორმების ძირითადი კომპოზიციური ერთეულია ბეითი. საყოველთაოდ მიღებული ტერმინოლოგია რომ ვინმაროთ, ვიტყვოდით: ბეითური სალექსო ფორმების სტროფია ბეითი, ხოლო კარედი (სალექსო სტრიქონი) — მისრა. სტროფული სალექსო ფორმების ძირითადი კომპოზიციური ერთეულია სტროფი, ხოლო კარედი (სალექსო სტრიქონი) შეიძლება იყოს მისრა ან ბეითი. მაგალითად, თარჯიყებში სალექსო სტრიქონი უმთავრესად ბეითია, ხოლო მუსამათებში — მისრა, რადგან ბეითი ყოველთვის ორი მისრისაგან შედგება, შეიძლება ითქვას, რომ ბეითური სალექსო ფორმების სტროფები ყოველთვის ორკარედია. როცა ლექსის სტროფებში ორზე მეტი კარედია, ლექსი უკვე სტროფულ სალექსო ფორმებს განეკუთვნება.

სტროფული სალექსო ფორმების სტროფებში კარედთა რაოდენობა შეიძლება წინასწარ განსაზღვრული და მკაცრად კანონიზებული იყოს (მაგალითად, მუსამათებში), ან შეიძლება ნებისმიერი იყოს (მაგალითად, თარჯიყებში).

ლექსის სტროფებში კარედთა განსაზღვრული რაოდენობის კანონიზება და ლექსში რითმის განლაგების განსაზღვრული წესი ძირითადად აყალიბებს სტროფული სალექსო ფორმების კონკრეტულ სახეს. ზოგ შემთხვევაში კონკრეტული სალექსო ფორმის პროსოდიული სახის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებს პოეტური ფიგურები (მაგალითად, მუსთაზადი, თაზმინი) და კარედის ზომა (მაგალითად, რომაის სალექსო ფორმაში).

ჩვენს ნაშრომში შევეცდებით ჩამოვყალიბოთ სპარსული მუსამათის კომპოზიციური სახე.

**1.1. მუსამათის ძირითადი პროსოდიული ნიშნები.** სპარსულ ვერსიფიკაციაში მუსამათი საერთო სახელწოდებაა რვა მყარი სალექსო ფორმისა, რომლებიც, გამსხვავებებიან რა ერთმანეთისაგან ინდივიდუალური პროსოდიული ნიშნებით, ამავე დროს ექვემდებარებიან ერთ საერთო კანონზომიერებას პროსოდიული ინდივიდუალობისა და ვარიაციულ სახესხვაობათა წარმოქმნაში.

ტერმინის ლექსიკური მნიშვნელობა — „მუსამათ“ — წარმოდგება არაბული სიტყვიდან „სიმით“, რაც ნიშნავს ძაფს, რომელზედაც მიივებია აცმული. აქედან „მუსამათ“ — გარკვეული თანმიმდევრობით ძაფზე აცმული მარგალიტები, ყელსაბამი ან ყელსაბამით დამშვენებული, რაც მეტაფორულად ასახავს მუსამათის კომპოზიციური აღნაგობის სრულყოფილებას.

ტერმინოლოგიური მნიშვნელობით მუსამათი აღნიშნავს სალექსო ფორმათა ერთ ჯგუფს, რომლის ძირითადი პროსოდიული თავისებურებაა ცალკეულ სახეობათა მიხედვით სტროფებში კარედთა განსაზღვრული რაოდენობის მკაცრი კანონიზება (5—100, 128, 129; 7—194; 6—96; 386, 497, 538, 551; 3—29; 2—65; 14).

ლექსის სტროფებში კარედთა განსაზღვრული რაოდენობის მკაცრი კა-



ნონიზებით მუსამმათი რვა სახეობად იყოფა. მუსამმათის პირველი სახეობას ლექსის სტროფებში სამი კარედია კანონიზებული (სამკარედიანი სტროფია და კანონებული), ბოლო სახეობაში — ათი (ათკარედიანი სტროფი). ცალკეული სახეობანი წარმოიქმნება სტროფში თითო კარედის მიმატებით. მუსამმათის ცალკეულ სახეობათა აღმნიშვნელი ტერმინების ლექსიკური მნიშვნელობა გაპირობებულია სტროფებში კარედთა რაოდენობით. ასე მაგალითად:

1. მუსალლასი — სამკარედიანი სტროფებით დაწერილი მუსამმათი. არაბ. სალას ნიშნავს სამს, მუსალლას — სამის შემცველს. ამ სალექსო ფორმის სრული სახელწოდებაა მუსალლასის მუსამმათი.

2. მურაბბაყი — ოთხკარედიანი სტროფებით დაწერილი მუსამმათი. არაბ. არბაყ — ოთხი, მურაბბაყ — ოთხის შემცველი. სრული სახელწოდებაა: მურაბბაყის მუსამმათი.

3. მუხამმასი — ხუთკარედიანი სტროფებით დაწერილი მუსამმათი. არაბ. ხამს — ხუთი, მუხამმას — ხუთის შემცველი, სრული სახელწოდება: მუხამმასის მუსამმათი.

4. მუსადლასი — ექვსკარედიანი სტროფებით დაწერილი მუსამმათი. არაბ. სითთ — ექვსი, მუსადლას — ექვსის შემცველი, სრული სახელწოდება: მუსადლასის მუსამმათი.

5. მუსაბბაყ — შვიდკარედიანი სტროფებით დაწერილი მუსამმათი. არაბ. საბყ — შვიდი, მუსაბბაყ — შვიდის შემცველი. სრული სახელწოდება: მუსაბბაყის მუსამმათი.

6. მუსამმანი — რვაკარედიანი სტროფებით დაწერილი მუსამმათი. არაბ. სამან — რვა, მუსამმან — რვის შემცველი. სრული სახელწოდება: მუსამმანის მუსამმათი.

7. მუთასსაყი — ცხრაკარედიანი სტროფებით დაწერილი მუსამმათი. არაბ. თისყ — ცხრა, მუთასსაყ — ცხრის შემცველი. სრული სახელწოდება: მუთასსაყის მუსამმათი.

8. მულაშშარი — ათკარედიანი სტროფებით დაწერილი მუსამმათი, არაბ. აშრ — ათი, მულაშშარი — ათის შემცველი. სრული სახელწოდება: მულაშშარის მუსამმათი.

**1. 2. ინვარიანტული პროსოდიული სიდიდე.** როგორც ვხედავთ, მუსამმათის სტროფებში კარედთა რაოდენობის ყოველგვარი შეცვლა (ყოველი კარედის მიმატება სამიდან ათის ფარგლებში) გვაძლევს მუსამმათის თვისებრივად ახალ სახეობას. ამდენად მუსამმათის ცალკეული სახეობისათვის სტროფებში კარედთან დაკანონებული რაოდენობა მუდმივი, ინვარიანტული პროსოდიული სიდიდეა. კონკრეტულად მუსამმათის ცალკეული სახეობისათვის ინვარიანტული პროსოდიული სიდიდეებია:

1. მუსალლასი — სამკარედიანი სტროფი, 2. მურაბბაყ — ოთხკარედიანი სტროფი, 3. მუხამმასი — ხუთკარედიანი სტროფი, 4. მუსადლასი — ექვსკარედიანი სტროფი, 5. მუსაბბაყ — შვიდკარედიანი სტროფი, 6. მუსამმანი — რვაკარედიანი სტროფი, 7. მუთასსაყი — ცხრაკარედიანი სტროფი, 8. მულაშშარი — ათკარედიანი სტროფი.

**1.3. ვარიაციების წარმოქმნელი ფაქტორები.** რითმა. მუსამმათის რვავე სახეობაში ერთნაირად გვხვდება რითმის განლაგების სამი ვარიანტი.

(I)

მუსალლასი	I	aax	bby	ccz...
	II	aax	bbx	ccx...
	III	aaa	bba	cca...

მურაბაყი	I	aaax	bbby	ccc...
	II	aaax	bbbx	cccx...
	III	aaaa	bbba	ccca...
მუხამმასი	I	aaaax	bbbby	cccc...
	II	aaaax	bbb bx	cccc...
	III	aaaaa	bbbba	cccca...

და ა. შ. მუყაშმარის ჩათელით.

მუსამმათის რითმის განლაგების სამივე ვარიანტი შეიძლება გამოისახოს ზოგადი სქემებით, რომელიც ასახავს ლექსში რითმის განლაგების ზოგად კანონზომიერებას სტროფებში კარედთა რაოდენობის გაუთვალისწინებლად.

მუსამმათის რითმის განლაგების ზოგადი სქემები

(2)

რითმის განლაგების I ვარიანტი

მუსალლასი	aa	bb	cc...
მურაბაყი	aaax	bbby	ccc...
მუხამმასი	aaaax	bbbby	cccc...
...			

ზოგადი სქემა: ax by cz...

რითმის განლაგების II ვარიანტი

მუსალლასი	aa	bb	cc...
მურაბაყი	aaax	bbbx	cccx...
მუხამმასი	aaaax	bbb bx	cccc...
...			

ზოგადი სქემა: ax bx cx...

რითმის განლაგების III ვარიანტი

მუსალლასი	aaa	bba	cca...
მურაბაყი	aaaa	bbba	ccca...
მუხამმასი	aaaaa	bbbba	cccca...
...			

ზოგადი სქემა: a ba ca...

სტროფის ბოლო განსხვავებული რითმა შეიძლება გეჭონდეს ბოლო ორ კარედში. ამით ლექსში რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერება არ იცვლება, მაგალითად, მუხამმასში თუ ლექსის რითმის განლაგების კონკრეტული სქემა aaaxx bbbyy ccczz... (ბოლო გაორმაგებული განსხვავებული რითმით), ლექსის რითმის განლაგების ზოგადი სქემა იგივე დარჩება: ax by cz...

მუსამმათის რითმის განლაგების სამივე ვარიანტი

(3)

I	ax	by	cz...
II	ax	bx	cx...
III	a	ba	ca...

ერთნაირად გვხვდება მუსამმათის რვავე სახეობაში და იგი (რითმის განლაგება) მუსამმათში თვისებრივად ახალ სახეობას არ წარმოქმნის.

რითმის სამი სახის განლაგება მუსამმათებში გვაძლევს რითმის განსხვავებული განლაგების მქონე ვარიანტებს.

ამრიგად, რითმა მუსამმათებში ვარიაციების წარმოქმნელი ფაქტორია.

**რეფრენი.** მუსამმათებში გვაქვს ურეფრენო და რეფრენიანი ფორმები.

მუსამმათების რეფრენიან ფორმებში რეფრენული კარედები ყოველთვის სტროფის ბოლოშია (რეფრენი მუსამმათში კომპოზიციური დაბოლოება) და

ის შედის სტროფში დაკანონებულ კარედთა რაოდენობის სათვალავში.

რეფრენი გვხვდება მუსამმათის რითმის განლაგების იმ ვარიანტებში, რომელთა სტროფები ერთი რითმით ბოლოვდება (ax bx cx... და a ba ca...) და გვაძლევს ამ ვარიანტების გართულებულ (რეფრენიან) ფორმებს. ax by cz... ვარიანტში რეფრენი არა გვაქვს სტროფების სხვადასხვა დაბლოების მქონე კარედებით დასრულების გამო.

თუ რეფრენულ კარედებს ფრჩხილებში მოვათავსებთ, რეფრენიანა ფორმების ვარიანტები ზოგადი სქემებით ასე გამოისახება:

რეფრენიანი ფორმა მუსამმათის ax bx cx... ვარიანტში — a(x) b(x) c(x)...  
რეფრენიანი ფორმები მუსამმათის რითმის განლაგების a ba ca... ვარიანტში a(a) b(a) c(a)... და a(a) ba(a) ca(a)...

როგორც ვხედავთ, მუსამმათის ax bx cx... ვარიანტში გვაქვს ერთი რეფრენიანი ფორმა, ხოლო a ba ca... ვარიანტში—ორი რეფრენიანი ფორმა. მუსამმათის a ba ca... ვარიანტიდან წარმოქმნილ რეფრენიანი ფორმებიდან a(a) b(a) c(a)... ვარიანტი გვხვდება კლასიკური პერიოდის მუსამმათებში, ხოლო a(a) ba(a) ca(a)... ვარიანტი—უახლესი პერიოდის მუსამმათებში.

საერთოდ, მუსამმათის რეფრენიანი ვარიანტებია:

(4)

I	a(x)	b(x)	c(x)...
II	a(a)	b(a)	c(a)...
III	a(a)	ba(a)	ca(a)...

რეფრენი მუსამმათში თვისებრივად ახალ სახეობას არ წარმოქმნის<sup>1</sup>. მუსამმათში რეფრენი, ისევე როგორც რითმა, ვარიაციების წარმომქმნელი ფაქტორია.

ამრიგად, მუსამმათებში ვარიაციების წარმომქმნელი ფაქტორებია რითმა და რეფრენი, რომელთა მიხედვითაც გვაქვს ამ სალექსო ფორმების ექვსი ვარიაციული სახესხვაობა (ექვსი ვარიანტი).

მუსამმათის ვარიანტები გამოსახული ზოგადი სქემებით, საერთო ყველა სახეობისათვის

(5)

ურეფრენო ფორმები

I	ax	by	cz...
II	ax	bx	cx...
III	a	ba	ca...

რეფრენიანი ფორმები

I	a(x)	b(x)	c(x)...
II	a(a)	b(a)	c(a)...
III	a(a)	ba(a)	ca(a)...

სპარსულ პოეზიაში მუსამმათები უფრო ხშირად დასათავსებულია მუსამმათის ცალკეულ სახეობათა ტერმინებით (სტროფებში კარედთა რაოდენობის შესაბამისად). მაგალითად, ხუთკარედიანი სტროფების შემთხვევაში ლექსს აწერია მუხამმასი, ექვსკარედიანი სტროფების შემთხვევაში — მუსადდასი და ა. შ. სხვა შემთხვევაში იგივე ლექსები შეიძლება დასათავსებული იყოს მხო-

<sup>1</sup> სპარსულ პოეზიაში გვაქვს ისეთი სალექსო ფორმა (თარქიბანდი), რომელშიც რეფრენი ამ სალექსო ფორმიდან თვისებრივად განსხვავებულ სალექსო ფორმას თარჯიხანდს წარმოქმნის.

ლოდ მუსამმათით ან შერწყმული იყოს მუსამმათისა და მისი სახეობის სახეობა მავალითად, მუსამმათი მუხამმასრ, მუსამმათი მუსადლდასი და ა. შ.

**2. ღაზელისა და თარჯიჯის მუსამმათები.** ლექსში რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერება შეიძლება იდენტური ჰქონდეს განსხვავებულ მყარ სალექსო ფორმებს (4, 58—59 და 87—88).

ლექსში რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერებით მუსამმათის ვარიანტების ერთი ნაწილი იდენტურია ღაზელის რითმის განლაგებისა, ხოლო მეორე ნაწილი — თარჯიჯების (თარქიბანდის და თარჯიჯანდის) რითმის განლაგებისა.

**2. 1. ღაზელის მუსამმათები.** სპარსული ღაზელი იწერება თანაზომიერი ბეითებით. ღაზელის სტროფი (ძირითადი კომპოზიციური ერთეული) ბეითია, ხოლო კარედი (ძირითადი მეტრული ერთეული) — მისრა. ბეითი ყოველთვის ორი მისრისაგან შედგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ღაზელის სტროფებში კარედთა რაოდენობა მკაცრად კანონიზებულია და უდრის ორს.

ღაზელში გარდა სტროფებში შემავალი კარედების რაოდენობის წინასწარ განსაზღვრული და მკაცრად კანონიზებულია ლექსის მთელ ენობრივ მასალაზე რითმის განლაგების წესი: ღაზელის პირველი სტროფის ორივე კარედს ერთა მოსაზღვრე რითმა აქვს (aa) და ეს რითმა (a) მომდევნო სტროფებში მეორდება ბოლო კარედის რითმად (.ba ca...).

ღაზელის რითმის სქემებია:

(6)

aa ba ca... — ლექსში რითმის განლაგების კონკრეტული სქემა  
a ba ca... — ლექსში რითმის განლაგების ზოგადი სქემა (ლექსში

რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერება).

თუ შევადარებთ მუსამმათის ვარიანტებისა და ღაზელის რითმის განლაგების ზოგად სქემებს (იხ. სქემები 5 და 6), ენახავთ, რომ ლექსში რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერებით მუსამმათის ურეფრენო ფორმების III ვარიანტი (a ba ca...) და მისგან წარმომდგარი რეფრენიანი ფორმები [a (a) b(a) c(a)... და a(a) ba(a) ca(a)...] იდენტურია ღაზელისა.

**2.2. თარჯიჯის მუსამმათები.** თარჯიჯი საერთო სახელწოდებაა უძველესი სპარსული სტროფული სალექსო ფორმებისა: თარქიბანდასა და თარჯიჯანდასა. ეს სალექსო ფორმები დაწერილია ბეითებისაგან შემდგარი სტროფებით (ლექსში კარედის ფუნქციას ბეითი ასრულებს). ლექსში სტროფებისა და სტროფებში კარედების (ბეითების) რაოდენობა დავანონებული არ არის.

თარქიბანდასა და თარჯიჯანდას ყოველ სტროფს აქვს საკუთარი (სხვა სტროფებისაგან განსხვავებული) მონორითმა, რომლითაც ბოლოვდება სტროფის ყველა ბეითი, გარდა უკანასკნელისა. სტროფის უკანასკნელ ბეითს აქვს სტროფის წინა ბეითებისაგან განსხვავებული დაბოლოება. ამ კარედს (ბეითს) ირანელი ვერსიფიკატორები „ბეითე ვასეთეს“, ანუ „შუამავალ ბეითს“, უწოდებენ (3, 26).

„ბეითე ვასეთე“ მდებარეობს ორი მოსაზღვრე სტროფის განსხვავებულ მონორითმიან ბეითებს შორის. აქედან წარმოდება ამ ტერმინის ლექსიკური მნიშვნელობა — „შუამავალი, ბეითი“. „ბეითე ვასეთე“, ანუ „შუამავალი ბეითი“ შემოფარგლავს რა წინა სტროფის მონორითმიან კარედებს (ბეითებს), გამოყოფს მას მომდევნო სტროფის სხვა მონორითმაზე შერითმული კარედებისაგან (ბეითებისაგან).

თარქიბზანდის სალექსო ფორმაში გვხვდება რითმის განლაგების ორი ვარიანტი. I ვარიანტში ლექსის სტროფების უკანასკნელი კარედები „ზეითე ვასეთები“ ერთმანეთისაგან განსხვავებული დაბოლოებისაა.

(7)

$a^n \dots x$      $b^n \dots y$      $C^n \dots z$  ...  
ax    by    cz... — ლექსში რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერება.

სქემაში n აღნიშნავს a, b, c ... რითმიანი კარედების რაოდენობას, ხოლო X, Y, Z ... „ზეითე ვასეთები“.

II ვარიანტში ლექსის სტროფების უკანასკნელი კარედები — „ზეითე ვასეთები“ ერთმანეთთან არის შერითმული.

(8)

$a^n \dots x$      $b^n \dots x$      $c^n \dots x$  ...  
ax bx cx ... — ლექსში რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერება.

თარქიბზანდის რითმის განლაგების II ვარიანტში (ax bx cx...), როცა ყოველ სტროფში მონორითმიანი ბეითების შემდეგ მეორდება არა მარტო x რითმა, არამედ X-რიტმიანი ბეითი სიტყვასიტყვით (როცა X რითმის მქონე ბეითი — „ზეითე ვასეთე“ — რეფრენად მეორდება ყოველი სტროფის ბოლოს), ვიღებთ თარქიბზანდის რეფრენიან ვარიანტს, რომელიც დამოუკიდებელ სალექსო ფორმად თარჯიყზანდად არის ცნობილი.

ამრიგად, თარქიბზანდის სალექსო ფორმის II ვარიანტში, როცა „ზეითე ვასეთე“ რეფრენად კანონდება, წარმოიქმნება თარქიბზანდისაგან განსხვავებული სალექსო ფორმა თარჯიყზანდი.

თარჯიყზანდის რითმის განლაგების სქემები:

(9)

$a^n \dots (x)$      $b^n \dots (x)$      $c^n \dots (x)$  ... — კონკრეტული სქემა.  
a (x)    b (x)    c (x) ... — ზოგადი სქემა.

ვერსიფიკაციის თანამედროვე მონაცემების გათვალისწინებით სპარსული უძველესი სტროფული სალექსო ფორმების, თარჯიყზანდის (თარქიბზანდისა და თარჯიყზანდის) ძირითადი პროსოდიული სახე ჩვენ ასე წარმოგვესახება: თარქიბზანდი. ინვარიანტული პროსოდიული სიდიდე — „ზეითე ვასეთე“. ვარიაციების წარმომქმნელი ფაქტორი — „ზეითე ვასეთეს“ რითმა, რომლის მიხედვითაც გვაქვს ამ სალექსო ფორმის ორი ვარიანტი:

- I.    ax    by    cz ...
- II.    ax    bx    cx ...

თარჯიყზანდი. ინვარიანტული პროსოდიული სიდიდე — „ზეითე ვასეთე“ რეფრენად. თარჯიყზანდი წარმოდგენილია ერთი ვარიანტით:

a (x)    b(x)    c(x)...

თუ შევდარებთ ერთმანეთს მუსამმათის ვარიანტებისა და თარჯიყზანდის რითმის განლაგების ზოგად სქემებს (იხ. სქემები 5, 7, 8 და 9), ვნახავთ, რომ ლექსში რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერებით მუსამმათის ურეფრენო ფორმების I და II ვარიანტი და რეფრენიანი ფორმების I ვარიანტი იდენტურია თარჯიყზანდისა. ასეთივე იდენტურობა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მუსამმათის დანარჩენ ვარიანტებსა და ლაზელს შორის. შეადარეთ:

მუსამმათი ურედრენო ფორმები			თარჯიციები და ლაზელი თარქიბბანდი		
I.	ax	by cz...	I.	ax	by cz ...
II.	ax	bx cx...	II.	ax	bx cx ...
					ლაზელი
III.	a	ba ca...		a	ba ca ...
		რედრენიანი ფორმები			თარჯიციბანდი
I.	a(x)	b(x) c(x)...		a(x)	b(x) c(x) ...
					ლაზელი
II.	a(a)	b(a) c(a)...		a	ba ca ...
III.	a(a)	ba(a) ca(a)...		a	ba ca ...

როგორც აღრე აღენიშნეთ, სპარსულ ვერსიფიკაციაში „ბეთეთ ვასეთეს“ პრინციპზე აგებულ სალექსო ფორმებს — თარქიბბანდსა და თარჯიციბანდს — ერთი სახელწოდებით — „თარჯიცი“ აღნიშნავენ (3, 24—33). შემდეგ პერიოდში ტერმინი „თარჯიცი“ იძენს მეორე მნიშვნელობას და იხმარება როგორც რედრენის, ისე რედრენიანი ლექსის აღმნიშვნელად (2, 69).

სპარსულ პოეზიაში ტერმინი „თარჯიცი“ მუსამმათი“ მიწერილი აქვს როგორც რედრენიან, ისე ურედრენო მუსამმათებს. იმ შემთხვევაში, როცა ამ ტერმინით განსაზღვრულია მუსამმათის რედრენიანი ლექსები, ნათელია, რომ აქ ტერმინი „თარჯიცი“ მუსამმათი“ იხმარება მუსამმათის რედრენიანი ფორმის აღმნიშვნელად. იმ შემთხვევაში, როცა ტერმინი „თარჯიცი“ მიწერილი აქვს მუსამმათის ურედრენო ლექსებს, ეს ტერმინი იხმარება მხოლოდ „ბეთეთ ვასეთეს“ პრინციპზე აგებული მუსამმათებისათვის, ე. ი. მხოლოდ იმ მუსამმათებისათვის, რომელთა ყველა სტროფში უკანასკნელი კარედის დაბოლოება განსხვავებულია წინა კარედების მონორითმისაგან (თარქიბბანდისა და თარჯიციბანდის მსგავსად).

ამრიგად, სპარსულ პოეზიაში მუსამმათებზე მიწერილი განსაზღვრების „თარჯიცი“ მუსამმათის“ ნიხედით თვალსაჩინო ღდება, რომ სპარსელი პოეტები ტრადიციულად მუსამმათებს თარჯიცი თარჯიცი საზღვრადენენ ორივე პრინციპით (რედრენიანი ლექსი და „ბეთეთ ვასეთეს“ პრინციპზე აგებული ლექსი). მათთვის მუსამმათის ურედრენო ფორმების ვარიანტები: ax by cz ... და ax bx cx ... თარჯიცი მუსამმათებია, როგორც „ბეთეთ ვასეთეს“ აგებული მუსამმათები, ხოლო მუსამმათის ყველა რედრენიანი ფორმა: a(x) b(x) c(x) ... a(a) b(a) c(a) ... და a(a) ba(a) ca(a) ... თარჯიცი მუსამმათებია, როგორც რედრენიანი მუსამმათები.

სპარსულ პოეზიაში მუსამმათის ურედრენო ფორმას, რომელშიც რითმა განლაგებულია a ba ca ... კანონზომიერებით, მიწერილი აქვს ტერმინი „ლაზელის მუსამმათი“, ლაზელის რითმის განლაგების ზოგად კანონზომიერებასთან იდენტურობის გამო, ხოლო მუსამმათის ამ ვარიანტებიდან წარმოქმნილ რედრენიან ფორმებს: a(a) b(a) c(a) ... და a(a) ba(a) ca(a) ... მიწერილი აქვს განსაზღვრება „თარჯიცი მუსამმათი“ ლექსის რედრენიანობის გამო.

ჩვენ მუსამმათის ვარიანტებს ვსაზღვრავთ მხოლოდ ერთი კრიტერიუმით — ლექსში რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერების ანალოგიურობით (თარჯიციებისა და ლაზელის სალექსო ფორმებთან). ამიტომ თარჯიცი მუსამმათებზე აღნიშნავთ მხოლოდ „ბეთეთ ვასეთეს“ პრინციპზე აგებულ მუსამმათის ვარიანტებს, ხოლო ლაზელის მუსამმათებზე — მუსამმათის იმ ვარიანტებს, რომლებშიც გვაქვს ლაზელის რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერება, მიუხედავად იმისა მუსამმათი რედრენიანია თუ ურედრენო.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით ლაზელის მუსამმათებია მუსამმათის შემდეგი ვარიანტები:



(11)

a ba ca...  
a(a) b(a) c(a)...  
a(a) ba(a) ca(a)...

თარჯიყის მუსამმათებია:

(12)

ax by cz...  
ax bx cx...  
a(x) b(x) c(x)...

ამრიგად, ლაზელთან და თარჯიყებთან (თარქიბბანდთან და თარჯიყბანდთან) რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერების იდენტურობის საფუძველზე მუსამმათის ვარიანტები იყოფა ორ ჯგუფად: ლაზელის მუსამმათებად და თარჯიყის მუსამმათებად.

**3. მუსამმათის ზოგადი დახასიათება.** ვერსიფიკაციის თანამედროვე მონაცემების გათვალისწინებით მუსამმათის ჯგუფის სალექსო ფორმებისათვის ინვარიანტული პროსოდიული სიდიდეა სტროფებში კარედთან განსაზღვრული რაოდენობის კანონიზება ცალკეულ სახეობათა მიხედვით: მუსალლასის სალექსო ფორმის ინვარიანტული პროსოდიული სიდიდეა სტროფში დაცანონებული სამი კარედი (სამკარედნიანი სტროფი), მურაბბაყის — ოთხკარედნიანი სტროფი, ნუხამასის — ხუთკარედნიანი სტროფი და ა. შ.

მუსამმათის ჯგუფის სალექსო ფორმებში ვარიაციების გამომწვევი ფაქტორებია რითმის განლაგება და რეფრენი.

მუსამმათის ყველა სახეობაში ერთნაირად გვაქვს რითმის განლაგების სამი ვარიანტი. ეს ვარიანტები ზოგადი სქემებით ასე გამოისახება:

I. ax by cz ...  
II. ax bx cx...  
III. a ba ca...

მუსამმათის ყველა სახეობაში ერთნაირად გვაქვს რეფრენიანი ფორმების სამი ვარიანტი. ეს ვარიანტები ზოგადი სქემებით ასე გამოისახება:

I. a(x) b(x) c(x)...  
II. a(a) b(a) c(a)...  
III. a(a) ba(a) ca(a)...

რითმის განლაგების ზოგადი კანონზომიერების ანალოგიურობის საფუძველზე მუსამმათის ვარიანტებში გამოიყოფა ორი ჯგუფი: თარჯიყის და ლაზელის მუსამმათები.

ლაზელის მუსამმათებია მუსამმათის შემდეგი ვარიანტები:

a ba ca...  
a(a) b(a) c(a)...  
a(a) ba(a) ca(a)...

თარჯიყის მუსამმათებია მუსამმათის შემდეგი ვარიანტები:

ax by cz...  
ax bx cx...  
a(x) b(x) c(x)...

სპარსულ პოეზიაში მუსამმათის საღეჭსო ფორმათა ჯგუფის ყველა სახე-ობა ერთნაირად არ არის გავრცელებული. განსაკუთრებით ხშირად გვხვდებიან მუსამმასი და მუსადდასი (ხუთ- და ექვსკარედიანი სტროფებით დაწერილი მუსამმათები).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვერსიფიკაციის თანამედროვე მონაცემების გათვალისწინებით მუსამმათის ერთ-ერთი სახეობის — მუსამმასის საღეჭსო ფორმის პროსოდიული სახე ასე წარმოგვიდგება:

**მუსამმასი**

ინვარიანტული პროსოდიული სიდიდე — ხუთკარედიანი სტროფი.  
 ვარიაციების წარმოქმნელი ფაქტორი — რითმის განლაგება და რეფრენი.

(13)

რიტმის განლაგების კონკრეტული სქემები

რიტმის განლაგების ზოგადი სქემები

**ურეფრენო ფორმები**

I.	aaaa	bbbb	cccc...	ax	by	cz...
II.	aaaa	bbb	cccc...	ax	bx	cx...
III.	aaaa	bbba	ccca...	a	ba	ca...

**რეფრენიანი ფორმები**

I.	aaaa(x)	bbbb(x)	cccc(x)...	a(x)	b(x)	c(x)...
II.	aaaa(a)	bbb(a)	cccc(a)...	a(a)	b(a)	c(a)...
III.	aaaa(a)	bbba(a)	ccca(a)...	a(a)	ba(a)	ca(a)...

**აქედან: დაზღლის მუსამმასები**

aaaaa	bbba	ccca....	a	ba	ca...
aaaa(a)	bbb(a)	ccc(a)	a(a)	b(a)	c(a)...
aaaa(a)	bbba(a)	ccca(a)...	a(a)	ba(a)	ca(a)...

**თარჯიის მუსამმასები**

aaaa	bbby	cccc...	ax	by	cz...
aaaa	bbb	cccc...	ax	bx	cx...
aaaa(x)	bbb(x)	ccc(x)...	a(x)	b(x)	c(x)...

**ლიტერატურა**

1. კობიძე დ., ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1967.
2. ალ-ჰალაფი. დაყაიყ ალ-შერ, ელმ-ე ბადი-ე შერი დარ ზაბან-ე ფარსი დარი, თე-პრან, 1341 (სპარს. ენაზე).
3. მოთამენ, თავეოლე შე'რ-ე ფარსი, 1339 (სპარსულ ენაზე).
4. Бертельс Е. Э., Навой и Джами, М., 1965.
5. Бахид Табризи, Джами—и мухтасар, Трактат о поэтике, Критический текст, перевод и примечания А. Е. Бертельса, М., 1959.
6. Корш Ф. Е. Стихосложение, в кн.; Грамматика персидского языка, составленная Мирзою-Джафаром. М., 1901.
7. Рашид ад-дин Ватват, Сады волшебства в тонкостях поэзии, перевод, с персидского, исследование и комментарии И. Ю. Чалисовой, М., 1985.
8. Рупка J., History of Iranian Literature, Dordrecht—Holland, 1968.

Н. А. ТАРГАМДЗЕ

**ПЕРСИДСКИЙ МУСАММАТ**

**Резюме**

В персидской версификации мусаммат — общее название восьми твердых строфических форм, которые, отличаясь друг от друга индивидуальными просодическими признаками, подчиняются одной



общей закономерности в образовании просодической индивидуальности и вариационных разновидностей.

В статье в свете достижений современной версификации проанализирована строфическая композиция этих стихотворных форм. Предложена классификация основных просодических признаков мусамматов (инвариантная просодическая величина, факторы варьирования и варианты).

В персидских мусамматах инвариантной просодической величиной является определенное и строго узаконенное число строк в строфах.

Факторами выделения вариаций является расположение рифмы рефрен. Три вида их расположения во всех типах мусаммата одинаково дают шесть вариационных разновидностей.

По общей закономерности расположения рифмы в стихотворении отдельные варианты мусамматов аналогичны персидским газели и тарджи'ам (таркиббанду и тарджи'банду). В зависимости от этого варианты мусаммата делятся на две группы: мусамматы газели и мусамматы тарджи'а.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

მანა რაზავა

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი სიტყვის  
გაზიარებისათვის („შური“)

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის, ქართული კულტურის ამ უნიკალური ძეგლის, შესწავლა სხვა მრავალ საკითხთან ერთად მისი წყაროების შესწავლასაც ითვალისწინებს. საიდან იღებდა სულხან-საბა განსამარტავ სიტყვებს, როგორ სარგებლობდა უცხო ენების თარგმანებით, წყარო წერილობითი იყო, თუ იგი ცოცხალი, სასაუბრო ენით სარგებლობდა, როგორ იცვლებოდა განმარტებათა შინაარსი და წყაროზე მითითება ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციაში — ეს და მსგავსი საკითხები, დიდი ხანი, იქცევენ ქართველ მეცნიერთა ყურადღებას<sup>1</sup>.

მიუხედავად ჩატარებული კვლევა-ძიებისა, ქართული ლექსიკონის წყაროების შესწავლა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა, რადგან ამოუწურავია ის საგანძური, რომლითაც სარგებლობდა საბა და წლების მანძილზე ამუშავებდა, ავსებდა და ხეწდა თავის ლექსიკონს. ლექსიკონთან ყოველმა ახალმა შეხვედრამ შესაძლოა საიხლო მოგვეცეს, რაღაცა კუთხით გამოამწეუროს საბას მიერ დაუნჯებული სიტყვის ხიბლი.

ერთ-ერთი სიტყვა, რომელმაც მიიქცია ჩვენი ყურადღება, არის **შური**. ამ ერთ სიტყვაზე ყურადღებას ვამახვილებთ იმის გამო, რომ მისი განმარტება ძალზე პოპულარულია. მას იცნობს არა მხოლოდ სპეციალისტ მეცნიერთა წრე; იგი ფართოდ მორაულია მკითხველთა ფართო მასაშიც. ამ მომენტმა გვიბოძა **შურის** საბასეულ განმარტებაზე ყურადღების შეჩერება.

სანამ **შურის** საბასეულ განმარტებას შევხებოდეთ, აღვნიშნავთ, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში **შური** ძალიან ხშირად იხმარება იმის საწინააღმდეგო მნიშვნელობით, რომელსაც საბა გვთავაზობს და რომელიც დღეს აქვს ამ სიტყვას. **შური** ხშირად ნიშნავს კეთილ მიბაძვას, სწრაფვას, ე. ი. იმას, რაც გააჩნია საბასეულ **ბაძს**. საღმრთო **შური** — ამ გავრცელებულ გამოთქმაში **შურს** უცილობლად დადებითი ემოციის გამომხატველი მნიშვნელობა აქვს. იგი ხშირად დასტურდება ბერძნული **ζήλδος**-ის შესატყვისად.

მაგრამ ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს **შურის** საბასეული განმარტებათა მორიფიკაციის ხასიათი.

სულხან-საბას ლექსიკონში **შურ**-თან ერთად განმარტებულია მიახლოებითა მნიშვნელობის მქონე სიტყვები: **ბაძი**, **ღაზოობა** და **გვაჯი**.

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928. წინასიტყვა ა. შანიძისა, გვ. III—XXXII. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, ს. იორდანიშვილის გამოცემა, თბ., 1949, გვ. III—XXVII. ი. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სომხური წყაროები, შრომები, II, თბ., 1976. ე. მეტრეველი, ს.ს. ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, თბ., 1956, გვ. 11—40. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957. ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვარის თურქული თარგმანები, თბ., 1968, გვ. 5—69. კ. დანელია, პავლეს ეპისტოლენი, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 8—9, თბ., (№ 155—156). მ. შანიძე, ეფრემ მცირის „უსალმუნთა თარგმანება“, როგორც საბას ლექსიკონის წყარო. აკად. შანიძე — 100, საიუბილეო კრებული, თბ., 1987, გვ. 166—174.

ლექსიკონის რედაქციებში ერთნაირი ვითარება არაა ამ სიტყვების არსებობის მხრივ, არც მათი განმარტებანი საესენით იდენტური.

როგორც ცნობილია, სულხან-საბას ლექსიკონის რედაქციათა ასეთი ქრონოლოგიური რიგია მიღებული: E (H 416 > D (S 2498) > C(Ca (Q 400), Cb (H 95), Cq(ტოთ. 300) > B(H 1659) > A(Aa (A 1473) > Ab (A 75) > Z (H 1428)<sup>2</sup>.

1. EDC რედაქციები ლექსიკონზე მუშაობის ადრინდელ ეტაპზე, „კაბუკობისა უამსა და ყრობისა“, ევროპაში გამგზავრებამდე (1713 წ.) არის შესრულებული.

2. B რედაქცია — ევროპაში მოგზაურობის პერიოდში (1713—1716 წწ.).

3. AZ რედაქციები — ევროპიდან დაბრუნების შემდეგ გარდაცვალებამდე (1716—1725 წწ.).

ადრინდელ (CD) რედაქციებში გატანილია მხოლოდ შური და ბაძი, გვიანდელ (BAZ) რედაქციებშია — შური, ღაზოობა, გვაჯი და ბაძი. ყველაზე ადრინდელი რედაქცია ნაკლულია, მასში შური საერთოდ არ არის.

შურისა და ბაძის ის განმარტება, რომელიც გვაქვს ადრინდელ რედაქციებში, განსხვავებულია გვიანდელ რედაქციებში მოცემული განმარტებისაგან. ეს ვითარება, ასევე ისიც, რომ გვიანდელ რედაქციებში ჩამატებულია ღაზოობა და გვაჯი, ნათლად მიანიშნებს იმ ფაქტებზე, რომ სულხან-საბა წლების მანძილზე ამუშავებდა, ხეწდა, ავსებდა თავის ლექსიკონს. შურისა და ბაძის განმარტებათა საფუძველზე აშკარად ვლინდება: ლექსიკონის რედაქციებზე მუშაობისას ლექსიკოგრაფი სხვადასხვა წყაროს იყენებდა.

შური მეტ-ნაკლები განსხვავებით ორჯერ არის განმარტებული სულხან-საბას მიერ:

1. შური გატანილია განსამარტავ ერთეულად და განმარტებულია ბაძთან კონტექსტში ადრინდელ რედაქციებში, ხოლო ღაზოობასა და გვაჯთან კონტექსტში გვიანდელ რედაქციებში.

2. შური განმარტებულია მწუხარების სახეებში. ამ კონტექსტში იგი დასტურდება ყველა რედაქციაში.

როგორ არის განმარტებული შური ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციებში?

ადრინდელი (CD) რედაქციები: „შური არს მწუხარებად სხვისა კეთილსა ზედა; ხოლო განიყოფიან შური და ბაძვა, რამეთუ ბაძვა მსგავსება არს კეთილთა მჭურვალედ მგზებარობითა (+ და წადიერებით D) მათდა მიმართ, ხოლო შური მწუხარება არს მოყვისსა კეთილსა ზედა“.

B რედაქცია: „შური არს მწუხარებად სხვისა კეთილსა ზედა; ხოლო ღაზოობა არა თუ ოდენ მწუხარებისა ქონება, არამედ უძვირესიცა, რამეთუ ენებოს მოსპოლვა კეთილისა მის მქონებელისა მოყვისსა; ხოლო გვაჯი არს არა თუ მწუხარება, არამედ მისის წინააღმდეგობით რათა მანცა ანუ უადრეს, ანუ შემდგომად ქმნას ანუ ისწავლოს რამე, ანუ იქონიოს მისებრივა; ხოლო ბაძიჲ ჰგავს შურსა, არამედ განეყოფის: კეთილი ნახოს მოყვისსა ანუ ბოროტა და კეთილად უჩნდეს და მჭურვალედ მგზებარობითა საწადლისა მის მსგავს მისდა ქმნას და ეგრე იქცეოდეს“.

გვიანდელი A რედაქცია: „შური არს მწუხარებად სხვისა კეთილსა ზედა; ხოლო ღაზოობა არათუ ოდენ მწუხარებისა ქონებად, არამედ უძვირესიცა, რამეთუ ენებოს მოსპოლვა კეთილმოქმედისა მის მოყვისსა; ხოლო გვაჯი არს არა თუ მწუხარებად, არამედ სხვის წინააღმდეგომად ანუ უადრეს ანუ შემდგომად ქმნას; ხოლო ბაძი ჰგავს შურსა, არამედ განეყოფის, რამეთუ უკეთუ კეთილი

<sup>2</sup> ლ. ქუთათელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

ნახოს მოყვისისა, გინა ბოროტი და კეთილად აღუჩნდეს, წადილით მსგავსად მისსა ქმნას და ეგრე იქცეოდეს“.

**შურის, როგორც მწუხარების ქვესახეობის, განმარტება:** „მწუხარებისა სახენი ოთხ არიან: მკმუნვარება, ურვა, შური და წყალობა. მკმუნვარება უკვე არს მწუხარება შემქმნელი უკმოობისა, რომელსა უწოდენ შობად; ხოლო ურვა — მწუხარება დამამძიმებელი და შური — მწუხარება უცხოსა კეთილსა ზედა, ხოლო წყალობა — მწუხარება უცხოსა ბოროტსა და ჭირსა ზედა“.

როგორც ვხედავთ, შურის განმარტება ყველა რედაქციაში ერთნაირია, მეტ-ნაკლებად განსხვავებულია ბაძის განმარტება. საბა, როგორც ჩანს, თანდათან ხვეწდა მის განმარტებას.

რა წყაროებით უნდა ესარგებლა საბას ამ ცნებების განმარტებისას? სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ პირველ პერიოდში, ე. ი. ევროპაში გამგზავრებამდე, სულხან-საბა სარგებლობდა გარკვეული ლიტერატურული წყაროებით, ასევე რამდენიმე ლექსიკონითაც. ლექსიკონთაგან მას უნდა ესარგებლა „სომხური მომცრო ლექსიკონითა“ და კირილე ალექსანდრიელის ცნობილი ლექსიკონით<sup>3</sup>; ძირითადად კი იგი სარგებლობდა „ღრმა წიგნებით“, წერილობითი წყაროებით როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე და ცოცხალი სასაუბრო ენით.

**შურისა და ბაძის განმარტებათა** წყაროს არც მცირე სომხური ლექსიკონი წარმოადგენს და არც კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი. ერთიცა და მეორეც ბიბლიის სიტყვებსა და საკუთარ სახელებს შეიცავენ. ცხადია, რომ შურისა და ბაძის განმარტებანი ამ ლექსიკონებიდან არ იქნებოდა აღებული. შურისა და ბაძის სულხან-საბასეული განმარტებანი ბიბლიისეული არ არის; იგი არც ქართულ ბიბლიაშია და არც სომხურში. დადგენილია, რომ სხვა ლექსიკონებით საბას აღნიშნულ პერიოდში არ უსარგებლია<sup>4</sup>.

გამოდის, რომ შურისა და ბაძის განმარტებანი საბას ლიტერატურული წყაროდან აქვს აღებული. ლექსიკონის ანდერძ-ნამაგში საბა ასახელებს თავის წყაროებს: „წერილნი და ღმრთისმეტყველებათა-შინანი, ღრმანი ფილოსოფოსთა წიგნები, ღმრთისმეტყველებანი, პროკლეს, არისტოტელეს, პორფირის, ნემესიოსის და იოანე დამასკელის წიგნები“.

ფსიქოლოგიური ცნებების განმარტებანი, როგორც ეს ვაარკვია ა. ფრანგიშვილმა, სულხან-საბას აღებული აქვს ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა“ და იოანე დამასკელის „წყაროა ცოდნისაჲდანი“<sup>5</sup>.

ჩვენთვის საინტერესო სიტყვა შური ფსიქოლოგიურ ცნებას წარმოადგენს. იგი ენებას განეკუთვნება. ნემესიოს ემესელის მიხედვით, რომელსაც იმეორებს იოანე დამასკელი, ენების სახეებია — გულისწყრომა და გულისთქმა. გულისთქმის სახეებია: გემო, შიში, მწუხარება. ხოლო მწუხარების სახეებია: მკმუნვარება, ურვა, შური და წყალობა.

მწუხარების სახეთა სულხან-საბასეული განმარტებანი ემთხვევა იოანე დამასკელის განმარტებებს, სულხან-საბას ამ ცნებათა განმარტებანი აღლია იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანიდან, ე. ი. საბას ერთი წყარო დამასკელის „გარდამოცემა“<sup>6</sup>.

<sup>3</sup> ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 188—269. ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 12. ალ. დლონტი, მცირე შენიშვნები, ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სასულემწიფო ინსტიტუტის შრომები, II, 1947, გვ. 170.

<sup>4</sup> ალ. დლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

<sup>5</sup> ა. ფრანგიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ფსიქოლოგიური შეხედულებანი ქართულ ლექსიკონში<sup>6</sup> მოცემულ ფსიქოლოგიურ ცნებათა განსაზღვრების მიხედვით, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1947, გვ. 263—324.

ახლა ვნახოთ, რა არის წყარო იმ განმარტებისა, როცა **შური** და **ბაძი** ერთ კონტექსტში გვაქვს! საფიქრებელია, რომ ამ განმარტებათა წყაროც ლიტერატურული ნაწარმოები იყოს. და მართლაც, გამოჩნდა ეს ნაწარმოებიც. ეს არის გრიგოლ ნაზიანზელის ერთი ჰომილია და მასზე დართული კომენტარი. ცნობილია, რომ გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ძველ ქართულ მწერლობაში. ისინი სხვადასხვა დროს უთარგმნაათ სხვადასხვა ქართველ მოღვაწეებს, მათ შორის ეფრემ მცირეს. ეფრემ მცირესვე უთარგმნია ის კომენტარები, რომლებიც ნაზიანზელის ჰომილიებს ერთოდა.

აი, ერთ-ერთ ჰომილიაში, რომლის სათაურია „ეპიტაფიად ბასილისა“ (Or 43), ერთ ადგილას სწერია: „შური შორს და ბაძვად სასწრაფო“. ამ ადგილს ახლავს კომენტარი: „ამიერ გვიჩვენებს განყოფილებასა შურისა და ბაძვისასა, რამეთუ ბაძვად მსგავსებაა არს კეთილისა მკურვალე და მგზებარებითა და წადიერებითა მათდა მიმართ. ხოლო შური მწუხარება არს მოყუსისა კეთილთა ზედა“<sup>6</sup>.

ამკარაა, ამ განმარტებასთან **შურისა** და **ბაძის** სულხან-საბასეული განმარტების იდენტურობა. საბა რომ ნაზიანზელის ჰომილიის კომენტარის ეფრემ მცირისეული თარგმანით სარგებლობს, იქიდანაც ჩანს, რომ „მგზებარებითას“ ლექსიკონის რედაქციაში დამატებული აქვს სიტყვა „და წადიერებითა“ ზუსტად ისე, როგორც ეს არის კომენტარში. ასევე ადვილად მისაყვანია ერთმანეთთან საბას „მკურვალედ მგზებარებითა“ და კომენტარის „მკურვალე და მგზებარებითა“.

ამრიგად, **შურისა** და **ბაძის** განმარტებანი, რომლებიც ევროპაში გამგზავრებამდე შეუტანია სულხან-საბას თავის ლექსიკონში, მას აუღია გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა კომენტარების ეფრემ მცირისეული თარგმანებიდან. ასე გამოვლინდა სულხან-საბას ლექსიკონის კიდევ ერთი ახალი წყარო.

როგორც დავინახეთ, **შურისა** და მისი სინონიმური სიტყვების განმარტებებს საბა იღებს იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანიდან და ნაზიანზელის თხზულების ეფრემ მცირისეული თარგმანიდან.

მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ **შურის** ჩვენთვის საინტერესო განმარტების პირველწყარო არც გრიგოლ ნაზიანზელია და არც იოანე დამასკელი. იგი გრიგოლ ნაზიანზელამდე და იოანე დამასკელამდე ბევრად ადრეა ჩამოყალიბებული. **შურის** ასეთი განმარტება გვხვდება პლატონისა და არისტოტელეს ნაწარმოებებში და შემდეგ, ანტიკური ლიტერატურიდან მოყოლებული, შუა საუკუნეთა მრავალი ავტორი სხვადასხვა ვარიაციით იმეორებდა ამ მოსწრებულ განმარტებას. ცნობილი იყო იგი ბერძნულენოვან სამყაროში, ასევე სხვაენოვან მწერლობაში.

პლატონის მიხედვით, **შური** არის მწუხარება მოყვასის კეთილთა ზედა — *φθόνος λήπη* *ἐπὶ τοῖς ἀγαθοῖς* ἢ οὐκ ἔστιν ἄλλο *φθόνος*.<sup>7</sup>

არისტოტელე „რიტორიკაში“ ასე განმარტავს **შურს**: *ἔστιν ὁ φθόνος λήπη τοῦ ἐπὶ τῷ ἀγαθῷ φαινομένη τῶν ἐπιρριμῶν ἀγαθῶν περὶ τοῦς ἴμοιοις*.<sup>8</sup>

იგივე არისტოტელე „ტოპიკაში“ ამბობს: *ἐν γὰρ ὁ φθόνος ἔστι λήπη ἐπὶ φαινομένη τῷ ἀγαθῷ τῶν ἐπιρριμῶν τοῦσδε, ὅθλιν ὅτι ὁ σπουδαῖος ὁ φθόνος ὁ Φαθῖος γὰρ ἂν ἐστὶ*.<sup>9</sup>

6 A 109, 27 r.

<sup>7</sup> Platon, Définitiones, par I. Sovilhé, Paris, 1962, 416a.

<sup>8</sup> Aristote, Rhétorique, par M. Dufour, Paris, 1967, 1387b 23.

<sup>9</sup> Aristote, Topiques, par I. Brunschwig, Paris, 1967, 109 b.

შურის ეთიკური მნიშვნელობის არისტოტელისეული გაცემა სიამოვნებისა და მწუხარების, როგორც ეთიკური ცნებების, განსაზღვრებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ, არისტოტელეს ეთიკაში, იქ, სადაც სიამოვნებისა და მწუხარების ფსიქოლოგიურ გააზრებაზეა საუბარი, მცირეოდენი ნიუანსური ცვლილებებით ხშირად მეორდება შურის ჩვენთვის საინტერესო განმარტება.

შურის აღნიშნული განსაზღვრება ვნების სხვა სახეებთან ერთად დაკვიდრდა სტოელთა ეთიკაში<sup>10</sup>.

შუა საუკუნეთა მწერლობაში, ისეთ ქანრებში, როგორიცაა ზნეობრივი დამოძღვრებანი, სწავლანი, მოსალოდნელი იყო ეთიკური ნორმების ჩამოყალიბებისას შურზე, როგორც ადამიანის უარყოფით თვისებაზე, ყურადღების გამახვილება. მართლაც, ბასილი კესარიელის „სწავლანში“ დასტურდება: „შური მწუხარებაა არს მოყუისისა კეთილთათვის“<sup>11</sup>.

შუა საუკუნეებში შედგენილ ერთ კრებულში, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დროის ფილოსოფოსთა ნააზრევებისაგან გამოკრებილ სენტენციებს, გვიტხულობთ: „თეოფრასტოს ფილოსოფოსს უთქვამს: უუკეთურესნი კაცთანი არა ეგრეთ იშვებენ თანთა კეთილთა ზედა, ვითარცა უცხოჲსა ძურთა ზედა“. ხოლო ვიონ ფილისოფოსს მოშურნის მისამართით უთქვამს: „ანუ ამას დიდი რამე ბოროტი შეემთხვა, ანუ სხუასა-დიდი კეთილი“<sup>12</sup>.

შურის ჩვენთვის საინტერესო განმარტება დადასტურებულია შუა საუკუნეების სომეხი მწერლის ნერსეს ლამბრონაცის თხზულებაში — „სოლომონის იგავთა განმარტებაში“<sup>13</sup>. ნერსეს ლამბრონაცის ეს განმარტება დაურთავს სოლომონის იგავთა 23,6 და 28,22 ადგილებისათვის, სადაც გვხვდება სიტყვა შური.

ამრიგად, შურის ჩვენთვის საინტერესო განმარტება კარგად იყო ცნობილი ძველ მწერლობაში. იგი პირველად პლატონისა და არისტოტელეს ნაწერებში გვხვდება.

სულხან-საბა ორბელიანმა ლექსიკონზე მუშაობის მეორე ეტაპზე, ანუ კონსტანტინეპოლში ყოფნისას, ახალ B რედაქციაში ჩაამატა შურის სახეები: **ღაზოობა** და **გვაჯი**.

**ღაზოობა** ყველაზე დიდ უზნეობას წარმოადგენს შურის სახეებში, **ღაზოობა**, საბას მიხედვით, არის არა მხოლოდ მწუხარება სხვის სიკეთეზე, არამედ ამ სიკეთის მატარებლის ფიზიკურად განადგურების სურვილიც.

**გვაჯი** ნიშნავს არა მწუხარებას, არამედ სხვისი საწინააღმდეგო საქციელის ჩადენას. ამ გაგებით, **გვაჯი** არის მეტოქეობა, ჯიბრი.

**ღაზოობასა** და **გვაჯის** სულხან-საბასეული განმარტებებით უსარგებლია დ. ჩუბინიშვილს<sup>14</sup>. **გვაჯის** ჩუბინიშვილისეული განმარტება მნიშვნელობით ემთხვევა საბას განმარტებას: გვაჯი, გვაჯიაობას, კეთილი შური, რათა არა უღარეს იქმნეს სხვათა, певность, გვაჯიანი — ზედ. певниый. მაგრამ მოულოდნელია მეორე სიტყვის **ღაზოს** ჩუბინიშვილისეული განმარტება: **ღაზო** ს. — სიყვარულის შური, певность. **ღაზოობა** ს. — სიყვარულის შურობა. ცხადია, დ. ჩუბინიშვილის განმარტება საბას განმარტებას არ ემთხვევა.

10 ა. ფრანგივილი, დასახ. ნაშრ., გვ. 304, 305.

11 ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთუმე ათონელისეული თარგმანი, ც. ჭურციციძის გამოცემა, თბ., 1983, გვ. 79.

12 სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი, ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1969, გვ. 60.

13 ეიმოწმებთ **ნორ რაადირე ჯაქყაღისან ტვიჩი**-ის მიხედვით **ნერსეს**, 1979.

14 დ. ჩუბინიშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დაზო დადასტურებულია, როგორც არაბულ-სპარსული სიტყვა დაზა „რისხვა“. მითითებულია ამ სიტყვის სამი მნიშვნელობა: 1. შურიანი, ბოროტი, 2. უბედურება, საზიანო რამ, 3. კუთხ. ქიზიყ. უნარი, ფხა, გამჭირაობა. იქვე არის განყენებული სახელი **დაზოობა** კუთხ. (კახ.) „ვაღიზიანება“<sup>15</sup>.

იმეფე ლექსიკონში განმარტებულია — **გვაჯი, გვაჯიობა**, როგორც კეთილი შური. განმარტება აღებულია დ. ჩუბინიშვილისეული ლექსიკონიდან, ხოლო წყაროდ დამოწმებულია დავით გურამიშვილი: „ეუდად მომიხდა გვაჯითა ბაძით უმსგავსო ნდომანი“.

როგორც ვხედავთ, **დაზო, დაზოობა** და **გვაჯი** ქართულ მწერლობასა და ცოცხალ, სასაუბრო ქართულში ცნობილი სიტყვები ყოფილა.

ზევით აღვნიშნეთ, რომ **დაზოობა** და **გვაჯი** პირველად ლექსიკონის B რედაქციაში ჩანს, ე. ი. იმ რედაქციაში, რომელიც სულხან-საბამ ევროპაში მოგზაურობისას შექმნა. ევროპაში მოგზაურობისას, როგორც არაერთხელ არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში, საბა გაეცნო ბერძნულ და ლათინურ ლექსიკონებს. მან თავისი ლექსიკონის მომდევნო რედაქციები მათი მიზანძვით შეავსო და დახვეწა. ეს ფაქტი დამტკიცებულია საბას ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციის შეჯერებისა და ავტორაფული ნუსხების შესწავლის შედეგად<sup>16</sup>. ამაზე მეტყველებს საბას ლექსიკონის ანდერძ-ნამაგიც: „მე უწინარეს ლათინური და ვლლუნური ლექსიკონი ვერ ვნახე... მას უკან ვნახე და ზოგა რამ იმით ვაგმართე და რიცხვებიც წერილთანი თანხართვით დაუსხი“<sup>17</sup>.

სრულიად დასაშვებია, რომ ბერძნული და ლათინური ლექსიკონებით გამართვა, რასაც საბა აღნიშნავს, **შურ** სიტყვასაც ეხებოდეს. კონსტანტინეპოლში ყოფნისას საბამ ბერძნული და ლათინური ლექსიკონების მიზანძვით თავის ლექსიკონში ჩართო **დაზოობა** და **გვაჯი**, როგორც **შურის** სახეები. ეს რომ ასეა, მოწმობს თუნდაც ის ფაქტიც, რომ ამ რედაქციაში **შურის** განმარტებას მიწერილი აქვს ლათინური შესატყვისი — **იმვიდია**. ლათინური შესატყვისის არსებობა ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ კონსტანტინეპოლურ ნუსხაში ჩნდება იტალიური შესატყვისები, რომლებიც მომდევნო ნუსხებში საბას არ გადაუტანია<sup>18</sup>.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ **გვაჯი** და **დაზო** საბამ ბერძნული და ლათინური ლექსიკონების მიზანძვით შეიტანა თავის ლექსიკონში. ამ თვალსაზრისს არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ გვიანდელ რედაქციებში **შურის** განმარტებასთან მითითებულია წყარო — ბიბლიის წიგნი — რიცხვთა 3, 22. როგორც კარგად ცნობილია, გვიანდელ რედაქციებში განმარტების ჩამოყალიბების შემდეგ უმრავლეს შემთხვევაში განმარტების წყარო იშლება და ამის სანაცვლოდ ჩნდება ის წყარო, რომელშიც სიტყვის ხმარებაა შენიშნული<sup>19</sup>. მართლაც, **შურთან** ბიბლიის წიგნის დასახელება მეორეული ფაქტია და მანიშნებს იმაზე, რომ რიცხვთა 3,22-ში ნახმარია სიტყვა **შური**, მაგრამ სხვა კონტექსტში და არა იმ შინაარსით, რასაც იძლევა საბა.

ინტერესსმოკლებული არაა აღვნიშნოთ ერთი დეტალიც: **შურ** სიტყვასთან რიცხვთა 3,22-ზე მითითება განსხვავებული მეღნი, წვრილად არის ჩართული B რედაქციაში, ანუ იქ, სადაც პირველად ხდება წყაროს დამოწმება. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა გვიხსენოთ საბას ანდერძ-ნამაგი: „ზოგი რამ

15 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1962.  
16 ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 71.  
17 სულხან-საბამ ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, 1, თბ., 1965, გვ. 33.  
18 ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 66.  
19 ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

იმით (ბერძნული და ლათინური ლექსიკონებით — მ. რ.) გავმართე და რიცხვებიც წერილთან თანხართვით დაუსხი“. შურ სიტყვასთან სწორედ თანხართვით არის მიწერილი რიცხვი წერილისა, ანუ ბიბლიის წიგნის, რიცხვთა, დამუხლვა: 3, 22.

ამრიგად, სულხან-საბას ლექსიკონში დადასტურებული განმარტება შურისა — მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა — პლატონისა და არისტოტელეს განსაზღვრებას წარმოადგენს. მცირედენი ვარიაციებით ამ განმარტებას იმეორებენ ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების მწერლები. შურის სახეების საბასეული განმარტებანი ძალიან ახლოსაა იმ განსაზღვრებებთან, რომლებიც დასტურდება არისტოტელეს ეთიკაში. საბა მათ ბერძნული და ლათინური ლექსიკონებით უნდა იცნობდეს.

М. А. РАПАВА

## О ПОНИМАНИИ СЛОВА «ЗАВИСТЬ» В СЛОВАРЕ СУЛХАНА-САБА ОРБЕЛИАНИ

### Резюме

В грузинском словаре Сулхана-Саба Орбелиани дано определение: «зависть есть огорчение по поводу чьего-либо преуспения». Определение это встречается у Платона и Аристотеля. С.-С. Орбелиани взял его из комментариев к гомилиям Григория Назианзина, переведенных в XI в. Ефремом Мцире. Слово «зависть» в словаре встречается вместе с другими понятиями-видами огорчения. Источником определения этих понятий для Сулхана-Саба Орбелиани служит «Изложение православной веры» Иоанна Дамаскина.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება  
წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა



ՃՋԱՎԴԱՏ ԻԲՐԱԳԻՄ

## Օ ՈՆՎԵՅԻՄԻ ՖՈՐՄԱՅ ԱՐԱԲՏԿՈՂ ՏԻՒԱ

Վոքսր րիտմիկոսկի օրգանիզացիոն թոճիկոսկի տեքստի ս ճավնիկ Վրեմեյ թրիվեկալի Վնիմանիեյ արաբսկի լյազիկոսկեյ յի կրիտիկոսկեյ. Վ օսոսնոյմ սրեդնեյեկոսկեյ արաբսկիեյ փիլոլոգի ս էյմի Վոքսրոսկ սնյազնալի ճեփինիցիոն ստիտոսկորնոյ ֆօրմի. Օճնի սնիտալի, Չո ստիտոսկորնիեյ իլի թօզմա (կասյճա) — էո սրոիզՎեճնիեյ ս Վյեճեղոնոյ ստրոկոյ, ճրոսիեյ, իստոյա իզ ինյի կրիտերիեյ, սնյազնալի տերմին «կասյճա» ս լյազոլոսկ «կասաճա» Վ նյաչենի «նարաճալյալ».

Փիլոլոգոսկ թրոսկոլ ինտերոսկոսկ Վոքսր օ յո տոմ, կաոոսկեյ կոլիկոսկեյ ստրոկ ոոոո ինոնոնալյալ կասյճոյ. թօ մնիցիոն ալ-Ախֆաշա, կասյճա — էո ստիտոսկորնիեյ, սոստոյալոսկեյ կաոո մնիցիոն իզ տրեյ ստրոկ. Իճն Գյնինի ստՎերճաճալ, Չո կասյճոյ ոոոո նազնալյալ ստիտոսկորնիեյ, Վ ոոոոոմ Գոլեեյ թյաճաճալի ստրոկ (ստիտոսկորնիեյ, սոստոյալոսկեյ մեոեեյ Չեմ իզ թյաճաճալի ստրոկ, օն ինոնոնալ «կյտա»). Ալ-Փարրա թօճ կասյճոյ թօճրազմեճալ տոլյոկո ստիտոսկորնիեյ, սոճերճալոսկեյ ճաճաճալի ս ոոոո ստրոկ.

Յեզսոսկոսկոն, օոոյալ ստրուկտրա կլասսիկոսկի ստիտոսկորնիեյ Նե սՎոճիտեյ կ տեմ Վնեշնիկ թարաետրաոո, օ ոոոոոյի թեճ իլյա Վյալե. Վոքսր սոսկոյնյալոսկեյ թրի թրոսկոսկորնիեյ ոոոոօոնոնոյ ֆօրմ ոոոարաբսկոյ թօզնի. Նե Վճաճալոսկ թօճրօոոոսկի, սոոոոոմ Նա Նեսկոլյոկո ֆօրմ իզ տեհ, Չո իստոյազնոյալոսկ Նա սօճերմոնոյմ էտափե ճաճալյալ արաբսկոյ թօզնի.

**Ոոոյալկասսիկոսկի ստիտ** սօոկոսկոսկ ճրոսկոսկեյ ճրոսկոսկեյ կլասսիկոսկի ստիտոսկոսկոնյալ ալ-Ւալիլյա. Տիտոսկորնիեյ թրեճաճալյալ սօոոյ Նա սոսկոսկեյ ստրոկ, ի էո Նա սոսկոսկեյ օրեճեղոնոյ ստրուկտրա, ճրոսիեյ ճեյ էլեմենտեյ կաոո ճեյ սոոոոոյ Վնեշնոյ օոոոկոչ.

**ՏՎոճօճնոյ ստիտ** (շի'ր հուրր). էոտ տերմին օոոնաչալոսկ Նեսկոլյոկո ֆօրմ. իզ ոոոոոյի սաոոյի ինտերմոնոյ յաճալոսկեյ ճեյ:

1) Տի'ր հուրր, թրեճոկոնոյ իրաոկոսկ թօզեսոսկի Նազիկ ալ-Մալյաիկոյ. Վ օսոսնեյ էո կեճիտ սիստեմա արոճա, իստոյազնոյալ թօ ոոոոյմ թրաճալոմ, Չո սոոոոոյ մոճիփիկոնոնալոսկ ֆօրմեյ. Մետրյ («Բուխուր» — «ոյրյա») ս սօստաճալոսկի իլ ճեյ ստրուկցիոն («տաշկիլյա») սոոոոոյալոսկ Նա ճազե սնիկա կլասսիկոսկի ճաճերոսկ. Օնի, կաոո ինտերմոնոյմ, թօճրճեղոնոյալոսկ Նա ճաճալ Վիճ: «Բուխուր սափյա» (Չիստեյ ոյրյա) ի «Բուխուր մաոոոյճա» (սնեաճաճալ ոյրյա). Վ թրեճօճնոյմ ճրոկա, ճաճեղոնոյալ Նա ճաճալ ճաճալի սոսկոսկեյ, սօճերճիտ օոոնոյ յի տյեյ թօճրոյալոսկի ստոսկ «տափ'իլատ» (6 իլի 8); տաոոյալ ստրուկտրա ինոնոնալ հազաճյ, թաճաճ, թաճալ, կաճիլ. մուտաոարիճ ի ճրոսիեյ ճաճերոսկ. Վ օոոոոմ Վիճե ստրոկոսկ ստրոյա ճաճալ ճաճալ ճաճալ ճաճալ ճաճալ; տաոոյալ ճաճերոսկ — տաճիլ, սարի ս ճ. ճ.

Նա ճազե թրաճալ իլի'ր հուրրա (ստրոկա Նե օրոոոնաչալ ճաճալ ճաճալ, ստրոյա իզ օոոոյ թօճրոյալոսկի ստոսկ, ճօստոսկա ճրոսյա ստոսկ, ստոյեղոնոյալ Նա օոոոոոնոյմ կոնոնոնոյմ սոսկեյ օոոոնոյմ թաճ) օրաճոյալոսկ Վոսեմ ճետրոսկ. «Չիստյալոսկ» յաճալոսկեյ:

1. Կաճիլ:      ◡◡—◡— | ... ◡◡—◡—
2. Րաճալ:     —◡— | ... —◡—
3. Հազաճյ:    ◡— | ... ◡—
4. Րաճաճ:    —◡— | ... —◡—
5. Մուտաոարիճ: ◡— | ... ◡—
6. Մուտաճարիճ: —◡— | ... —◡—

„Смешанными“ являются:

7. Сари:       — — — — | ... — — — — | — — — —  
8. В фир:     — — — — — | ... — — — — — | — — — —



2) Ши'р хурр, в основе структуры которой лежат размеры, отличные от размера аль-Халиля и размеров Назик аль-Маляйки. Этот вид позволяет поэту использовать несколько стоп из разных морей, переходя от одного к другому, в зависимости от того, что больше подходит к содержанию (так считали Ахмад Заки Абу Шади и вся группа «Апполо»).

**Аль-касыда аль-мамзуджа.** Можно выделить два вида:

1) Первый подразумевает объединение классических строк (разделенных надвое) и свободных поэтических строк. Этот вид отражает переходный период в современных поэтических экспериментах. Однако есть и другая форма, которая строится на нерегулярном пересечении классических и свободных строк. Таковую форму можно найти в ранних произведениях Адониса;

2) Второй вид допускает смешанность строк свободной поэзии и поэтической прозы, что также можно найти в произведениях Адониса. Этот вид также является плодом определенного переходного периода, но более современным.

«Стих в прозе» основан на отрицании любых ограничений в метре и ритме, а не только классических размеров, что и обусловило его название. Однако, как считает тот же Адонис — один из самых известных теоретиков современной арабской поэзии и выдающийся поэт и критик — как бы ни была проза полна стихотворными чертами, всегда остаются основные различия между поэзией и прозой.

«**Полное (или целостное) стихотворение**» (аль-касыда аль-куллия) является синтезом различных пластов и даже различных видов литературы.

Переступая рамки классической поэзии, «целостное стихотворение» заменяет собой стихотворение-рассказ, стихотворение-идею, стихотворение-украшение, стихотворение-описание. Оно не восходит к темпераменту поэта и не ниспослано ему свыше, но восходит к единому приему, единому видению, единой интуиции. Вместо «закрытого» стихотворения, которое замкнулось в себе, которое нельзя объяснить иначе, чем одним образом, с одной точки зрения, в одном направлении, новый поэт стремится к «открытой» поэме, которая полна многими возможностями. Новая «полная» поэма, несмотря на то, написана она размерами или прозой, содержит в себе двойной принцип: разрушение, потому что она рождена от бунта, мятежа, и строительство, потому что каждый, бунтуя, восставая против существующих законов, по законам логики, должен создать новое произведение взамен старого.

Что касается объема, то и здесь можно найти несколько разнообразных форм:

1. «Аль-касыда аль-мутакасита» — стихотворение со средним объемом, количество строк колеблется от 20 до 40. Это в основном лирические стихотворения.

2. «Аль-касыда ат-тавила» — стихотворение из 40—200 строк.

3. «Аль-касыда ан-нисф аль-мутававала» — стихотворение из 200—300 строк.

4. «Аль-касыда аль-мутававала» — стихотворение (поэма) из 300—400 строк.

5. «Аль-касыда ас-сугра» или «аль-касыда аль-вамда» — «мгновенное» или «краткое» стихотворение, состоящее иногда из двух или трех строк.

## დალი შენგელია

 ნასახელარ მემლიოპტივ ზმნათა სიმანტიკის საკითხები  
 XVII—XVIII საუკუნეების ქართული ენის წერილობითი  
 ძეგლების მიხედვით

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მეფობს“ ტიპის ნასახელარი ზმნური ფორმების ფუძეში წარმოდგენილი საგანა სუბიექტისათვის მისმგავსების ობიექტია: ბავშვობს — ბავშვივით იქცევა (დიდი ადამიანი), ან გამოხატავს სუბიექტის სტატუსს, მდგომარეობას: ვეზირობს — ვეზირია, ვეზირის მოვალეობას ასრულებს; მეფობს — სამეფო ტახტზე ზის, მეფედ არის.

„თევზაობს“ ტიპის ზმნებში მიმართება სუბიექტსა და ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის ასე შეიძლება დახასიათდეს: სუბიექტი მოქმედებს ფუძეში წარმოდგენილი სახელით აღნიშნული საგნის საშუალებით, ან ამ საგანზე მოქმედებს: თევზაობს — თევზს იჭერს, ბურთაობს — ბურთს თამაშობს, კურდღლაობს — კურდღელზე ნადირობს, მწყერაობს — მწყერზე ნადირობს<sup>1</sup>.

ასეა თანამედროვე ქართულში. სხვაგვარია ვითარება XVII—XVIII საუკუნეების წერილობითი ძეგლების მიხედვით. მაგალითად, ის სემანტიკა, რომელსაც თანამედროვე ქართულში გამოხატავს „თევზაობს“ ტიპის ფორმები, XVII—XVIII საუკუნეებში გამოიხატებოდა ე. წ. „მეფობს“ ტიპის ფორმებით.

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება მარტივი წარმოება მასდარისა — ბურთობა და მისი შესაბამისი ზმნური ფორმები: ოც დღემდის ისმის ყოველგნით ხმა წინწილისა, ებნისა, მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა (1122, 4).

ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვჰოცდი ლომსა (330, 4). მერმე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან (336, 2).

ასეთი ფაქტები ძველ ქართულშიც დასტურდება: ბრქუა მათ სიმონ-პეტრე: მოვიდე თევზობად (იოანე, C 21, 3); წარვიდა ძე თვისი თევზობად, რამეთუ იყო იგი მეთევზე (ნოვ. I, 62, 7).

თევზობა მასდარის მიხედვით აწმყოში მოსალოდნელია თევზობს ზმნური ფორმა.

XVII საუკუნის ნაწარმოებში — „რუსუდანიანში“ — დადასტურდა მარტივ და რთულ ფორმათა პარალელური წარმოება: ბურთობს, იბურთა, აბურთა, ბურთობა, ერთი მხრივ, და ბურთაობს, იბურთავა, აბურთავა, ბურთაობა, მეორე მხრივ: ბურთ-ობ-ს: მოედანში ვბურთობდით და ვთამაშობდით (203, 9). ი-ბურთ-ა: შესხდეს სამნივე მეფეთა ძენი და იბურთეს (99, 29). ა-ბურთ-ებ-ს: ესე ყოველნი რომ ბურთობენ, რასათვის ყაისს არ აბურთებთ? (354, 11). ბურთ-ობ-ა: უკეთ ბურთობა და ანუ სადავის ხმარება და ხერხიანობა არას კაცისაგან არ მინახავ, რომ იქაურნი კაცნი ბურთობდენ (225, 12). ბურთ-ა-ობ-ს: რა ორისა წლისა შეიქნა, ისარს ესროდა, ბურთაობდა, ლხინობდის და თამაშობდის (327, 18). ი-ბურთ-ავ-ა: შეჯდის ცხენსა და შევიდსა დღესა ასე იბურთავის, რომე ღამეც არ ჩამოხდის (24, 22). ა-ბურთ-ავ-ებ-ს: ბრძანა ყაის: მამბურთაოს, თუ ჩემი თავი უნდაო და ან შევილად მივაჩნივარო (330, 37). ბურთ-ა-ობ-ა: ჯიმშედის ბურთაობას ვინ შეედარებოდა (225, 11).

<sup>1</sup> გ. გოლოპევილი, ავ. ელემენტური მემლიოპტიურ ზმნათა შესახებ ქართულში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980, გვ. 61—62.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ანზე გათავებული -ობ-იანი საშუალო ზმნების ანალოგიით (ვგუნდაობ, ვკოჰაობ, ვკონტაობ, ვმუშაობ, ვცივაობ) კეთებულია ზმნები: ვკორაობ, ვცურაობ, ვთევზაობ, სადაც ვ აღდგება სათანადო ფონეტიკურ ბირობებში: ვი-თევზავ-ებ“<sup>2</sup>.

შენიშნულია, რომ „თევზაობს ტიპის ზმნებისათვის ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ -ავ სუფიქსიანი ფორმები: \*თევზავს, \*ბანავს, \*ბურთავს, \*ჭიდავს“<sup>3</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ზმნური ფორმების არსებობის არავითარი კვალი არ ჩანს ძველ ქართულში, არ დასტურდება XVII—XVIII საუკუნეების წერილობით ძეგლებში, არ ჩანს დიალექტებშიც.

ქართული ენის დიალექტებში დადასტურებული თევზავი, გორავი, ბურთავი... მასდარული ფორმების საფუძველზე, ვარაუდობენ, რომ „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ხმარებული ბურთაობს, ჭიდაობს... ზმნებში ა ელემენტი -ავ თემისნიშნისეულია, რომელსაც ზმნის ძირს შეხორცების შემდეგ დართავა -ობ თემატური მაწარმოებელი“<sup>4</sup>.

ამავე დროს შენიშნულია, რომ ცურავი ტიპის მასდარებში -ავ არის არა ზმნის მაწარმოებელი თემატური სუფიქსი, არამედ მასდარული (resp. სახელური) ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი. მასდარული ფუძისაგან „ცურავ“ იწარმოება ზმნა ცურავ(ვ)-ობ-ს. თევზავი, ბურთავი ტიპის მასდარული (resp. სახელური) ფუძეები წარმოიქმნა „ცურავი“ ტიპის მასდართა ანალოგიით. შესაბამისად წარმოებულ იქნა ზმნები: თევზაობს, ბურთაობს<sup>5</sup>.

ეს ვარაუდი საინტერესოდ გვეჩვენება, მით უმეტეს, რომ სწორედ თევზაობს, ბურთაობს, ცურაობს, გუნდაობს... ტიპის ზმნებს მოეპოვებათ თევზავი ტიპის მასდარები, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება რამდენიმე ფაქტი. ვერ ერთი, თევზავი ტიპის მასდარები ძველ ქართულში არ დასტურდება (გვაქვს თევზობა, იხ. ზემოთ), ვერ დავადასტურებ ვერც XVII—XVIII საუკუნეების წერილობით ძეგლებში, თუმცა საქმე გვქონდა არამარტო მხატვრულ ნაწარმოებებთან, არამედ დიალექტოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესო არამხატვრულ ძეგლებთან (ამ ძეგლებში დაცულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს კუთხური მეტყველების თითქმის ყველა თავისებურება); მეორეც, XVII—XVIII საუკუნეებში არ დადასტურდა ძირეულ (გორავს, ცურავს) ზმნათაგან წარმოქმნილი გორავ(ვ)-ობ-ს, ცურავ(ვ)-ობ-ს ტიპის ზმნები. თუ დავუშვებთ, რომ \*ბურთავი მასდარული ფორმა არსებობდა და მისგან იწარმოება ზმნა ბურთავ(ვ)-ობ-ს, ასევე „ცურავი“ მასდარული ფორმისაგან უნდა წარმოებულყო ცურავ(ვ)-ობ-ს ზმნა, მით უფრო, თუ ცურავი, გორავი უფრო ადრე არსებული მასდარებია, რომელთა ანალოგიითაც გაჩნდა „ბურთავი“ ტიპის მასდარული ფორმები.

გორავს — გორაობს ფორმებს შორის არსებული ფორმოზბრევი და სემანტიკური დაპირისპირება არაა ბურთობს — ბურთაობს ტიპის ფორმებს შორის არსებული დაპირისპირების იგივეობრივი.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „გორავს უმეტესად აწმყოს ფუნქციის მა-

2 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბ., 1980, გვ. 420.

3 ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974, გვ. 26, შენიშ. 4.

4 ბ. ცხადაძე, მასდარის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის დიალექტებში, იკე, XXVI, თბ., 1967, გვ. 135.

5 კ. კაციტაძე, „თევზაობს“, „ცურაობს“ ტიპის ზმნათა წარმოებისათვის: რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნ. სესიის თეზისები, თბ., 1982, გვ. 33—34.

ტარებელია, გორაობს (<“გორავობს“) უფრო „ზოგად აწყყოს“ განეკუთვნება\*.  
XVII—XVIII საუკუნეების წერილობით ძეგლებში დასტურდება ფორ-  
მები: **მწყერობს, მწყერაობა, მწყერაობა** — მასდარული ფორმის მიხედვით უნდა  
ვივარაუდოთ, რომ არსებობდა **მწყერაობს** ზმნური ფორმაც. მეკინაბობა, მხედ-  
რობა, ცხენოსნობა სხვადასხვაობს, მიმტველობაც ფრინველებისა ცალ-ცალკეა  
სულ **ენ მწყერობს** (არჩილი, 1, 4); შუა ივლისში თრიალეთს სხვა თემი რამც  
ედარაო, ჯერ **მწყერაობით** შექცევა, თუ ცამცა მიიღარაო, (ვახტანგ მეექ-  
ვსე, 27).

ხოლო, რაც თანამედროვე ქართულში I სერიაში „-ა-ობ“ დაბოლოებით  
გამოიხატება (კურდღლაობს, ლექსაობს), XVII—XVIII საუკუნეებში მხოლოდ  
-ობ-იანი წარმოებისაა (კურდღლობს, ლექსობს): მან კი იცის, ეს ასრება, ვინ  
ოსტატით ბაზიარობს, ძაღლიც კარგად მიუტეოს, ვინ **კურდღლობს** და მალე  
მწყერობს (არჩილი, 1, 4).

აქ კურდღლობს იმასვე გამოხატავს, რასაც თანამედროვე ქართულში კურ-  
დღლაობს (კურდღელზე ნადირობს); თუ თანამედროვე ქართულში ვიხმართ  
კურდღლობს ფორმას, აუცილებლად სხვა მნიშვნელობით (კურდღელეფით იქ-  
ცევა, კურდღელია).

„რუსულდანიანში“ თუმცა არ დადასტურდა „კოჭაობს“ ზმნური ფორმა, მაგ-  
რამ მასდარი და მოქმედებითი გვარის ზმნა, „კოჭ“ ძირისაგან ნაწარმოები,  
შეგვხვება: „რა დროს ჩემი ბიჭებში **კოჭაობაო**“ (264, 8); „რა საყმაწვილო  
ზნე იყო, ყველა რამ ისწავლა, **აკოჭავებდიან** და აგუნდავებდიან“ (264, 22).

ზემოდასახელებული მავალითებიდან გამოჩნდა, რომ, რაც თანამედროვე  
ქართულში -ა-ობ დაბოლოებით გამოიხატება ნასახელარ მედოაქტივ ზმნებ-  
ში, XVII—XVIII საუკუნეების წერილობით ძეგლებში გადმოიცა პარალელ-  
ური წარმოებით (ბურთობს//ბურთაობს, მწყერობს//მწყერაობს). ამ ფორ-  
მებს შორის რაიმე სემანტიკური სხვაობა არ ჩანს. ისინი თავისუფლად ენა-  
ცვლებიან ერთმანეთს. ე. ი. ენაში არსებობს ორი ფორმა ერთი შინაარსის გად-  
მოსაცემად. საინტერესოა, რატომ უნდა შექმნილიყო ახალი ფორმა, თუ იგი  
ახალ შინაარსს არ შემოიტანდა ენაში? (მნიშვნელობა არა აქვს ახალი ფორ-  
მა მასდარისგან იწარმოვე, თუ ზმნური ფუძისაგან). XVII საუკუნეში, როგორც  
ჩანს, იწყება სწორედ ერთი და იმავე სემანტიკის გამოხატვა ზმნის ორი, გან-  
სხვავებული ფორმით. როგორც აღნიშნავენ, ხმოვანფუძიან სახელთაგან ნაწარ-  
მოები ზმნების ანალოგიით იქმნება ვკორაობ, ვცურაობ, ვთევზაობ, ფორმები<sup>6</sup>,  
რადგან: 1. ამ პერიოდის ლიტერატურულ ნაწარმოებებში განსაკუთრებით მო-  
ხშირებულია ხმოვანფუძიან სახელთაგან ნაწარმოები სტატეკური ზმნების წარ-  
მოება ბოლოკიდური ხმოვნის მოუკვეცლად (ზღვაობს, მამაობს, ენაობს, მუ-  
შაობს), სწორედ ამ პერიოდში იქმნება **ბურთაობს** ტიპის ზმნები. 2. თუ ბურ-  
თაობს ზმნური ფორმისათვის ამოსავალია \***ბურთავს** ზმნური ფორმა ან **ბურ-  
თავი-ი** მასდარი, მაშინ ახალი თემის ნიშნის (ობ თემის ნიშნის) დართვით რა-  
ტომ არ მიიღო ზმნამ **ბურთობს** ზმნისაგან განსხვავებული სემანტიკა?

ბურთ-ა-ობ-ს ზმნის ა, როგორც ჩანს, არაა ის ელემენტი, რომელსაც შე-  
უძლია განსხვავებული სემანტიკა შეიტანოს ზმნაში, ე. ი. იგი უფუნქციოა.  
მოგვიანებით, როცა იქმნება იგორავა, იცურავა ფორმები, რომლებშიც -ავ  
ელემენტის თემის ნიშნობა საეჭვო არაა, იბურთავა, ითევზავა... ტიპის ფორმე-  
ბის „-ავ“ ელემენტი თემის ნიშნად იქნა გაგებული. ფორმობრივად იგორავა,  
იცურავა ტიპის ფორმები დაემთხვა იბურთავა, ითევზავა ტიპის ფორმებს, თუმ-  
ცა სემანტიკურად მათი ერთ სიბრტყეზე დაყენება არ იქნება სწორი.

6 ბ. ჯორბეგაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქარ-  
თულში, თბ., 1975, გვ. 202.  
7 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 420.

სემანტიკური დიფერენციაცია ბურთობს — ბურთაობს, მწყერობს — მწყერაობს, თევზობს — თევზაობს — თევზაობს ფორმებს შორის XVIII საუკუნის შემდეგ უნდა ვივარაუდოთ. ენა ახდენს განსხვავებული ფორმების განსხვავებული შინაარსის დატვირთვას და თანამედროვე ქართულში ბურთობს, მწყერობს, კურდღლობს უკვე „წმინდა“ სტატიკური ფორმებია (ბურთია, მწყერია, კურდღელია), ხოლო ბურთაობს, მწყერაობს, კურდღლაობს სხვა შინაარსს გამოხატავენ (ბურთს თამაშობს, მწყერზე ნადირობს, კურდღელზე ნადირობს).

როგორც ჩანს, თევზობს, ბურთობს, მწყერობს ფორმები იმავეითვე აღნიშნავდნენ იმ სემანტიკასაც, რომელიც თანამედროვე ქართულში გამოიხატება თევზაობს, ბურთაობს, მწყერაობს ფორმებით.

#### შე მოკლება ნი

არჩილი — არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, თბ., 1936.

ვახტანგ მეექვსე — ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, თბ., 1975.

„ვეფხისტყაოსანი“ — შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, აღ. ბარამიძისა და ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1966.

„რუსულანია“ — „რუსულანია“, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1958.

ოიანე — ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.

წიგ. — შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, ქართული პატრიარქის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. დვალმა, თბ., 1966.

Д. С. ШЕНГЕЛИЯ

### ВОПРОСЫ СЕМАНТИКИ ОТЫМЕННЫХ МЕДИОАКТИВНЫХ ГЛАГОЛОВ ПО ПИСЬМЕННЫМ ПАМЯТНИКАМ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА XVII—XVIII ВЕКОВ

Резюме

Семантическая дифференциация глаголов типа *tevzobs* — *tevzaobs*, *burtobs* — *burtaobs* в XVII—XVIII вв. еще не наблюдается. В современном грузинском языке этот процесс уже совершился и глаголы, которые обычно заменяли друг друга, получили разную семантическую нагрузку.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზ. ჯორბენაძემ

## თამაზ რევია

 სფაჰ და ლაშქარ სამხედრო ტერმინები IX—XI საუკუნეების  
სპარსულ ნარატიულ თხზულებებში

პროფესიული ლექსიკა და მისი ფუნქციონირება ერთ-ერთი ყველაზე რთული და ნაკლებად დამუშავებული დარგია სპარსულ ლექსიკოლოგიაში. როგორც მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნავს, აუცილებელია ლექსიკის ისტორიულ პლანში შესწავლა, რამეთუ „ლექსიკის მხოლოდ ისტორიული შესწავლა გვიხსნის საიმედო გზას მისი სისტემურობის, მის შინაგან ურთიერთობათა და გარეგანი პირობების გარკვევისათვის, რაც გვაძლევს კავშირების დადგენის შესაძლებლობას“ [31, 20; 27, 200—224].

ჩვენი კვლევის მიზანია IX—XI საუკუნეების სპარსული ენის პროზაულ თხზულებათა („თარხ-ე ბლანში“, „თარხ-ე სისთან“, „თარხ-ე ბეჰჰაჰი“, „ხეჰე ალ-ნაზარ“, „საჰარნამე“, „სასეთნამე“, „ყაბუსნამე“) სამხედრო ლექსიკის შესწავლა და ჩვენთვის საინტერესო ლექსემების ისტორიულ კრილში განხილვა.

სამხედრო ლექსიკა იმ სიტყვათა და მდგრადი სიტყვათნაერთების ერთობლიობაა, რომლებიც სამხედრო ცნებას გამოხატავენ და სამხედრო გარემოში იხმარებიან [29, 5]. მაშასადამე, ენის საერთო ლექსიკური ფონდიდან სამხედრო ლექსიკა სპეციალური სემანტიკითა და გამოყენების არეალით გამოირჩევა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ლექსიკა არაერთგვაროვანია. მკვლევრები მასში გამოყოფენ შემადგენელ ნაწილებს, ფენებს, ითვალისწინებენ რა მათი გავრცელების საზღვრებს, ენის საერთო მარაგთან კავშირს, ლექსემების სტრუქტურასა და სხვ. სწორედ ამ ნიშნებით ასხვავებენ ერთმანეთისაგან სამხედრო ტერმინებს, „განსაზღვრული მნიშვნელობით, საზოგადოდ მიღებული ოფიციალური და ტექნიკური გამოყენების თვალსაზრისით, ემოციური და სუბიექტური დამოკიდებულების ელფერის უქონლობით რომ ხასიათდებიან“ [29, 5], და არატერმინებს, რომლებიც „მნიშვნელობის სიზუსტით არ გამოირჩევიან და რომელთაც სუბიექტური დამოკიდებულების ელფერი დაჰკრავთ“ [29, 7]. ასეთი ლექსიკა, როგორც წესი, ყოფილი ურთიერთობის დროს იხმარება.

ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა აღნიშნული საუკუნეების არა მხოლოდ სამხედრო ტერმინები, არამედ მთლიანად სამხედრო ლექსიკა; მაშასადამე, ის სიტყვებიც, რომლებიც გარკვეულ კონტექსტში იძენენ სამხედრო მნიშვნელობას და არც მაშინ წყვეტენ კავშირს ენის საერთო ლექსიკურ ფონდთან.

IX—XI საუკუნეების სპარსულენოვანი ისტორიული თხზულებების გაცნობა, ვფიქრობთ, საშუალებას იძლევა, წარმოვადგინოთ სამხედრო ხელოვნების, შეიარაღებული ძალების სტრუქტურისა და აღჭურვილობის საშუალებათა განვითარების ძირითადი ეტაპები. გარდა ამისა, შევნიშნოთ, თუ რა გავლენა იქონია აღნიშნული ეპოქის ენაზე სპარსულმა სამხედრო ლექსიკამ.

წინამდებარე წერილის მიზანია, შეძლებისდაგვარად წარმოვავსინოთ შეიარაღებული ძალების აღმნიშვნელი ორი ტერმინის — **ესფაჰ**||**სეფაჰ** და **ლაშქარ**||**ლაშქარ** — სემანტიკა და ფუნქციები.

პირველი მათგანის (**ესფაჰ**||**სეფაჰ**) ისტორია კარგად არის ცნობილი სპარსული ენის განვითარების ყველა ეტაპზე. კერძოდ, ავესტასა და ძველ ირა-



ნულში გვხვდება **სადა-**, **სადა-** ფორმით და აღნიშნავს 'ჯარს, არმიას' [35, 1617], ცხენოსან მეომრებს' [8, ტ. I, 118, შენიშვნა]. შდრ. მიდიური სახეობა **ტანსადა-** — 'ძლიერი ლაშქრის პატრონი' [40, 62]. ზოგი ტერმინის სემანტიკას უკავშირებს სიტყვას **სფ** 'ცხენი' [8, ტ. I, 118, შენიშვნა]. „**ქარხანა**-გე რაშიდი“-ს მიხედვით, ამ სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს ქალაქ ისპაჰანის სახელწოდება, სადაც მუდმივად იღვა ირანის არმია [12, ტ. I, 114]. დადასტურებულია რამდენიმე სკვითურ საკუთარ სახელში: **სადაკოს**, **სადაგას**, 'ამო-**სადაოს** და სხვ. როგორც ვ. აბაევი მიიჩნევს, ამ სახელთა საფუძველზე შესაძლებელია სკვითურში არსებობდეს სიტყვები: **სადა-** (**სადა-**) და **სადაკ-სადაგ-** (**სადაკა-**). უკანასკნელი სიტყვა უნდა აღნიშნავდეს 'მეომარს' [21, 479]. ფალაურში წარმოდგენილია **საპა** ფორმით და ნიშნავს 'ჯარს, არმიას' [40, ტ. II, 204]. ოსური ფსადღეფსად 'ჯარი, არმია', როგორც ვ. აბაევი აღნიშნავს, მომდინარეობს **სადა-** ირანული ძირიდან მეტათეზისით **სპ>ქს** [21, 479]; საშუალო სპარსულიდანაა ნასესხები სომხურსა და ქართულშიც [16, 170—171]; სომხ. **საპა** ან **სპა** 'არმია, ჯარი, ცხენოსანთა არმია, კავალერია' [33, ტ. II, 376]; ქართ. **ისპა** 'მხედრობა, ჯარი, სამხედრო საქმე' [20, 808] და **სპა** 'ჯარი, ლაშქარი [20, 830], დიდი ლაშქარი, სპა-ჯარი, ლაშქართა სიმრავლე, უამრავი ლაშქარი [15, 614], მხედარი [19, 180; 17. 121], მხედრობა' [18, 121]. რაც შეეხება მეორე ტერმინს — **ლაშქარ**||**ლაშგარ**, იგი ძველ ირანულში არ გვხვდება, დადასტურებულია მხოლოდ საშუალო სპარსულში \***რშგარ** ფორმით [41, ტ. II, 134] და აღნიშნავს 'ჯარს'; ქართულში არის **ლშკარი** 'არმია, რაზმი' [8, ტ. III, 1895]; სომხურში — **ლაშგარ** 'რამდენიმე ნაწილის შენაერთი, ხალხის მასა, პოლკი, კორპუსი, ჯარი, ზრივადა, ბატალიონი, ლეგიონი, ფრთა' [33, ტ. I, 295]. ახალი სპარსულიდანაა ნასესხები ქართული **ლაშქარი** 'დიდი ჯარი სამტერო, ლაშქარ-ჯარი [19, 327; 18, 73; 15, 593], არმია; პატენზი, სანგარი, ჯარი' [14, 208].

არის თუ არა შესაძლებელი აღნიშნული სამხედრო ტერმინების ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯვნა მნიშვნელობის, დანიშნულების, მეომართა შემადგენლობისა თუ რაოდენობის, მათი აღჭურვილობისა თუ მათ წინაშე დასმული ამოცანების მიხედვით?

ს. მულაჩაევი აღნიშნავს: „თუმცა არაერთი ლექსიკოგრაფი იძლევა თავის ფარგანებში **სეფაპ** და **ლაშქარ** ტერმინების განსხვავებულ და ზოგჯერ დამაჯერებელ განმარტებებს, მაგრამ მხოლოდ „ბორჰან-ე ყათე“-სა და „ქარხანა-ი ზაბონი-ი ტაჩიკი“-ს სალექსიკონო სტატიებისა და „შაჰ-ნამეს“ ტექსტიდან ირკვევა, რომ სემანტიკურად **ლაშქარ** სიტყვა **სეფაპ**-ზე ფართოა და უფრო ზოგად ცნებას გამოხატავს, აღნიშნავს რა ყველა სახის შეიარაღებული ძალების ერთობლიობას“ [28, 8].

სპარსული ენის ჩვენთვის ხელმისაწვდომი განმარტებითი ლექსიკონების\* ავტორები **ესფაპ**||**სეფაპ** ტერმინს განსაზღვრავენ, უპირველეს ყოვლისა, როგორც 'მრავალრიცხოვან არმიას (ლაშქარ-ე ვნაბუჰ), მრავალრიცხოვან ჯარს' [8, ტ. I, 117; 13, ტ. I, 204; 43, ტ. I, 89, ტ. II, 201—202], მოლაშქრეთა დიდ ერთობლიობას, რომელიც ორი ან რამდენიმე ლაშქრისაგან (ლაშქარ) შედგება' [9, ტ. II, 1090; II, 224].

მიუთითებენ ტერმინის მეორე მნიშვნელობასაც: 'არმიის, ჯარის ნაწილი, რაზმი (გორუჰ) [13, ტ. II, 1838; 9, ტ. II, 1090], ცხენოსანთა ლაშქარი [13, ტ. II, 1838], ქვეითთა ლაშქარი' [13, ტ. II, 1838].

\* ტერმინთა სემანტიკის სისრულისათვის სალექსიკონო მასალის მიხედვით ზოგჯერ მათი როგორც ძველი, ისე ახალი მნიშვნელობანი.



რაც შეეხება ტერმინს **ლაშქარ**, იგი ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც 'რამდენიმე, ჩვეულებრივ, ოთხი პოლკისაგან (ჭოუჯ) შემდგარ მეომართა ერთობლიობა, არმია (ჯეშ) [8, ტ. II, 1088; 10, ტ. II], ჯარი (სეფაჰ, ყუშუნ) [43, ტ. II, 1088], შეიარაღებულ მოლაშქრეთა რაზმი (გორუჰ, ხეალ) [8, ტ. III, 1835], 12000 კაცისაგან შემდგარი ჯარის, სამხედრო ძალის ნაწილი [II, 355], სამი ბრიგადისაგან შემდგარი ჯარის ქვეგანყოფილება' [10, ტ. III].

ლექსიკოგრაფთა ერთი ნაწილი აღნიშნულ სამხედრო ტერმინებს იდენტური სემანტიკით წარმოგიდგენს, განსაზღვრავენ რა ერთი და იმავე სიტყვებით [12, ტ. I, 116; 38, 491, 747; 36, 68, 1062; 34, 651, 1122; 25, ტ. II, 443, 714; 30, ტ. II, 19, 424; 32, ტ. I, 244, 596; 23, 164, 238; 26, 118, 192, 322].

1. ჩვენ მიერ დამუშავებული სპარსული პროზაული თხზულებების მიხედვით, **სეფაჰ** და **ლაშქარ** ტერმინების უპირველესი მნიშვნელობაა 'ქვეყნის მთელი შეიარაღებული ძალები, არმია'.

ამ სემანტიკით ტერმინი **სეფაჰ** მეტწილად (20-ზე მეტი შემთხვევა) დასტურდება პირველ სპარსულენოვან საისტორიო თხზულებაში: — „თარიზ-ე ბლ'აში“. ძნელი დასადგენია, იყო თუ არა განსაზღვრული **სეფაჰ**-სპა-ჯარში შემავალ მეომართა რაოდენობა, მაგრამ ჩვენ მიერ მოძიებული მავალიოები მათი რიცხვი რამდენიმე ასეულ ათას კაცს უდრის:

დარა სეფაჰ 'არზ ქარდ კაშოსანდ ჰაზარ მარდ ბუდ ეშ ბერაჰთ ბესლუ-ე ესკანდარ ეშ ესკანდარ ნიზ სეფაჰ 'არზ ქარდ კაშოსანდ ჰაზარ მარდ ბუდ [I, 696].

დარამ სპა-ჯარი დათვალეირა: 800 000 კაცი იყო. ისქანდერისკენ გასწია. ისქანდერმა დათვალეირა თავისი არმია და აქაც 800 000 კაცი იყო.

სეფაჰ ბეშომორდანდ შეშანდ ჰაზარ ეშ ბისთ ჰაზარ მარდ ბუდ სეფარ-ე ჰარბი ჯოზ-ე ლიჰად ეშ ფირან ეშ ქულდე [I, 416].

სპა-ჯარი დათვალეს: ქვეითთა, მოხეტია და ჭაბუკთა გარდა, 620 ათასი მებრძოლი მხედარი იყო.

სეფაჰრა რუზი ბეჭარბუდ ეშ ჰარ ქასირა თაზაყათ ჯოლა ქარდ ანქე ბეშაშმირ ქარ ქონად ეშ ანქე ბეზუბინ ქარ კონად ეშ ანქე თირანდაზ ბოვად [I, 348].

ჯარს ხელდასი უბოჰა და ყველანი ჯგუფებად დაჰყო: იმად, ვინც ხმლით იბრძოლებდა; იმად, ვინც შუბით იბრძოლებდა და იმად, ვინც ისრის მტყორცნელი იქნებოდა.

დივარ რუჰ სეფაჰ 'არზ ქარდ ეშ რუჰ-ე დოშამბე ...უ სეფაჰ ბექაშვილ ეშ ჰამანრა ბარ მოყდამე ქარდ ბა დო ბარ ჰაზარ ჰაზარ მარდ ეშ ხოდ ბეყოლბ უნდარ რაჰთ ბა ჰაზარ მარდ ჰამე მარდან-ე სეფარე [I, 417].

მეორე დღეს სპა-ჯარი დათვალეირა. ორშაბათს კი არმია დაძრა, ჰამანი ორი ათასი კაცის მეთაურად დანიშნა, თვითონ კი ათასი ცხენოსანი მეომართი ცენტრალური პოლკისკენ გასწია.

ანდარ სეფაჰ-ე მან ჰაზარ მარდ ჩუნ როსთომ ჰასთ ნელანამ ანდარ სეფაჰ-ე უ ჩანდ მარდ ჩუნ როსთომ ბაშად [2, 7].

ჩემს სპა-ჯარში როსთომის წსგავსი ათასი მეომარია. არ ვიცი, როსთომის დარი რამდენი გაუკაცია მის არმიასში.

**ლაშქარ**||**ლაშგარ** ტერმინი მთელი შეიარაღებული ძალების, არმიის მნიშვნელობით „ბალამის ისტორიაში“ იშვიათად (3 შემთხვევა) გვხვდება, სხვა ქველემებში კი მისი გამოყენების შემთხვევა ხშირია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისტორიულად **სეფაჰ**-ის სემანტიკა **ლაშქარ**-ზე ფართო იყო; ეს უკანასკნელი მთელი შეიარაღებული ძალების, არმიის მნიშვნელობით ფართო გავრცელებას მოგვიანებით, მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან უნდა იძენდეს:

ფს ჰარ დო ლაშქარ ბარაბარ ამანდ... ჰარ დო ბარაბარ ბენეშესონდ აქე მამ ეშ ჰარბ ნექარდანდ [I, 696].

შემდეგ ორივე ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ დადგა. ერთი თვის განმავლობაში ორივე ერთმანეთის პირისპირ იყო დაბანაკებული, მაგრამ არ იბრძოდნენ.

ჰაჭებზე ბოზორგ ნიგუმაღ ქე ბისთავანი ლაშქარ და ახერ-ე სალ ბეთამაში დაღე მხედრე ვაჟი ნახთ სახთე ვნღ [3, 59].

დიდი ჰაჭები ამბობს: ხელფასი ლაშქარზე წლის ბოლომდე მთლიანადაა გაკემული და ის კარგადაცაა შეიარაღებული.

ფს ჩუნ ესლამ ბესისთან ავარდანდ ვ ლაშქარ-ე ესლამ ყვი გავთ [2, 8].

მას შემდეგ, რაც სისტანში ისლამი გავრცელდა, მუსლიმთა ლაშქარ-ჯარიც გაძლიერდა.

დარ ჰარბ დღლირი მჰქონ თა ლაშქარ რა ბებად ნედვი ვ ნიზ ჩანდან ზნდელუ მამაშ ქე ზუ ზნდელი ლაშქარ-ე ხიმ მონჰაზმე გარდანი [7, 128].

ომში გულადობას ნუ აპყვებ, ლაშქარი რომ ქარს არ გაყოლო. ნურც ისეთი მხდალი იქნები, რომ შენი სიმხდალით ლაშქარი უუუაქციო.

ჰარ ფადეშაჰი რა ქე ლაშქარ ბიშთარ ვალაიათაშ ბიშთარ ჰარ ქე ლაშქარ ქანთარ ვ-ლაიათაშ ქანთარ [6, 209].

ფადეშაჰს თუ რიცხვმრავალი ლაშქარი ჰყავს, მისი სამფლობელოც დიდია; ვისაც მცირე ლაშქარ-ჯარი ჰყავს, მისი ქვეყანაც მცირეა.

II. ზოგ შემთხვევაში ამჟარაა **სეფაჰ** ტერმინის სემანტიკური სიფართოვე. იგი აღნიშნავს მეომართა გარკვეულ ერთობლიობას, რომლის შემადგენელი ნაწილია **ლაშქარ**:

ქეახოსრო ბერაჰთ ბა ჰამე სეფაჰ ქე გარდ ავარდ ბულ ვ გოდარზ ბა ხიმთან ჰებორდ ლაშქარჰა ბექაშილ თა ბენაზდიქე აფრასიაბ ბერასიდ [1, 605].

ქეახოსრო წავიდა მთელი სპა-ჯარით, რომელიც შეგროვილი ჰყავდა, და გოდერძიც თან წაიყვანა. ლაშქრები დაძრა, აფრასიობამდე რომ მიედწია.

ფს სეფაჰ-ე ირან ანჩე ბაყი მანდ ბულ ჰამერა ჯამ' ქარდ ვ ლაშქარ ბესახთ ვ ბექენ-დუსთან რაჰთ [4, 17].

შემდეგ ირანის დარჩენილი სპა-ჯარი შეკრიბა, ლაშქარი შექმნა და ინდოეთისაკენ დაძრა.

III. არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე კონტექსტში **სეფაჰ** და **ლაშქარ** ტერმინები ერთმანეთს ენაცვლებიან. აქ ისინი მნიშვნელობით გაიგივებულია და მათი განმასხვავებელი ნიშნებისა თუ ფუნქციების დადგენა კიდევ უფრო ძნელდება:

ფს თალოუთ სეფაჰ 'არზე ქარდ ჰაშთად ჰაზარ მარდ ბულ ლაშქარ ბექაშილ ვ რუჰ ბე ჯალოუთ ნეჰად [1, 539].

შემდეგ თალოუთმა სპა-ჯარი დაათვალიერა: 80 ათასი კაცი იყო, ლაშქარი დაძრა და პირი ჯალოუთისკენ ქნა.

გარუბი მშლეჰაზადეგან ვ ფადეშაჰაზადეგან-ე ეთრაჰ-ე 'ალემ ბუნანდ... ვს იშანრა აზ ჰე-საბ-ე ლაშქარი ვ სეფაჰი ნეშომორდნდი [5, 66—67].

ერთი რაზმი სხვადასხვა ქვეყნის ფადეშაჰთა და მეფეთა ძეთაგანაც იყო შედგენილი... მათ სპა-ჯარისა და ლაშქრის შემადგენლობაში არ თვლიდნენ.

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოში უმადლესი სამხედრო თანამდებობის აღსანიშნავად იხმარებოდა **სეფაჰსალარ**, რომელიც განაგებდა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს [24, 228; 22, 736—741]. აღნიშნული კომპოზიციის პირველი ნაწილი კი სწორედ **სეფაჰ** 'არმია, სპა-ჯარის' ტერმინითაა წარმოდგენილი. **ლაშქარ** სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა რომ მთელი შეიარაღებული ძალების ერთობლიობა, ხოლო **სეფაჰ** ამ ერთობლიობის ნაწილი ყოფილიყო, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს [28, 8], მაშინ, ვფიქრობთ, უმადლესი სამხედრო ტიტულის გადმოსაცემად იქნებოდა **ლაშქარ-სალარ** და არა **სეფაჰსალარ**.

IV. აღნიშნული საუკუნეების პროზაულ ძეგლებში **სეფაჰ** და **ლაშქარ** ლექსიკური ერთეულები არმიის ნაწილის, ჯარის, ქვეგანაყოფის, გარკვეული სახის რაზმის მნიშვნელობითაც გვხვდება:

პარ ღო სეფაჲ ჯამ შოდნდ ევ ბეჰარბ ბა'ავჲჲ რაჰთანდ ევ ჰარბ ჰარდნდ ევ აზ ზავა-  
რეჲ ევ ჰარ ღო გარუჲ ბესაარ მარღომ კოშთე შოდ [2, 181].

ორივე ჯარი შეგროვდა და ბა'ავაფის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. იბრძოლეს.  
ხარაიტებიდან და ორივე რაზმიდან ბევრი მეომარი იქნა მოკლული.

ამ სემანტიკით **ლაშქარ-ის** გამოყენების შემთხვევები გაცილებით ხშირია.  
ზოგჯერ დასახელებულია **ლაშქარ** 'არმიის ნაწილის, ჯარის, რაზმის' შემადგენ-  
ლობაში შემავალ მეომართა რაოდენობაც:

ბაზ ლაშქარ-ე მოუღუდ ღარა რასიდ ბა ჰაჲებ-ე ბოზორგ ევა მეყდარ ღო ჰაზარ სჰარ  
ევ დამ ჰაზარ მარღ-ე ფადე [2, 367].

მოუღუდის ჯარი უფროსი ჰაჲიბის მეთაურობით მოვიდა. მისი რაოდენობა იყო ორი ათა-  
სი ცხენოსანი და ათი ათასი ქვეითი.

ჰაჲებ ბებადდ რაჰთ ბა ლაშქარ ჰე დარ ფად-ე ყალე მოყმისთ [3, 74].  
ჰაჲები იმ რაზმიან ერთად უნდა წავიდეს, რომელიც ციხე-სიმაგრის ძირას დგას.

ბედან მანგარ ჰე თორა ედღათ ო ლაშქარ ანდჰჲ ასთ [6, 125].  
ყურად ნუ იღებ, რომ შენი რაზმი (ჰეგვანაყოფი) მცირერიცხოვანია.

სპარსულში **ლაშქარ** სიტყვის ისტორია და ეტიმოლოგია სპეციალისტთა  
აზრთა სხვაობას იწვევს. ს. ფრენკელი [37] მას არაბულიდან ნასესხებად თვლის.  
ზოგიც სიტყვის არაბიზებულ ფორმას სპარსულიდან შეთვისებულად მიიჩნევს  
[8, ტ. III, 1895; 39. ტ. I, 57, შენიშვნა 6], რაც, მ. ანდრონიკაშვილის აზრით,  
შემდეგი გზის გავლით უნდა მომხდარიყო: **ლაშქარ** > არაბ. **ალ-ლაშქარ** > \***ალ-  
სჰარ** > \***ალ-სჰარ** > \***ალ-სჰარ** [16, 338].

მ. ანდრონიკაშვილი ახალ სპარსულ **ლაშქარ** სიტყვას უკავშირებს ძვ. ირა-  
ნულ კომპოზიტს \***რაშჲ — კარჲ**, რაც 'გამანადგურებელ, თავდასხმელ ჯარს,  
ხალხს' უნდა ნიშნავდეს. მამასადამე, ძვ. ირ. \***რაშჲჰარჲ** > საშ. სპარს. \***რაშჲ-  
ჰარ** > ახ. სპ. **ლაშქარ** [16, 338].

„ბორჰან-ე ყათე“-ს რედაქტორი აღნიშნავს, რომ „ანჯომან-ე არად-ე ნა-  
სირი“-ს მიხედვით, **ლაშქარ** მომდინარეობს სიტყვისაგან **ლაშჲ** 'ნაწილი' [8,  
ტ. III, 1894], მაგრამ, ა. სიდლიკის აზრით, აუხსნელი რჩება სიტყვის **-არ** და-  
ბოლოება [42, 80, შენიშვნა I].

რაკი ჩვენ მიერ დამუშავებული თხზულებების მიხედვით **ლაშქარ** აღნიშ-  
ნავს შეიარაღებული ძალების, არმიის ნაწილს, ჰეგვანაყოფს, რაზმს, ვეფქრობთ,  
დასაშვებია სიტყვის შემდეგნაირი ეტიმოლოგია: **ლაშჲ** 'ნაწილი' + **ჰარ** < ძვ. სპ.  
**კარჲ**, რომელიც ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს ჯარსა და ხალხს ქართული  
ერის მსგავსად [16, 338]. მამასადამე, **ლაშჲ — კარჲ** > **ლაშჲჰარ** > **ლაშქარ** კომპო-  
ზიტის მნიშვნელობა იქნება 'არმიის, ჯარის ნაწილი'.

V. როცა **სეფაჲ** და **ლაშქარ** სიტყვებს ზმნა-შემასმენელი მრ. რიცხვში შე-  
ეწყობა, ვეფქრობთ, ისინი 'მეომრების, მოლაშქრეთა' გაგებას უნდა იძლეოდნენ:

ფირან ლაშქარ ბეჰაშიდ ევ ბა გოდარზ ჰარბ ჰარდ ევ სეფაჲ-ე ფირან ჰაზომთ შოდან ევ  
ფირან ბეჰარბ ანდარ კოშთე შოდ [1, 608].

ფირანმა ლაშქარი დაძრა და გოდერძის შეებრძოლა. ფირანის მეომრებმა უკუიქცენნ, ხო-  
ლო ფირანი ბრძოლაში დაეცა.

ნამე უ ევ ან სეფაჲ ჰე ბა უ ბუდნდ ბეჯარიდეჲჲ სეფაჲ ჰორმუდ ოა სნათ ჰარდნდ  
[2, 144].

ბრძანა, აღენუსხათ მისი და იმ მეომრების სახელი, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ  
ჯარის ცხენოსან ნაწილში.

დიგარ რუჲ ჯანგ ჰარდნდ ევ ლაშქარ-ე 'ჯამ თირბარან ჰარდნდ ევ 'აოზ ჰაზიმთ შო-  
დნდ [1, 1123].

მეორე დღეს ბრძოლა გააჩაღეს. სპარსელმა მეომრებმა ისრის წვიმა მოაწყვეს. არაბები  
დამარცხდნენ.

ლაშქარ-ე ესლამ ანდარ ლაშქარ-ე ქაჩარ ოქთაღანდ ბესიარ მარდომ ბექოზანდ ევღე-  
სიარ რა დუსთავარ ქარდანდ ევ ბარღე ანდაზე ბეგერეჭოთანდ [4, 201].  
ინლაშის მეომრები ურმუნთა მეომრებს თავს დაესხნენ, ბევრი ხალხი ვავლიტეს  
რიც შეიპყრეს და ტყვედ წაასხეს.

ბეჭარმულ თა ლაშქარ დარ სწლამ შოდანდ ევ ქეს-ე ანგ ზანდ ევ ბუყ დარ ღამი-  
დანდ ევ აზ ლაშქარგაპ ბირუნ შოდანდ ევ ბარ სწპრა სნჰ ქაშიდანდ [6, 22].

ბრძანა და მეომრებიც შეიარაღდნენ, ბრძოლის ბუქსა და ნალარას დაჰკრეს, ბანაკიდან და-  
იძრნენ და ბრძოლის ველზე გამაჰრვიდნენ.

**VI. სეფაპ და ლაშქარ ტერმინების მრ.** რიცხვის ფორმები (**სეფაპა, ლაშ-  
ქარა**), ჩვენი დაკვირვებით, მეტწილად აღქურვილობისა და დანიშნულების მი-  
ხედვით განსხვავებული ჯარის ნაწილებს, ქვეგანაყოფებს უნდა აღნიშნავდეს,  
იშვიათ შემთხვევაში კი — სხვადასხვა ტომისაგან შემდგარ ჯარს. სწორედ ასე-  
თი ნაწილები ქმნიდნენ ქვეყნის მთელ შეიარაღებულ ძალებს:

ფს სეფაპ ბირუნ ქარდ ევ ინ სეფაპ გოდარზრა დაღ ევ ურა სეფაპსალარ ქარდ ბარ ჰამე  
სეფაპა [1, 605—606].

შემდეგ ერთი (რომელიც) ჯარი გამოიყვანა და გოდარძის ჩააბარა: იგი მთელი ჯა-  
რების სპასალარად დანიშნა.

ბუთაშე რა ბარ ანარ-ე ევ სეფაპა-ე ბესიარ ქოუჯ ქოუჯ ჰამიჭერესთადანდ [2, 245].  
მის კვალდაკვალ ბუ-თაშე და მრავალრიცხოვანი ჯარები პოლკებად გაგზავნეს.

ლაშქარა ბექერმან ქერესთამ ევ დამარ აზ ქერმან ბარარამ [6, 22].

მე ლაშქარებს ქერმანისაგან გაგზავნი და პირისაგან მიწისა აღვევი ქერმანის მხარეს.

ჩუნ ხანბარ ბემა რასიდ სეფაპსალარა ბა ლაშქარა ქერესთად შოდ [3, 602].

როცა (ეს) ამბავი შევიტყვეთ, სპასალარი ლაშქარებთან ერთად იქნა გაგზავნილი.

ამრიგად, IX—XI საუკუნეების სპარსულენოვან ნარატიულ თხზულებებში  
ესფაპ|სეფაპ და ლაშქარ|ლაშგარ ლექსემები ძირითადად იდენტური მნიშვნე-  
ლობებით იხმარებიან (აღნიშნავენ ქვეყნის მთელ შეიარაღებულ ძალებს და მის  
ნაწილებსაც, ქვეგანაყოფებს, რაზმებს; იძლევიან მეომრების, მოლაშქრეთა გა-  
გებას). მაგრამ ისტორიულად სეფაპ უფრო ფართო სემანტიკისა უნდა ყოფი-  
ლიყო, აღნიშნავდა რა ქვეყნის მთელი შეიარაღებული ძალების ერთობლიობას,  
მაშინ როცა ლაშქარ გამოიყენებოდა მხოლოდ შეიარაღებული ძალების ნაწი-  
ლის მნიშვნელობით და, აქედან გამომდინარე, ჰქონდა უფრო ვიწრო გაგებაც,  
რასაც უნდა ადასტურებდეს ლაშქარ ტერმინის ჩვენ მიერ დაშვებული ეტიმო-  
ლოგიაც. ამ ორი ლექსემის სემანტიკური დაახლოება IX—X საუკუნეებში  
უნდა დაწყებულიყო.

#### ლიტერატურა

1. თარხი-ე ბაღმში, თეპრან, 1341.
2. თარხი-ე სისთან, ბექუშუმ შლექ ელ-შო'ზრა ბეპარ, თეპრან, 1314.
3. თარხი-ე მს'ული, მარუჰ ბე თარხი-ე ბეჰაყი, ბა მოყაბელე ევ თასიპ ევ ჰავაში ევ  
თა'ლიყათ-ე ს'იდ ნაჰისი, თეპრან, მოჯალლანდ ნახოსთ 1319, მოჯალლანდ დოფეომ 1326, მო-  
ჯალლანდ სეფეომ 1332.
4. ზემან ელ-ახბარ, თა'ლიქ-ე აბუ ს'იდ 'აბდულლაჰი ბენ მოჰამედ გარდიზი, თეპრან,  
1315.
5. საქრანმე, ჰაქიმ ნასერ ხოსროუ, ბერლინ, 1340.
6. სიასნთამე, თა'ლიქ-ე ხაყ-ე ნეზამ ზლოლოქ აბუ'ალი ჰასან თუსი, თეპრან, 1340.
7. ყაბუსნამე, ბე ეპთემამ-ე ს'იდ ნაჰისი, თეპრან, 1933.
8. ბორჰან-ე ყათი, თა'ლიქ-ე მოჰამედ ჰოსეინ ბენ ხალაქ-ე თაბრიზი, მოთახასი ბე  
ბორჰან, ჯელდა იექომ — ჩეპარომ, თეპრან, 1330.
9. ჰასან 'აშიდ, ჭარჰან-ე ბოხოზგ დო ჯელი-ე მოსავეპარ, თეპრან, 1958.
10. დოქტორ მოჰამედ მო'ინ, ჭარჰან-ე ჭარსი, თეპრან, 1345.

11. ჭარკანგე ამირე ქაბირ, თ'ლიტ-ე მოკჳმჳდ 'ალი ხალილი 'ლა ასლარ 'ამამ, თეჳრან, 1958.
12. ჭარკანგე რაშიდი, ლო'ზდ შლ-რაშიდი შლთუი, თეჳრან, 1953.
13. ჭარკანგე ნაჳიბი, თ'ლიტ-ე მარჳუმ დოქტორ 'ალი შჳბარ ნაჳისი, თეჳრან, 1319—1320.
14. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
15. აბულყასიმ ფირდოუსი, „შაჳნამე“, ქართული ვერსიები, ტ. II, თბ., 1934.
16. ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრიუ ურთიერთობიდან, თბ., 1966.
17. არდაშირ ბაბაიის ძის საქმეთა წიგნი, ფალაურიდან თარგმნა, გამოკლეეა და ლექსიკონი დაურთო თ. ჩხეიძემ, თბ., 1975.
18. თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნნი ლექსიკონნი, მასალები შეკრბა, აზნანუ გააწყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გ. შარაძემ, თბ., 1979.
19. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.
20. „შაჳნამეს“ ანუ „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1916.
21. Абаев В. И., Историко-этимологический словарь эстивского языка, т. I. М.—Л., 1958.
22. Абу-л-Фазл Бейхаки, История Мас'уда, перевод А. К. Арендса, Ташкент, 1962.
23. Алиев Г. Г., Персидско-русский и русско-персидский всенный словарь, М., 1972.
24. Бартольд В. В., Туркестан в эпоху монгольского нашествия, Сочинения, т. I, М., 1969.
25. Гаффаров М. А., Персидско-русский словарь, т. I—II, М., 1974.
26. Краткий военный персидско-русский словарь с приложением военного словаря Кабули, М., 1954.
27. Ларин Б. А., Очерки по фразеологии, Уч. зап. ЛГУ, Серия филолог. наук, вып. 24, 1956, № 198.
28. Муллочаев С. А., Военная лексика «Шахнаме» Абулькасима Фирдоуси (автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук), Душанбе, 1980.
29. Пашковский А. А., Японская военная лексика, сборник трудов по языкознанию Военной академии Советской армии, вып. 2, М., 1958.
30. Рубинчик Ю. А., Персидско-русский словарь, т. I—II, М., 1970.
31. Сорокин Ю. С., Развитие словарного состава русского литературного языка в 30—90 гг. XIX в., М.—Л., 1965.
32. Фарханги забони точики, т. I—II, М., «Сов. энциклопед.», 1968.
33. Худобашев А., Армяно-русский словарь, т. I—II, М., 1838.
34. A. comprehensiver Persian-Inglish Dictionary, be F. Steingass, PH., L., London.
35. Altianisches Wörterbuch von Christian Bortholomae, Strassburg, 104.
36. Dictionary, English, Persian and Arabic, by John Richardson, London, 1810.
37. Fraenhal S., Die aramäischen Fremdwörter im Arabischen, Leiden, 1886.
38. Glossar zu Firdosis Schahname (von Fritz Wolif), Berlin, 1935.
39. Grundriss der iranischen philologie, Hrg. von W. Geiger und E. Kuhn, I Rand, I Abteilung, Strassburg, 1895—1901.
40. Meillet A., Grammaire du vieux parse, 2<sup>e</sup> édition, entièrement corrigée et augmentée par E. Benveniste, Paris, 1931.
41. Nuberg H. S., Hilfsbuch der Pehlevi, J—II Uppsala, 1923—1931.
42. Siddiqi A.; Studien über die persischen Fremdwörter im klassischen Arabisch, Göttingen, 1919.
43. Vullers I. A., Lexicon persuco-latinum etimologicum, Graz—Austria, I—II, 1962.

ВОЕННЫЕ ТЕРМИНЫ СИПАḥ  
И ЛАШҚАР В ПЕРСИДСКИХ НАРРАТИВНЫХ  
СОЧИНЕНИЯХ IX—XI ВВ.

Резюме

В персидских нарративных сочинениях IX—XI вв. военные термины эспаḥ||сэпаḥ и лашқар||лашгār в основном употребляются в идентичном значении. Однако в историческом плане сэпаḥ должен был иметь более широкую семантику, так как он обозначал единство всех военных сил страны, в то время как лашқар употреблялся только в значении части войска, следовательно, имел более узкое содержание.

В статье предлагается следующая этимология слова лашқар: лашк 'часть' + қар <древн. перс. кара 'народ, войско'> лашкқар > лашқар 'часть армии, войска'.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ინტერ-ირანული ენების განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ანდრონიკაშვილმა

## რუსულად ენუშიძე

## ძირითად „ლინგვისტურ აბსტრაქციათა“ სისტემა და მხატვრული ტექსტის თხრობითი დინამიკა

„ტექსტი არის ენა მოქმედებაში“ [25, 9] — ტექსტის ასეთი გაგება ორ ურთიერთგანმსაზღვრელ ასპექტს ითვალისწინება: ტექსტის კომუნიკატურობას და ტექსტის პროცესუალობას. ეს ორი ასპექტი ძირითადი დისტინქციური ნიშანია ტექსტისა, სხვა ენობრივი ერთეულებისაგან მისი განმასხვავებელი ნიშანია. კომუნიკაციური მიდგომა ტექსტისადმი (პროპოზიციულის საპირისპიროდ, რომელიც ტექსტს განიხილავს სტატიურად, ანალიზებს სინტაქსს და მაკრო-სტრუქტურებს) ტექსტს განიხილავს როგორც მთლიანობას, „которое конституируется расчлененной во времени последовательностью речевых действий“ [22, 314] და აფუძნებს არა მარტო ტექსტის ფუნქციონალურ სტატუსს, არამედ მისი არსებობის ფორმასაც — პროცესუალობას. ტექსტის პროცესუალობა სხვადასხვანაირად ვაივება: ა) როგორც ადამიანის სამეტყველო უნარის რეალიზაცია ან, ბ) როგორც მეტყველებაში ენის ფუნქციონირების უნარი [22, 13]. ამ მოსაზრებას დავუმატებთ იმას, რომ პროცესუალობა მიგვაჩინა ტექსტის არსებობის ფორმად და ამდენად იმ უზოგადეს, ყოვლისმომცველ ასპექტად, რომლის ჭრილში გატარების გარეშე, მასთან მიმართების დადგენის გარეშე არც ერთი ტექსტობრივი კატეგორიის კვლევა არ იქნება ადეკვატური. აქვე შევნიშნავთ, რომ უნივერსალურ მახასიათებლებთან ერთად პროცესუალობას სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციის (სამეტყველო სტილის, ტექსტის) შემთხვევაში განმასხვავებელი ნიშნებიც აქვს.

სამეტყველო სტილების პრაგმატულ-ფუნქციონალური ინტენციის (შეტყობინება, ზემოქმედება — „сообщение, воздействие“) [24, 7] მიხედვით დაყოფისას საკომუნიკაციო სფერო (სამეტყველო სტილები) ორ ძირითად წგუფად გაიყო: მხატვრულად და არამხატვრულად. არამხატვრულ ტექსტებს ახასიათებთ „стремление к однозначности, к минимуму интерпретаций“, მხატვრულ ტექსტებს — „стремление к многозначности, к увеличению интерпретаций, к множеству ассоциаций“ [16, 4]. ეს ასოციაციათა სიმრავლე და „მნიშვნელობის ფორმირების გზები“<sup>1</sup> (და არა „ფორმირების შედეგი“, რაც არ ექვემდებარება ფორმალიზაციას) — მხატვრულობის, მხატვრული ხატის პროცესუალური არსებობაა. მხატვრული ხატის, როგორც პროცესის [17, 761] კვლევა, მისი პროცესუალობის გახსნით, ცალკეულ კატეგორიათა დინამიკურობის ანალიზით უნდა მოხდეს. აქვე შევნიშნავთ, რომ „ტექსტის პროცესუალობის“ და „ტექსტის დინამიზმის“ (დინამიკის) სინონიმებად გამოყენება არ მიგვაჩინა გამართლებულად. თუმცა „პროცესუალობაც“ და „დინამიკაც“ განვითარების მსვლელობას, მოძრაობის მდგომარეობას აღნიშნავს, მათ შორის განსხვავება

1 რ. ბარტის აზრით, „художественный текст беспредельно открыт, он ‘раскрыт’ в бесконечность’. Мы стараемся обнаружить пути формирования смысла и не ставим перед собой задачи найти единственный смысл“. ინტერპრეტაციის ამ სახისაკენ — ერთადერთი მნიშვნელობის, დედაარსის\* დადგენისაკენ, რ. ბარტის აზრით ისწრაფოდა მარქსისტული და ფსიქონალიტიკური კრიტიკა [4, 307].

ზოგადად და ტექსტთან მიმართებაში არსებითად მივეჩნია. „დინამიკა“ რომელიმე ტექსტობრივი კატეგორიის აქტუალიზაციასთანაა დაკავშირებული „პროცესუალობა“ — პროპოზიციათა (მდგომარეობათა, სიტუაციათა, ხდომილებათა) თანმიმდევრული შეცვლა, ტექსტში ასახული სინამდვილის განვითარების სტადიათა მჭიდრო კავშირია მათ უწყვეტობაში. ამასთანავე, „პროცესუალობა“ კომუნიკაციურ სიტუაციას ითვალისწინებს, უფრო ზუსტად, პრაგმატულ-ინტენციურ მიზანდასახულებას, რომელიც ადრესანტისა და ადრესატის არსებობას გულისხმობს.

მხატვრულობა/არამხატვრულობას შორის ზემოთ აღნიშნული მრავალმნიშვნელობა/ერთმნიშვნელობის ვარდა, პროცესუალობის განსხვავებული ხასიათითაც შეიძლება მათ შორის არსებითი განსხვავების დადგენა. ქუთქრობთ, რომ მხატვრულ ტექსტს ახასიათებს **ასოციაციური პროცესუალობა**, არამხატვრულს კი — **რეპრეზენტული პროცესუალობა**. ტერმინი „რეპრეზენტულობა-პროცესუალობა“ ი. როდნიანსკიისაგან [17, 761] ვისესხეთ, მაგრამ განსხვავებულ შინაარსს ვდებთ მათში: ი. როდნიანსკიის აზრით, რეპრეზენტულობისაკენ ისწრაფვის მხატვრული ხატი სახვით ხელოვნებაში, ასოციაციურისკენ — გამომსახველობითში. „Внутреннее строение художественного образа существенно различается в разных видах искусства—в зависимости от материала (словесный, звуковой, пластический, пантомимический образ), пространственно-временной характеристики (статический, динамический) и др. Это структурное многообразие можно с известным огрублением свести к двумя исходным началам—принципу репрезентативного отбора и принципу ассоциативного сопряжения. К первому тяготеет художественный образ в изобразительных искусствах (реконструкция предмета с упором на одни его признаки и исключением других), а ко второму—художественный образ в выразительных искусствах (иносказание в поэзии, контрапункт в музыке)“. მივეჩნია, რომ „რეპრეზენტული შერჩევა“ ხელოვნების ნებისმიერი დარგის ნებისმიერი გამოვლენის პრაგმატული სფეროა, ის მატერიალური დონე (მხატვრულ ტექსტში—ვერბალური), რომელიც წარმოადგენს საშუალებას, საფუძველს ასოციაციური წვდომის მისაღწევად. მხატვრული ხატის შექმნა რეპრეზენტული დონის მიღმა, სუპერვერბალურ დონეზე ხდება, სადაც ასოციაციურ ინტერპრეტაციათა სიმრავლეა შესაძლებელი. მაგრამ, „რეპრეზენტულობა“, როგორც კომუნიკაციის მაკონსტრუირებელი საშუალება ვერბალურ დონეზე და მისგან (რეპრეზენტულობისაგან) გამომდინარე „ასოციაციურობა“, სუპერვერბალურ დონეზე პროცესუალობასთან არიან მჭიდროდ დაკავშირებული, რადგან ინფორმაციის გამგზავნა (ადრესანტზე) და ადრესატს შორის დიალოგური მიმართების საფუძველზე კონსტრუირდებიან.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ მხატვრული ხატის შექმნა ასოციაციური პროცესუალობის მეზობლივით ხდება. მხატვრული განზოგადების ასოციაციური პრინციპი სიმბოლოზეა დაფუძნებული; სიმბოლოურობის ელემენტები კი სწორედ რეპრეზენტულ დონესთანაა მჭიდრო კავშირში. სიმბოლოს ელემენტებიდან სიმბოლომდე თანდათანობით მისვლა წარმოადგება როგორც პროცესი, როგორც „динамическая тенденция“ [2, 607]. მაგრამ სიმბოლოს შექმნა-წვდომა არ ნიშნავს მის დაყვანას ერთმნიშვნელოვან ლოგიკურ ფორმულაზე, რადგან „символ является... не просто знаком тех или иных предметов, но он заключает в себе обобщенный принцип дальнейшего развертывания свернутого в нем смыслового содержания“. ([10, 10], ხაზი ჩემია.—რ. ე.). სიმბოლურ შევიდულობათა (симво-



лические спеления [2.607]) თანმიმდევრული მონაცვლეობა, მათი კუმულაციური დინამიკა ქმნის პროცესუალობას.

ყოველივე ზემოთქმული ეხებოდა მხატვრული ხატის, მისი ასოციაციური ინტერპრეტაციის დიალოგურ, სიმბოლურ ხასიათს. მხატვრულ ტექსტში ამ სამივე ნიშნის (დიალოგურობა, სიმბოლურობა, ასოციაციურობა) ურთიერთმიმართების და ურთიერთგანპირობებულობის ახსნა შეიძლება იმ საერთო, ზოგადი ნიშნითაც, რომელიც მათ ახასიათებთ — ეს მათი საფუძველი, მათი არსებობის ფორმაა — პროცესუალობა. კიდევ ერთი რელევანტური ნიშანი, ონტოლოგიური მახასიათებელი მხატვრული ხატისა არის ის, რომ მისი დიალოგურობა, სიმბოლურობა იდეალური ყოფიერების გამოვლენაა და ფორმალიზაციის არ ექვემდებარება. ფორმალიზაციის უნდა დავუქვემდებაროთ „ტექსტის აღწერა“ [1, 826], ე. ი. მატერიალური საფუძველი, უფრო ზუსტად, ის ასპექტი მატერიალური საფუძელისა, რომელიც გვევლინება საერთო ნიშნად როგორც რეპრეზენტულობისა, ისე ასოციაციურობისა; ასეთი ნიშანი პროცესუალობაა. მხატვრული ტექსტის პროცესუალობის კვლევა ორი ხაზით უნდა წარიმართოს: ა) ვერბალური დონის იმ ელემენტების კვლევით, რომლებიც რეპრეზენტულ დინამიკას ქმნიან და ბ) სუპერვერბალურ დონეზე შესაბამისი ასოციაციური ელემენტების კვლევით, რომელთა თანმიმდევრული მონაცვლეობა ასოციაციურ დინამიკას ქმნის. კვლევა-განზოგადება ცალკეული ელემენტებისა, რომლებიც თხრობით დინამიკას ქმნიან ვერბალურ დონეზე და ასოციაციურს (თემებისა და მიკროთემების მონაცვლეობის სახით) — სუპერვერბალურ დონეზე, პროცესუალობის პრობლემის ლინგვისტურ ასპექტს წარმოადგენს. ზოგადობის ხარისხის მისაღწევად, საჭიროდ მიმაჩნია, ტექსტობრივი დინამიკის დისკრეტული ელემენტების პროეცირება მოვახდინოთ ლინგვისტურ აბსტრაქციათა სისტემაში, იმ ფუძემდებელ ენობრივ კატეგორიათა სისტემაში, რომელსაც თანამედროვე ენათმეცნიერებაში „ენობრივ აბსტრაქციათა“ სისტემას უწოდებენ.

„Три различных типа абстракции характеризуют грамматику, а через нее и язык в целом: 1) абстракция предметов, признаков и действий—номинация; 2) абстракция связей между предметами—предикация; 3) абстракция отношений человека к месту и времени речи—локация.

Закрепленные в грамматике тремя различными способами три типа абстракции являются основой для выполнения языком трех его функций—назвать и классифицировать (номинация), привести названное в связь друг с другом (предикация), локализовать названное и приведенное в связь в пространстве и времени (локация)“ [20, 122]. ცხადია, აბსტრაქციის სამი ტიპის გამოყოფისას ნომინაცია არ განიხილება ფართო პლანით, ე. ი. როგორც „обозначение“ всего отражаемого и познаваемого человеческим сознанием, всего сущего и мыслимого [6,234].

ტექსტის დინამიზმი რთული, მრავალსახა მოძრაობაა, რომელიც აქტუალიზირებულია ტექსტის სხვადასხვა სტრუქტურულ-შინაარსობრივი სეგმენტების მონაცვლეობით. ტექსტის დინამიზმი არაა სწორხაზოვანი მონაცვლეობა სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების, არც წინადადებათა თანმიმდევრული ცვლა, არამედ იგი მზარდი და კუმულაციური პროცესია, რეალიზებული სხვადასხვა ტექსტობრივი სეგმენტის (ეპიზოდის, კადრის<sup>2</sup>, ანუ ზეფრაზული მთე-

<sup>2</sup> ტერმინი „კადრი“ ნ. მაროვასაგან „ენისუხეთ“ [11] თუმცა კადრის დელიმიტაციის საკითხს სხვაგვარად ვუდგებთ; ნ. მაროვა კადრს იგივესს აშხატან, მე—წინამდებარე ნაშრომში—ზეფრაზულ მთელთან (შენიშნავ, რომ ჩემს წინა ნაშრომში—„Художественный хронотоп и его лингвистическая организация“, Тб., 1987—„კადრი“ ეწოდებოდა მხატვრული ტექსტის ყველაზე



ლის, კადრის დეტალის ანუ წინადადების<sup>3</sup>) დისკრეტულ ელემენტთა ერთობლიობით. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ტექსტობრივი დინამიკური მრავალსახა გამოვლენა ხორციელდება სხვადასხვა დონეზე, მხატვრული ტექსტის სხვადასხვაგვარი სეგმენტების მონაცვლეობით — ეპიზოდის დონეზე, კადრის დონეზე, კადრის დეტალის, ანუ წინადადების დონეზე და წინადადების შიგნითაც (თუ იგი ერთგვაროვან წევრებს შეიცავს) [28].

მხატვრული ტექსტის დაყოფამ **ეპიზოდებად** თემატური პრინციპის მიხედვით გამოავლინა თხრობითი დინამიზმის ერთ-ერთი სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურება: ეპიზოდების ცვლა აღინიშნება ახალი ეპიზოდის მათუწყებელი დისკრეტული ელემენტებით, ხოლო ეპიზოდის შიგნით რეალიზებულ თემათა თანმიმდევრობა (სუბერვერბალურ დონეზე) ქმნის ტექსტობრივ დინამიკას. ეპიზოდი, როგორც მხატვრული ტექსტის სტრუქტურულ-შინაარსობრივი ერთეული, ტექსტის ვერბალურ დონეს განეკუთვნება, მის შიგნით რეალიზებული თემა — სუბერვერბალურ დონეს. ტექსტის დინამიზმის კვლევა უნდა ვაწარმოოთ ვერბალური და სუბერვერბალური დონეების ურთიერთმიმართების საფუძველზე.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ტექსტობრივი დინამიკის დასადგენად თემატურ პრინციპს ვიყენებთ და რომ ეპიზოდებში რეალიზებულ თემათა მონაცვლეობა ქმნის ასოციაციურ დინამიკას. მაგრამ რა არის ამ მონაცვლეობის ნაჩვენებელი? როგორ განვსაზღვროთ ეპიზოდის საზღვრები? რითი აღინიშნება ახალი ეპიზოდის დაწყება ვერბალურ დონეზე, ანუ რა არის ახალი ეპიზოდის დასაწყისის მათუწყებელი სტრუქტურულ-სემანტიკური სიგნალი? აქვე შევნიშნავთ, რომ მარტო ეპიზოდების და მათში რეალიზებული თემების მონაცვლეობა არ ქმნის რეპრეზენტულ და ასოციაციურ დინამიკას. ეპიზოდი თავის მხრივ იყოფა კადრებად. რა უძირატესობას ვაძლევთ ტერმინ „კადრს“ უკვე დადგენილ „ზეფრაზულ მთელთან“ ან „რთულ სინტაქსურ მთელთან“ შედარებით? მხატვრული ხდომილების ხატობრივი განფენილობა დროსა და სივრცეში ქმნის ნაწარმოების „ვიზუალურ“, „სცენურ“ სამყაროს და ტექსტის ერთ-ერთ სტრუქტურულ-შინაარსობრივ ერთეულს, რომელიც მხატვრული სინამდვილის ერთ-ერთ ნაწილს, ერთ-ერთ „სცენას“ წარმოადგენს, შეიძლება ეწოდოს **კადრი** (კინოლენტიის ნაწილის მსგავსად). ამით ხაზს ვუსვამთ, ვიმეორებთ, მხატვრული ტექსტის ვიზუალურ ხასიათს. სხვადასხვა კადრში (ანუ კადრთა თანამიმდევრობაში) რეალიზებული მიკროთემების მონაცვლეობით იქმნება თხრობითი დინამიკა, უფრო „მცირეტალოვანი“, ვიდრე ეპიზოდებში რეალიზებული თემების თანმიმდევრული მონაცვლეობით შექმნილი მოძრაობა. კადრის შიგნით **კადრის დეტალების** მონაცვლეობაც ქმნის დინამიკას, რომლის დისკრეტული ელემენტები ახალი კადრის დეტალის დაწყებას გვაუწყებენ. თვით წინადადების შიგნითაც არის მოძრაობა, დაფუძნებული აქტანტებისა და პრედიკატების მონაცვლეობაზე, რომლებიც სხვადასხვა სახის დინამიკურობას ამკლავებენ [28].

მხატვრული პროზაული ტექსტის კვლევისას თხრობითი დინამიზმი წარმოდგენილი გვაქვს როგორც დისკრეტულ ელემენტთა თანმიმდევრული მონაცვლეობა ტექსტის სეგმენტების სხვადასხვა დონეზე და მასთან მიმართებაში ვაანალიზებთ სხვადასხვა სეგმენტის (ეპიზოდის, კადრის, კადრის დეტალის)

დოდ სეგმენტს, ე. ი. ეპიზოდს. მაშინ ტექსტის სხვა სეგმენტების ანალოზი არ ჩამიტარებია). ტერმინ „კადრს“ ვალბერინი იყენებს და პირობითად უტოლებს მას წინადადებას (იხ. И. Р. Гальперин, Текст как объект лингвистического исследования, М., 1981, გვ. 81).

<sup>3</sup> კადრის დეტალი და წინადადება არ დაემთხვევა ერთმანეთს რთული წინადადების შემთხვევაში. კადრის დეტალი უტოლდება მარტივ წინადადებას (როგორც იზოლირებულს, ისე რთული წინადადების შემადგენლობაში მყოფს). ამრიგად, განსაზღვრებაში „კადრის დეტალი — წინადადება“ მარტივი წინადადება იგულისხმება.

დისკრეტულ წერტილთა შორის „მოქცეულ“ თემებისა და მიკროთემების თანმიმდევრულ ცვლას. სიუჟეტურ განვითარებაში ეს ხდომილებები (რომლებიც შეკუმშული სახით თემებისა და მიკროთემების სახით გადმოიცემა) დისკრეტულ ელემენტებად გვევლინებიან და მათი ერთიანობა, თანმიმდევრული ცვლა დინამიკას იძლევა სუპერვერბალურ დონეზე. ტექსტის სეგმენტში რეალიზებული თემა თუ მიკროთემა სუპერვერბალურ დონეს განეკუთვნება. მისი (თემის) განზოგადების, ასოციაციურობის ხარისხი კლუბულოზს ტექსტის სეგმენტის შემცირებასთან ერთად: ჰიპერთემა („გამჭოლი თემა“) მთლიანად ტექსტის მომცველია და ნაწარმოების მთავარი აზრის ზოგადი გამოხატველი<sup>4</sup>. ეპიზოდში რეალიზებული თემა უფრო ნაკლები ზოგადობით ხასიათდება, ვიდრე ჰიპერთემა, კადრის მიკროთემა — კიდევ უფრო ნაკლებით და თანდათანობით უახლოვდება ვერბალურ დონეს. კადრის დეტალში რეალიზებული პროპოზიციული კონცეპტი კი უმეტეს შემთხვევაში ემთხვევა კიდევაც ვერბალურ დონეს. ეს ფაქტი მხატვრული ტექსტის ვერბალური და სუპერვერბალური დონეების ურთიერთმიმართების კიდევ ერთი მხარეა.


ზემოთქმულით ტექსტის სეგმენტირებისას გამოვყავით შემდეგი ერთეულები: ეპიზოდი, კადრი, კადრის დეტალი. რადგანაც ძალიან ხშირად აბზაცს თვლიან ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკურ ერთეულად, მიზანშეწონილად მიმაჩნია გავაკეთო მიკრე წიადსელა ამ საკითხის შესახებ: თემატური პრინციპით მხატვრული ტექსტის სეგმენტირებისას აბზაცი არ მიმაჩნია ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკურ ერთეულად. აბზაცების მონაცვლეობა ქმნის ნაწარმოების რიტმულ ქარგას. აბზაცის სიგრძე-სიმოკლით ავტორი გამოხატავს „смысловый ритм своего произведения“ [14,520]. რამდენიმე პროზაული სტროფის გაერთიანება ერთ აბზაცში ქმნის „плавный, обстоятельный“ [19207] რიტმს; მაგრამ, ხანდახან „встречается расчленение прозаической строфы на несколько предложений, выделение с помощью абзаца отдельных предложений“ [19, 2107] — აბზაცის ასეთი დანაწევრება ქმნის აჩქარებულ, სინკოპირებულ რიტმიკას. მასადაამე, აბზაცი შეიძლება დაიშალოს რთულ სინტაქსურ მთელებად, წინადადებებად იმ მიზნით, რომ თხრობის რიტმულ ქარგა შეიცვალოს. და თუ ამ შემთხვევაში აბზაცის თემის გამოყოფას მოვინდომებთ, სად უნდა ვეძიოთ იგი: წინადადებაში თუ რთულ სინტაქსურ მთელში? და თუ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში აბზაცი უტოლდება წინადადებას ან სინტაქსურ მთელს, მაშინ თემატური ნიშნის მიხედვით ტექსტის სეგმენტირებისას აბზაცს ადგილი არ მოეძებნება. აბზაცს თავისი ძალზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია ტექსტის რიტმული ორგანიზაციის საქმეში და მხატვრული ტექსტის თემატურ-სიუჟეტური პრინციპით დანაწევრებისას არ მიმაჩნია მიზანშეწონილად მისი ჩართვა სტრუქტურულ-სემანტიკურ სეგმენტირებაში. მით უმეტეს, რომ ახლა ყველა აღიარებს აბზაცური დანაწევრებისადმი უაღრესად სუბიექტური მიდგომის შესაძლებლობას.

მხატვრული ტექსტის სეგმენტირებისას ყველაზე დიდ ერთეულად ეპიზოდი მივიჩნით. „ეპიზოდს“ გამოყოფს ცვ. ტოდოროვიც, ეპიზოდის შემადგენელ ელემენტებად კი წინადადებებს თვლის. სამი ნარატული ერთეულიდან, მისი აზრით, პირველი ორი წარმოადგენს კონსტრუქტებს, მესამე კი — ემპირიულ მოცემულობას [21, 84]. მიგვაჩნია, რომ ეპიზოდსა (რომელსაც თავისი

<sup>4</sup> სხვა მრავალ განსაზღვრებათა შორის ვხვდებით „თემის“ ასეთ დეფინიციასაც: „Тема не есть некий 'дайджест' для читателя, а научная абстракция, ценность которой зависит от того, предьявлены ли достаточно убедительные соответствия между ней и реальным текстом“ [8, 10] და იქვე: „Тема“=Текст минус приемы“ [8,31].  
8. მაცნე, ენა და ლიტერატურის სერია, 1989, № 3

ლოკაციური ანუ ქრონოტოპული ჩარჩონ ვაჩნია) და წინადადებას შორის ტექსტის კიდევ ერთი, „საშუალო ზომის“ სტრუქტურულ-სემანტიკური უფლები შეიძლება „მოთავსდეს“; ეს კადრი ანუ ზეფრაზული მთელაა, რომელიც რამდენიმე კადრის დეტალისაგან შედგება. მაშასადამე, ჩვენთვის ემპირიულ მოცემულობა ტექსტია, ტექსტის მაკონსტრუირებელი ელემენტები კი — კადრის დეტალი—კადრი—ეპიზოდი. თითოეული მათგანი დინამიკურობის გარკვეულ ხარისხს ამჟღავნებს, კონტინუუმის მისეულ ხაზს ავითარებს, რომელიც ტექსტის საერთო დინამიკას ერწყმის. (აქვე შევნიშნავთ, რომ „კონტინუუმისა“ და „დინამიკის“ შორის განსხვავება ასე იცეცასება: „კონტინუუმი“ თხრობის უწყვეტ დინებას გულისხმობს, „დინამიკა“ — დისკრეტული ელემენტების თანმიმდევრულ მონაცვლეობას. დინამიზმის კვლევისას ინტერესის ობიექტი არის ახალი დისკრეტული ელემენტების, ცვალი რემატული ნიშნების მონაცვლეობა; კონტინუუმის ანალიზის დროს კი ის ნიშნები, რომლებიც შექიდილებას ქმნიან, ე. ი. ერთმანეთის მომდევნო სეგმენტებში გარდამავალი უცვლელი მდგრადი ელემენტები).

სიუჟეტის ხაზზე ტექსტის სეგმენტები ასე განლაგდება:



ვერტიკალური ხაზებით ის დისკრეტული ელემენტებია აღნიშნული, რომლებიც ტექსტის სეგმენტის (ეპიზოდის, კადრის, კადრის დეტალის) დასაწყისის მაუწყებელ სიგნალად იცეცლინება. როდესაც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ტექსტის თხრობითი დინამიკა არაა წინადადებათა ლინეარული, სწორხაზოვანი მონაცვლეობა, არამედ რთული და მრავალსახა მოძრაობა, ვგულისხმობდით დინამიკის ამ მრავალსაფეხურიანობას და სხვადასხვა სეგმენტოვნებას.

ზემოთ არაერთხელ ვთქვით, რომ ტექსტობრივი დინამიკის კვლევა როგორც ვერბალურ ისე სუპერვერბალურ დონეზე, მოითხოვს დისკრეტული ელემენტების დადგენა-გამოცალკევებას, ანუ ტექსტის სეგმენტირებას, ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეულების გამოყოფას. სამი სხვადასხვა სიმძლავრის დინება — ეპიზოდების „დიდტალღოვანი“ მოძრაობა, კადრების „საშუალოტალღოვანი“ და კადრის დეტალების „მცირეტალღოვანი“ მოძრაობა ქმნის ტექსტის თხრობით დინამიკას. თითოეულ მათგანს ახალი სეგმენტის დასაწყისის მაუწყებელი მისეული სტრუქტურულ-სემანტიკური სიგნალი ვაჩნია. ამასთანავე, უფრო დიდი სეგმენტის დასაწყისში ყოველთვის იმპლიციტურებულია მასზე მცირე (მასში შემავალი) სეგმენტის დასაწყისიც. ასე მაგ.

5 მ. ბახტინის მიერ ლიტერატურათმცოდნეობაში შემოტანილი ორწევრა (დრო-სივრცე) სისტემას (ე. ი. დროულ-სივრცობრივ მიმართებებს მხატვრულ ტექსტში, რომელსაც ქართული მნიშვნელობა ენიჭება) ჩვენ განესაზღვრავთ როგორც ლოკაციის ენობრივ კატეგორიას, ტრანსპონირებულს მხატვრულ ტექსტში და წარმოვიდგინოთ როგორც დროულ-სივრცობრივ მიმართებებს სუბიექტურობის აუცილებელი გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ დადგენილია ქრონოტოპულმა ანუ ლოკაციურმა მოდელმა 3-წევრა სისტემას სახე მიიღო: დრო+სივრცე+სუბიექტი. ყოველ მხატვრულ პროზაულ ტექსტს სიუჟეტური თხრობის გაშლისათვის ესაბიროება ამ სამი ლოკაციური კოორდინატის არსებობა. ეპიზოდურ, როგორც ტექსტის უმსხვილესი (უდიდესი) ერთეული ანუ სიუჟეტური სეგმენტი, საჭიროებს ქრონოტოპული ანუ ლოკაციური „ჩარჩონ“ („სად“, „როდის“, „ვინ“) არსებობას.

ეპიზოდის დაწყება გულისხმობს ახალი კადრის და კადრის დეტალის დაწყებასაც, მაგრამ ამ შემთხვევაში რელევანტური მხოლოდ ეპიზოდის დასაწყისი იქნება. კადრის დასაწყისში იმპლიცირებულია კადრის დეტალის დასაწყისიც, მაგრამ აქაც უფრო დიდი სეგმენტის, ე. ი. კადრის დასაწყისის, სტრუქტურულ-სემანტიკური სიგნალი იქნება ანალიზისათვის მნიშვნელობის მქონე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტექსტობრივი სეგმენტის ყოველი სახეობის (ეპიზოდი, კადრი, კადრის დეტალი) დასაწყისის სტრუქტურულ-სემანტიკური სიგნალი „ლინგვისტურ აბსტრაქციათა“ სამწვერა სისტემაში (ლოკაცია, ნომინაცია, პრედიკაცია) გარკვეულ კატეგორიას შეესაბამება.

ენობრივი სისტემის ამ სამი ძირითადი აბსტრაქციის აქტუალიზაცია გამონათქვამის დონეზე ხდება. მხატვრული ტექსტი მეტყველების ერთ-ერთი სახეობაა. ნებისმიერი ენობრივი ელემენტის (თუ კატეგორიის) ტრანსპოზიცია ენის სისტემიდან მხატვრულ ტექსტში მხატვრული აქტუალიზაციის ერთ-ერთი გამოვლენაა. ზემოთ დასახელებული სამი ენობრივი აბსტრაქცია აქტუალიზებულია მხატვრული ტექსტის ყოველ სეგმენტში, ექსპლიცირებულად ან იმპლიცირებულად. მაგრამ თხრობის დინამიკის ფორმირებაში, უფრო ზუსტად, თხრობითი დინამიკის დისკრეტული ელემენტების, ახალი სეგმენტის დაწყების სიგნალების გამოყოფაში მათ სხვადასხვა ხვედრითი წონა აქვთ. მამასადამე, ლინგვისტურ აბსტრაქციათა 3-წვერა სისტემა თხრობითი დინამიკის დისკრეტული ელემენტების — ტექსტის ახალი სეგმენტების დაწყების მაუწყებელ სიგნალთა სისტემად გვევლინება. სხვადასხვა სეგმენტს (ეპიზოდი, კადრი, კადრის დეტალი) მისი შესატყვისი კატეგორიული ინდექსი (ლოკაციური, ნომინაციური, პრედიკაციული) გააჩნია; ყოველ სეგმენტში სიგნალთა საერთო კომპლექსიდან წამყვან ფუნქციას იტვირთავს ერთი რომელიმე კატეგორიული ელემენტები.

მხატვრული ტექსტის საკუთრივ ლინგვისტური სპეციფიკის კვლევისას, ზემოთ აღნიშნული ენობრივი აბსტრაქციების განხილვა უნდა მოხდეს ტექსტის დონეზე, ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. ასე მაგალითად, თუ ვიხილავთ ტექსტის ლოკაციური სისტემის კოორდინატებს, მაშინ ავტორისეული დროისა და სივრცის მიმართება ტექსტისადმი არაა რელევანტური. ტექსტის ლოკაციური კოორდინატები (დრო, სივრცე, სუბიექტი) თვით ტექსტის სფეროში უნდა დადგინდეს.

მხატვრული ტექსტის თხრობითი დინამიკის მრავალსაფეხურიანობა და ნაირგვარობა ასე გვაქვს წარმოდგენილი: ეპიზოდების თანმიმდევრულ ცვლას ვერბალურ დონეზე (ე. ი. რეპრეზენტულ მოძრაობას) შეესატყვისება თემატური მოძრაობა სუპერვერბალურ დონეზე (ე. ი. ასოციაციური მოძრაობა); ეპიზოდის შიგნით კადრების მოძრაობას — მიკროთემატური მოძრაობა; კადრის შიგნით კი კადრის დეტალების მონაცვლეობით რემატული მოძრაობა რეალიზებული.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ეპიზოდის შეცვლას (ე. ი. ახალი ეპიზოდის დასაწყისის) გვაუწყებს ლოკაციის კატეგორიის რომელიმე კოორდინატის/კოორდინატების შეცვლა. [მოთხრობის ანალიზის<sup>6</sup> შედეგად დადგინდა, რომ ახალი ეპიზოდის დასაწყისის ლოკაციის ერთი ან ორი კოორდინატის შეცვლა გვაუწყებს. სამივე კოორდინატის შეცვლას ეპიზოდის დასაწყისში არ შეგხვედრივართ. ორი ან ერთი უცვლელი ლოკაციური კოორდი-

<sup>6</sup> საანალიზო მასალად მოთხრობა ავიღეთ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რომანის ცალკეული თავის კვლევა შეიძლება ამავე პრინციპით ჩატარდეს. რომანის ნაწილების და თავების გამაერთიანებელი კი „გამოლი თემა“, ანუ ჰიერარქია, იქნება.

ნატი (შესაბამისად ერთი ან ორი ცვლადი კოორდინატის ფონზე) ეპიზოდური ეპიზოდში მდგრადობას ინარჩუნებს და ამით ტექსტობრივ „შეკიდულეულობას“ ქმნის. ლოკაციის სამივე კოორდინატის (დრო, სივრცე, სუბიექტი) შეცვლა, როგორც წესი, რომანის ახალი ნაწილის, ხშირად ახალი თავის დასაწყისშია რეალიზებული].

სიუჟეტური ხაზის მოძრაობა ემთხვევა ლოკაციური კონტინენტის მრუდის მოძრაობას (რეტროსპექტული და პროსპექტული გადახრების გათვალისწინებით) და ამ კონტინენტის დაყოფა თემატურ-მინარსობრივი პრინციპით გვაძლევს ეპიზოდს. მოთხრობის დაყოფამ მაკონსტრუირებულ ნაწილებად, ანუ ეპიზოდებად, გამოიყვანა სიუჟეტური კონტინენტის ერთ-ერთი სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურება: ეპიზოდების თანმიმდევრული ცვლა ქმნის მოძრაობას ტექსტის დონეზე, თვით ეპიზოდის შეცვლა კი მჭიდრო კავშირშია ლოკაციის რომელიმე კოორდინატის (ან კოორდინატების) შეცვლასთან.

მაშასადამე, ყოველი ახალი ეპიზოდის დასაწყისში დისკრეტული ელემენტები ლოკაციური, ანუ ქრონოტოპული [7], კოორდინატებითაა ფაქსირებული. მათი თანმიმდევრული ერთიანობა ქმნის დინამიკას; მაგრამ ეს არაა სიუჟეტური, თხრობითი მოძრაობა. ეს არის ქრონოტოპული (ანუ მხატვრულ ტექსტში ტრანსპონირებული ლოკაციური) მოძრაობა. ე. ი. ახალი ეპიზოდის დაწყების მათუწყებელი სიგნალების ერთობლიობა. სიუჟეტური მოძრაობა კი ხდომილებათა თანმიმდევრული გადმოცემით უნდა აღინიშნოს. თითოეული ხდომილება ეპიზოდში რეალიზებული თემაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მოთხრობის ეპიზოდებად დაყოფა და დისკრეტულ ელემენტთა გამოყოფა ორი სახის მოძრაობას შეესაბამება:

1. **ვერბალურ** დონეზე ეპიზოდების მონაცვლეობა ქმნის „დიდტალლოვან“ მოძრაობას. ახალი ეპიზოდის დასაწყისის სიგნალები ლოკაციური კოორდინატები არიან. ეპიზოდების თანმიმდევრული მონაცვლეობა ქმნის რეპრეზენტულ მოძრაობას, ანუ ტექსტის რეპრეზენტული დინამიკის ერთ-ერთ დინებას.

2. **სუპერვერბალურ** დონეზე ეპიზოდის შიგნით რეალიზებული თემების ერთიანობა ქმნის სიუჟეტურ მოძრაობას; ამ შემთხვევაში დისკრეტულ ელემენტებად თემები გვევლინება. ეს მოძრაობა ასოციაციურია, სიტუაციური ნომინაციით რეალიზებული.

ეპიზოდების „დიდტალლოვანი“ მოძრაობა დისკრეტულ ლოკაციურ კოორდინატებს შორის მოქცეული სიუჟეტის დიდი მონაცვეთია. ეპიზოდების შემადგენელი კადრების ცვლა „საშუალო ტალლოვანი“, მაგრამ ხშირი მოძრაობა მიკროთემებისა. ახალი ეპიზოდის დასაწყისის სტრუქტურულ-სემანტიკური სიგნალი რომელიმე კოორდინატის/კოორდინატების შეცვლა იყო, კადრის დასაწყისის მაჩვენებელი კი **ნომინაციური** ელემენტის შეცვლაა. აქვე შევნიშნავთ, რომ ტექსტის დინამიკის კვლევისას ჯერ დგინდება თემა ან მიკროთემა და ამის შემდეგ ხდება ამ სეგმენტის (შესაბამისად, ეპიზოდის ან კადრის) საზღვრების გამოყოფა, მისი დელიმიტაცია.

მაშასადამე, ეპიზოდის კადრებად დაყოფას იგივე პრინციპით ვაწარმოებთ, როგორითაც პროზაული ტექსტის (მოთხრობის) ეპიზოდებად სეგმენტაციას. **კადრების** მონაცვლეობაც ორი სახის მოძრაობას გვაძლევს: 1. **ვერბალურ** დონეზე კადრების მონაცვლეობა ქმნის „საშუალოტალლოვან“ მოძრაობას. ახალი კადრის დასაწყისის მათუწყებელი ნომინაციური ელემენტია. კადრთა და შესაბამის ნომინაციურ ელემენტთა მონაცვლეობა ქმნის რეპრეზენტული მოძრაობის ერთ-ერთ დინებას.

2. სუპერგვრბალურ დონეზე კადრების შიგნით რეალიზებული მიკროთემების მონაცვლეობა ქმნის მოძრაობას ეპიზოდის (ე. ი. სიუჟეტის ნაწილის) მონაკვეთზე. ამ შემთხვევაშიც ასოციაციური მოძრაობა სიტუაციური ნომინაციითაა რეალიზებული.

რაც შეეხება კადრის შიგნით კადრის დეტალების მონაცვლეობას, ე. ი. თემა-რემატულ მოძრაობას, იგი აისახება პრედიკაციული ელემენტის შეცვლით. თუ კადრის დეტალებს შორის უშუალო ლოგიკურ-შინაარსობრივი კავშირი არაა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კომპლექსურ რემასთან [9, 262]. ამ დროს კადრის დეტალებს აერთიანებთ კადრის მიკროთემა (რადგან კადრის დეტალებს შორის თემა-რემატული კოგეზია დარღვეულია), რომელიც, ცხადია, კადრის დეტალებს შორის „რეალური“ (თემა-რემატული) კავშირის არსებობის დროსაც მათი გამაერთიანებელია. პრედიკაცია, რომელიც სავანთა შორის მიმართებების და კავშირების აბსტრაქციაა, შეიძლება განესაზღვროთ აგრეთვე როგორც „раскрытие индивидуальных свойств объекта“ [3, 340]. ჩვენ კი წინა მამდებარე კვლევის დროს გარკვეულ მიმართებას ვადგენთ პრედიკაცია-ნომინაციას შორის: მიგვაჩნია, რომ **ობიექტის ინდივიდუალური ნიშნების, ანუ პრედიკაციების ერთობლიობა მხატვრული ტექსტის სემანტიკის უფრო მაღალ საფეხურზე გვაძლევს ნომინაციას**. კიდევ უფრო მაღლა მდგომ სემანტიკაში ქვედა სემანტიკის ნომინაცია პრედიკაციის ფუნქციას იღებს და ა. შ. შევეცდებით უფრო ნათლად და კონკრეტულად განვმარტოთ ეს მოსაზრება: კადრის დეტალებში რეალიზებული პრედიკაციები ქმნიან კადრის მიკროთემას, რომელიც სიტუაციური ნომინაციის სახითაა წარმოდგენილი; ეს მიკროთემები ეპიზოდის (ანუ კადრზე უფრო მაღლა მდგომი უფრო დიდი სემანტიკის) თემის პრედიკაციულ ელემენტებად იქცევიან და მათი ერთობლიობა ეპიზოდისა თემის გვაძლევს. ეპიზოდის თემები (ანუ სიტუაციური ნომინაციები) ტექსტის პიპერთემისათვის (ანუ „გამჭოლი“ თემისათვის) პრედიკაციულ ელემენტებად გვევლინებიან, და თუ ანალიზს შებრუნებით, ე. ი. ზემოდან ქვემოთ, ანუ დიდი სემანტიკიდან უფრო მცირე სემანტიკისაკენ, ვაწარმოებთ, ვიტყვი, რომ ზედა საფეხურზე მდგომი (უფრო მსხვილ სემანტიკაში რეალიზებული) ნომინაცია იშლება ცალკეულ პრედიკაციულ ელემენტებად, რომლებიც მათზე ქვემოთ მდგომი (ანუ მათი შემადგენელი) პრედიკაციული ელემენტების მიმართ ნომინაციურ ფუნქციას ასრულებენ.

მაშასადამე, ტექსტის თითოეულ სემანტიკს პრედიკაციული ფუნქცია აკისრია მასზე უფრო დიდი სემანტიკის (რომლის შემადგენლობაშიც შედის) მიმართ, სადაც ეს პრედიკაციული (დესკრიფციული) ნიშნები კუმულაციის შედეგად დენომინაციურ ხასიათს იღებენ უფრო მაღლა მდგომ სემანტიკაში. ეს მოვლენა ადასტურებს რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლის ფაქტს ტექსტის დონეზე. ტექსტის სემანტიკთა თემატური ნომინაციები უფრო მაღლა მდგომ სემანტიკაში (ეპიზოდში, ანუ ლოკაციურ ბლოკში) „შესვლისას“ პრედიკაციულ სიტუაციებად იქცევიან და მათი ჯამი გვაძლევს ნომინაციას: მაგრამ ამ შემთხვევაში ლოკაციური კატეგორიის ერთ-ერთ კოორდინატს — სუბიექტს „სრულქმნისათვის“ ლოკაციური დასრულებულობა (დროული და სივრცობრივი კოორდინატები), ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, „დაპტაციის ზონა“ [18, 45] სჭირდება. ლოკაციური კოორდინატების ერთობლიობას პირველ datum-საც უწოდებენ, რადგან მხატვრულ ტექსტში პირველ კადრში ყოველთვის არის რეალიზებული ლოკაციური კატეგორიის სამივე კოორდინატი. პირველ კადრში



მოცემული ლოკაციური კოორდინატები — დრო, სივრცე<sup>7</sup>, სუბიექტი ვერბალურ დონეზე თანდათანობით კონკრეტდება სამეტყველო თუ საოქმედო სიტუაციების საშუალებით, სუპერვერბალურზე — შესაბამისად ზოგადდება და ისწრაფვის იმ კონცეპტუალური მოდელისაკენ, რომელიც ამა თუ იმ ჟანრის თუ ჟანრობრივი სახეობის ქრონოტოპს ესადაგება<sup>8</sup>.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კადრის შიგნით რეალიზებული მიკროთემა ყალიბდება კადრის დეტალიდან დეტალში მოცემული ობიექტის ინდივიდუალური ნიშან-თვისებების გახსნით. მაშასადამე, 1. **ვერბალურ** დონეზე კადრის დეტალის ცვლას პრედიკაციული ელემენტის ან სიტუაციის შეცვლა გვაუწყებს. კადრის დეტალთა და შესაბამის პრედიკაციულ ელემენტთა ცვლა რეპრეზენტულ მოძრაობას ქმნის. 2. **სუპერვერბალურ** დონეზე კადრის დეტალთა რემეზის (მარტივი ან კომპლექსური) მონაცვლეობა ქმნის მოძრაობას კადრის (ანუ ეპიზოდის ნაწილის) ხაზზე. ამ შემთხვევაში სიტუაციური ნომინაცია, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ემთხვევა ტექსტობრივი თხრობის ვერბალურ დონეს, ასოციაციური დინამიკის ერთ-ერთი ხაზის, ერთ-ერთი დინების რეალიზაციას ახდენს.

თუ ყოველივე ზემოთქმულის პროეცირებას მოვახდენთ ნომინაციის ზოგად თეორიაში, შეიძლება ითქვას, რომ ვერბალურ დონეზე ყოველი ახალი სეგმენტის (იქნება ეს ეპიზოდი, კადრი თუ კადრის დეტალი) დასაწყისის მათუწყებელი სიგნალი (რემატული ფუნქციის მატარებელი) ყოველთვის ელემენტური ნომინაცია იქნება, ხოლო სუპერვერბალურზე — სიტუაციური ნომინაცია. აქვე შევნიშნავთ, რომ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია მხატვრული ტექსტის სეგმენტირებისას რომელიმე ერთეულს — იქნება ეს ეპიზოდი, კადრი თუ კადრის დეტალი — უპირატესობა მივცეთ და ვუწოდოთ მას ტექსტის ძირითადი ინფორმაციული ერთეული. ასეთ ერთეულად საბჭოთა ენათმეცნიერებაში მიიჩნევენ ზეფრაზულ, ანუ რთულ, სინტაქსურ მთელს, რომლის საზღვრების დადგენა (დელიმიტაცია) გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს. ჩვენ მიერ გამოყოფილ სეგმენტებს, სამყაროს „ვიზუალური“ ხედვით დანაწევრებულ ტექსტის მონაკვეთებს — ეპიზოდს, კადრს, კადრის დეტალს — შეიძლება **ბლოკება** [15, 94] ვუწოდოთ საერთოდ, რითაც არც ერთ მათგანს არ მივაჩნევთ ტექსტის ძირითად ერთეულად, მაგრამ მათ შორის არსებული დისტინქციურობის ნიშნად დავსახელებთ ტექსტობრივი დასაწყისის სტრუქტურულ-სემანტიკურ მაჩვენებელს, სიგნალს ლინგვისტური აბსტრაქციითა სისტემიდან: ლოკაციური ბლოკი → ეპიზოდი; ნომინაციური ბლოკი → კადრი; პრედიკაციული ბლოკი → კადრის დეტალი. ისევე ხაზს გაუსვამთ იმ ფაქტს, რომ სეგმენტების განმასხვავებელი ინდექსები — ლოკაციური, ნომინაციური და პრედიკაციული ელემენტები არამც და არამც არ გულისხმობს ამა თუ იმ ბლოკის შინაარსობრივ მიმართებას ამ კატეგორიებისადმი. ზემოთ აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ ბლოკების (სეგმენტების) განმასხვავებელი ნიშნები (ლოკაციური, ნომინაციური, პრედიკაციული) მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ბლოკის დაწყების მათუწყე-

<sup>7</sup> მხატვრული დროის და მხატვრული სივრცის მნიშვნელობაზე ტექსტთან მიმართებაში დიდი ხანი არაა, რაც მსჯელობა დაიწყო მკვლევარებმა: Every story would be another story, and unrecognizable as art, if it took up its characters and plot and happened somewhere else“ [27.13]; ვფიქრობთ, რომ ზემოთქმული შეიძლება მხატვრულ დროზე განავრცოთ: Every story would be another story, and unrecognizable as art, if took up its characters and plot and happened somewhere else.“

<sup>8</sup> ჩვენ მიერ დადგენილი ინტელსურ-ამერიკული მოთხრობის (short story) ქრონოტოპული მოდელი ასეთი სახით წარმოგვიდგება: საყოფაცხოვრებო სივრცე + ეპიზოდური ნაყოფ + სუბიექტი (საშუალო ადამიანი).




ბელი სიგნალებია და არა ამ ბლოკებს შორის არსებული სტრუქტურულ-სემანტიკურ განსხვავებათა მაჩვენებელი.

მხატვრულ ტექსტში რეალიზებული ენობრივი აბსტრაქციების დინამიკურობის ხარისხის შესახებ შევნიშნავთ, რომ ნომინაციისა და პრედიკაციის კატეგორიებს შორის (თხრობითი დინამიზმის ანალიზის დროს) განსხვავება ისაა, რომ პრედიკაცია დესკრიფციული კატეგორიაა, ახასიათებს „დროულ მიმართებათა დაბალი სიმჭირე“ („low densities of time references“ [26, 187].

ამდენად, უფრო მდორე, ნაკლებ დინამიკურ თხრობას ქმნის, ვიდრე ნომინაცია: ნომინაციური ელემენტების მონაცვლეობა თავისთავად გულისხმობს სივრცეში გადაადგილებას (და შესაბამისად, დროშიც), ქმნის „narrative passages (having many time references)“ [25, 187] და, ცხადია, ამ შემთხვევაში დინამიკურობის ხარისხი იზრდება. ზემოთქმულით კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით იმ აზრს, რომ „динамика в синтаксисе предложения, детерминированная смысловыми факторами, имеет место как правило, только в сфере предикации“ [11, 46]. ის, რასაც ზემოთ მოყვანილ ციტატაში ავტორები აღნიშნავენ, პრედიკატის სემანტიკა (დინამიკური და სტატიკური პრედიკატები) და არა წინადადების. წინადადების დინამიკას ცალკეული პრედიკატები („ხტის“, „გარბის“, „მიპქირის“) კი არ ქმნის, არამედ ერთგვაროვან წვერთა, თუნდაც სტატიკური სემანტიკის მქონე წვერთა (პრედიკატთა, ასევე აქტანტთა), მონაცვლეობაც. მაშასადამე, წინადადების შიგნით თხრობითი დინამიკა იქმნება ერთგვაროვან ელემენტთა მონაცვლეობით (აქტანტი, → აქტანტი, პრედიკატი → პრედიკატი) [28, 437]. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრედიკატების მონაცვლეობით შექმნილი მოძრაობა მისი დესკრიფციული ხასიათის გამო უფრო მდორეა, ვიდრე აქტანტების (ნომინაციური ელემენტების) და მათ საფუძველზე შექმნილი ნარატული მონაცვლეობის მოძრაობა. ანალოგიურად, ტექსტის დინამიკას ქმნის ერთგვაროვან სემენტთა (ეპიზოდის — ეპიზოდით, კადრის — კადრით, კადრის დეტალთა) თანმიმდევრული მონაცვლეობა.

ზემოთქმულთან ერთად ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ლოკაციის სისტემაში შემაჯავლი კოორდინატების (დრო, სივრცე, სუბიექტი) მონაცვლეობა ტექსტის დონეზე (ე. ი. ტექსტის სემანტიკურება ლოკაციურ ბლოკებად) მძლავრ და დიდტალღოვან მოძრაობას ქმნის.

ყოველივე ზემოთქმულის გამოსახვა სქემაზე შემდეგნაირად შეიძლება:



მოცემულ სქემაზე ნათლად ჩანს ტექსტის დანაწილება სხვადასხვა მოცულობის (გავრცობის) სემენტების მიხედვით. ამ სემენტებში რეალიზებული სუბერეგრაბალური დონის თემატური (სხვადასხვა სახის თემის შემცველი) ელემენტები კი ასე განლაგდება: ტექსტი („გამყოლი თემა“) → ლოკაციური ბლოკი (თემა) → ნომინაციური ბლოკი (მიკროთემა) → პრედიკაციული ბლოკი (რემა).

სქემაზევეა აღნიშნული, რომ თითოეული ზემოდასახელებული სეგმენტის დასაწყისის თავისი სტრუქტურულ-სემანტიკური მარკენებელი აქვს. ამ მარკენებლებს (სიგნალების) პროეცირებით ლინგვისტურ აბსტრაქციითა სისტემაში შესაძლებელი გახდა ტექსტის თხრობითი დინამიკის მოდელირება, ფორმალ-ზაცია: ეპიზოდის, ანუ ლოკაციური ბლოკის, დასაწყისის ლოკაციის კატეგორიის (L) რომელიმე კოორდინატის ან კოორდინატების (დრო — T, სივრცე — Sp, სუბიექტი — S) შეცვლა გვაუწყებს, კადრის, ანუ ნომინაციური ბლოკისას — ნომინაციური ელემენტი (N), ხოლო კადრის დეტალის, ანუ პრედიკაციული ბლოკის, დასაწყისის — პრედიკაციული ელემენტი (P).

ყოველივე ზემოთქმულით შეიძლება დაეასკვნათ, რომ მხატვრული ტექსტის პროცესუალობის კვლევა ვერბალურ დონეზე რეალიზებული რეპრეზენტული დინამიკის და სუპერვერბალურ დონეზე ასოციაციური დინამიკის კვლევითაა შესაძლებელი. ტექსტის ყოველ სეგმენტში რეალიზებული რეპრეზენტული მოძრაობა ქმნის სიმბოლურ ელემენტებს (ანუ სუპერვერბალური დონის თემატურ ელემენტებს), რომლებიც ასოციაციურ დინამიკას ავითარებენ. ვერბალური (რეპრეზენტული) დინამიკა და მასზე დაფუძნებული ასოციაციური დინამიკა ქმნიან მხატვრული ტექსტის თხრობითი დინამიზმის რთულ მოვლენას, რომელიც სხვადასხვა სახის სეგმენტურ მოძრაობებს შეიცავს: ლოკაციურს, ნომინაციურს და პრედიკაციურს. ახალი სეგმენტის დასაწყისის მაუწყებელი სიგნალის მიხედვით:

1. **ვერბალურ დონეზე** ლოკაციურ რეპრეზენტულ მოძრაობას ქმნის **ლოკაციური ბლოკების** (ეპიზოდების) თანმიმდევრული ცვლა. ლოკაციური ბლოკის დასაწყისის მაუწყებელი სტრუქტურულ-სემანტიკური სიგნალი რომელიმე ლოკაციური კოორდინატია (დრო, სივრცე, სუბიექტი). მაშასადამე, ვერბალურ დონეზე ადგილი აქვს ელემენტურ ლოკაციას. **სუპერვერბალურ დონეზე** შესაბამისად, ასოციაციური მოძრაობით ანუ **თემების** (ლოკაციური რემების) მონაცვლეობით იქმნება სიტუაციური ლოკაცია.

2. **ვერბალურ დონეზე** ნომინაციურ რეპრეზენტულ მოძრაობას ქმნის **ნომინაციური ბლოკების** (კადრების) თანმიმდევრული ცვლა. ნომინაციური ბლოკის დასაწყისის მაუწყებელი სტრუქტურულ-სემანტიკური სიგნალი ნომინაციური ელემენტია; ამ შემთხვევაში ელემენტური ნომინაციაა რეალიზებული. **სუპერვერბალურ დონეზე** შესაბამისი ასოციაციური მოძრაობით, ანუ **მიკროთემების** (ნომინაციური რემების) მონაცვლეობით, იქმნება სიტუაციური ნომინაცია.

3. **ვერბალურ დონეზე** პრედიკატულ რეპრეზენტულ მოძრაობას ქმნის **პრედიკაციული ბლოკების** (კადრის დეტალების) თანმიმდევრული ცვლა. პრედიკაციული ბლოკის დასაწყისის მაუწყებელი სტრუქტურულ-სემანტიკური სიგნალი პრედიკატული ელემენტია; ამ დონეზე რეალიზებულია ელემენტური პრედიკაცია, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დაემთხვევა სუპერვერბალური დონის სიტუაციურ პრედიკაციას, რადგან ბლოკის შემცირებასთან ერთად სუპერვერბალური დონის ასოციაციური განზოგადების ხარისხი კლებულობს და თემატური ერთეული თანდათანობით უახლოვდება ვერბალურ დონეს. ზოგ შემთხვევაში, თუ კადრის დეტალებს შორის კოპერენტულობა ვერბალურ დონეზე დარღვეულია, მაშინ ადგილი აქვს სიტუაციურ პრედიკაციას, რაც **სუპერვერბალურ დონეზე** შესაბამისად **რემატული მოძრაობით** ან კომპლექსურ-რემატული მოძრაობით აღინიშნება.

1. Аверинцев С. С., Символ, Краткая литературная энциклопедия, т. VI, М., 1971.
2. Аверинцев С. С., Символ, Философский энциклопедический словарь, М., 1983.
3. Арутюнова Н. Д., Номинатив и текст, в кн.: Языковая номинация (Виды номинаций), М., 1977.
4. Барт Р., Текстовый анализ, в кн.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 9, М., 1980.
5. Бахтин М. М., Время и пространство в романе, ВЛ, 1974, № 3.
6. Гак В. Г., К типологии лингвистических номинаций, в кн.: Языковая номинация (общие вопросы), М., 1977.
7. Енукидзе Р. И., Художественный хронопол и его лингвистическая организация, Тб., 1987.
8. Жолковский А. К., Щеглов Ю. К., К описанию смысла связного текста, в кн.: Предварительные публикации, вып. 22 (Проблемная группа по экспериментальной и прикладной лингвистике, М., 1971).
9. Кортунова И. И., Структура художественного текста и новая информация, в кн.: Синтаксис текста, М., 1979.
10. Лосев А. Ф., Символ, Философская энциклопедия, т. 5, М., 1970.
11. Малинович Ю. М., Струговец И. В., К динамике в синтаксисе предложения и текста, в кн.: Лингвистический анализ текста, Иркутск, 1985.
12. Марова Н., Некоторые вопросы лингвистической интерпретации художественного текста, АКД, М., 1968.
13. Майенова М. Р., Теория текста и традиционные проблемы поэтики. В кн.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 8, М., 1978.
14. Матезиус В., Язык и стиль, в кн.: Пражский лингвистический кружок, М., 1967.
15. Мецлер А. А., Дискретные единицы целого текста, в кн.: Исследования целого текста, М., 1986; Мецлер А. А., Структурные связи в тексте, Кишинев, 1987.
16. Пробст М. А., Текст в системах коммуникации, в кн.: Проблемы структурной лингвистики, М., 1981.
17. Роднянская И. Б., Художественный образ, Философский энциклопедический словарь, М., 1983.
18. Сивохина Н. Г., О специфике функционирования художественного времени и художественного пространства, Научные труды МПНИИЯ им. М. Горького, 1978, № 135.
19. Солганик Г. Я., Синтаксическая стилистика, М., 1975.
20. Степанов Ю. С., Основы общего языкознания, М., 1975.
21. Годоров Цв., Поэтика, в кн.: Структурализм: «за» и «против», М., 1975.
22. Тураева З. Я., Лингвистика текста, М., 1986.
23. Фивегер Д., Лингвистика текста в исследованиях ученых ГДР, в кн.: Синтаксис текста, М., 1979.
24. Чаковская М. С., Текст как сообщение и воздействие, М., 1985.
25. Хэллiday М. А., Новое в зарубежной лингвистике, вып. 8, М., 1978.
26. Enkvist N. E., Stylistics and Text Linguistics. In: Current Trends in Textlinguistics, Berlin—New York, 1978.
27. Welty Eud. Powerhouse, In: Points of View, An Anthology of Short Stories, N. Y., London, 1966.
28. ენუქიძე რ. ი., ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის ქრონოტოპული კონტინენტების ზოგიერთი ენობრივი თავისებურება, საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, 1984, 112, № 2.

СИСТЕМА ОСНОВНЫХ  
«ЛИНГВИСТИЧЕСКИХ АБСТРАКЦИЙ»  
И ПОВЕСТВОВАТЕЛЬНАЯ ДИНАМИКА  
ХУДОЖЕСТВЕННОГО ТЕКСТА

Резюме

Повествовательная динамика художественного текста является сложным, многовидовым движением, актуализированным чередованием разных структурно-содержательных сегментов текста. Текстовый динамизм не представляет собой прямолинейное чередование слов и словосочетаний или последовательность предложений; повествовательный динамизм — нарастающий и кумулятивный процесс, реализуемый последовательным чередованием дискретных элементов, разных текстовых сегментов — эпизодов, кадров, деталей кадра.

Анализом установлено, что структурно-семантический сигнал начала каждого вида текстового сегмента в трехчленной системе «лингвистических абстракций» (локация, номинация, предикация) соответствует определенной категории. Эта система, транспонированная из системы языка в систему художественного текста, является системой сигналов, возвещающих начала новых сегментов: смена эпизода сигнализируется какой-нибудь координатой или координатами категории локации (время, пространство, субъект), смена кадра — элементом категории номинации, смена детали кадра — предикативным элементом.

На супервербальном (ассоциативном) уровне повествовательной динамике художественного текста соответствует многолинейное, многоступенчатое движение тем, микротем и рем соответствующих сегментов.

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა  
ა. გვახარიამ

## რუსულან ტჷმალაჲმ

 უნივერსალურ ფონეტიკურ ნიშანთა თეორია  
 ტრანსფორმაციულ-ბინერატიულ ფონოლოგიაჲმ

ტრანსფორმაციულ-გენერატიულ ფონოლოგიაში დამუშავდა ნიშანთა უნივერსალური სისტემის ახალი ვარიანტი. იგი ჩამოაყალიბეს ამერიკელმა ენათმეცნიერებმა, ნ. ხომსკომ და მ. ჰალემ წიგნში „ინგლისური ენის ბგერათი მოდელი“<sup>1</sup>. უნივერსალურ ფონეტიკურ ნიშანთა ახალი ვარიანტი გარკვეულად განსხვავდება როგორც დიფერენციალურ ნიშანთა ტრადიციული სისტემისაგან (იგულისხმება ნ. ტრუბეცკოს<sup>2</sup> სიტყვათგანმასხვავებელი ბგერით ნიშანთა თეორია), ისე რ. იაკობსონის, მ. ფანტისა და მ. ჰალეს<sup>3</sup> დისტინქციურ ნიშანთა თეორიისაგან. ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს მიერ დიფერენციალურ ნიშანთა უნივერსალური სისტემის ახალი ვარიანტის გამოქვეყნების შემდეგ ფონოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში ფონოლოგიური და ფონეტიკური რეპრეზენტაციების აღწერა ხდება ნიშანთა სწორედ ამ სისტემის საშუალებით. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს ქვეყანაში გამოქვეყნებულ ნაშრომზე<sup>4</sup>. ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ გენერატიულ ფონოლოგიაში წარმოდგენილი უნივერსალურ ფონეტიკურ ნიშანთა თეორია.

ეს თეორია შეგვიძლია შემდეგნაირად დავახასიათოთ: 1. ზოგადი ფონეტიკის მონაცემებზე დაყრდნობით ნიშანთა გამოყოფა ხდება არტიკულატორული კრიტერიუმის საფუძველზე. ყალიბდება უნივერსალური არტიკულატორული ფონეტიკური ნიშნები. 2. ფონოლოგიური აღწერა წარმოებს არა ვანუყოფელი სეგმენტების, არამედ ამ სეგმენტთა შემადგენელი ნიშნების ტერმინებში. მოცემულ ნიშანთა ინვენტარით ხდება სეგმენტთა ჩაწერა როგორც სისტემური ფონეტიკის, ისე სისტემური ფონემიკის დონეზე<sup>5</sup>. ნიშანთა იმავე ინვენტარით ხდება იმ ფონოლოგიური წესების დახასიათება, რომელთაც სისტემური ფონემიკის დონე გადაჰყავთ სისტემური ფონეტიკის დონეში, ანუ რომლებიც აწარმოებენ ფონეტიკურ რეპრეზენტაციებს. 3. ნიშანთა ტერმინებში აღწერა საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს სეგმენტთა „ბუნებრივი კლასები“ (natural classes), რაც მარტევი და ეკონომიური ანალიზის წინაპირობაა. 4. უნივერსალური ფონეტიკური ნიშნები შეიძლება იყვნენ დიფერენციალურიც და არადიფერენციალურიც იმისდა მიხედვით, თუ რომელ დონეზე წარმოდგენილ სეგმენტებს ახასიათებენ ისინი. სისტემურ ფონემიკურ დონეზე ეს ნიშნები არიან დიფერენციალური და ატარებენ ბინარულ ხასიათს, ხოლო სისტემურ ფონეტიკურ დონეზე ისინი არიან არადიფერენციალური და შეიძლება გამოავლინონ n-არული

<sup>1</sup> N. Chomsky, M. Halle The Sound Pattern of English, N.-Y., 1968, N. 298—330.

<sup>2</sup> Н. Трубецкой, Основы фонологии, М., 1960, гл. 99—198.

<sup>3</sup> Р. Якобсон, Г. Фант, М. Халле, Введение в анализ речи, „Новое в лингвистике“, М., 1962.

<sup>4</sup> Г. Коновалова, Чередования фонем в английском и русском языках, М., 1980.

<sup>5</sup> ტერმინი „სისტემური“ გენერატიულ ფონოლოგიაში მიუთითებს იმაზე, რომ უარყოფილია ფონოლოგია როგორც ცალკე დონე და რომ „სისტემური ფონეტიკისა“ და „სისტემური ფონემიკის“ დონეება ზუსტად არ ემთხვევა ავტონომიური ფონეტიკისა და ავტონომიური ფონოლოგიის დონეებს.

ხასიათი. 5. უნივერსალურ ფონეტიკურ ნიშანთა ინვენტარი სისტემურ ფონეტიკურ და სისტემურ ფონეტიკურ დონეზე ერთნაირია.

ტრანსფორმაციულ-გენერატიული თეორიის მიხედვით წინადადების ფონეტიკური რეპრეზენტაცია შედგება თანმიმდევრული ფონეტიკური სეგმენტებისაგან. ეს სეგმენტები წარმოადგენენ არტიკულატორული ფონეტიკური ნიშნების კონას, რაც თავის მხრივ უნდა ახდენდეს ადამიანის იდეალური წარმოთქმის დახასიათებას<sup>6</sup>. უნივერსალური ფონეტიკური ნიშნები უნდა ახასიათებდნენ ადამიანის სამეტყველო უნარს ზოგადად. იგულისხმება, რომ ენობრივი სისტემა არის ადამიანის თანდაყოლილი (შინაგანი) ფონეტიკური უნარის გამოვლინება, რომელიც განსხვავებულად გამოიყენება სხვადასხვა ენაში. ამგვარად, უნივერსალურმა ფონეტიკურმა ნიშნებმა უნდა აღწერონ იდეალური წარმოთქმა და ამავე დროს დაახასიათონ ადამიანის სამეტყველო აპარატის განსაზღვრული მდგომარეობა. ხოლო, რადგანაც სამეტყველო აპარატი უნივერსალური საფუძვლით ხასიათდება, ფონეტიკური ნიშნებიც უნივერსალური ხასიათისა უნდა იყვნენ.

გენერატიული ფონოლოგიის თეორიის მიხედვით სეგმენტთა ჩაწერა სისტემურ ფონეტიკურ დონეზე და სისტემურ ფონემიკურ დონეზე ისევე, როგორც ამ ორი დონის დამაკავშირებელ ფონოლოგიური წესებისა, უნდა ხდებოდეს უნივერსალური ნიშნების ტერმინებში. სწორედ ნიშანთა და არა ფონემათა ტერმინებში ჩაწერა იძლევა ფონოლოგიური აღწერის სიმარტივის გარანტიას. მ. ჰალე მიუთითებს: „გვეძლევა რა განსაზღვრული მასალის ორი არჩევითი აღწერა, ის აღწერა, რომელიც შეიცავს სიმბოლოთა უფრო მცირე რაოდენობას, ჩაითვლება უფრო მარტივად და მას ამგვარად უპირატესობა მიენიჭება მეორესთან შედარებით“<sup>7</sup>. ამგვარი პროცედურების საფუძველზე შემოტანილია სეგმენტთა „ბუნებრივი კლასის“ ცნება. მ. ჰალე ადგენს, რომ ორი (ან მეტი) სეგმენტი ქმნის ბუნებრივ კლასს, თუ ამ სეგმენტების ერთად დახასიათება შეიძლება უფრო ნაკლები რაოდენობის დიფერენციალური ნიშნების საშუალებით, ვიდრე მათი დახასიათება ცალ-ცალკე. ამ გზით ყალიბდება სეგმენტთა ისეთი ბუნებრივი კლასები, როგორიცაა: „ხმოვნები“, „ხშულები“, „ყრუ ჩქარსალურ ხასიათზე და, მეორეც, ამ კლასებში შემავალ სეგმენტთა კომპონენტურ აგებულებაზე. ამგვარად, ფონოლოგიურ წესთა დიფერენციალური ნიშნების და არა სეგმენტების ტერმინებში აღწერა არის ფონოლოგიური კვლევის სიმარტივისა და ეკონომიურობის წინაპირობა<sup>8</sup>. ფონოლოგიური წესები ერთმანეთთან აკავშირებენ აბსტრაქტული სახის სისტემურ ფონემიკურ და კონკრეტული სახის სისტემურ ფონეტიკურ რეპრეზენტაციებს. ეს ორივე სახის რეპრეზენტაცია აგრეთვე წარმოდგენილია უნივერსალურ ნიშანთა ტერმინებში, რომლებიც ერთ შემთხვევაში დისტინქტიურ ფუნქციას ატარებენ, მეორე შემთხვევაში — ფონეტიკურს. დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობა სისტემური ფონეტიკის დონეზე ქმნის ერთეულს, ანუ ბგერას, ხოლო სისტემური ფონემიკის დონეზე — არქიერთეულს, ანუ არასრულად იდენტიფიცირებულ მორფონემას. ამისდა მიხედვით, ამ ორ დონეზე მოქმედ ნიშნებს ორგვარი ფუნქცია აქვთ: აბსტრაქტულ ფონოლოგიურ დონეზე ისინი წარმოადგენენ აბსტრაქტულ კლასიფიკატორებს, ხოლო კონკრეტულ ფონეტიკურ დონეზე მათ ენიჭებათ ფონ-

<sup>6</sup> P. Postal, Aspects of Phonological Theory № 4, 1968, გვ. 50.

<sup>7</sup> M. Halle, Phonology in Generative Grammar, „Word“—18, 1962; გვ. 55.

<sup>8</sup> მარკირების ცნების შემოტანის შემდეგ გენერატიულ ფონოლოგიაში გადასინჯულ იქნა ფონოლოგიური აღწერის სიმარტივის ცნება.

ნეტიკური ფუნქცია. რადგანაც წარმოდგენენ კონკრეტულ სუბსტანციონალურ კატეგორიებს: არტიკულატორულს და აქუსტიკურს. ნიშანთა კლასიფიკატორული ფუნქცია ვლინდება იმაში, რომ სისტემურ ფონემიკურ დონეზე ყველა ნიშანი მკაცრად ბინარულია, ხოლო მათი ფონეტიკური ფუნქცია არის ის, რომ ეს ნიშნები იღებენ განსაზღვრულ ფონეტიკურ ინტერპრეტაციას, რაც ითვალისწინებს ადამიანის სამეტყველო აპარატის საარტიკულაციო უნარის მრავალფეროვნებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ფონეტიკურ დონეზე წარმოდგენილ ნიშანთა შესაძლო n-არულ ხასიათს<sup>9</sup>.

სისტემური ფონემიკისა და სისტემური ფონეტიკის დონეზე წარმოდგენილი რეპრეზენტაციებისთვის გამოიყენება უნივერსალურ ნიშანთა ერთი და იგივე ინვენტარი. გენერატიული ფონოლოგიის წარმომადგენლები თავს არიდებენ სისტემური ფონემიკის დონეზე ისეთი აბსტრაქტული სახის დიფერენციალური ნიშნების შემოტანას, რომლებიც განსხვავებული იქნებოდნენ შესაბამისი ფონეტიკური ნიშნებისაგან. ასეთი განსხვავება, მათი აზრით, გამოიწვევდა გენერატიული გრამატიკის ფონოლოგიური კომპონენტის გართულებას საერთოდ. ერთისა და იმავე ინვენტარის მიუხედავად, როგორც უკვე იყო ნათქვამი, განსხვავდება ამ ნიშანთა ფუნქცია ორივე დონეზე.

განვიხილოთ გენერატიულ ფონოლოგიაში წარმოდგენილი უნივერსალურ ფონეტიკურ ნიშანთა ინვენტარი. ნ. ხომსკი და მ. პალე მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სამეტყველო ორგანოების ნეიტრალური მდგომარეობა და სამეტყველო ორგანოების ის მდგომარეობა, რომელსაც ეს ორგანოები იღებენ მშვიდი სუნთქვის დროს. სამეტყველო ორგანოების ნეიტრალური პოზიცია ხასიათდება, როგორც „მეტყველების წინა მომენტი“<sup>10</sup>. ითვლება, რომ სამეტყველო აპარატის ნეიტრალური პოზიციის დროს ჰაერის წნევა ფილტვებში უფრო მაღალია, ვიდრე ატმოსფერული წნევა, ხოლო სახმ. სიმები ამ დროს ისეა განლაგებული, რომ ხდება მათი სპონტანური ვიბრაცია. ნ. ხომსკი და მ. პალე თვლიან, რომ სახმო სიმების ეს სპონტანური ვიბრაცია, რომელიც სრულიად უარყოფილია ლიტერატურაში, მთავარ როლს თამაშობს გენერატიული ფონოლოგიის მიერ უნივერსალურ ფონეტიკურ ნიშანთა ჩამოყალიბებაში. ამ პრინციპის (ანუ სახმო სიმების სპონტანური ვიბრაციის) მიხედვით ხდება ნიშანთა პირველი ჯგუფის, ანუ ძირითადი კლასების, ნიშნების დახასიათება. სულ გამოყოფილია ნიშანთა ხუთი ჯგუფი. ესენია: 1. ძირითადი კლასების ნიშნები; 2. ღრუს ნიშნები; 3. ნიშნები, რომელთა გამოყოფა ხდება არტიკულაციის მანერის მიხედვით; 4. წყაროს ნიშნები; 5. პროსოდიული ნიშნები. თითოეული ჯგუფი იყოფა ქვეჯგუფებად; ზოგი ქვეჯგუფი, თავის მხრივ, კიდევ იყოფა ჯგუფებად. ამ ჯგუფებსა და ქვეჯგუფებს შორის არსებობს გარკვეული იერარქიული მიმართება. ყველაფერი ეს ართულებს გენერატიულ ფონოლოგიაში მოცემულ უნივერსალურ ფონეტიკურ ნიშანთა რაოდენობის დადგენას. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ რამდენი ნიშნის გამოყოფას ახდენენ ნ. ხომსკი და მ. პალე. ო. კოპასოვი და ი. კრიენოვა<sup>11</sup> თვლიან, რომ ასეთი ნიშნები 30-მდეა; ი. სტეპანოვი<sup>12</sup> მიუთითებს, რომ კლასიფიკაციაში მონაწილეობს 40 ბინარული ნიშანი; ვ. ფრომკინი<sup>13</sup> თვლის, რომ

<sup>9</sup> ნ. ხომსკი, მ. პალე, მითით. ნაშრ., გვ. 60.

<sup>10</sup> ნ. ხომსკი, მ. პალე, მითით. ნაშრ., გვ. 300.

<sup>11</sup> О. В. Кодзасов, С. Кривнова, Современная американская фонология, М., 1981, гл. 24.

<sup>12</sup> Ю. Степанов. Основы общего языкознания, М., 1975, гл. 71.

<sup>13</sup> V. Fromkin. The Concept of „Naturalness“. in a Universal phonetic theory, „Glossa“—4,1970, гл. 34.

ასეთ ნიშანთა რაოდენობა 30-ზე მეტია. ნ. ხომსკი და მ. ჰალე არ ცდილობენ დიფერენციალურ ნიშანთა რაოდენობის შეზღუდვას რ. იაკობსონისაგან განსხვავებით, რომელიც განსხვავებულ ფონეტიკურ ნიშნებს ერთი საერთო ფონოლოგიური ნიშნის ქვეშ აერთიანებდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გენერატიურ ფონოლოგიაში მოცემულია უნივერსალურ ფონეტიკურ ნიშანთა კლასიფიკაცია. თითოეული ნიშანი ახასიათებს ადამიანის ფონეტიკურ უნარს და წარმოადგენს ფიზიკურ სკალას, რომელიც ორმხრივ ისაზღვრება, რაც აღინიშნება ისეთი ანტონიმური ზედსართავებით, როგორცაა: მაღალი — არამაღალი, მკლერი — არამკლერი და ა. შ. ეს ნიშნებია<sup>14</sup>:

1. ძირითადი კლასების ნიშნები Major class features: სონორანტი Sonorant, ვოკალი Vocalic, კონსონანტი Consonantal.

2. ღრუს ნიშნები Cavity features წინაენისმიერი coronal, წინა Anterior; ენის სხეულის მდგომარეობის განმსაზღვრელი ნიშნები Tongue-body features მაღალი High, დაბალი Low, უკანა Back, მომრგვალებული Round, განაწილებული Distributed, დაფარული covered.

გლოტალური შევიწროების აღმნიშვნელი ნიშნები Glottal constrictions; მეორადი გამოსასვლელების აღმნიშვნელი ნიშნები Secondary apertures: ნაზალური Nasal, ლატერალური Lateral.

3. არტიკულაციის რაგვარობის ამსახველი ნიშნები Manner of articulation features: უწყვეტი continuant, განხშვის აღმნიშვნელი ნიშნები Release features-ერთბაში და შეყოვნებული განხშვა instantaneous and delayed: პირველადი განხშვა Primery release, მეორადი განხშვა Secondary release, თანხმლები მოძრაობანი Supplementary movements: შეწოვა Suction, ველარული შეწოვა (კლიქები) Velaric suction (clicks), იმპლოზია Implosion, წნევა Pressure, ველარული წნევა Velaric pressure, ეიექტივები Ejectivese, დაკიმული Tense.

4. წყაროს ნიშნები Source features: მომატებული ქვეგლოტალური წნევა Heightened subglottal pressure, მკლერი Voice, მძაფრი Strident.

5. პროსოდიული ნიშნები Prosodic features: მახვილი Stress, ტონის სიმაღლე Pitch: მაღალი High, დაბალი Low ამაღლებული Elevated, აღმავალი Rising, დაღმავალი Falling ჩაწეული Concave, სიგრძე<sup>15</sup> Length.

განვიხილოთ ზოგიერთი ნიშანი. სახმო სიმების სპონტანური ვიბრაციის საფუძველზე შემოტანილია ნიშანთა პირველი ჯგუფის, ანუ ძირითადი კლასების, ამსახველი ნიშნები: სონორანტი — არასონორანტი, ვოკალური — არავოკალური და კონსონანტური — არაკონსონანტური. სონორანტი არის ყველა ის ბგერა, რომლის დროსაც სამეტყველო არხი იძლევა სპონტანური რხევის საშუალებას. ამ ნიშნის შემოტანა საშუალებას იძლევა მოხდეს რ. იაკობსონის და სხვ.<sup>16</sup> მიერ გამოყოფილი 4 ძირითადი კლასის გადახალისება. როგორც ცნობილია, რ. იაკობსონის მიერ გამოყოფილ იქნა ხმოვანთა, ნამდვილ თანხმოვანთა, ნარნარებისა და გლაიდების კლასები. გენერატიულ ფონოლოგიაში კი სეგმენტთა კლასიფიკაციამ, ძირითადი კლასების ნიშნების მიხედვით შემდეგი სახე მიიღო. მკლერი და ყრუ ხმოვნები, მკლერი და ყრუ გლაიდები, ნარნარები, ნახალური თანხმოვნები და არანახალური თანხმოვნები. ამგვარად, ადრე გამოყოფილ სეგმენტთა 4 ძირითადი კლასის ნაცვლად მივიღეთ სეგმენტთა 7 ძირითადი კლასა.

<sup>14</sup> ენათმეცნიერებაში არსებული ზოგიერთი ტერმინი მოცემულ თეორიაში გამოყენებულია მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომელთაც მის ხმარობენ ნ. ხომსკი და მ. ჰალე.

<sup>15</sup> ნ. ხომსკი, მ. ჰალე, მითით. ნაშრ., გვ. 298.

<sup>16</sup> P. Якобсон, Г. Фант, М. Халле, გვ. 178—972.



გლაიდები ხასიათდებიან როგორც არაკონსონანტი და არავოკალი სონორანტები, ხოლო ნარნარები — როგორც კონსონანტი და ვოკალი სონორანტები<sup>17</sup> ნ. ხომსკი და მ. ჰალე მიუთითებენ, რომ ვოკალობის ნიშანთან ერთად უნდა არსებობდეს ნიშანი „სილაბური“<sup>18</sup>. ნიშნით (+სილაბური) ხასიათდებიან ის სეგმენტები, რომელთაც ვააჩნით სილაბური მწვერვალი, ასეთია: ხმოვნები, სილაბური ნარნარები და სილაბური ნაზალები, ხოლო ყველა სხვა სეგმენტი ხასიათდება ნიშნით (—სილაბური). (ა. ფრომენი ნიშნის (±სილაბური) სისუსტედ თვლის იმას, რომ მას არ ვააჩნია აქუსტიკური ან არტიკულატორული შესატყვისი და ამიტომაც მისი შინაგანი შინაარსის განსაზღვრა შეუძლებელია)<sup>19</sup>.

ნიშანთა მეორე ჯგუფში გავრთიანებულია ღრუს ნიშნები. ნიშანი (±კორონალური) ახლოს დგას რ. იაკობსონის მიერ გამოყოფილ ნიშანთან (± მაღალი ტონალობა). ნიშანი (±ანტერიორული) გამოიყოფა იმისდა მიხედვით, თუ სად არის მოთავსებული წინააღმდეგობის ადგილი — პირის პალატო-ალვეოლარული ადგილის წინ თუ უკან. თანხმოვნები, რომლებიც ტრადიციული ტერმინოლოგიით ცნობილია როგორც პალატო-ალვეოლარული, რეტროფლექსურა, პალატალური, ველარული, უველარული და ფარინგალური ბგერები, ისევე როგორც ყველა ხმოვანი, დახასიათდება ნიშნით (—ანტერიორული), ხოლო ლაბიალური, დენტალური, და ალვეოლარული ბგერები — ნიშნით (+ანტერიორული). ნიშანთა იმავე ჯგუფში შედის აგრეთვე ენის სხეულის მდგომარეობის განმსაზღვრელი ნიშნები, როგორცაა (±მაღალი), (±დაბალი), (±უკანა) ხმოვანთა კლასიფიკაცია ამ ნიშნების მიხედვით ემთხვევა ხმოვანთა ტრადიციულ კლასიფიკაციას, ხოლო რ. იაკობსონის კლასიფიკაციის მიხედვით იგივე სამნიშანი ხმოვნებისათვის ემთხვევა „დიფუზიურ“, „კომპაქტურ“ და „დაბალი ტონალობის“ ხმოვნებს. ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს მიერ გამოყოფილი ამ სამი ნიშნით ხდება თანხმოვანთა კლასიფიკაცია. არაკორონალურ და არანტერიორულ თანხმოვნებში, როგორცაა პალატალები, ველარები, უველარები და ფარინგალები, არტიკულაციის ამ 4 წერტილის აღწერა კარგად ხდება მოცემული სამი ნიშნით, მაგ., პალატარული თანხმოვნები დახასიათდებიან როგორც მაღალი, არაუკანა და არადაბალი, ფარინგალური თანხმოვნები — როგორც არამაღალი, დაბალი და უკანა და ა. შ. სხვა დანარჩენ, ანუ ანტერიორულ და კორონალურ, თანხმოვნებში ეს სამი ნიშანი ახასიათებს პალატალიზაციის, ველარიზაციის და ფარინგალიზაციის თანხმობებს არტიკულაციას. ეს კი გულისხმობს ხმოვნის მსგავსი არტიკულაციის აღწერას. მაგ., ვიტყვით, რომ პალატალიზებული თანხმოვნები არიან მაღალი და არაუკანა, ველარიზებული — მაღალი და უკანა; ხოლო ფარინგალიზებული დაბალი და უკანა<sup>20</sup>.

ამგვარად, ამ ნიშნებით ხდება რ. იაკობსონის მიერ გამოყოფილი ნიშნების: „დიფუზიური“, „კომპაქტური“ და „დაბალი ტონალობა“ გადახალისება. გარდა ამისა, შესაძლებელი ხდება იმ ფაქტის ახსნა, თუ რატომ გამოირჩევა ერთმანეთს ისეთი სამი ფონეტიკური მოვლენა, როგორცაა: პალატალიზაცია, ველარიზაცია და ფარინგალიზაცია. რ. იაკობსონი გამოთქვამდა აზრს, რომ არც ერთ ენაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი კონტრასტს ლაბიალიზებულ, ველარიზებულ და ფარინგალიზებულ თანხმოვნებს შორის და ამგვარად, არიან რა დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში, სხვადასხვა ენაში თანხმოვანთა ეს სამი ნიშანი წარმოადგენს ისეთი უფრო ფართო ფონოლოგიური კატეგორიის დახა-

17 ნ. ხომსკი, მ. ჰალე, მითით. ნაშრ., გვ. 302—3.  
18 იქვე.  
19 ვ. ფრომენი, მითით. ნაშრ., გვ. 36.  
20 ნ. ხომსკი, მ. ჰალე, მითით. ნაშრ., გვ. 305.



სიათებას, როგორცაა „ბემოლურობა“. ყოველი ენისთვის კი უნდა დაზუსტდეს, თუ ბემოლურობის მატარებელი რომელი ნიშანია ამ ენაში წარმოდგენილი: ლაბიალიზებული, ფარინგალიზებული თუ ველარიზებული<sup>21</sup>. ნ. ხომსკი და მ. ჰალე აღნიშნავენ: „რ. იაკობსონის თეორიის არაადეკვატურობა მდგომარეობს იმაში, რომ მან ვერ მოგვცა იმ ფაქტის ახსნა, რომ პალატალიზაცია, ველარიზაცია და ფარინგალიზაცია ერთმანეთს გამოირიცხავს“<sup>22</sup>. პალატალიზაცია, რომელიც წარმოდგენილია ნიშნებით (+ მაღალი — უჟანა), და ველარიზაცია, რომელიც წარმოდგენილია ნიშნებით (+ მაღალი+უჟანა) ავტომატურად ერთმანეთს გამოირიცხავენ. რადგანაც სეგმენტი არ შეიძლება იყოს ერთდროულად (— უჟანა) და (+ უჟანა).

გლოტალური შევიწროების აღმნიშვნელი ნიშნები, რომლებიც აგრეთვე ნიშანთა მეორე ჯგუფშია გაერთიანებული, მჭიდროდ უკავშირდება განხშვის ნიშნებს, რომლებიც ნიშანთა მესამე ჯგუფშია წარმოდგენილი. სახმო ტრაქტატის ხშვას შეიძლება ორმაგი განხშვა მოსდევდეს: ერთბაში, როგორც ეს ხდება ხშულების წარმოთქმის დროს, და შეუყოვნებელი, როგორც ეს ხდება აფრიკატების შემთხვევაში. ამგვარად, გამოიყოფა ერთბაში განხშვისა და შეუყოვნებელი განხშვის ნიშნები. ქვეჯგუფებად გამოყოფილია პირველადი და მეორადი ხშვების უცაბედი და შეუყოვნებელი განხშვის ნიშნები.

როგორც ცნობილია, რ. იაკობსონი ნიშნით (± მძაფრი) აზღენდა როგორც ფრიკატივების, ისე ხშულების დახასიათებას. ოპტიმალურ მძაფრ ბგერად ითვლებოდა ფრიკატივი, ოპტიმალურ არამძაფრად — ხშული. აფრიკატები ხასიათდებოდნენ როგორც მძაფრი ხშულები<sup>23</sup>. ამგვარად, დაუშვებელი იყო არამძაფრი აფრიკატების არსებობა. ნ. ხომსკი და მ. ჰალე<sup>24</sup> მიუთითებენ, რომ ასეთი ბგერები, ე. ი. არამძაფრი აფრიკატები, არსებობენ, მაგ., ამერიკელ ინდიელთა ენაში და ამიტომ უნდა გამოიყოს ისეთი ნიშანი, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებდა მძაფრ და არამძაფრ აფრიკატებს. ასეთ ნიშნებად მათ შემოჰყავთ განხშვის ნიშნები და ნიშანი (± უწყვეტი). მსკლომები ხასიათდებიან როგორც ხშულები ერთბაში განხშვით, ხოლო აფრიკატები — როგორც ხშულები შეუყოვნებელი განხშვით. ნიშანი (± მძაფრი) (იგი შემოტანილია ნიშანთა მეოთხე ჯგუფში) კი შეიძლება იხმარებოდეს მძაფრი და არამძაფრი აფრიკატების განსასხვავებლად. ხშულებს ერთბაში განხშვით ნ. ხომსკი და მ. ჰალე უნივერსალურად არამძაფრად მიიჩნევენ<sup>25</sup>.

ნიშანთა მეოთხე ჯგუფში გამოყოფილ ნიშანს — „მომატებული ქვეგლოტალური წწევა“ ავტორები ძლიერი ფშვინის დასახასიათებლად ხმარობენ. ამგვარად, ამ ნიშნით მოხდება დაჭიმული ყრუ ხშულების დახასიათება. ნ. ხომსკი და მ. ჰალე მიზანშეწონილად თვლიან ამ ნიშნის ცალკე გამოყოფას, რადგანაც მათ მიაჩნიათ, რომ კუნთების დაჭიმულობა, რისი აღნიშვნაც ხდება ნიშნით (± დაჭიმული), განსხვავდება დაჭიმულობისაგან ქვეგლოტალურ ღრუში და ამიტომაც ამ ორი ნიშნის ერთი ნიშნის ქვეშ გაერთიანება არ შეიძლება.

ნიშანთა მეხუთე ჯგუფში გაერთიანებულია პროსოდიული ნიშნები. ამ ნიშნების დახასიათებას ნ. ხომსკი და მ. ჰალე არ აზღენენ, მიიჩნევენ რა ამ სტეროში მათ ცოდნას არადამაკმაყოფილებლად. როდესაც შემუშავდა დისტინ-

<sup>21</sup> Р. Якобсон, М. Халле. Фонология и ее отношение к фонетике, в кн. „Новое в лингвистике“, в. 2, М., 1962, გვ. 270.  
<sup>22</sup> ნ. ხომსკი, მ. ჰალე, მითით. ნაშრ., გვ. 305.  
<sup>23</sup> Р. Якобсон, Г. Фант, М. Халле, мითით. ნაშრ., გვ. 184.  
<sup>24</sup> ნ. ხომსკი, მ. ჰალე, მითით. ნაშრ., გვ. 321.  
<sup>25</sup> იქვე, გვ. 328.

ქციურ ნიშანთა თეორიის პირველი ვარიანტი, რ. იაკობსონი და სხვ. წერდნენ: „დისტინქციურ ნიშანთა სავარაუდო სიმრავლე მნიშვნელოვანწილად მოჩვენებითია“<sup>26</sup>. ტიპოლოგიური კვლევის საზღვრების გაფართოებამ და მეტყველების პროცესის შესახებ ჩვენი ცოდნის გამდიდრებამ დაგვანახვა, რომ დიფერენციალურ ნიშანთა რიცხვი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს. მათი რიცხვი ზემოთ განხილულ თეორიაში 40-მდე აღწევს. არ არის გამორიცხული, რომ ახალი ენების ფონოლოგიური და ფონეტიკური სისტემების შესწავლა კიდევ უფრო გაამდიდრებს დიფერენციალურ და ფონეტიკურ ნიშანთა სისტემას.

სწორედ ნიშანთა მრავალფეროვნება განაპირობებს გენერატიულ ფონოლოგიაში წარმოდგენილ ნიშანთა სისტემის მეტ მოხერხებულობას, რომელსაც ო. კოძასოვი და ო. კრივნოვა უფრო „რეალისტურსა და ტრადიციულს“<sup>27</sup> უწოდებენ. ნიშანთა ეს სისტემა საშუალებას იძლევა უფრო დეტალურად იქნეს აღწერილი ფონოლოგიური და ფონეტიკური რეპრეზენტაციები და მათი დამაკავშირებელი ფონოლოგიური წესები, თუმცა, როგორც აღნიშნავს ვ. ფრომკინი, „მიამიტობა იქნებოდა იმის დაჯერება, რომ ჩვენ ჰემმარიტებას მივალწიეთ“<sup>28</sup>.

Р. В. ТКЕМАЛАДЗЕ

### ТЕОРИЯ УНИВЕРСАЛЬНЫХ ФОНЕТИЧЕСКИХ ПРИЗНАКОВ В ТРАНСФОРМАЦИОННОЙ ГЕНЕРАТИВНОЙ ФОНОЛОГИИ

#### Резюме

Новый вариант универсальной системы фонетических признаков, который был разработан в трансформационной генеративной фонологии, можно охарактеризовать следующим образом:

1. основываясь на данных общей фонетики, выделение фонетических признаков осуществляется на артикуляторной основе;
2. фонетический анализ производится не в терминах целостных единиц, а в терминах признаков. Данным инвентарем признаков записываются правила и репрезентации на уровнях системной фонемки и системной фонетики. Для описания репрезентации обеих уровней используется один и тот же инвентарь признаков;
3. на уровне системной фонемки универсальные фонетические признаки являются дифференциальными и имеют бинарный характер. На уровне системной фонетики они являются недифференциальными и могут иметь п-арный характер. В генеративной фонологии насчитывается около сорока универсальных фонетических признаков.

ო. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

<sup>26</sup> Р. Якобсон, М. Халле, *Мოთით. ნაშრ.*, გვ. 253.  
<sup>27</sup> О. В. Кодзасов С. В. Кривнова, *Мოთით. ნაშრ.*, გვ. 24.  
<sup>28</sup> ვ. ფრომკინი, *Мოთით. ნაშრ.*, გვ. 34.

რომან ჩხარტიშვილი

ლექსიკურ-სემანტიკური და ინტონაციური  
საშუალებები ინგლისურ და ქართულ ენებში

ენათა კონტრასტული შესწავლის თეორიული ამოცანაა, დაადგინოს ზოგადი ენობრივი ტიპები და გამოამყდენოს მათი მრავალფეროვნება შესაღებელ ენებში. ორი არამონათესავე ენა ხშირად განსხვავდება ერთიმეორისაგან არა თვით ზოგადი ტიპების რიცხვით, არამედ მსგავსი ტიპების სხვადასხვანაირი გამოვლენით.

„განპირობებითი დამოკიდებულება“ გულისხმობს ისეთ ორ მოვლენათა დამოკიდებულებას, როდესაც ერთი მოვლენა მეორეთა მეტ-ნაკლებად გამოწვეული. ამ ჯგუფს სხვათა რიცხვში მიეკუთვნება პირობითი და შედეგის დამოკიდებულებანი. ამ დამოკიდებულებების გამოჩენა საკმაოდ რთულია ზოგიერთ შემთხვევაში და ამიტომ მათი განსხვავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დაპირისპირებულ მოვლენათა ობიექტურ და სუბიექტურ მოდალურ კონტრასტებს და ინტონაციას.

სინტაქსური თვალსაზრისით წინადადება წარმოადგენს გამონათქვამის დასრულებული მნიშვნელობის გადმოცემის მინიმალურ ერთეულს. ზეპირმეტყველებაში კი წინადადება ფრასას წარმოადგენს ინტონაციის მეშვეობით.

პირობითი წინადადება გვიჩვენებს, თუ რა პირობებში შეიძლება შესრულდეს ან არ შესრულდეს ის, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი. დამოკიდებულში გამოხატულია პირობა, მთავარში კი — შედეგი.

ფონეტიკური თვალსაზრისით წინადადება იყოფა უფრო მცირე მონაკვეთებად, სინტაგმებად, ანუ ტონურ ჯგუფებად, რომელთაც თავისი საკუთარი ინტონაციური კონტურები გააჩნიათ. არტიმოვის მიხედვით „ინტონაცია შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ მოვლენად ზეპირმეტყველებაში, რომლის მეშვეობით წინადადების შინაარსი, მისი კომუნიკაციური დანიშნულება, ლექსიკური შემადგენლობა, სინტაქსური წყობა და მოდალურობა რომელიმე განსაზღვრულ კონტექსტში ან სიტუაციაში აღინიშნება თავისი კონკრეტული გამოვლენით“<sup>1</sup>.

სინტაქსური თვალსაზრისით ინტონაცია შეიძლება მიეკუთვნოს სინტაქსური მნიშვნელობის გადმოცემის საშუალებათა სისტემის რიცხვს.

ფონოლოგიური თვალსაზრისით ინტონაცია წარმოადგენილია როგორც ტონურ და სხვა პროსოდიულ ელემენტთა ოპოზიციური სისტემა.

ფონეტიკური თვალსაზრისით კი ინტონაცია ერთიანად აფორმებს გამონათქვამს, ანიჭებს მას მეტ-ნაკლებ დამოუკიდებლობას და ამასთანავე ყოფს მეტყველების ნაკადს მინიმალურ ერთეულებად. ის წარმოადგენს მეტყველების ზესეგმენტურ, ანუ პროსოდიულ, მახასიათებლების (მელოდიკის, წინადადების მახვილის, რიტმის, ინტენსივობის, პაუზის, ტემპის და ტემბრის) კომპლექსურ ერთიანობას.

ზემოაღნიშნული პროსოდიული მახასიათებლებიდან ფუნქციონალური თვალსაზრისით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად შეიძლება მივიჩნიოთ წინადადების მელოდიკა, მახვილი და პაუზა.

პირობითი და შედეგის გამოხატველი წინადადებების სინტაქსური წყობა,

<sup>1</sup> Артемов В. А., Интонация и просодия, в кн.: Вопросы филологии и фонетики, М., 1971, сс. 11—16.

შინაარსი, კომუნიკაციური დანიშნულება და ობიექტური მოდალურობა მეტ-  
ნაკლებად ეკვივალენტურად ვლინდებიან ქართულ და ინგლისურ ენებში. სუ-  
ბიექტური მოდალურობა და ინტონაციური გაფორმება კი ამ ენებში საკმაოდ  
განსხვავდება.

პირობისა და შედეგის წინადადებების განსაზღვრისას ინგლისურში დიდი  
მნიშვნელობა ენიჭება გამონათქვამის სუბიექტურ მოდალურობას. შესაფერისი  
კონტექსტის გარეშე შეუძლებელია განსაზღვრო, რომელი სახის წინადადება  
მოცემული: პირობის თუ დროის, შედეგის თუ მიზეზის. მაგალითად, ინგლისურ  
პირობით წინადადებას შეიძლება ჰქონდეს დროის გარემოებითი წინადადების  
მნიშვნელობა<sup>2</sup>. *When my husband comes home, I'll ask. If my husband co-  
mes home, I'll ask.* თუ მოლაპარაკეს მხედველობაში აქვს, რომ მისი მეუღლე  
ნამდვილად მოვა სახლში, წინადადებას დროის გარემოების მნიშვნელობა ენი-  
ჭება, რასაც გამონათქვამის ინტონაციური გაფორმება ადასტურებს: მელოდი-  
კური კონტური ქვეწყობილი წინადადების ბოლოს დამავალია და პაუზა მთავა-  
რი წინადადების წინ უფრო გრძელია, ვიდრე პირობითი და მთავარი წინადადებ-  
ას შორის; თუკი მოლაპარაკე არ არის დარწმუნებული, რომ მისი მეუღლე მო-  
ვა, წინადადება მიეკუთვნება პირობითს. ამ შემთხვევაში მელოდიკური კონტუ-  
რი პირობითი წინადადების ბოლოს აღმავალია, პაუზა კი მთავარსა და ქვეწყო-  
ბილ წინადადებებს შორის უფრო მოკლეა, ვიდრე დროის გარემოების წინადა-  
დებების შემთხვევაში.

ქართულ ენაში კი პირობითი და დროის გამომხატველი წინადადებები შეიძ-  
ლება გამიჯნულ იქნეს მხოლოდ „როცა“ და „თუ“ კავშირების სემანტიკური  
თვისებებითაც. ქართულ ენაში კავშირი „როცა“ მეტწილად იხმარება დროის  
გარემოებითი და მთავარი წინადადებების დაკავშირებისათვის. მაგრამ ზოგიერთ  
შემთხვევაში მას აქვს „თუ“ კავშირის მნიშვნელობა და დამოკიდებულ წინადა-  
დებას ენიჭება პირობითობის მნიშვნელობა. მაგალითად, „საფხულის ღამეში,  
ნამი მხოლოდ მაშინ გაჩნდება ხოლმე, როცა დღისით თბილა და ღამით მეტად  
გრილა“<sup>3</sup>.

ინგლისურში დამავალი მელოდიკური კონტური ახასიათებს იმ სინტაგმას,  
რომელიც დამთავრებულ აზრს გამოხატავს. აღმავალი მელოდიკით კი წარმო-  
ითქმის ის სინტაგმა, რომელიც დაუსრულებელი აზრის მატარებელია და დამო-  
კიდებულია მომდევნო სინტაგმაზე. აქედან გამომდინარე, თუ პირობის გამომ-  
ხატველი წინადადება წინ უძღვის შედეგის გამომხატველს, იგი წარმოითქმის  
აღმავალი მელოდიკით, თუკი ის შედეგის გამომხატველ წინადადებას მოსდევს,  
წარმოითქმის დამავალი მელოდიკით.

როგორც ცნობილია, გამონათქვამში ტონური ჯგუფები არიან ერთმანეთ-  
თან აზრობრივ კავშირში და პაუზის გრძლივობა აღნიშნავს იმას, თუ რაირც  
მჭიდროდ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული — შედარებით გრძელი  
პაუზა მიუთითებს გამონათქვამის მეტ-ნაკლებ დამოუკიდებლობას, ნაკლები  
გრძლივობის პაუზა კი — უფრო მჭიდრო კავშირს:

- (1) She is leaving for \ Rome|| I must call on her.
- (2) She is leaving for / Rome| I must call on her.

შედარებით მოკლე პაუზა და აღმავალი მელოდიკა ვადმოგვცემს (2) შემ-  
თხვევაში პირობითობის მნიშვნელობას, ხოლო (1) შემთხვევაში შედარებითად

<sup>2</sup> Akatsuka M., Conditionals and the epistemic scale, Language, v. 6, № 3, pp. 625.  
<sup>3</sup> კვაჭაძე ლ., ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1956, გვ. 141.

გრძელი პაუზა და დამავალი მელოდია ორი გამონათქვამის დამოუკიდებლად გვიჩვენებს.

ქართულში თუ „რომ“ და „თუ“ კავშირებით დაწყებული დამოკიდებულ წინადადება უსწრებს მთავარ წინადადებას, მაშინ კავშირები მომდევნო სიტყვასთან (ან სიტყვებთან) ერთად მთლიანი მელოდიალური კონტურით გაფორმდება. როდესაც „რომ“ და „თუ“ კავშირებს რომელიმე წინადადების წვერი უძღვის წინ, ისინი წინამავალ და მომდევნო სიტყვებთან მოთავსდებიან ერთიანი მელოდიალური კონტურის შიგნით<sup>4</sup>.

ინგლისურში „if“ და სხვა პირობითი წინადადებების მკაცვპირებულ სიტყვებს არასდროს არ უძღვის წინ რომელიმე წინადადების წვერი და „if“ კავშირი მომდევნო სინტაგმასთან ერთად ერთიანი მელოდიალური კონტურით გაფორმდება, ვინაიდან არაემფატურ გამონათქვამში კავშირი ყოველთვის უმახვილოა<sup>5</sup>.

ინგლისურად მოლაპარაკე ქართველები მკვეთრად გამოყოფენ ცალკეულ სიტყვებს და პაუზაციით გამოყოფენ დამხმარე სიტყვებს მთავარი სიტყვებისაგან. ინგლისური ენა, როგორც, როგორც ცნობილია, ანალიტიკური ტიპის ენაა, უმახვილო დამხმარე სიტყვების სიჭარბით გამოირჩევა ქართულთან შედარებით.

ზემოაღნიშნული მოსაზრებები სმენით ანალიზს ეფუძნება და მათი უფრო ღრმა შესწავლისა და დეტალიზაციისათვის საჭიროა ჩატარდეს ექსპერიმენტული კვლევა ელექტროაკუსტიკური ხელსაწყოების გამოყენებით.

Р. И. ЧХАРТИШВИЛИ

### ЛЕКСИКО-СЕМАНТИЧЕСКИЕ И ИНТОНАЦИОННЫЕ СРЕДСТВА ВЫРАЖЕНИЯ ОТНОШЕНИЙ ОБУСЛОВЛЕННОСТИ

#### Резюме

В сравнительном плане рассматриваются некоторые лексико-семантические и интонационные средства выражения отношений обусловленности в английском и грузинском языках. Приводятся примеры, указывающие на степень значимости субъективно-модальной коннотации и таких интонационных средств, как мелодика и пауза при выражении отношений обусловленности в английском и грузинском языках.

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიჭი-გურმა

<sup>4</sup> კიზირია ნ., სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები, თბ., 1987, გვ. 59.

<sup>5</sup> Kingdon R., The Groundwork of English Intonation, London, 1958, გვ. 204.

## ნინო ჩიჩუა

 ნარატიული ტექსტის სემანტიკური კვლევის ასპექტები<sup>1</sup>

დღეს ინტენსიურად ვითარდება ენათმეცნიერების დარგი, რომელსაც ტექსტის ლინგვისტიკას უწოდებენ. როგორც აღნიშნული დარგის ჩამოყალიბებამდე, აგრეთვე მას შემდეგ ტექსტი მრავალი დისციპლინის კვლევის ობიექტს წარმოადგენდა და წარმოადგენს<sup>2</sup>. რა შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც ენათმეცნიერების ახალი დარგის, გამოყოფის საფუძვლად? არსებობს არაერთი არსებითი ხასიათის არგუმენტი. პირველი მათგანი შემდეგში მდგომარეობს: ტექსტში გამოიყოფა საკუთრივ ტექსტის დონის ერთეულები — ე. წ. ტექსტის სემანტიკები (ზეფრაზული ერთიანობები), რომლებიც ხასიათდებიან გარკვეული სტრუქტურულ-სემანტიკური „ავტონომიით“ და რომელთა წყობის ამომწურავი ლინგვისტური აღწერა დღემდე არ განხორციელებულა, ტექსტის სემანტის ფარგლებში ვლინდება ბევრი ისეთი ენობრივი კანონზომიერება, რომელსაც სხვაგვარად, ტექსტისაგან იზოლირებულად ვერ მივაკვლევთ.

გარდა ამისა, როგორც გაირკვა, ტექსტს გააჩნია საკუთარი სინტაგმატიკა და პარადიგმატიკა, მას ახასიათებს იერარქიული წყობა (ორგანიზაციის განსხვავებული დონეები) (ბარტი, ტოდოროვი, გრემა, შდრ. იაკობსონი, ლევი-სტროსი [41, 62; 46; 47; შდრ. 40; 54; 56]).

ტექსტის ლინგვისტიკის პოზიციებიდან ტექსტი გააზრებულია როგორც ენა მოქმედებაში (პელიდეი, შდრ. სკალიჩკა [27; 61]) და ამდენად ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ზოგადად მთელი სიტუაცია ტექსტის წარმოქმნისა თავისი გამიზნულობით, პრაგმატიკული და სტილური ორიენტაციით; მხატვრული ტექსტის შემთხვევაში — მწერლის მხატვრული მეთოდით, სტილით, რომელიც განმსჯავლავს მთელ ტექსტს. აქ აშკარაა ტექსტის ლინგვისტიკისა და პოეტიკის, აგრეთვე სიუჟეტოლოგიის, სტილისტიკისა და ნარატოლოგიის თანამშრომლობის აუცილებლობა [51; 52; 55; 60; შდრ. 14; 15; 62; 6].

ამგვარი თვალსაზრისით ტექსტის კვლევისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, აგრეთვე, სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულთა ურთიერთქმედება აზრის გამოკვეთის პროცესში, მათი სემანტიკური თვითნებება, ე. წ. სემანტიკუ-

1 შდრ. ნ. ჩიჩუა [67]. ნაშრომში გამოვლენილია მოქმედების კატეგორიასთან ტემპორალურ-კაუზალური იმპლიკაციური მიმართებებით დაკავშირებულ სემანტიკურ კატეგორიასთან სინტაგმატიკური ჯაჭვი: ნორმა, მიზეზი („გარეგანი“), მიზეზი („შიდაგანი“, იგივე მოტივი), ინტენციონალიზმი, მოქმედება, შედეგი. შდრ. „მოქმედების სემანტიკა კატეგორიულ ტერმინებში“ [8]. კატეგორიასთან აღნიშნული ჯაჭვი რელევანტურია სემანტიკური თვალსაზრისით ლექსიკურ, სინტაქსურ და საკუთრივ ტექსტის დონეზე (ტექსტის დონის ერთეულების, ე. წ. ტექსტის სემანტების, ეპიზოდების ფარგლებში). მოქმედების კატეგორიას უკავშირდება, აგრეთვე, დიურატიულობაც, როგორც სემანტიკური კატეგორია, რომელიც რელევანტურია სემანტიკური თვალსაზრისით როგორც მორფოლოგიურ დონეზე (შდრ. ასპექტის გრამატიკული სემანტიკა), ასევე ტექსტის დონეზე (საკუთრივ ტექსტის დონის ერთეულთა ფარგლებში). იხ. ნ. ჩიჩუა, დიურატიულობისა და დინამიკურობის სემანტიკის გამოვლენა ნარატიული ტექსტის ეპიზოდში [7].

2 ეს დისციპლინებია: პოეტიკა, რიტორიკა (შდრ. inventio, dispositio, elocutio), სტილისტიკა, ტექსტოლოგია, ფოლკლორისტიკა, სიუჟეტოლოგია, ჰერმენევტიკა და სხვა.

აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ენათმეცნიერული კომპლექსები, რომელთა ყურადღების ცენტრშია ენის ფუნქციონირების კანონზომიერებები (ფუნქციური ასპექტი).



რი იზოტოპის დონეების მიკვლევა (შდრ. შმიდტი, ბარტი, გრემა [30; 41; 47]). ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ტექსტის წარმოშობისა და ინტერპრეტაციის (რეცეფციის) ენობრივი კანონზომიერებების გამოვლენა. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ტექსტის სემანტიკური კატეგორიების დადგენის და თვით ამ კატეგორიათა სტატუსის განსაზღვრის პრობლემები (შდრ. შმიდტი, კრივონსოვი, ნიკოლაევა [39; 24; 27]).

განსაკუთრებულ ასპექტს ტექსტის ლინგვისტურ კვლევაში წარმოადგენს მისი ონომასიოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა (შდრ. სერლი, ვეებციკა, კუროლა, ვაკი, არუთინოვა [60, 66; 55; 19; 13]).

არსებითია ის, რომ ტექსტის კვლევის განსხვავებული ასპექტები და შესაბამისი პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს კონკრეტული კვლევა-ძიების პროცესში. მაგალითად, თუკი ლაპარაკია ტექსტის სემანტიკურ კატეგორიაზე, მოსალოდნელია, რომ იგი გამოვლინდეს სწორედ საკუთრივ ტექსტის დონის ერთეულის — ტექსტის სეგმენტის ფარგლებში<sup>3</sup>.

თუ გვიანტერესებს ტექსტური ნომინაციის დროს რა სახით არის ტექსტში წარმოდგენილი აღსანიშნი (რეფერენტული) სიტუაცია, მაშინ უნდა ვიკვლიოთ კონკრეტულ ენობრივ ერთეულთა არჩევანი და ამ ერთეულთა სემანტიკური შეთანხმების კანონზომიერებები. მაგრამ, ბუნებრივია, კვლევა შეიძლება გაგრძელდეს და ასევე ენობრივი ანალიზი დაგვეხმაროს ნაწარმოების ავტორის სტილისა და მხატვრული მეთოდის თავისებურებათა გამოვლენაში. მაგრამ აქ უკვე აუცილებელია პოეტიკის, სტილისტიკისა და სხვა მომჯნავე დისციპლინათა კატეგორიების მოხმობა, რომ ტექსტის ენობრივ თავისებურებათა მხატვრულ ღირებულებას მიეცეს შესაბამისი კვალიფიკაცია.

მხატვრული ტექსტის ამგვარ კვლევას მოითხოვდა მიხეილ ბახტინი, როდესაც აკრიტიკებდა დოსტოევსკის სტილის ვინოგრადოვისეულ ინტერპრეტაციას [15]. დღეს ასეთ თვალსაზრისს ავითარებენ კუროლა, ჰენდრიკი, სერლი და სხვები [55; 51; 52; 60]. ამგვარად, ტექსტის ლინგვისტიკა მრავალი დარგის თანამშრომლობას გულისხმობს.

ტექსტში ენის ყველა „იარუსია“ წარმოდგენილი, შესაბამისად, შესასწავლია ყოველი მათგანის „წვლილი“ ტექსტის დონეზე, საკვლევა აგრეთვე ენობრივ ერთეულთა ურთიერთქმედება, მათი „სემანტიკური შეთანხმება“ ტექსტის მონაკვეთებში; ტექსტის ლინგვისტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემათაგანს უკავშირდება ტექსტის სემანტიკური კვლევა (რომელსაც ყველაზე მეტი შეხების წერტილი აქვს სტილისტიკასთან, პოეტიკასთან, სიუჟეტოლოგიასთან, ჰერმენევტიკასთან, ნარატოლოგიასთან და სხვა დარგებთან). მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კვლევა-ძიების დროს ენათმეცნიერებისათვის ძირითადი და გადამწყვეტია ტექსტის დონეზე ლინგვისტური პრობლემათიკის ხასიათის დადგენა და ენობრივ კანონზომიერებათა გამოვლენა<sup>4</sup>.

ზემოთ თქმული შეეხება ზოგადად ტექსტის ლინგვისტიკას. თხრობითი (იგივე ნარატიული) ტექსტის კვლევაში დღეისთვის განსაკუთრებულია ფრანგული სკოლის როლი (მისი ცნობილი წარმომადგენლები არიან: ლევი-სტროსი, ბარტი, გრემა, ტოდოროვი, ბრემონი, ყენეტი და სხვები). აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში დამკვიდრებული ტერმინი récit უნდა ითარგმნოს როგორც „თხრობა“, „მოთხრობა“ და არა როგორც „თხრობითი ტექსტი“. ეს ნიშანდობლივია,

<sup>3</sup> მაგ. ლიურატულობის სემანტიკური კატეგორია, როგორც ტექსტის კატეგორია, ვლინდება ტექსტის სეგმენტის ფარგლებში. იხ. ნ. ჩიჩუა [7].

<sup>4</sup> ანუ ტექსტში ისეთი კანონზომიერებების გამოვლენა, რომლებიც რელევანტურია ენობრივი თვალსაზრისით.



რადგან ფრანგული სკოლის ინტერესების სფეროში შემოდის ძირითადად არა საკუთრივ თხრობითი ტექსტი, არამედ ერთგვარად აბსტრაპირებული თხრობითი ანუ ნარატიული სტრუქტურები (ჰენდრიკსი [51; 52]) ფაქტობრივ ნარატიული სტრუქტურები ფაბულის ეკვივალენტად გაიზარება. ფრანგულ სკოლაში დამკვიდრდა აგრეთვე ისეთი არსებითი ტერმინები, როგორცაა ფუნქციონარედიკატი (fonction, verbe, prédicat narratif), თხრობითი ეპიზოდი, ანუ კადრი—ნარატიულ პრედიკატთა სინტაგმატური დაჯგუფება (séquence narrative; paquet—კ. ლევი-სტროსი).

ფრანგულ სკოლაშივე გამოითქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია თხრობითი ტექსტის (უფრო ზუსტად, თხრობის) შემსწავლელი სპეციალური დისციპლინა შესაბამისი სახელით — ნარატოლოგია (ც. ტოდოროვი, კ. ბრემონი [63; 43, 103]). ასეთი დარგის (თუ დისციპლინის) გამოყოფა შემთხვევით არ მომხდარა, რადგან დღის წესრიგში დადგა არა მარტო ე. წ. თხრობითი სინტაგმატიკის კვლევა (ელემენტარულ თხრობით ერთეულთა და მათი კომბინირებას კანონზომიერებათა გამოვლენა), არამედ ერთობლივად თხრობის სტრუქტურულ-სემანტიკური ორგანიზაციის მთელი პრობლემატიკა. გაიმიჯნა თხრობის სინტაგმატური, პარადიგმატული და იერარქიული ასპექტები. განისაზღვრა და ნაწილობრივ გადაიჭრა ამ ასპექტებთან დაკავშირებული ბევრი საკითხი.

ცხადია, ნარატოლოგია ეყრდნობა ფოლკლორისტიკის, პოეტიკის, სტილისტიკისა და სხვა დარგების გამოცდილებას, იყენებს ამ დარგების მიერ შემუშავებულ ბევრ ტერმინს (შდრ. მოტივი, ფუნქცია-პრედიკატი, ფაბულა, სიუჟეტი<sup>5</sup>, კომპოზიცია, არქიტექტონიკა, თხრობის თვალსაზრისი, პერსპექტივა), მაგრამ ამავე დროს წამოჭრის ბევრ ახალ პრობლემას, რომელთა ერთობლივი დასმის და გადაჭრის აუცილებლობა თვით დარგის (ნარატოლოგია) სპეციფიკიდან გამომდინარეობს (შდრ. l'armature, le code, le message [47; 41, 10—11]). იმ მიზნებიდან გამომდინარე, რაც თხრობის (récit) მკვლევრებმა დაისახეს (მაგ. თხრობითი ტექსტის მინიმალური ერთეულის დადგენა, ასეთ ერთეულთა კომბინირების ხასიათის განსაზღვრა), აუცილებელი აღმოჩნდა ისეთ ტრადიციულ პრობლემატიკასთან დაბრუნება, როგორცაა, მაგალითად, ფაბულისა და სიუჟეტის გამოიჯნა, მოტივებისა და მათი კომბინაციების გამოვლენა და სხვა. ცნობილია, რომ მოტივი ჯერ კიდევ ა. ვესელოვსკიმ განსაზღვრა როგორც უმარტივესი თხრობითი ერთეული, ხოლო სიუჟეტი — როგორც მოტივთა კომბინაცია. მოტივმა შეიძლება მოგვეცეს „განშტოება“, გარდაიქმნას რთულ თხრობით სქემად. ვესელოვსკი მოტივს განმარტავდა, როგორც პერსონაჟთა მოქმედებებს და მიმართებებს, რომელთა აბსტრაპირება (სქემატიზაცია) შესაძლებელია<sup>6</sup>.

ფრანგი ნარატოლოგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ცნობილი რუსი ფოლკლორისტის ვ. პროპის მონოგრაფიას — „ზღაპრის მორფოლოგია“ (1928) და აგრეთვე რუსული ფორმალური სკოლის (ОПОЯЗ) მიერ ფაბულისა და სიუჟეტის გამოიჯნა<sup>7</sup> (ბრემონი [43], შდრ. ტოდოროვი [62]). ვ. პროპი ზღაპრის „შინაარსის შეკუმშვის“ გზით გამოყოფს ფუნქციურად ღირებულ ელემენტებს (მათ ფუნქციებს უწოდებს) და განსაზღვრავს ზღაპარში ფუნქცი-

<sup>5</sup> დღეს სიუჟეტისა და კომპოზიციის პრობლემატიკას ინტენსიურად იკვლევენ საბჭოთა შეცნიერები. გამოდის შესაბამისი კრებულები [26; 38].

<sup>6</sup> აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნაშრომები—„Поэтика сюжетов“ (1897—1906), „Три главы из исторической поэтики“, 1899 და სხვ.

<sup>7</sup> ივლისხმება, კერძოდ, ვ. შკოლესკის და ბ. ტომაშევსკის ნაშრომები: ვ. შკოლესკის „О теории прозы“, (1925) (შდრ. Памятник научной ошибке (1930)); „Тетива. О несходстве сходного“ (1970), ბ. ტომაშევსკის „Теория литературы. Поэтика“, 1925.

ათა შესაძლო (დასაშვებ) კომბინაციებს. პრობის ეს იდეა უადრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ნარატოლოგიისათვის, რამდენადაც მოინაშნა თხრობის ტექსტის „შინაარსის შეკუმშვის“ ფუნქციური მეთოდი. აღნიშნულ მოსაზრებას ეყრდნობა ფუნქცია — პრედიკატა, თხრობით წინადადებათა და თხრობითი ეპიზოდების გამოყოფა (გრემა [46; 47], ტოდოროვი [62; 63]).

რაც შეეხება ოპოიაზელთა თვალსაზრისს ფაბულისა და სიუჟეტის გამიჯვნის შესახებ (იგულისხმება შკოლევსკისა და ტომაშევსკის ადრეული ნაშრომები), ე. ტოდოროვი მას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მაგრამ არ იზიარებს. მისი აზრით, თხრობით ტექსტში ღირებულია როგორც ფაბულა ისე სიუჟეტი (ანუ მოვლენათა ქრონოლოგიური რიგიც და მისი სიუჟეტური წარმოდგენაც). ამავდროს ე. ტოდოროვს შემოაქვს უფრო ზუსტი წყვილი ტერმინი, რომელიც მკვლევრის მხედველობის არეში უნდა აქცედდეს როგორც „ფაბულის ლოგიკას“, ისე ტექსტის სიუჟეტურ და დისკურსიულ ასპექტებს (*récit comme histoire vs. récit comme discours* — თხრობა, როგორც ამბავი, „ისტორია“ და თხრობა, როგორც დისკურსი ([62]. შდრ. ბარტი [41], შმიდტი [39]).

თხრობის სინტაგმატური და პარადიგმატული ასპექტების გამიჯვნაზე მიუთითებს თხრობის ტემპორალური (ქრონოლოგიური) სტრუქტურის დაპირისპირება მისსავე „ატემპორალურ“ (ანუ მოვლენათა დროში თანამიმდევრობასთან დაუკავშირებელ, „ზედროულ“) სტრუქტურასთან — *structure atemporelle, achronique* [47, 31; 41, 12], რომელიც გულისხმობს ტექსტში სინტაგმატურ დერაჟზე თხრობით ერთეულებს შორის ეკვივალენტობის და ოპოზიციების ახალი პარადიგმული მიმართებების დამყარებას, თხრობითი ერთეულების მეორეულ სემანტიზაციას (გრემა, ბარტი შდრ. იაკობსონი, ლევი-სტროსი [46; 47; 41; შდრ. 40; 54; 56; [57]).

ჩვენი აზრით, თხრობითი ტექსტის მკვლევრისათვის განსაკუთრებული ღირებულების მქონე უნდა იყოს ისეთი ტერმინების (აგრეთვე, შესაბამისი სიტყვების) მნიშვნელობების შედარება, როგორცაა „ფაბულა“, „სიუჟეტი“ და „მითი“. ცნობილია ფაბულის, როგორც ტერმინის, რამდენიმე მნიშვნელობა<sup>8</sup>, არსებითია ეტიმოლოგია: ლათინური *fābula*-ს (როგორც სიტყვის) მნიშვნელობებში განსაკუთრებით ისინია ამ მხრივ ღირებული, რომელთა ქართული ეკვივალენტი იქნება „ამბავი“, „თქმულება“, „მონათხრობი, მოთხრობა“, და სხვა, შესაბამისი ზმნა („*fābulāri*“) კი „ლაპარაკს“, „თხრობას“ ნიშნავს<sup>9</sup>.

ცნობილია, აგრეთვე, სიუჟეტის (ფრ. *sujét*-თემა, სავანი, სიუჟეტი), როგორც ტერმინის, განსხვავებული ინტერპრეტაციები. ნარატოლოგიის პოზიციებიდან, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი უნდა იყოს არა მარტო ფაბულა —

<sup>8</sup> Фабула—(лат. *fābula*—сказание, молва, рассказ, предание, сказка, басня, фабула)—термин, обозначающий различные аспекты действия и повествования о нем. В античной литературе соответствующее слово /*μῦθος* (миф) и *Fābula* имело два специфичных значения: 1. самый малый из жанров повествовательной прозы—басня (отсюда нем. *Fabel*, англ. *fable*, франц. *fable* и *fabliau* и пр.); 2. повествовательная основа драматического произведения, например, миф об Эдипе, обработанный Софоклом; в поздней античности это значение уточнилось в двойном противопоставлении: *historia*—случай, почерпнутый из действительности, *fābula*—случай, почерпнутый из предания, *factio*—случай, вымышленный впервые; именно это понятие фавулы и было усвоено литературоведением нового времени—М. Н. Эпштейн. [25, т. 7, 874] Шдრ. ამ ტერმინის ინტერპრეტაცია ОПОЯЗ-ელთა მიერ და სხვ.

<sup>9</sup> Шдრ. ინგლ. *fable*-ის ეტიმოლოგია; *fable*-Lat. *fābula* — narrative, account, story, „*fābulāri*“—„to speak“, fr. *fābula*—„speech, tale“ [64]. Шдრ. *fābubāri*—рассказывать, повествовать [25, т. 7, 307].

სიუჟეტის ОПОЯЗ-ისეული გამიჯვნა, არამედ სიუჟეტის პ. კორნელისა და დ. დიდროსეული გაგება: სიუჟეტში ისინი გულისხმობდნენ „ამბებს“ (რომლებიც წარსულში მომხდარა), წარსულიდან ნასესხებ „ისტორიებს“, რომელთა განსხვავებული დამუშავება და წარმოდგენა შეეძლო დრამატურგს სცენიური მოქმედების სახით. ამგვარად, სიუჟეტი გააზრებულია როგორც თემა, „ამბავი“, რომელიც საფუძვლად ედებოდა დრამატულ ნაწარმოებს.

როგორც ცნობილია, არისტოტელე „პოეტიკაში“ განიხილავს მოქმედების „სცენურ მიბაძვას“. არისტოტელეს მიხედვით მითოსი (μῦθος) ლეგენდარულ გმირთა ცხოვრებაში მომხდარი „ამბავია“, კონფლიქტებია. რომელთაც სცენაზე წარმოდგენდნენ ბერძენი დრამატურგები (და ამდენად, საფუძვლად უდებდნენ თავიანთ ტრაგედიებს) [12; 25, ტ. 7, 306]. თვით სიტყვა μῦθος-ის მდიდარ სემანტიკაში<sup>10</sup> გამორჩეულია მნიშვნელობები, რომლებიც „მეტყველებას“, „თხრობას“ უკავშირდება.

ამგვარად, ფაბულას და მითს, როგორც ტერმინებს (და აგრეთვე შესაბამის სიტყვებს: *fabula, fabulāri, μῦθος*), შორის გარკვეული თვალსაზრისით მიიწინააღმდეგებ სემანტიკური სიახლოვე, შეხების წერტილები, რომლებიც უკავშირდება „თხრობის“ („მეტყველების“, „თქმის“) და „მოთხრობის“ („ნათქვამის“, „მოყოლილის“), „თქმულების“, „ამბის“ სემანტიკას, რაც შეეხება სიუჟეტს (ფრ. *suǵét*), იგი გააზრებულია, ერთი მხრივ, როგორც ნაწარმოების თემა — იგივე „ამბავი“ (წარსულიდან ნასესხები), რომელიც საფუძვლად უდევს ნაწარმოებს (დიდრო, კორნელი); სხვა თვალსაზრისით კი ტერმინი „სიუჟეტი“ დაუპირისპირდა „ფაბულას“ (შკლოვსკი, ტომაშევსკი, შდრ. თემა, „ამბავი“ და მისი „დამუშავება“, შდრ. *récit comme discours vs. récit comme histoire* — ტოლოროვი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფრანგული სკოლის უთუო დამსახურებად თხრობითი ტექსტის კვლევაში უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებული დისციპლინის (ნარატოლოგიის) აუცილებლობის დასაბუთება, თხრობითი ტექსტის კვლევის მრავალმხრივი პრობლემატიკის გათვალისწინება, თხრობის სტრუქტურულ-სემანტიკური ორგანიზაციის არსებითი ასპექტების (სინტაგმატურის, პარადიგმატულისა და იერარქიულის) გამიჯვნა, თხრობითი ტექსტის ერთეულთა რეინტერპრეტაციის (მეორეული სემანტიზაციის) კვლევა მხატვრულ თუ მითოლოგიურ ტექსტებში.

ეს უკანასკნელი პრობლემა დასვეს ლევი-სტროსმა და გრემამ მითოსის მიმართ [56; 57; 46, 47].

აღსანიშნავია მითის ლოგიკის ლევი-სტროსისეული ხატოვანი განსაზღვრება — *bricolage, bricoler* ნიშნავს ბურთის რიკოშეტით ასხლტომას ბილიარდში. მითის ლოგიკაც რიკოშეტულად, შემოვლით და არა სწორხაზოვნად მოქმედებს (შდრ. მხატვრული ნაწარმოების ლოგიკის ფ. ამონისეული დახასიათება [50]).

აღნიშნული პრობლემა პოეტური ტექსტის მიმართ დასვეს რომან იაკობსონმა და კლოდ ლევი-სტროსმა ბოდლერის ლექსის *Les chats* („კატები“)

<sup>10</sup> შდრ. *μῦθος* — слово, речь; разговор, беседа; рассказ, обещание, обет, предложение, совет, план, решение, миф, вымысел, сказание, предание, сказка, совет, миф, служащий основанием трагедии [20]. შდრ. *myth-fr. G. K. μῦθος*: „word“, „speech“, „tale“, „legend“ [64]; *μῦθος* — повествование, басня, миф [25, ტ. 4, 875]; повествовательная основа драматического произведения (напр., миф об Эдипе, обработанный Софоклом), [25, ტ. 7., 874].



ანალიზის საფუძველზე [54, შდრ. 40]. მხატვრული პროზის მასალაზე ტექსტის სემანტიკური სინტაგმატიკისა და პარადიგმატიკის მიმართებას იკვლევს ც. ტყეშელაშვილი დოროვი. (ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩინა ლაკლოს რომანის „Les Liaisons dangereuses“ ტოდოროვისეული ანალიზი [62] შდრ. [63]. ამდენად, არსებითია მითოლოგიური, პოეტური თუ პროზაული ტექსტის სინტაგმატურ დერძზე ახალი, მეორეული პარადიგმატული მიმართებების (სემანტიკური ეკვივალენტობისა და ოპოზიციების) დამყარება, რაც წარმოადგენს ტექსტის ერთეულების მეორეული სემანტიზაციის საფუძველს. მეორეულ ნიშანთა, სიმბოლოთა თუ სახეთა სისტემებში (მაგ. მოხარული და უმი საკვების მითური სიმბოლიკა [47]. შდრ. [51; 52]).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თხრობითი ტექსტის ინტენსიური და მრავალმხრივი კვლევის მიუხედავად, ფრანგულ სკოლაში ჯეროვნად არ შეფასებულა ენის როლი თხრობითი ტექსტის (და ზოგადად ტექსტის) წარმოშობის და ინტერპრეტაციის პროცესში (შდრ. ჰენდრიკსი [51; 52]), თუმცა გაიმიჯნა თხრობა როგორც „ამბავი“ და თხრობა როგორც „დისკურსი“ (ტოდოროვი); აგრეთვე თხრობის სემანტიკური იზოტოპიის დონეები (გრემა, ბარტი. შდრ. შმიდტი [47, 41; 39].

ენის ფაქტორის პრობლემა თხრობით ტექსტთან დაკავშირებით არსებითად დაისვა ფრანგული სკოლის „გარეთ“ (ჰენდრიკსის, კუროლას, შმიდტის, ჰელიდის, ვან დეიკის მიერ [51; 52, 55, 39; 36; 21. შდრ. 46; 41]); შდრ. ტექსტის ონომასიოლოგიური თვალსაზრისით კვლევა — (სერლი, ვეებიცკა, კუროლა, გაკი, არუთინოვა).

რ. ბარტის სიტყვებით, „თხრობის ენა არ არის იგივე, რაც მეტყველების ენა, თუმცა ხშირად მას ემყარება. თხრობითი ერთეულები არსებითად დამოუკიდებელია ენობრივი ერთეულებისაგან“<sup>11</sup>.

ჩვენი აზრით, საქმე ისაა, რომ თუმცა თხრობას ახასიათებს შრობრივი, იერარქიული სემანტიკური ორგანიზაცია, ეს იმას არამც და არამც არ ნიშნავს, რომ „თხრობითი ერთეულები არსებითად დამოუკიდებელია“ ენობრივი ერთეულებისაგან. ასეთი თვალსაზრისი გვაშორებს თხრობითი (და ნებისმიერი სხვა) ტექსტის წარმოშობისა და ინტერპრეტაციის რეალურ კანონზომიერებებს, რომლებშიც ენა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია, როგორც ენობრივი ზოგადსემანტიკური კატეგორიების, ისე კონკრეტულ ენობრივ ერთეულთა „სემანტიკური შეთანხმების“, ურთიერთქმედების მხრივ აზრის გამოკვეთის პროცესში. ენა, მისი სტრუქტურულ-სემანტიკური კატეგორიები, აგრეთვე კონკრეტული ლექსიკური ერთეულები მასწინაც მონაწილეობენ რეალობის სემანტიკურ დანაწევრებაში, კატეგორიზაციაში (და ამდენად, ინტერპრეტაციაში), როდესაც ამ პროცესებზე უშუალოდ არა გვაქვს გამაზვილებული ყურადღება. მარტინ ჰაიდეგერის სიტყვებით, ენა „ყოფიერების სახლია“, ტყეში მივდივართ თუ ჭისკენ ჩვენ უნდა „გადავჭრათ“ („გავიაროთ“) შესაბამისი სიტყვებიც — „ტყე“, „ჭა“, რამდენადაც არსებული რეალობა ჩვენ მხოლოდ ენის საშუალებით („ყოფიერების სახლის“ გავლით) გვეძლევა, მაშინაც კი, როდესაც შესაბამისი სიტყვებს არ წარმოვთქვამთ და საერთოდ არა გვაქვს ენა მხედველობაში (ჰაიდეგერ-

<sup>11</sup> „La langue“ du récit n'est pas la langue du langage articulé—quoique bien souvent supportée par elle—, les unités narratives seront substantiellement indépendantes des unités linguistiques [41.8]. შდრ. „le discours... apparaît comme le message d'une autre langue, supérieure à la langue des linguistes (რ. ბარტი [41,3]). აღსანიშნავია, რომ რ. ბარტი გულისხმობს ზოგადად თხრობას (récit) და არა მხატვრულ პროზას.

რი [28]. ჰაიდგერის აზრით, ენას იმდენად შეეჩვიეთ, რომ მას ვეღარც ვამჩნევთ, რადგან მხოლოდ ასეა შესაძლებელი ენის პრაქტიკული, ყოველდღიური გამოყენება. (შდრ. კასირერი [41], ჰაიდგერი [49]). სწორედ ამიტომ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ თხრობითი ერთეულები შეიძლება არსებითად დამოუკიდებელი იყოს ენობრივი ერთეულებისა და კატეგორიებისაგან.

ამდენად თხრობითი ტექსტის კვლევა ვერ იქნება საფუძვლიანი საკუთრივ ენობრივი ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. ამ მხრივ გამოირიცხული არ არის, რომ მომიჯნავე დარგთა მონაცემების გათვალისწინებამ გარკვეული აზრით ახალი კუთხით დაგვანახოს თვით ენობრივი კანონზომიერებებიც.

აღნიშნული პოზიციიდან ბუნებრივია დაისვას ტექსტის სეგმენტის ფარგლებში მოქმედების აღნიშვნის (ნომინაციის) პრობლემა.

### ლიტერატურა

1. გ. ბოედერი, ძველი ქართული ნარატივის ერთი ტექსტლინგვისტური თავისებურება, გამშულობა/არაგამშულობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველოლოგთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, 1988 წ. 11—16 ოქტომბერი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1988.
2. ლ. ენუქიძე, სიღრმული სტრუქტურისა და ბირთვული წინადადების ადგილი ქართულში; სინტაქსისა და ტექსტის ლინგვისტიკის მომიჯნავე პრობლემები, წიგნში: ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987, გვ. 89—129.
3. რუსულ-ქართული ლექსიკონი, რედკოლეგია: რ. გაგუა, ნ. ვაჩაძე, ლ. კაიშაური, ა. კობახიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ქ. ლომთათიძე (თავმჯდომარე), მ. მრეველიშვილი, ნ. საყვარელიძე, თბ., 1983.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა, რედ. მ. ჯაბაშვილი, თბ., 1986.
5. ქართული ოთხთავის ობი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979.
6. ბ. ჯორბენაძე, მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგადი პრინციპისათვის, — წიგნში: „ბალაღარი მწერლობისა“, თბ., 1987, გვ. 3—32.
7. ნ. ჩიჩუა, დიურატულობისა და დინამიკურობის სემანტიკის გამოვლენა თხრობითი ტექსტის ეპიზოდში, „მაცნე“, ელს, 1988, № 3.
8. ნ. ჩიჩუა, მოქმედების სემანტიკა კატეგორიულ ტერმინებში, „მოამბე“, 1984, № 2.
9. ა. პარისი, ნარატივის სინტაქსური ანალიზი ქართველურ ენებში. თსუ სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველოლოგთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, 1988, № 11—16, ოქტომბერი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1988.
10. Арнольд И. В., Семантическая структура слова в современном английском языке и методика ее исследования (на материале имени существительного), JL., 1966.
11. Ахманова Е. С., Словарь лингвистических терминов, 2-е изд. М., 1969.
12. Аристотель, Поэтика, JL., 1927.
13. Арутюнова И. Д., Номинация и текст, в кн.: Языковая номинация: Виды наименований, М., 1977.
14. Бахтин М., Вопросы литературы и эстетики, М., 1975.
15. Бахтин М., Проблемы поэтики Достоевского, М., 1972.
16. Бирвиш М., Семантика, В сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 10, М., 1981.
17. Болинджер Д., Атомизация значения, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 10, М., 1981.
18. Булыгина Т. В., Грамматические и семантические категории и их связи, в кн.: Аспекты семантических исследований, М., 1980, гв. 320—355.
19. Гак В. Г., О семантической организации текста, в кн.: Лингвистика текста: Материалы научной конференции, ч. I. М., 1974, гв. 61—66.
20. Греческо-русский словарь, часть вторая, М., 1848.
21. Дейк Т. Ван, Вопросы прагматики текста, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 8, М., 1978.

22. Зись А. Я., Стафеецкая М. П., Интерпретация произведения как феномена культуры, в кн.: Художественная рецензия и герменевтика, М., 1985, с. 69—101.
23. Катц Дж., Семантическая теория, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 10, М., 1981.
24. Кривоносов Б. А., «Вопросы языкознания», 1986, № 6.
25. Краткая литературная энциклопедия, т. 1—9, М., 1962—1978.
26. Москвичева Г. В. Вопросы сюжета и композиции, Межвузовский сборник, Горький, 1980; 1982.
27. Николаева Т. М., Лингвистика текста: Современное состояние и перспективы, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 8, М., 1978.
28. Ожегов С. И., Словарь русского языка, М., 1960.
29. Пронн В. Я., Морфология сказки, 2-е изд., М., 1969.
30. Распопов И. П., Несколько замечаний с так называемой семантической структуре предложения, ВЯ, 1981, № 4, с. 24—34.
31. Сильницкий Г. Г., Семантические типы ситуаций и семантические классы глаголов, в кн.: Проблемы структурной лингвистики 1972, М., 1973, с. 373—391.
32. Степанов Ю. С., Номинация, семантика, семиология (виды семантических определений в современной лексикологии), в кн.: Языковая номинация: Общие вопросы, М., 1977, с. 294—354.
33. Уфимцева А. А., Лексическая номинация, в кн.: Языковая номинация: Виды наименований, М., 1977, с. 5—85.
34. Филлмор Ч., Дело о падеже, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 10, М., 1981, с. 369—495.
35. Филлмор Ч., Дело о падеже открывается вновь, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 10, 1981, с. 496—530.
36. Хэллiday М. А. К., Лингвистическая функция и литературный стиль в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 9, М., 1980, с. 116—147.
37. Хэллiday М. А. К., Место функциональной перспективы предложения (ФПП) в системе лингвистического описания, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 8, М., 1978.
38. Цилевич Л. М., Вопросы сюжетосложения, сб. статей, вып. 3, Сюжет и жанр, Рига, 1974, вып. 4: Сюжет и композиция, Рига, 1976.
39. Шмидт З. И., «Текст» и «история» как базовые категории, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 8, М., 1978.
40. Якобсон Р., Лингвистика и поэтика, в кн.: Структурализм: «за» и «против», М., 1975, с. 193—230.
41. Barthes R., Introduction à l'analyse structurale des récits, „Communications“, 1966, с. 1—27.
42. Bremond Cl, La Logique des possibles narratifs, „Communications“, 1966, № 8, с. 60, 67.
43. Bremond Cl. Logique du récit, Paris, 1973.
44. Cassirer E., The Philosophy of Symbolic Forms, trans. Ralph Manheim; I, New Haven, 1953, с. 99.
45. Comrie B., An Introduction to the Study of Verbal Aspect, London, New York, Melbourne: Cambridge University Press, 1976.
46. Greimas A. J., Du Sens, Paris, ed. du Seuil, 1970.
47. Greimas A. J. Eléments pour une théorie de l'interprétation du récit mythique—„Communications“, 1966 № 8,
48. Heidegger M., Holzwege, Frankfurt am Main, 1950.
49. Heidegger M., The Nature of Language „In: On the Way to Language“, New York, 1971 с. 59.
50. Hamon Ph., Mise au point sur les problèmes de l'analyse du récit, „Le français moderne“, 1972, № 3, с. 204—221.
51. Hendricks W. O. Linguistic Contribution to Literary Science, „Poetics“, 1973, № 7.
52. Hendricks W. O., The Relation between Linguistics and Literary Studies, „Poetica“, 1974 № 11, с. 10—21.
53. Holisky D. A., Aspect and Georgian Medial Verbs, Caravan Books, Delmar, New York, 1981.



54. Jacobson R., Lévi-Strauss, „Les Chats“ de Ch. Baudelaire, „L'Homme“, 1962, vol. 2, № 1, გვ. 5—21.

55. Kuroda S. Y., Reflections on the foundations of Narrative Theory: In: North-Holland Studies in Theoretical Poetics: Pragmatics of Language and Literature, V. 2, ed. by Teun A. Van Dijk, W. O. Hendricks, Amsterdam, Oxford: North-Holland Publishing Company, Inc., 1976, გვ. 107—140.

56. Lévi-Strauss C., The Structural study of Myth, „Journal of American Folklore“, 1955, vol. 68, № 270 გვ. 428—444.

57. Lévi-Strauss C. Mythologiques, I—IV, Paris, 1964—1971.

58. Lévi-Strauss C., La pensée sauvage, Paris, 1962.

59. Pottier B., Linguistique Generale, Paris Klincksieck, 1974.

60. Searle J. R., The Logical Status of Fictional Discourse, In: Expression and Meaning, Cambridge University Press, 1979, გვ. 58—75.

61. Skalička V. The Need for a Linguistics of La Parole Recueil Linguistique de Bratislava, v. 1. Bratislava, 1948, გვ. 21—36.

62. Todorov Tz., Les catégories du récit littéraire, „Communications“, 1966, № 8, გვ. 125—151.

63. Todorov Tz., La grammaire du Décameron, Paris: Mouton, 1969.

64. The Universal English Dictionary. ed by H. C. Wyld. With an Appendix by E. Partridge, Routledge and Kegan Paul Ltd., Broadway House, London, Toppan Company LTD, Tokyo.

65. Vendler Z., Linguistics in Philosophy. Cornell University Press; Ithaca, New York, 1967.

66. Wierzbicka A., Descriptions or Quotations? In: Sign, Language, Culture, I, The Hague-Paris, 1970, გვ. 627—644.

67. ჩიჩუა ნ., მოქმედების ნომინაცია და სემანტიკური ინტერპრეტაცია ნარატიულ ტექსტში, იბეჭდება „მაცნეში“.

Н. Ш. ЧИЧУА

## АСПЕКТЫ СЕМАНТИЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ НАРРАТИВНОГО ТЕКСТА

Резюме

В статье рассматривается проблематика семантического изучения нарративного текста: значимость языкового фактора, разграничение аспектов (синтагматического, парадигматического, иерархического), семантической организации повествования (récit), определение статуса семантических категорий текста и характера «семантического согласования» в пределах текстового сегмента, проблема «сотрудничества» таких дисциплин как лингвистика текста и поэтика, стилистика, нарратология, герменевтика.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება

წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

## პუბლიკაცია

კათეხან ბაზარაშვილი

იოანე სინელის „კლემასის“ ახალგამოვლინილი  
ქართული ვერსია

შუა საუკუნეებში მეტად გავრცელებული ასკეტიკურ-მისტიკური თხზულება იოანე სინელის (VI—VII სს.) „კლემასი“ (ანუ სამოთხის ან სათნოებათა კიბე) მნიშვნელოვანი ძეგლი ყოფილა ქართული სულიერი კულტურისთვისაც. ცნობილი იყო მისი რამდენიმე ქართული ვერსია: პროზაული (გამოკრებილი, ეფთვიმე ათონელის, იოანე პეტრიწის) თუ ლექსითი (იოანე პეტრიწის, ანტონ I-ის). აღმოჩნდა, რომ XVIII—XIX სს. ქართულ ხელნაწერებში მოთავსებულია „კლემასის“ კიდევ ერთი იამბიკოთი გალექსილი დღემდე უცნობი ანონიმური ქართული ვერსია. იგი არასრულია (30 თავიდან მასში წარმოდგენილია მხოლოდ 12 თავი — 7, 11, 12, 14, 15, 22, 23, 24, 25, 26, 29, 30. ერთვის იოანე სინელისავე თხზულება — „მწყემსისა მიმართ“<sup>1</sup>). ის ფაქტი, რომ ბოლო ნაწილი მეტ-ნაკლები სისრულეითაა შემორჩენილი, ცხადყოფს, რომ თხზულება, შესაძლებელია, მთლიანი სახით არსებულყო. დასაწყისში თხზულებას პირველწყაროში რომ უნდა ჰქონოდა სრული სათაური და ავტორზე მითითება, ჩანს იქიდანაც, რომ იოანე სინელისავე თხზულება „მწყემსისა მიმართ“ აქ წარმოდგენილია ასეთი ზედწარწერით: მისივე მწყემსისა მიმართ (ასევე ეფთვიმე ათონელისა და იოანე პეტრიწის პროზაულ ვერსიებში). სხვათა შორის, ზოგ გადაამწერს რომ აღარ ესმის, თუ რა თხზულებასთან აქვს საქმე, ჩანს იქიდანაც, რომ ისინი „მისივე“—ს ნაცვლად წერენ „მისივე“ მწყემსისა მიმართ“ (BCD).

ხელნაწერებში ეს ვერსია უსათაუროდ მე-7 თავის ფრაგმენტული დასაწყისით აგრძელებს გრიგოლ ნაზიანზელის (IV ს.) პოეზიის ანონიმურ ქართულ თარგმანს და, ერთი შეხედვით, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ესეც გრიგოლის პოეზიაა. ამიტომ, ბუნებრივია, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „კლემასის“ ამ არასრული ქართული ვერსიის სტროფებიც გრიგოლის ლექსებად მიიჩნეოდა<sup>2</sup>. როგორც ირკვევა, გვიანდელ ხელნაწერებში მოთავ-

<sup>1</sup> *Κλημάς τῶν παπαδίστου*, Patrologia cursus completus serie Graeca, ed. G. P. Migne, t. 88, Paris, 1860, col. 631—1164. *Πρὸς τὸν ποιμένα*, PG 88, col. 1165—1210. სტატიამ „იოანე სინელის „კლემასის“ უცნობი ქართული ვერსია“ („მაცნე“, ელს, 1987, № 4, გვ. 129, შენშ. 2) აღნიშნული იყო, რომ M. Geerard-ის *Clavis Patrum Graecorum*-ში (v. III, Brepols—Turnhout, 1979, გვ. 477) „კლემასის“ ქართული ვერსიებიდან მხოლოდ ერთი უძველესი ვერსია წარმოდგენილია. არ იყო გათვალისწინებული, რომ აქვე მოითითებულა ე. ფერაძის შრომა (G. Peradze, *Die alt-christliche Literatur in der georgischen uherlieferung*. *Oriens Christianus*, III, 6 (1931), გვ. 243), რომელშიაც ჩამოთვლილია ყველა არსებული ქართული ვერსია (გარდა, რა თქმა უნდა, ამ ახალი ქართული ვერსიისა). ამდენად, „კლემასის“ ქართული ვერსიები *Clavis*-ში ასე თუ ისე იგულისხმება.

<sup>2</sup> იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში. „მაცნე“, ელს, 1986, № 3, გვ. 96. მისივე, იოანე სინელის „კლემასის“ უცნობი ქართული ვერსია, „მაცნე“, ელს, 1987, № 4, გვ. 129—154. ვინაიდან ამ სტატიებში, სადაც გარკვეული იყო გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების და „კლემასის“ ანონიმური ვერსიის შედგენილობა და მათი მოცულობის განსაზღვრულობის გამო არ იყო ჩამოთვლილი დაწერილებით „კლემასის“ ამ ახალი ვერსიის თავების სახელწოდებანი (მითითებული იყო მხოლოდ თავთა ნომრები და რა-



სებული „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსია მომდინარეობს უფრო ადრეული ნაკლები დედნიდან, რომელიც, თავის მხრივ, ისევე როგორც გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური თარგმანი, პეტრიწული სალიტერატურო სკოლიდან უნდა იყოს გამოსული.

იოანე პეტრიწის უცნობი მიმდევარი პეტრიწული სტილის დამცველი და ერთგული ჩანს. იგი ლექსად აწყობს „კლემაქსის“ იოანე პეტრიწისეული პროზაული ვერსიის ცალკეულ ადგილებს (მდრ. A-39, H-1669), ისევე როგორც იოანე პეტრიწი ლექსავს შერჩეულ ადგილებს „კლემაქსის“ ეფთვივე ათონელისეული ვერსიიდან, ხოლო ანტონი კი — იოანე პეტრიწის პროზაული ვერსიიდან. საერთოდ, როგორც ჩანს, იოანე პეტრიწიდან მოდის „კლემაქსის“ გალექსვის ტრადიცია (მას აინტერესებს საკუთრივ იამბიკოთი ვალექსილი ფილოსოფიური პოეზია (გამოკრებილი სენტენციები), თორემ „კლემაქსი“ მან პროზითაც თარგმნა და მხოლოდ ამ ძეგლის ინტერესისათვის მას მეორედ აღარ მიუბრუნდებოდა). „კლემაქსის“ ანონიმური ვერსიაც პეტრიწის ვალექსილი ვერსიის მიზაძვითაა შექმნილი.

ამგვარ ფილოსოფიურ პოეზიას (ერთი მხრივ, ფილოსოფიურ-თეოლოგიურს (დოგმატურ-მორალურს), მეორე მხრივ, ფილოსოფიურ-მედიტაციურს) ეფრემ მცირე და, განსაკუთრებით, იოანე პეტრიწი უდებს სათავეს „სათნოებათა კიბით“. „კლემაქსი“ ხომ ჩანაწერებია სულიერ ცხოვრებაზე, სულისა და ხორცის დიალოგზე, სულისა და გონების სიკვდილსა და აღდგომაზე, სულის სიბერწესა და ყვავილოვნებაზე, მონანიებაზე, რწმენაზე, სასოებაზე, სიყვარულზე. აქ ყურადღება მიმართულია საკუთარი აზრებისადმი და სინდისის ხმისადმი, პირადი განცდებისადმი. ხედავ შიგნით, სულშია გადატანილი. გაანალიზებულია როგორც ვნებათა განვითარება, ისე განღმრთობის გზები, დუმილისა და ჭკრეტის (შემეცნების) კულტურა. ამის მიხედვით გრაგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური ქართული თარგმანი და იოანე სინელის „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსია ერთმანეთთან ახლოს დგას, ხოლო მათი მთარგმნელი აგრძელებს იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბის“ გზას (გრიგოლ ნაზიანზელი იოანე სინელის ერთ-ერთი წყაროცაა ევაგრე პონტოელთან, მაკარი დიდთან, ნილოს სინელთან და სხვებთან ერთად). გრიგოლის მედიტაციურ პოეზიაშიც და იოანე სინელის „კლემაქსშიც“ ჩანს დახვეწილი ღრმა ფსიქოლოგიზმი, ადამიანთა ბუნების, მათი შინაგანი მდგომარეობის საუცხოო ცოდნა.

როგორც გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური თარგმანი ისე „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსიაც მხოლოდ ანტონის სალიტერატურო სკოლის ინტერესებმა შემოგვიჩანა. როგორც ცნობილია, ანტონი აღადგენდა პეტრიწულ ტრადიციებს და პოპულარობა მოუპოვა მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ანტონი და მისი მიმდევარი ამრვლებდნენ პეტრიწული სალიტერატურო სკოლის თხზულებებსაც. ეს ძეგლიც გადაწერილი და გამრავლებულია ამ სკოლის მიმდევართა მიერ ადრეული ნაკლები დედნიდან მომდინარე XVIII ს. ხელნაწერიდან (S—2568). ამ სკოლამ შემოგვიჩანა იოანე პეტრიწის და მის მიმდევართა ზოგიერთი ისეთი ლექსითი თხზულება (იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბე“, იუზევიელის იამბიკოები, „კლემაქსის“ აღნიშნული ვერსია

---

ოდნობა და უბრალოდ იყო ნათქვამი, რომ დანარჩენი თავები, ანუ ის, რაც არ არის მითითებული გრიგოლის ლექსების ცხრილში, „კლემაქსის“ თავებს წარმოადგენს, ამიტომ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაშიც იხინი (თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემდგენ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988) მექანიკურად ისევე ძველბურად იქნა წარმოდგენილი — „კლემაქსის“ თავები ისევე გრიგოლის ლექსებში შევიდა. ვლიწრობით, წინამდებარე პუბლიკაციის შემდეგ მინც გაირკვევა, თუ რომელი თავებია „კლემაქსისა“ და რომელი — გრიგოლის პოეზიის („კლემაქსის“ თავების სახელწოდებანი იხ. აქვე ტექსტში, გრიგოლის ლექსების შედგენილობისათვის კი იხ. ცხრილი ზემოთ დასახ. სტატიაში).

და სხვ.), რომელიც დღესდღეობით XVIII საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერებით არ არის ცნობილი. ასევე XVII—XIX სს. ხელნაწერებითაა მოღწეული ჩახრუხაძის „თამარიანი“ და იოანე შავთელის „აბღლუმესიანი“<sup>3</sup>.

S—2568-ში იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბე“ დასაწყისში არის მოთავსებული თითქოს ნიმუშად პეტრიწული სკოლის სხვა თხზულებებისათვის — ნათარგმნისა თუ ორიგინალურისათვის, რომლებიც მას მოსდევს ამ ხელნაწერში. ესენია: გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური ქართული თარგმანი, იოანე სინელის „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსია, იოანე მონაზონის იამბიკოების თარგმანი, იეზეკიელისა და პეტრე გელათელის იამბიკოები. როგორც ჩანს, შედგენილობის მიხედვით S—2568-ს დედანი სასწავლო კრებული უნდა ყოფილიყო ველათის სალიტერატურო სკოლისათვის, ისევე როგორც, «კლემაქსის» პეტრიწული თარგმანები (პროზაულიც და გალექსილიც) სასწავლო-დიდაქტიკური დანიშნულებით უნდა ყოფილიყო გამოყენებულნი ამ სკოლაში<sup>4</sup>.

ამგვარად, „კლემაქსის“ ახალგამოცენილი ანონიმური ქართული ვერსიის ამ პირველი პუბლიკაციით ცნობილი ხდება კიდევ ერთი ძეგლი იმ სამწერლო მიმართულებისა, რომელსაც ელინოფილურ სკოლას უწოდებენ ენობრივ-სტილისტური ნორმების მიხედვით. ამ ძეგლს ქართულ ენაზე არსებულ არაორიგინალურ სამოდერო-მოთხრობით (არალიტურგიკულ) პოეზიაში „კლემაქსის“ პეტრიწულ ლექსით ვერსიებთან და გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებთან ერთად მოცულობით და მნიშვნელობითაც ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს (ამათ გარდა ამავე პერიოდში (XI—XIII სს.) უნდა იყოს თარგმნილი და შექმნილი მხოლოდ მცირე ფორმის იამბიკოებით).

კ. კეკელიძე არაორიგინალურ თუ ნათარგმნ სამოდერო-მოთხრობით პოეზიაში გულისხმობდა როგორც ზერძულ პოეტურ ნაწარმოებთა გადმოქართულებას, ისე პროზაულ ნაწარმოებთა ვალექსეას (იგულისხმება ქართულად უკვე ნათარგმნი პროზაული ნაწარმოებები)<sup>5</sup>. ასეთია გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური თარგმანი და თითქმის ორიგინალური „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსიაც. ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით იგი ეხმარება ეპოქის მოთხრობილებებსაც და გემოვნებასაც, პეტრიწული სალიტერატურო სკოლის ინტერესებსაც<sup>6</sup>. მიუხედავად დიდი მოცულობისა, „კლემაქსის“ ანონიმური ვერსიის ცალკეული სტროფები — მცირე გალექსილი მონაკვეთები, რომლებიც შედგენილია მოკლე, სხარტი, გამოკრებილი სენტენციებისაგან, ახლოს დგას XI—XII საუკუნეებიდან ქართულ სამოდერო-მოთხრობით პოეზიაში უკვე ფეხმოკიდებულ მცირე ფორმის იამბიკოებთან (ნათარგმნთან თუ ორიგინალურთან — დემეტრეს, თამარის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, იეზეკიელის, პეტრე გელათელის და სხვ.) და თეოლოგიურ საკითხებს ეხება. ამ ე. წ. ფილოსოფიურ პოეზიას (როგორც შ. ნუცუბიძე უწოდებს მას) ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და ელინოფილური სკოლის სხვა ცნობილი თუ უცნობი მოღვაწენი წარმართავენ (განსაკუთრებით კი იოანე პეტრიწი და მისი სკოლა). ქართული სააზროვნო კულ-

<sup>3</sup> იხ. ძველი ქართველი მეხოტბენი, ი. ლოლაშვილის გამოცემა, ტ. I, თბ., 1957, გვ. 28-29; ტ. II, თბ., 1964, გვ. 23-51.

<sup>4</sup> დ. მეღვიძიაშვილი, ველათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, თსუ შრომები, 267 (ენათმეცნიერება), 1986, გვ. 222.

<sup>5</sup> იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია I, თბ., 1980, გვ. 607—615.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 607.

<sup>7</sup> შლრ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, გვ. 110. იოანე სინელის „კლემაქსის“ უცნობი ქართული ვერსია, გვ. 150-153.

ტურის განვითარების ამ გზაზე იოანე პეტრიწის „სათნობათა კიბესთან“, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის თარგმანებთან და სხვა ნააარგმნ თუ ორიგინალურ ძეგლებთან ერთად დაახლოებით XII—XIV საუკუნეებისათვის იოანე სინელი „კლემაქისი“ ანონიმური ქართული ვერსიაც დგას<sup>8</sup>. მათი არსებობა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ივარაუდებოდა და მომავალში გამოსავლინებლად და შესასწავლად იყო დასახული (შ. ნუცუბიძე)<sup>9</sup>. გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური ქართული თარგმანისა და „კლემაქისი“ ანონიმური ქართული ვერსიის გამოვლენაც სწორედ ამ მიზანს — ელინოფილურ სალიტერატურო სკოლაში შესრულებული ე. წ. ფილოსოფიური არალიტურგიკული (სამოძღვრო-მოთხრობითი) პოეზიის ნათარგმნი თუ ორიგინალური ძეგლების პოვნას და პოვნის და არსებულის კვლევას ემსახურება. ამის შემდგომ ე. წ. აღორძინების პერიოდამდე ქართული არალიტურგიკული სასულიერო პოეზიიდან სხვა აღარაფერია ცნობილი.

„კლემაქსთან“ და მის ქართულ ვერსიებთან დაკავშირებული საკითხები დასახელებულ წერილში გვექონდა მიმოხილული. დამატებით აქ შეიძლება კიდევ აღვნიშნოთ შემდეგი საკითხები:

ბერძნული ხელნაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე მეტად ზიზანტიაში „კლემაქისი“ გავრცელებული იყო XI საუკუნეში. XII—XIII საუკუნეებში ინტერესი შესუსტდა ამ ძეგლისადმი, ხოლო XIV საუკუნიდან ისიხასტური კამააის დროს ისევ გაიზარდა (მას იყენებდნენ თავიანთ თხზულებებში სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, გრიგოლ სინელი, გრიგოლ პალამა და სხვ.)<sup>10</sup>. სლავური ხელნაწერების მიხედვითაც იგივე სურათია: XI საუკუნეში ძალზე გავრცელებულია პირველი სლავური თარგმანები (ბულგარეთში შესრულებული X—XI საუკუნეებში). ახალი სლავური თარგმანი (უფრო ზუსტი) შესრულდა სერბიაში XIV საუკუნეში. XIV—XV საუკუნეებში კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი რუსეთში „კლემაქისისადმი“ და სხვა ისიხასტური ლიტერატურისადმი (ასკეტური ლიტერატურა: ისააკ ასური, ამა დოროთეოსი, სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, გრიგოლ სინელი და სხვ.). XV საუკუნიდან ეს ინტერესი ისევ ეცემა. განსაკუთრებით იყო გავრცელებული გამოკრებილი ადგილები „კლემაქსიდან“ (წყარობის მითითებით თუ მიუთითებლად)<sup>11</sup>. თუ დავუკვირდებით, იგივე პროცესია საქართველოშიც: X—XI საუკუნეებში „კლემაქისი“ თარგმნა ეფთვიმე ათონელმა (ეს თარგმანი, როგორც ჩანს, ყვე-

<sup>8</sup> გამოკვლევა ამ ძეგლის შესახებ ცალკეა გამოქვეყნებული (იხ. უკვე დასახ. იოანე სინელის „კლემაქისი“ უცნობი ქართული ვერსია, „მაცნე“, ელს, 1987, № 4), სადაც განხილულია ძეგლის შედგენილობა, წარმომავლობა, მისი შემცველი ხელნაწერების ტექსტობრივი თავისებურებანი, ძეგლის ენობრივ-სტილისტური მხარე, მასთან დაკავშირებული ფილოლოგიურ-ისტორიული არაუმეტებე, რომელთა მიხედვით, „კლემაქისი“ ანონიმური ქართული ვერსია და გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური ქართული თარგმანი პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში შესრულებულადაა მიჩნეული დაახლოებით XII—XIV საუკუნეებში, შესაძლოა, ერთი და იმავე პირის მიერ და გადაწერილი და გამრავლებული ჩანს ანტონის მიმდევართა მიერ XVIII—XIX საუკუნეებში.

<sup>9</sup> იოანე პეტრიწი, შრომები II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1973, გვ. CXII. აკად. კ. კეკელიძეს სპეციალურად არ უკვლევია ეს თხზულებანი, მაგრამ დიდი მეცნიერის ალღოთი გრიგოლის პოეზიის თარგმნას დიდ მოულოდნელო მიჩნევა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის (იგივე შეიძლება ითქვას ამ პოეზიასთან მოთავსებულ ანონიმურ „კლემაქსზედაც“) და მისი თარგმნის სავარაუდოდ დროდ იოანიკ მონაზონის და იოანე ოქროპირის იამბიკობთან ერთად XII ს. I ნახევარს ვარაუდობდა (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 612).

<sup>10</sup> Г. М. Прохоров, „Лествица“ Иоанна Синайского (Четьи сборники Древней Руси), Труды отдела древнеруский литературы XXXIX, Л., 1985, გვ. 256.

<sup>11</sup> Г. М. Прохоров, Памятника переводной и русской литературы XIV—XV вв., Л., 1987, გვ. 257.

10. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 3

ლაზე მეტად იყო გავრცელებული. გამოკრებილი ადგილებიც აქედანაა შესრულებული). XI—XII საუკუნეებში იგი ხელახლა თარგმნა იოანე პეტრიწის (უფრო ზედმიწევნით). მისი თარგმანი წინ უსწრებს ახალ სლავურ თარგმანს. მან „კლემაქსის“ მეორე ქართული ვერსიაც შექმნა (გალექსილი). „კლემაქსი“ გალექსა აგრეთვე იოანე პეტრიწის უცნობმა მიმდევარმა, რაც შესაძლოა, XIII—XIV საუკუნეებში ამ ძეგლისადმი გაცხოველებული ინტერესის შედეგად იყოს.

აღსანიშნავია ლექსთწყობის საკითხებიც. „კლემაქსის“ ქართული ლექსითი ვერსიები შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. როგორც აღნიშნავენ, იოანე სინელი ხანდახან ახდენს თავისი ტექსტის რიტმიზაციას და „კლემაქსის“ თითოეული საფეხური მთავრდება ლექსითი რეზიუმითი. როგორც ჩანს, ამის საშუალებას იძლეოდა თხზულების ფოლკლორული ტონი, სადა, აფორისტული ენა, გამდიდრებული ხალხური სენტენციებით და გამოწვევებით, რითაც ვაძლიერებულია მკაცრი ასკეტური მორალი და პიროვნული განცდები. გარდა ამისა, ჰიმნოგრაფიაში არსებობს აგრეთვე ფაქტი, რომ არა უგვიანეს XI საუკუნისა ერთი აკროსტიქული კანონი შეთხზულია „კლემაქსის“ ძლიერი გავლენით (მისი ტექსტი გამოყენებულია აკროსტიქის სახით)<sup>12</sup>. რიტმულობა რომ აქვს პეტრიწულ პროზაულ თარგმანსაც, ჩანს იქიდან, რომ იგი თავისუფლად, თითქმის შეუცვლელად გადადის ლექსად ანონიმურ ვერსიაში (მცირეოდენი კლება-მატებისა და გადასხვაფერების გამოვლენით, რაც მარცვალთარადენობის საპირობითაა გამოწვეული). შესაძლებელია, ამიერი იყოს გამოწვეული ის, რომ ანონიმური ვალექსილი ვერსია უფრო მეტადაა დამოკიდებული თავის წყაროზე — პეტრიწულ პროზაულ ვერსიაზე, ვიდრე იოანე პეტრიწის ვალექსილი ვერსია თავის წყაროზე — ეფთვიმე ათონელას პროზაულ ვერსიაზე (იხ. ტექსტი).

რაც შეეხება თარგმანის ენას, ცხადია, რომ ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიის ენა უფრო ბუნებრივი ქართულია, ვიდრე ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზიისა და მათი მიმდევრების ენა (რადგან ლიტურგიკული პოეზია საყოველთაო ხასიათისაა, არალიტურგიკული კი უფრო ვიწრო და სპეციალური წრისთვისაა განკუთვნილი), მაგრამ „კლემაქსის“ ლექსითი ვერსიებში ამას აწონასწორებს აფორისტულობა, სენტენციურობა, მიუხედავად ზოგიერთი სინტაქსური და ლექსიკური ბერძნისებისა. იგი უფროა დაზღვეული შეცდომებისაგან, ვიდრე გრიგოლ ნაზიანზელის დიდაქტიკური ლექსების თარგმანები (განსხვავებით ლირიკული აღსარებების თარგმანებისაგან<sup>13</sup>). ეს, შესაძლოა, იმითაცაა გამოწვეული, რომ „კლემაქსის“ ანონიმური ვერსიის წყარო იოანე პეტრიწის ქართული თარგმანია, რომელსაც ანონიმი თითქმის ზედმიწევნით მისდევს და, თუ არ ჩავთვლით უშემასმენლო წინადადებებს, მიმდებარე კონსტრუქციებს და სიტყვათწარმოებით კალკებს (რაც აუცილებელია იამბიკოს შეკუმშული ფორმისა და აფორისტულობისათვის), სტილისტური შეცდომებისათვის ადგილი ნაკლებად რჩება.

„კლემაქსის“ ანონიმური ვერსიის კავშირს ქართული სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზიის ბევრ სხვა მხარესთან და მათ ერთად მიმოხილვას ებოჭის ლიტერატურული ინტერესების შესაბამისად ცალკე შევეხებით.

„კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსიის წინამდებარე პუბლიკაცია ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს იმ ტრადიციისა, რომელიც პროფ. ივანე

<sup>12</sup> Г. М. Прохоров, „Лествица“..., გვ. 256.

<sup>13</sup> იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, „მაცნე“, ელს, 1986, № 3, გვ. 87—112.

ლოლაშვილმა დაიწყო, ვინც შეისწავლა და გამოსცა ქართული ფილოსოფიური პოეზიის უპირველესი ძეგლი, ფილოსოფიური ტრაქტატი — იოანე პეტრიწის „სათნობებათა კიბე“ (რომლის მიზანძვასაც წარმოადგენს ჩვენი ძეგლი) და ამასთან მიმოიხილა აგრეთვე ამ პერიოდის სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზიის ნაწილი (იეზუიტების, პეტრე ველათელის და სხვ. ნაშრომები). ამით პატრიცეუმულმა მეცნიერმა სათვლე დაუდო იოანე პეტრიწის მიერ დასახული ფილოსოფიური პოეზიის და საერთოდ, ქართული სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზიის პუბლიკაციას, საფუძვლიან შესწავლას და მისთვის კუთვნილი ადგილის მიჩენას ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

**ტექსტისათვის 1.** იოანე სინელის „კლემაქსის“ უცნობი ქართული ვერსიის გამოცემისათვის გამოყენებულია დრესდათვის მიკვლეული მისი შემცველი ყველა ხელნაწერი: A : S—2568 (XVIII ს.), L : C—9 (1788 წ.), B : H—1737 (XVIII ს.), C : S—348 (XVIII—XIX ს.), D : S—379 (XIX ს.), E : S—3642 (1800 წ.) F : S—3731 (1809 წ.) და, ნაწილობრივ, I : A—711 (1785 წ. მხოლოდ თავი 7).

2. ამთგან ყველაზე ადრინდელია A, რომელიც კიდევ უფრო ადრეული პეტრიწული სალიტერატურო სკოლის პროსოდის ნიშნებიანი დედნიდან მომდინარეობს, ამიტომ ტექსტი გაიმართა ამ ხელნაწერის მიხედვით და, მიუხედავად მასში არსებული ორთოგრაფიული სიჭრელისა (ადრეული და XVIII საუკუნისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმები), ფორმათა უნიფიცირება არ მოხდა. მხოლოდ უმცირესი კომპლექსი ყველგან შეიცვალა უე-თი და გასწორდა მართლწერის აშკარა შეცდომები. გამოცემაში ვერ აისახა აგრეთვე A-სთვის დამახასიათებელი პროსოდის ნიშნები (რასაც ცალკე შევსებებით<sup>14</sup>) სწორედ პროსოდის ნიშნების გამო A ყველაზე ადრინდელ ხელნაწერად მიჩნეული. დანარჩენი ხელნაწერები A-დან მომდინარეობს, ვადაწერილია არააპანტონის სალიტერატურო სკოლის მიმდევართა მიერ, იმერეტი A-ს ფურცელთა ადრეული შედგენილ გეგმებზე, A-ს კლებას და ენობრივი თვალსაზრისით საინტერესო ფორმებს არ იძლევიან. მათი არაარსებითი კითხვასხვაობანი, რომელთაც ანტონის ორთოგრაფიის კვალი ამჩნევია, სქოლიოებშია ასახული (ანტონის მიერ შემოღებული ნიშნების გარეშე). ამ ხელნაწერთა ორთოგრაფიულ თავისებურებებს მოკლედ წარმოვადგენთ:

ანტონის მიერ შემოღებულ ნიშანთაგან<sup>15</sup> შედარებით სისტემებრაა გატარებული გარემორთხმულის ხმარება კომპოზიტებში (მაგ., გულის—სიტყვს 7,4). უფრო ნაკლებად სისტემურია სხვა ხელნაწერებში მახვილის ხმარება (მაგ., (ს) ცნთ 38, 16; ბრ უწყის 4, 1 ALBC); კიდევ უფრო იშვიათია მოხრილი (სად ჰმწყსი ცხოვართა 42,1 F). ასევე თითო-ორილა მავალითი გვხვდება კლებულისა (იისუ<sup>16</sup> ამით შეარცხნა პილატუს 2, 3 EF. პეტრე<sup>17</sup> ივლოა 3, 1 F). მცირედნი გამოწკლსების გარდა სისტემურია უბრჯუს (ჟ) ხმარება, მთავრული ასოები მუხლის დასაწყისში; უფრო იშვიათია გ თანხმოვანთგასაყარი და Ф ასო. შეცვლილია ცალკეული სიტყვების ორთოგრაფია (უკუეთუ A//უკუეთუ LBDCEF 21, 1), აღდგენილია გამოსავალი ფორმა (ძალ-უც A//ძალუმს CDEF 33, 3). სისტემურად გვხვდე-

<sup>14</sup> პეტრიწული „კლემაქსის“ ხელნაწერების (H—1669; A—39) და S—2568 ხელნაწერის პროსოდის ნიშნების მიმართებას და ანტონის ზოგიერთი ნიშნის დამოკიდებულებას ბერძნულიდან შემოსულ პროსოდის პეტრიწულ ნიშნებთან ცალკე შრომაში მიმოვიხილავთ.

<sup>15</sup> შდრ. ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში (ნარკვევი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან), ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, 1—4. ანტონი II. მარტირავა, ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბაძიაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბ., 1980, გვ. 525—585.

ბა უმ კომპლექსი (A-ი ჭრელი სურათია—ზოგჯერ უე გვხვდება, ზოგჯერ კი—უმ: მეტყუელმან A//მეტყუელმან LBCDEF 3,1; ზუმზულ ALBD//ვეებულ C//ზეზულ EF 2, 5). გვხვდება ჭარისა და ხანის აღრევა (განკობა ALBCE//განხობა DF 7, 2; უბრწუნელისათს განხრწნაღთა ALBDEF თ. 15 სათაური). ასევე ვინი და უმარცვლო უნიც ერთმანეთშია აღრეული (ცოდვად AE//ცოდვად LBCDF 3,3; მარხვად A//მარხვად LBCDEF 18, 2; ადვილ A//ადვლ LCDEF 20,14; დამორვალი AL//დამორვალი B//დამორვალი CEF//დამორვალი D 4,5; დამთხვევით A//დამთხვევით E 38, 4; აღუზავებულად A//აღუზავებულად CD 29, 3; დავიცვენ (წყარო)//ვიცენ A LBCDEF 3, 3). გვხვდება ჰს კომპლექსი (ვთქუ A//ვსთქუ LBE//ვსქუ CDF 3, 3). ა უკვე უფუნქციოა XVIII ს. ძეგლებში. მისი ხმარება არაა უნიფიცირებული ჩვენს ხელნაწერებშიც (რამ A//რა LBCDEF 8, 4; რამათა ALB//რათა CDEF 14, 4; საცნოსა ALB//საცნოსა CDEF 40, 5; სახლი გორცისა A//გორცისა LBCDEF 12, 3. შდრ. იქვე: სახლი სელისა ALBDEF 12,4; უმჯაბეს გარდმოვრდომად A//გარდმოვრდომად LBCDEF 3, 4; უღებ-ვყოთ სათნოება A//სათნოება LBCDEF 38, 4). ბერძნულიდან მომდინარე სახელებში აღდგენილია ოს დაბოლოება (ანგელოზთაგან A//ანგელოზთაგან LBCDEF 33,1). თუმცა ამ მხრივ A-შივე ჭრელი სურათია (აქვე გვხვდება „ანგელოს“ ფორმაც: 14, 4; 33, 3; 40, 5), რადგან ეს XVIII ს. ხელნაწერი უკვე ამ პერიოდის ორთოგრაფიული სიჭრელის ამსახველია. H—1669 და A—39 ოზ დაბოლოებიან ფორმას ანიჭებენ ტრადიციისამებრ უბირატესობას. ბერძნული წარმოთქმა აღდგენილი შემდეგ ფორმებში: ἡ *ἐπισκοπή*—ებისკოპოსობა A//ებისკოპოსობა LCDEF//ფისკოპოსობა B 16, 2 (შდრ. ებისკოპოსობა—H—1669, A—39). ტრადიციით დამკვიდრებულ ფორმას ანტონის სკოლის ხელნაწერებში ახალი ბერძნულის დარად გაფორმებული ფორმა ცვლის, რაც ქართულ ხელნაწერებში X—XI საუკუნეებიდან ხდება შესამჩნევი. რაც შეეხება საკუთარ სახელებს, ისინი იმ ფორმებითაა გადმოცემული, რაც მის წყაროშია. ესენია ან ტრადიციით დამკვიდრებული ფორმები (პილატე — Πιλάτος — 2,3; პეტრე—Πέτρος —3,3; მანასე—Μανασᾶς —32,1), ან XII—XIII სს. ფონეტიკური ვითარების ამსახველი ფორმები (იხლ—*Ἰησῶς* — 2,3). გამონაკლისია: *Ἰουδαῖος* (6,1)—იუდეანი H—1669, A—39 AL//იუდეანი E//იუდეანი B//იუდეანი CDF და *Ἰερουσαλήμ* (38, 9 [იერუსალემ]—იერუსალიმი A—39, H—1669//იერუსალემა E//იერუსალემა F<sup>16</sup>//იერუსალიმი LB//იეროსალიმ C//იეროსალიმ D. ზოგ ხელნაწერში ეს ორი უკანასკნელი საკუთარი სახელი ახალი ბერძნულის კვალობაზეა გაფორმებული (იუდეანი, იეროსალიმი).

საერთოდ, ყველა შემთხვევაში დასახელებული ნუსხა XVIII საუკუნისათვის დამახასიათებელ ორთოგრაფიულად ჭრელ სურათს იძლევა: აღრეულია ძველი ასოების ხმარების წესი, სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები, გვხვდება სიტყვათა პარალელური ფორმები (ანგელოსი — ანგელოზი, უკუეთუმცა — უკეთუმცა, რამე — რამე, მეყური — მეყური — მიყურ, ზესამჩენობა — ზემომჩენობა და სხვ.).

3. იშვიათად, ძირითად ტექსტში შეტანილია წყაროს ან დანარჩენ ხელნაწერთა წაკითხვანი, როცა A-ში ვხვდებით წერით შეცდომებს, ან მარცვალთა რაოდენობის დამარღვეველ წაკითხვებს. ასეთია შემდეგი სტროფები: 5,1; 13,4; 18,1; 26,2; 28,1; 29,2; 33,2; 36,2; 37,2; 41,3 და სხვ. ზოგჯერ ძირითადი ტექს-

<sup>16</sup> შდრ. იეროსოლმა (*τὰ Ἰεροσόλυμα*—შ. 12, თ. 1,1)—ნ. მელიქიშვილი, კალკები იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ თარგმანში, მრავალთავი, XIII, თბ., 1986, გვ. 7. შდრ. სახარების *Ἰερουσαλήμ* (ლ. 2.25...) და *Ἰεροσόλυμα* (მ. 2,3...) ქართულად ორსავე შემთხვევაში „იერუსალემ“-ად გადმოიღეს.

ტის მარცვალთაოდენობის მეტ-ნაკლებობის გასწორება შეუძლებელია (20, 14 (13 მარცვალი); 25,1 (9 მარცვ.); 31,2 (13 მარცვ.) და სხვ.). ჩანს, რომ მარცვალთაოდენობისათვის ზრუნავდა A-ს გადამწერი, ალბათ მისი ადრეული დედნის შესაბამისად.

ზოგჯერ A-ში აპოსტროფითაა აღნიშნული მარცვალთაოდენობის გამო დაკლებული ხმოვანი. აპოსტროფი გამოცემაში ასახული არაა. ესენია მაგ., თან-მზრახველი 2,1. შდრ. წყარო: თანამზრახველი; დლითი-დღედთ 9,3. შდრ. დლითი-დღედთა; ზედ მისლვად 10,5. შდრ. ზედა მისლვად; თავთ თუსთა 9, 5. შდრ. თავთა თუსთა; თუსთ 44,3. შდრ. თუსთა; სხუთ 44,4. შდრ. სხუთა; კანონთ ზედასა 19,3. შდრ. კანონის ზედასა; თანგრძნობად 36,3. შდრ. თანგრძნობად; წინმცნობამან 37,2. შდრ. წინამცნობელმან; ნიშთშიერ 37,3. შდრ. ნიშებისა მიერ; მისდშიმადლებად 19,4. შდრ. მიმადლებად მისსა; შემძლებელთვანი 20,1. შდრ. შემძლებელთავანმან; ენების 21,1. შდრ. 23,5. შდრ. ენებისა; ნათლისძლით 25,3. შდრ. ნათლისა ძლით; რომლისძლით 32,2. შდრ. რომლისა ძლით; მოლუაწებრძ ძლით 35,3. შდრ. მოლუაწებისა ძლით; მოწფის ძლით 36,5. შდრ. მოწფისა ძლით; ეშმაკთ საკრველი 26,5. შდრ. ეშმაკთა საკრველი; არმხოლოდ 45,3. შდრ. არა მხოლოდ; ჩემდ ბოროტასა 20,10. შდრ. ჩემდა ბოროტასა; ყოველთ 30,1; 42,5. შდრ. ყოველთა; ვერაღსმც 32,3. შდრ. არაღსმცა; ღმრთის ყოფად 39,6. შდრ. ღმრთისა ყოფად; ეშთიან 33,3. შდრ. ეშმაკთაგან და სხვ. გამოწაკლისია: თანმეცხორებე 28,4. ზეცათ შინაჲ 38,6. არ მოეკუთუნეს 22,5. არ მყოფობასა 30,4. არ შემტკიცების 38,1. არ განმკაცრებულთად 40,4. ზესთ მიენი 23,3 და სხვ. იგივეა წყაროშიც.

4. ტექსტი ყველა ხელნაწერში ძირითადად ერთნაირი შედგენილობითაა წარმოდგენილი. ზოგი ტექსტობრივი დეფექტი (კლება, გადაადგილება) და აგრეთვე ხელნაწერთა მინაწერები შესაბამის ადგილას ვარსკვლავებითაა (\*) აღნიშნული და განმარტებული.

5. ტექსტი იყოფა თავებად, როგორც ხელნაწირებშია წარმოდგენილი. თავების ნუმერაცია, A-დან მომდინარე, ხელნაწირებში ანბანით წარმოდგენილი (ABCD-ში ერთნაირია) და ზოგან მექანიკურად გამორჩენილი (EF), არაბული ციფრებითაა შეცვლილი (11—ია, 12—იბ, 14, 15—იე, 22—კბ, 23, 24—კდ, 25, 26—კვ, 29—კთ, 30—ლ). მე-7 თავის სათაური კავებშია წარმოდგენილი, რადგან ფრაგმენტული დასაწყისის გამო ხელნაწირებში იგი არ იყო ასახული. ანონიმური ტექსტის თავების სათაურები ზუსტად იმეორებს მისი პეტრიწული პროზაული წყაროს სათაურებს. ერთგან ALBCD-ში შემორჩენილია კიდევ სიტყვა „თავი“ (თავი კვ-26).

6. ანონიმის შემოქმედებითი მუშაობის წარმოსაჩენად ტექსტს ერთვის პროზაული წყაროს ის ექსცერპტები, რომლებიც მას გაულექსავს (როგორც ეს იოანე პეტრიწის „სათნობათა კიბის“ ი. ლოლაშვილისეულ გამოცემაშია წარმოდგენილი<sup>17</sup>). ანონიმური ტექსტის ხელნაწერების სინგურით გამოყოფილი სტროფები თანხვედბა წყაროს მთავრულით გამოყოფილ დასაწყისებს. წყაროსათვის გამოყენებულია A—39 (XIII ს.) და H—1669 (XI—XIII სს.) ხელნაწერები<sup>18</sup> გვერდების ჩვენებით (მათი მცირე ორთოგრაფიული განსხვავებანი მხედველობაში არაა მიღებული). სწორდება მხოლოდ უმ დაწერილობა. ვერ აისახა აგრეთვე მათთვის დამახასიათებელი პროსოდის ნიშნები, რაც A-შიც

17 იხ. იოანე პეტრიწი, სათნობათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლეუა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1968.  
18 პეტრიწული პროზაული ვერსია გვხვდება გვიანდელ ხელნაწერებშიც (S 344, XVIII ს., H 2188, XIX ს. და სხვ.).

7. სტროფები დაინომრა საერთო ნუმერაციით თავიდან ბოლომდე მითითების გასაადვილებლად. პროზაული ტექსტი და ვარიანტები მითითებულია სტროფთა ნომრების მიხედვით (სქოლიოებში სტროფის ნომერს მოსდევს ტაგების ნომერი).

8. ბიბლიური ადგილები ტექსტშიც და პროზაულ წყაროშიც (ზოგჯერ მხოლოდ წყაროშია) აღნიშნულია ერთნაირი ნუმერაციით ფრჩხილებში ჩასმული არაბული ციფრით — (1), (2) და სქოლიოებშია მითითებული.

9. თუ „კლემაქსის“ რომელიმე ადგალი გალექსილია როგორც ანონიმის მიერ, ისე ითანე პეტრიწისა და ანტონის მიერ, იგი მითითებულია არაბული ციფრით და ვარსკვლავით. 1\* აღნიშნავს, რომ ანონიმურ სტროფს პარალელური ადგილი გააჩნია ითანე პეტრიწის „სათნობათა კიბეში“, ხოლო 2\*-ით აღნიშნულია პარალელური ადგილი ანტონის ლექსითი რედაქციიდან.

[თავი 7. სიხარულის მოქმედისა გლოისათჳს]

A 67

1. „გბოო მას შინა, განგსაჯო, — თქუა უფალმან“ (1). ნამდულ არარას ესევითარისა თქუმაღ, უძლო რაჲსათჳს დიდებჲა ზესთმცნობელსა\*.

თავი 11. მრავალმეტყუელებისა და ღუმოისათჳს

- 2\* 2. ღუმოისის მეყუთრი მიეახლების ღმერთსა და თანმზრახვალი განათლდების მის მიერ\*\*.
- იისუ ამით შეარცხუნა პილატეს და მამადისა კმისა მყუდროებამან ცუდდილობა ჳუებულ და დაცემულ ყო.

1. მ მე, მ მე, საღა იყო მაშინ იეზეილისა კმაჲ, რაჲთამცა ეთქუა მათღამი, ვითარმედ: „რომელსა შინა გბოო, მას შინა განგსაჯო შენ, — თქუა უფალმან“ (1). ნამდულვე არარას ესევითარისა თქუმაღ შეუძლო, რაჲსათჳს დიდებჲა მხოლოჲსა მცნობელსა (A—39, 75v—76r; H—1669, 76v; PG—88, col. 812).

2. მოყუარე ღუმოისაჲ მიეახლების ღმერთსა და მიწლებით თანმზრახვალი განათლდების მის მიერ. ღუმოიმან იისუგსმან შეარცხუნა პილატეს და მამაკვისა მყუდროებამან კმისამან დაამქუა ცუდდილობაჲ (A—39, 88r—v; H—1669, 89v; PG88, col. 852).

(1) ეზეკ. 7, 8.

1, 1 გბოო FI. მსთქუა F მსთქუა I. 1,2 ნანდულ E. 1,3 რასათჳს EFI. დიდებჲა EFI, /მრავლისმეტყუელებისა LF მრავლისმეტყუელებისათჳს BC მრავლისმეტყუეულლობისათჳს D მრავალმეტყუელებისა E. ღუმოისა BCD (მღრ). მრავალმეტყუელებისათჳს და ღუმოისა A—39, 87v; H—1169, 89r). 2,1 ღუმოისის მეყუარო BD ღუმოის მეყუარო C. ღრისა EF. 2,2 თანმზრახვალი LBC თანმზრახვალი D თანმზრახველი E თანმზრახველი F. შეარცხენი B. 2,4 მამდემისა B მიმდემისა CD და მამადისა E ამადისა F. 2,5 ჳებულ C ჳუმებულ FE. დაცემულ-ჳყო LBFDEF.

\* ეს სტროფი AL-ში უსათატროდ მე-11 თავის წინაა მოთავსებული, EFI-ში კი უკვე გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონიმურ თარგმანთა შორისაა ჩართული. სხვა ხელნაწერებში ეს სტროფი არაა.

\*\* მინაწერი აშიაზე: ესე იგი არს მიცილებით ALEF.



- 1\* 2\* 3. სიტყვსმეტყუელმან პეტრე იგლოა მწარედ, უმოკსენომან წინამეტყუელისამან; ვთქუ: „ვიცუნე გზანი არა ცოდვად ენითა“<sup>(1)</sup> და სხვა მირ: უმჯობეს გარდმოვრომაა ქუეყანად მიმართ სიმაღლით, ვიდრე ენით.

თავი 12. ტყუილისათჳს

- 1\* 2\* 4. არ უწყის ჩხულმან ტყუილი, არცა სულმან, სიბოროტისა სულთა მდევნელისამან. მხიარულქმნილი ღვნითა უნებლიეთ იჴეშმარიტებს და ლობიერებითა დამორვალი სული ვერ შეუძლებს ტყუილად.

თავი 14. ყოლად განთქუმულისათჳს და დედოფლისა ბოროტისა მუცლისა

- 1\* 2\* 5. ნაყროვნება არს ნოაგობათ შემოქმედ, საზრდელთ სიმაძღრე — სიძვისა დედა, ხოლო მუცლის ჴირვება — სიწმიდისა მომატყუებელ. ლომი მლიქნელმან მრავალგზის მოამშუდა და სხეულისა მელღუწმან განაველურა.
6. იუდეანი შაბათ დღესასწაულთა მოსლვით იხარებს. ეგრეთვე მონაზონი მსუმელ-ნაყროვანი შაბათ-კურიაკეთა პირველ ეამისა პასხასა გამოსთულავენ და წინა დღეთაჲთ სანოაგეთ შემზადებნ.

3. სიტყვსა მეტყუელმან პეტრე იგლოა მწარედ, უმოკსენომან მეტყუელისამან; ვთქუ: „დავიცუნე გზანი ჩემნი არა ცოდვად ენითა ჩემითა“<sup>(1)</sup> და სხვა მეტყუელისამან; უმჯობეს გარდამოვრომაა სიმაღლით ქუეყანად მიმართ, ვიდრე ენით (A—39, 88v; H—1669, 89v; PG 88, col. 852).

4. არა უწყის ჩხულმან ტყუილი, არცა სულმან, სიბოროტისაგან დაკლებულმან. ღვნითა მხარულქმნილმან უნებლიეთ იჴეშმარიტოს ყოელისამი და დამორვალმან ლობიერებთა კერ შეუძლოს ტყუილად (A—39, 90r; H—1669, 91v; PG 88, col. 856).

5. ნაყროვნება არს ნოაგობათა შემოქმედ... სიმაძღრე საზრდელთა — სიძვისა დედა, ხოლო ჴირვება მუცლისა — სიწმიდისა მომატყუებელ. ლომი მლიქნელმან მრავალგზის მოამშუდა, ხოლო სხეულისა მოღუწმან უმეტეს განაველურა (A—39, 92r—v; H—1669, 93v—94r; PG 88, col. 864).

6. იხარებს იუდეანი შაბათსა და დღესასწაულსა და მონაზონი ნაყროანი შაბათსა და კურიაკესა პირველ ეამისა პასხასა გამოითულავენ და წინა დღეთაჲთ სანოაგეთა შემზადებნ (A—39, 92v; H—1669, 94r; PG 88, col. 864).

(1) ფსალ. 38, 2.

3,1 სიტყვსმეტყუელმან LBCEF სიტყვსა მეტყუელმან D. იგლოა BCDEF. 3,2 უმოკსენომან BC უმოკსენომან EF. 3,3 ესთქუ LBE ვსთქუ CDF. არა ცოდვად LBPDF. 3,4 გარდმოვრომა LEF გარდამოვრომა B გარდამოვრომა CD. 3,5 ქუეყანად D. /ტყუილისთჳს E. 4,5 დამორვალი B დამორვალი CEF დამორვალი D. /ყოლად BD განთქუმულისათჳს LBCF განთქუმულისათჳს D განთქუმულისათჳს E. დედოფლისა L დედოფლის CD. 5,1 ნაყროვნება ALBCD. ნოაგობათ A ნოაგობათ LBCE. შემქმედ EF. 5,2 სიძვისა LBCDEF. 5,3 ჴირვება LBCEF ჴირვება D. მომატყუებელ LCDEF. 5,5 სხეულის B. მელღუწმან მელღუწი მან LBCE. განველურა BC განველურა D. 6,1 იუდეანი B იუდეანი CDF იუდეანი E. შაბათ D. 6,2 მოსლვით B მოსლვით CD. ეგრეთვე BCDF. 6,3 მსმელ LBCE მსმელ+მსმელ D მსმელ E. კურიაკეთა B. 6,4 პასხასა L პასხასა BCD. გამოსთულავენ CD გამოსთულავენ E გამოსთულიან F. 6,5 წინა დღეთა LBCD წინა დღეთა EF. სანოაგეთა CDEF. შემზადებნ F.

ხოლო განკმობა ამისი — მშობელ წყალთა.  
მუცლის ჭირვეზა — დამდაბლება გულისა,  
ზრუნვა ამის ძლით — გულის-სიტყუს ლაღმყოფელ,  
ერთი რამეთუ წინააღმდგომ მეორის.

8. განიხილე და გესმეს შენ მეტყუელისა:  
„ფართო და ვრცელ გზაჲ მუცლისა მყვანებელი  
წარსაწყემდეღად და მრავალ მვლელნი მასზედ“ (1).  
რაჲ იწრო ბჳე და საჭირო გზა მარხვისაჲ? —  
მყვანი ცხორებად და ზედ მავალნი მცირედ.

თავი 15. უბრწენლისათჳს განხრწნაღთა შორის შრომათაგან და  
ოფლთა სიწმიდისათჳს და მრავალცნობობისა

9. ვიეთმე ჰნატრეს ბუნებით საჭურისთა,  
ვითარ სხეულის მძალვრებისაგან ჰსნიღთა,  
ხოლო მე ვჳნატრე დღითი-დღედთ საჭურისთა,  
გულის-სიტყუთა, ვითარცა მახუღითა,  
თავთ თჳსთა მწუერვალთ მოჳრად მიმტევებელთა.

10. ვიხილენ ვინმე უნებლივ დაცემულნი(?)  
და სხუანი, ნებსით დაცემად მნებებელნი.  
ესე მათისა უუბადრუკეს ვჳგონენ,  
ვითარ მნებავნი ყნოსად ძნელსუღობისა,  
ხოლო ზედმისღვად მისსა ვერ შემძლებელნი.

7. სიმაძრემან მუცლისამან განაჳნა წყარონი, ხოლო განჳა რაჲ ესე, შენა წყალნი...  
ჭირვეზასა მუცლისასა დამდაბლდების გული, ხოლო ზრუნვასა ამის ძლით ლაღის გულის-სი-  
ტყუთა (A—39, 94r; H—1669, 95v; PG 88, col. 868).

8. განიხილე და გესმეს მეტყუელისა: „ფართო არს და ვრცელ გზაჲ მუცლისა, მიყვან-  
ებელი წარსაწყემდეღად სიძვისა და მრავალნი არიან მავალნი მას შინა“ (1). რაჲ იწრო ბჳე  
და საჭირველი გზაჲ მარხვისა, შემყვანებელი ცხორებად სიწმიდისა და მცირედ არიან შე-  
მავალნი მის მიერ (A—39, 95r; H—1669, 96v—97r; PG 88, col. 868).

9. ვიეთმე ჰნატრეს ბუნებით საჭურისად შობიღთა, ვითარცა სხეულის მძალვრებისაგან  
ჰსნიღთა, ხოლო მე ვჳნატრე დღითი-დღედთა საჭურისთა, რომელთა გულის-სიტყუთა, ვითარცა  
მახუღითა, თავთა თჳსთა მწუერვალთ მოჳრად უტევებიეს (A—39, 98v; H—1669, 100v;  
col. 884).

10. ვიხილენ უნებლიეთ დაცემულნი(?) და ვიხილენ ნებსით დაცემად მნებებელნი ვიდრევე  
ვერ შემძლებელნი ხოლო; და დღითიდღე დაცემულთასა უფროჲს უბადრუკ-ვეყვენ იგინი, ვი-  
თარცა ვერ შემძლებელნი ძნელსუღობისა მის ზედა მისღვად (A—39, 98v; H—1669, 100v;  
PG 88, col. 884).

(1) მათე 7, 13.

(2) შღრ. რომ. მიმ. 7, 19.

7,1 განმავლობელ DF. 7,2 განხობა DF. ამისა B. 7,3 ჭირვეზა LBCEF ჭირუღთა D. 7,4  
ზრუნვა CDEF. 7,5 მეორისა BC. 8,1 გესმას F. მეტყუელისა LB მეტყუელისა CDEF. 8,2 გზა  
LBCDEF. მყვანებელი LBCDEF. 8,3 მესელელი C მესლელი D. მვლენი EF. მას ზედა BCD.  
8,4 რა LBCDEF. მარხვისა LCE მარხვისა B მარხვის D. 8,5 მყუანი LBCDEF. მცხოვრებად BCD  
ცხოვრებად E. უტრწენლისათჳს C. განჳრწნაღთა C. სიწმიდისათჳს B. მრავალცნობობისა LDJ  
მთელსუღობისა F. 9,2 ხსნიღთა DF. 9,3 ენატრე BCDEF. დღეთა დღედთ L დღითი დღედ B  
დღითი დღედ CD დღითი დღედ EF. 9,4 მახუღითა B მავკლითა C მახუღითა DEF. 9,5 თავთ LE  
თავითა B თავთა F თავთა—CD. მწუერვალთა LBC მწუერვალთა D მწუერვალთა EF. 10,2 ნფე-  
სით B. 10,3 მთისა A მთისა LB. ვგონენ CD ვჳგონენ EF. 10,4 ძნელსუღობისა L ძნელსუღო-  
ბისა BCDEF. 10,5 მისღვად BEF მისღვად CD.

\* 11. საწყალობელ არს დაცემული, არამედ მომატყუებელი უსაწყალობელს არს ამისი სხსაცა მით, რამეთუ ორთავე დაცემათა და გულისთქუმისა ძმისადასა და მოყუსისადასა სიმძიმე ზედ მოაქუს მას.

12. თვისისა ბრძოლად კორცისა მნებებელი, გინა თვთ ძლევად ამაოდ რბის, რამეთუ არათუ ღმერთმან დაქსნას სახლი კორცისად და აღაშენოს სახლი სულისა, ცუდად ილუძა და იმარხა დამარლუეველმან.

13. ვეძიებ უკუე მე, თუ ვითარ ყოვლისა თანა ცოდვისა ცთომილად მხოლოდ ოდენ ჩუეულ ვართ ჩუენ თქუმად კაცთა, ხოლო ვინათგან გუესმეს ვისიმე სიძვა საწყალობელად, ვიტყუთ, ვითარმედ: იგი ვინმე დაეცა.

14. ვინ სხეულსა სძლო, ამან ბუნებასა სძლო, ხოლო მძლეველი ზესთ ბუნებისა იქმნა. და ესრეთ ქმნილი და უდარეს და რამე — ანგელოსთასა მცირედ, რათა არა ვთქუა, არარაათ ნამდულ, არამედ ერთმან მწყობრა (sic).

11. საწყალობელ დაცემული, ხოლო უსაწყაობელს სხსაცა ამისი მომატყუებელი მით, რამეთუ ორთავე დაცემათა და გულისთქუმისა მოყუსისადასა სიმძიმე ზედ მოაქუს მას (A—39, 99r; H—1669, 100v; PG 88, col. 884).

12. თვისისა კორცისა მნებებელი ბრძოლად, გინა ძლევად თავით თუსით ამაოდ რბის, რამეთუ არა თუ უფალმან დაარღოს სახლი კორცისად და აღაშენოს სახლი სულისად, ცუდად ილუძა და იმარხა დამარლუეველმან (A—39, 99r; H—1669, 100v—101r; PG 88, col. 889).

13. ...ვეძიებ უკუე მე, ვითარ ყოვლისა ზედა ცოდვისა ცთომილად მხოლოდ ჩუეულ ვართ თქუმად კაცთა, ხოლო ვინათგან გუესმეს ვისიმე სიძვა, საღმობიერად ვიტყუთ: იგი ვინმე დაეცა (A—39, 102r; H—1669, 104r; PG 88, col. 889).

14. ვინცა სხეულსა სძლო, ამან ბუნებასა სძლო, ხოლო ბუნებისმძლეველი ნამდულ ზესთ-ბუნებისა იქმნა, ხოლო ესრეთ ქმნილი და უდარეს და მცირედ რამე ანგელოზთასა, რათა არა ვთქუა არარაათ (A—39, 106r; H—1669, 108r; PG 88, col. 896).

11,3 ამის CD. სხსაცა BCD. 11,4 ამისასა LBCDEF. 11,5 მოყუსისასა LBEC მოყუსისა D. მოაქუს LBCDEF. 12,1 ხორცისა D. 12,2 ჰრბის CDF. 12,3 კორცისა LBCEF ხორცისა C. 12,4 სახლი] სახითა B. 12,5 და დამარხა C და დამარხა D და იმარხა+და A. დამარლუეველმან LBDF დამარლუეველმან CE. 13,2 თანა ცოდესა LCDE. ცთომითად—CD ცთომილად LBEC. 13,3. ჩუეულ LBCEF ჩუეულ C. ვინათგან LE ვინათგან BCDF. 13,4 გუესმის LBD გუესმის C გუესმეს EF. წყაროს მიხედვით და შინაარსობლივად „ვისიმე უნდა ყოფილიყო] ზელნაწერებშია: ვითარიმე ALEF ვითარიმე BCD. სიძვა CDEF. 14,1 ჰსძლო CDEF. 14,3 უდარეს და] უდარესად F. რამე CDEF. 14,4 რათა CDEF. არა ესთქუა BE არა ვსთქუა CDF. 14,5 არარაათა AL არარა თ B არარათ CDEF. ნამდვილ B ნამდულ E. მწობრა B.

15. მრავლისა ჩუენ ძლით სახიერმან უფალმან, ამასცა შინა მოსწრაფების მოქმედმან, მამრთადასა მდედრის უუკდემლესობასა, ვითარ ლავმითა რაათამე, სირცხულითა პირი დაუყო, რამეთუ უუუეთუმცა იგი მამლისა მიმართ მსრბოლ იქმნებოდა, არამცა ცხონდა ყოველი კორციელი.

A 69

თავი 22. ცუდღიდებობისათჳს

- 16. ნუ შეიწყნარებ მომაგონებელსა მას წინამძღურობისა ეპისკოპოსობისა და მოძღურებისა შენდა, რამეთუ შრომა ნელისა ოდენ კმისა მიერ ძალლისა საკასაბოხსა ტაბლისაგან განდევნაჲ.
- 17. რაჟამს მცირისა რაჲს(ა)მე მშუდობითისა იხილოს ქცევის მქონებელად ეშმაკმან, უდაბნოთ სოფლად მაწუევლოზს მეყსეულად, მეტყუელი: წარვედ მაცხოვარებად სულთა წყმედულთა, რაათა ცუდმაშურალ ყოს მოღუაწე.
- 18. მეცუდღიდებე ტრაპეზად დასხდომილთა მარხვად აწუევს და უწყალოდ აღადგიენბს ზედგანმცდელობად უქვემოესთა მათათად, შეიმოსოს რაჲ სიმდაბლე დიდების ძლით ზესთმჩენობისა არ შემომცირებელმან.

15. მრავლისა ჩუენ ძლით სახიერმან უფალმან, მოქმედმან ამასცა შინა მოსწრაფებისამან, მდედრისა უკდემლობასა, ვითარცა ლავმითა რაათ[ა]მე, სირცხულითა პირი დაუყო, რამეთუ უუუეთუმცა იგი მამლისა მიმართ მირბიოდა, არამცა ცხონდა ყოველი კორცია (A—39, 106v; H—1669, 108v; PG 88, col. 896).

16. ნუ შეიწყნარებ მას ეპისკოპოსობისა და წინამძღურობისა და მოძღურობისა მომაგონებელსა შენდა, შრომა რამეთუ ძალისა საკასაბოხსა ტაბლისაგან განდევნაჲ (A—39, 121v—122r; H—1669, 123v; PG 88, col. 952).

17. რაჟამს მცირისა რაჲს[ა]მე მშუდობითისა იხილოს ქცევის მქონებელად, მეყსეულად უდაბნოთ სოფლად მიმართ მაწუევლოზს წარსლვად: წარვედ, — მეტყუელი: — მაცხოვარებად წარწყმედულთა სულთა (A—39, 122r; H—1669, 123v; PG 88, col. 952).

18. ერისკაცთა მოსლვასა წინა უსწრობს ცუდღიდებობაჲ და უსუბუქესთა მონაზონთასა მიგებებად მომაგალთამი აწუევს განსლვად, წინა ფერჯთა მათთა აღმზადებს შვეგრდომად და სიმდაბლესა შეიმოსს ზესთმჩენობითა აღსაესე, ჩუეულებასა და კმასა შემოიკრებს და კელთა ნიმართ მოსრულთასა მიღებისა ძლით ხედაეს, მეუფედ უწოდს და ზედამდგომელად და შემდგომად ღმრთისა ცხოვრების მიმნიჭებელად, ტრაპეზად დასხდომილთა მარხვად აწუევს და უუუეთუმცა იგი მამლისა მიმართ მსრბოლ იქმნებოდა, არამცა ცხონდა ყოველი კორცია (A—39, 122r; H—1669, 123v—124r; PG 88, col. 952).

15,2 მოსწრაფებით EF. 15,3 მამრთასა LBCEF მართასა D. მდედრის A მდედრისა BD მდედრის CEF. უუკდემლესობასა LBC უუკდემლესობას D. 15,4 რაათამე LBCE. სირცხულითა B. 15,5 უუეთუმცა LBCDEF. 15,6 სრბოლ L მსრბოლი B. 15,7 ცხოუნდა CD სცხონდა E მსცხონდა F. სორციელი D. /ცუდღიდებულებისათჳს L ცუდღიდებობისთვის BC. 16,1 მომაგონებელსა BC მომაგონებელს D. 16,2 წინამძღურობისა A. ეპისკოპოსობისა A ეფისკოპოსობისა B. 16,3 მძღურებისა EF. 16,4 ძალლისა] მდედრისა BCD. 16,5 საყასაბოხსა B საყასაბო:სა CD საყასაბოხსა EF. განდევნა LBCDEF. 17,1 რასამე LBCDE რასამე F. 17,2 ეშმაკი მან B. 17,3 უდაბნოთ BCDF ოდაბნოთ E. მაწუევლოზს LB მაწუევლოზს C მაწუევლოზს DEF. მეყსეულად LBCDE. 17,4 მეტყუელი LBCDEF. მცხოვრებელ LB ცხოვრებელ CD. სულთა ALBEF. 17,5 რაათა] რა LBCD რათა EF. ცუდმაშურალ-ყოს LBCDEF. 18,1 დასხდომელთა A დამსხდომელთა LBCD 18,2 მარხვად LBCDEF. აწუევს C. 18,3 უუუეთუმცათა LBDF. 18,4 რა LBCDEF. 18,5 არ შემამცირებელმან BCD.

19. ფსალმუნებადმი ზარმატოა მკნედ იმეკმებს,  
უკმოთა კმა-ტკბილ, მრულთა მღვპარე ჰყოფს, ხოლო  
კანონთ ზედასა ჰმოგუნის და დასაბამთა  
მისდ მიმადლებად ევედრების მამად და  
მოძღურად მწოდები ვიდრე უცხოთ წარსლვადმდე.

20. მაღალთა ვინმე ხედვად შემძლებელთგანი  
მომითხრობდა ჩუენ მეტყუელი, ვითარმედო:  
შესაკრებელსა შორის მჯდომარესა მე  
მოსრულნი ორნი ცუდდიდებობისა და  
ზესთმჩენობისა ეშმაკნი თანმომისხდეს 5  
და რომელიმე ჩემსაო ჰგუმერდა გუერდასა  
თქუმად რასმე ქმნილსა ანუ ხილულსა ჩემგან;  
განვიშორე რაჲ ესე ამას მეტყუელმან:  
„მართლუკუნ იქცედ და ჰრცხუნოდედ მზრახვალთა  
ჩემდ ბოროტთასა“ (1), მეყსეულად მარცხნითი 10  
ყურისა მიმართ იტყოდაო ჩემისა:  
ვაშა, ვინაჲთგან გიქმნიეს და დიდ ქმნილ ხარ,  
მძლეველი დედის უუკდემელესის ჩემის,  
მუკლის შემდგომსა, რომლისადმი ადვილ ვლენით  
აღმღებელმან ვთქუ: და იქცედ მეყსეულად 15  
სირცხულელნი და კდემულნი ამაოდ(2),  
მეტყუელნი ჩემდა: ვაშა, ვაშა გიქმნიეს.

A v

19. ფსალმონებასა შინა დადგომილი ზარმაცი მკნედ იმოქმენდა, უკმონი — კმაკეთილად და მერულენი — მღუპარედ. კანონის ზედასა ჰმოგუნის და დასაბამთა მიმადლებად მისსა ევედრების, მამად და მოძღურად უწოდს, ვიდრე უცხოთა წარსლვადმდე (A—39, 122r—v; H—1669, 124r; PG 88, col. 952).

20. შეისწავა ვინმე ხედვად შემძლებელთაგანმან და მომითხრობლობდა მეტყუელი: ვითარმედო, — იტყოდა — შესაკრებელსა შორის მჯდომარეობასა ჩემსა მოსრულნი ცუდდიდებობისა და ზესთმჩენობისა ეშმაკნი ორკერძო ჩემსა მსხდომარე იყვნეს და რომელიმე ჰგუმერდაო გუერდასა ჩემსა ცუდდიდებობისა მიერ თითისა მისისა, მაწუეველი ჩემდა თქუმად რასმე ხედვასა, გინა საქმესა, რომელი ვქმენ უღაბნოს შინა; ხოლო განვიშორე რაჲ ესე მეტყუელმან: „მართლუკუნ იქცედ და ჰრცხუნოდედ მზრახვალთა ჩემდა ბოროტთასა“ (1), მეყსეულად მარცხნითი ყურისა მიმართ იტყოდა ჩემისა: ვაშა, ვაშა გიქმნიეს და დიდ ქმნილ ხარ მძლეველი უუკდემელესისა დედისა ჩემისა, რომლისა მიმართ მე ადვილ ვლენით შემდგომსა მუკლისასა აღმღებელმან ვთქუ: უკუნ იქცედ მეყსეულად სირცხულელნი(2), მეტყუელნი ჩემდა: ვაშა ვაშა გიქმნიეს (A—39, 123v; H—1669, 125r—v; PG 22, col 953).

(1) ფსალ. 39,15. (2) შტრ. I მფე. 2,30.

19,1 მხნედ D. იმეკმეობს L იმეკმებს B. 19,2 უკმოთა C უხმოთა D ოკმოთა E. ტკბილი B. მღვპარე-ჰყოფს ALBCD ჰყოფს—CD. 19,3 კანონთა L. 19,4 მისდა B. 19,5 წარსრულადმდე B-წარსლვადმდე CDF. 20,1 მაღალი CD. ვინმე| ვიდრემე BCD. ხულელად LBCDEF. შემძლებელთაგანი LBE შემძლებელთაგან CD. 20,2 ჩვენ L ჩუნ D. მეტყუელი LCDEF. ვრო| ვემეო EF. 20,5 ზესთმჩენობისა C. 20,6 ჰგუმერდა A მიგუმერდა B მიგრუმედა CD ჰგუმედა E ჰგუმედა F. გუმერდა LBCDEF გუმერდა D. 20,7 ხილულსა B. 20,8 განვიშორე DC. რა LBCDEF. მეტყუელმან LBCDEF. 20,9 იქედ E. ჰრცხუნოდედ A ჰრცხუნოდედ L ჰრცხუნოდედ BEF რცხუნოდედ CD. მზრახვალთა LBCD მზრახულთა EF. 20,10 ჩემდა LBCD ჩემ EF. ბოროტთას CD. მეყსეულად LBCDEF. მარცხნით LBCDEF. 20,11 ყურისა| შურისა LBC შურის D. იტყოდა B—ჩემისა იტყოდა EF. 20,12 ვინაღან LF ვინათგან BCD ვინაღა E. 20,13 მძლეველის LCD მძლეველისა B. უუკდემელესის LB უუკდემელესისა C უუკდემელესის D. 20,14 მუკლის D. რომლისადმი| ძალისამი LBCD ძალისადმი E ძალისდმი F. ადვლ L. ვლენით LEF| ადვლენით CD. 20,15 ვსთქუ LBE ვსთქუ CDF. იქედ CDEF. მეყსეულად LBDE მეყსეულად C. 20,16 სირცხილელნი B. კდემული A. 20,17—C. მეტყუელნი LEF მეტყუელი D.



21. უკუეთუ სხვა ვნების რაღსმე თვნიერ ამის ძლით ხოლო მხოლოდასა შთამოვარდა ცათათ ეშმაკი, საძიებელ ნუსადა, თვნიერ სხვა სათნოებისა ზეცად მიმართ ჯერ-იყოს აღსლვად სიმდაბლისაგან.
22. ზესთმჩენობა არს სიმდიდრისა და ოფლთა წარწყმედად, ვითარ ღალადყვესო და არა იყო მაცხოვარ ნამდვლ: ზესთმჩენობისა მიერ ღალადყვეს, ვინაფთგან, რომლითა ძლით ილოცვიდეს, არ მოეკუეთენეს იგინი.
23. მეზესთმჩენესა ბერი ასწავებდა რაჲ, იგი დამბრძალი, შემინდვეო, — იტყოდა, — ბერო, რამეთუ არა ვარ მე ზესთმჩენი. ხოლო ბრძენმან მან ბერმან და რომელსაღა აღმოსაჩენსა ჰრქუა: შეილო, ამის ვნების უცხადესსა ჩუენ მომცემ თვნიერ თქუემასა უმეტერებოთსა, ვითარმედ: არ ვარ ზესთმჩენ.
24. მონაზონისა ზესთმჩენისა ეშმაკი არ სამოქენო, რამეთუ თუთ თავისა იგი თვისსა ეშმაკ და მბრძოლ იქნების. უცხო ვიდრემე ნათლისაგან სიბნელე, ხოლო ზესთმჩენი უცხო სათნოებისა.

5

21. უკუეთუ თვნიერ სხვა რაღსმე ვნებისა ამის ძლით ხოლო მხოლოდასა ცათაგან შთამოვარდა ეშმაკი, საძიებელ ნუსადა და თვნიერ სხვადა სათნოებისა სიმდაბლისაგან ზეცად მიმართ აღსლვად ჯერ-იყოს (A—39, 126r—v; H—1669, 127v; PG 88, col. 968).

22. ზესთმჩენობაჲ არს სიმდიდრისა და ოფლთა წარწყმედად, ღალადყვესო და არა იყო მაცხოვრებელი ნამდვლე, რამეთუ ზესთმჩენობისა მიერ ღალადყვეს ღმრთისა მიმართ და არ შეისმინა მათი ნამდვლე, რამეთუ მიზენი, რომლითა ძლით ილოცვიდეს, არ მოეკუეთენეს (A—39, 126v; H—1669, 127v—128r; PG 88, col. 968).

23. ძმასა მეზესთმჩენესა ბერი ცნობითი სულისაჲ ასწავებდა, ხოლო იგი დამბრძალი იტყოდა: შემინდვე, მამო, არა ვარ ზესთმჩენი; ხოლო ყოვლად ბრძენმან მან ბერმან მისსამი და რომელსაღა თქუა აღმოსაჩენსა: შეილო, ვნებისა ამის უგანცხადებულესსა მომცემ ჩუენ თვნიერ თქუემასა: არა ვარ ზესთმჩენი (A—39, 126v; H—1669, 128r; PG 88, col. 968).

24. მონაზონისა ზესთმჩენისა არ სამოქენო ეშმაკი, რამეთუ იგი თუთ თავისა თვისსა ეშმაკ და მბრძოლ იქმნა. უცხო ვიდრემე ნათლისაგან ბნელი, ხოლო უცხო და ზესთმჩენისა ყოვლისაგან სათნოებისა (A—39, 128r; H—1169, 129r; PG 88, col. 969).

21,1 უკეთუ LBCDEF. ვნებისა BCDF. რასმე LB რას CD რასამე F. 21,2 მზლოსა A მხოლოსა LBCDEF. 21,3 ცათად CD. 21,5 ჯერ-იყო BEF. აღსლვად B აღსლვად CDEF. 22,1 ზესთმჩენობა LBCDEF. 22,2 წარწყმედა LBCDEF. ღალადყვესო LB ღალადყვესო CDF ღალადყვესო E. 22,3 ნანდვლ CDE. 22,4 რომელითა D. ღალადყვეს LB ღალადყვესო CDEF. ვინაღან E-22,5 ილოცვის LDEF. არ მოეკუთნენს LCDEF არ მოეკუთნენს B. 23,1 მეზესთმჩენესა L. რა LBCDEF. 23,2 დამბრძალი LB დამბრძოლ CD დამბრძალი EF. შემინდვე BF შემინდვე CDE. 23,3 ზესთმჩენი D. 23,4 რომელსაღა] რასაღა CD. 23,5 შულო LCDE. 23,6 თქმასა LBCDEF. 23,7 ვითარმედ] არამედ B. არა LBEF. ზესთმჩენი F. 24,3 თვისისა B. და მბრძოლ] დამბრძოლ B დამბრძოლი C დამბრძოლი D. იქმნების—CD.

\* A-ში ფ. 73r—v (თავი 23,24) ჩასმულია „მწყემლისა მიმართ“ თავის შემდეგ (პირველი სტროფი და მე-2 სტროფის 1—2 ტაქტები—71v; ფ. 72r—v ასევე უადგილოდა აქ ჩართული და გრიგოლ ნაზიანზელის „ოთხტაქტისი“ ნაწყვეტს წარმოადგენს). თავების ასეთი აღრულები თანმიმდევრობა ამ სახით გადადის სხვა ხელნაწერებშიც. წინამდებარე გამოცემაში თავებს თანმიმდევრობა აღდგენილი და დალაგებულია.



- 1\* 2\* 25. „ისწავეთ ჩემგან, — იტყვს, — მშედ ვარ, მდაბალ გულითა და ჰპოვით განსუენება“ (1).  
სამართალ პირველ მზის ნათლის ძლით მთენობა,  
ამის შემდგომად მზისამი მკაცრ აღზილვად  
და სხუებრ ვინაჲმე მათი ხილვად უღონო.
- 1\* 26. მორჩილებისა სიმშედ თანმოქმედი,  
ძმობისა მძლუარი, ბორგნულთა ლაგამი,  
გულმწყარალთა განჭრად, სიხარულსა მომცემი,  
ქრისტეს მსგავსება, ანგელოზთა თუთება,  
ემმათ საკრველი და სიმწარისა ფარი.
27. გულთა მშედთასა განისუენებს უფალი,  
სული მეშფოთე — ეშმაკის დასაჯდომელ.  
„მშედთა ქუეყანად დაიმკდრონ“ (2), უფროსდა  
და ეუფლენცა, ვინაჲცა მრისხანენი  
მამადნი მათით წარიტყუენენ ქუეყანით.
28. სული მშუდი არს საყდარ სიმარტივისა,  
ხოლო გონება მრისხანე — მიქმ ბოროტთა.  
მშუდი დაიტევს სიტყუათა სიბრძნისათა,  
თანმეცხოვრებე წრფელი დამდაბლებისა,  
ხოლო ბოროტი — მკეველ ზესთმჩენობისა\*.

25. რამეთუ ისწავით ჩემგან, — იტყვს, — რამეთუ მშედ ვარ და მდაბალ გულითა(1). არა უკუე სამართალ არსა პირველ მზისა ნათლისა ძლით განათლებად? ამის შემდგომად მზისამი აღზილვად ძლიერად. არა არს რამეთუ, არა არს ამისისა წინა არა მცობელისად მათი ხილვაჲ, ვითარ იგი ქმნილთა მასწავლელობს ჰეშმარით მდგომობად (A—39, 131v; H—1669, 133r; PG 88, col. 980).

26. სიმშედ მორჩილებისა თანმოქმედი, ძმობისა მძლუარი, ბორგნულთა ლაგამი, გულმწყარალთა განჭრად და სიხარულისა მომცემელი, ქრისტეს მსგავსება, ანგელოზთა თუთება, ეშმაკთა საკრველი და სიმწარისა ფარი (A—39, 132r; H—1669, 133v; PG 88, col. 981).

27. გულთა შინა მშედთასა განისუენებს უფალი, ხოლო სული მეშფოთე — ეშმაკისა დასაჯდომელ. „მშედთა დაიმკდრონ ქუეყანად“ (2), უფროსდა და ეუფლენ, ხოლო მრისხანენი მამაყენი წარიტყუენენ ქუეყანით მათით (A—39, 132r; H—1669, 133v; PG 88, col. 981).

28. სული მშუდი საყდარ სიმარტივისა, ხოლო გონება მრისხანე შემოქმედ სიბოროტისა. სული მშუდი დაიტევს სიტყუათა სიბრძნისათა, რამეთუ უძლეეს უფალი მშუდთა მსგავსისა შორის (3), უფროსდა განმსჯელობითისა შორის. სული წრფელი თანმეცხოვრებე დამდაბლებისა, ხოლო ბოროტი — მკეველ ზესთმჩენობისა (A—39, 132r; H—1669, 133v; PG 88, col. 981).

(1) მათე 11, 29.

(2) მათე 5,5; ფსალ. 36.11. (3) ფსალ. 24,9.

25, 1 იტყვს+რამეთუ EF. მშედ ვარ+მე CD. 25,2 ჰპოვით F. განსუენება C. 25,3 პირუ-  
შლ D. 25,4 აღზილვად BCD. 25,5 ვინაჲ BCDEF. ხილვა L ხილვა BCDEF. 26,2 მოძლეა-  
რი B. ბორგნულთა AL ბორგნულთა B ბორგნულთა D. 26,3 განჭრად LBCDEF. სიხარულსა  
A სიხარულისა B. 26,4 ანგელოზთა BCDEF. თუთება LBFEF თუთება CD. 26,5 საკრველი B  
საკრული CDF. 27,1 გულთა სული CD (ასევე ეფთვიმე ათონელის რედაქციასი). განისუენ-  
ებს LBC განისუენებს D. უფალი D. 27,3 ქუეყანად BCDEF. უფროსდა უფროსთა A. 27,4  
დაუფლენცა LBCD. 27,5 მამადნი მეშფოთე D ...C. მათით მათი LBFE მათთა CD. წარი-  
ტყუენენ LBC წარიტყუენენ წარიტყუენენ EF. ქუეყანით D. 28,1 საყდარი ALBCDEF. სიმარტი-  
ვის DF. 28,2 გონება BCDEF. მიქმ LBF მიქმ CD. 28,4 თანმეცხოვრებე LB თანმეცხოვრებე  
CD. 28,5 მკეველი B მკეველ DF.

\* ამ ბოლო სტროფს A-ში (და აქედან სხვა ხელნაწერებში) მოსდევს „მწყემსისა მიმართ“ თავის მე-2 სტროფის ნაწილი (მე-3—5 ტაეები) და მე-3 სტროფი (74r).



**მდაბალმზრახველობისათვის უხილავითა გრძნობითა**

29. ღლე არს სული, დამდაბლებული შორის შრომისა მათათა და სათნოებისათა, აღუზუავებლად და აღუძრველად მგები. ნანაჲ აღადგენს, ხოლო გლოვად ცად მიჰრეკს, ხოლო სიმდაბლე წმიდაჲ განუღებს კარსა.
30. ყოველთ ხილულთა განანათლებს მზე, ხოლო ყოველთა სიტყუთ სასაქმითა სიმდაბლე განაძლიერებს, ვინაჲ სინანულისა არმყოფობასა ყოველად ყოველი წყუღიად და უსიმდაბლოჲ ყოველივე ამო.
31. კუალად ვიდრემე სხუა მდაბალმზრახველობა, ვინაჲცა სხუაჲ ქებაჲ სიმდაბლით მზრახველისა; პირველი — სრულთაჲ და მეორე — მორჩილთაჲ, ხოლო მესამე — ყოველთა მორწმუნეთაჲ.
32. ეპკობე მანასეჲ ესევეითარ შემცოდელდ, რომლის ძლით თუმცა სრულ სოფელმან იმარხა, ვერაჲსმც საღირსოჲს შესმენის ქმნად შეუძლო, არამედ უძლო დამდაბლებამან მისმან უკურნებელთა კურნება[დ] შორის მისსა.

29. ღლე არს სული, დამდაბლებული საშუალ მათა შრომისა და სათნოებისათა, აღუზუავებლად მარადის და აღუძრველად მგები. არა ვიპარებ, არა ვიღუპე, არა ვირეკე ქუე, არამედ დაემდაბლი და მეცხოვნა მე მსწრაფლიად<sup>(1)</sup>. სინანული ვიდრემე აღადგინებს, ხოლო გლოჲცა ცად მიჰრეკს, ხოლო წმიდაჲ სიმდაბლე განაღებს... (A—39, 137v—138r; H—1669, 139r; PG 88, col. 992).

30. ყოველთა ვიდრემე ხილულთა განანათლებს მზე, ხოლო ყოველთა სიტყუთ სასაქმითა განაძლიერებს სიმდაბლე. არმყოფობასა სინანულისასა ყოველივე წყუღიად და არმყოფობასა მდაბალმზრახველობისასა — ყოველნივე ჩუენნი ამო (A—39, 138r; H—1669, 139v; PG 88, col. 993).

31. სხუა მდაბალმზრახველობაჲ და სხუა ღუწაჲ მდაბალმზრახველობადმი და სხუა ქებაჲ მდაბალმზრახველისაჲ: პირველი ვიდრემე სრულთაჲ, ხოლო მეორე დამორჩილებულთა ჰეშ-მარტითა და მესამე — ყოველთა მორწმუნეთაჲ (A—39, 138r; H—1669, 139v; PG 88, col. 993).

32. ეპკობე მას მანასეჲ კაცთა შორის, ვითარ არცერთსა ვის მისებრ შემცოდესა და ღმრთის ტაძრისაჲცა ეკრბთა მიერ და ყოვლისა სამსახურებელისა შემაგინებელსა, რომლისა ძლით, უუეთუმცა ყოველმან სოფელმან იმარხა, არაჲსმცა საღირსოჲსა შესმენის ქმნად შეუძლო, არამედ შეუძლო დამდაბლებამან უკურნებელთა კურნებად მის შორის (A—39, 143r—v; H—1669, 144v; PG 88, col. 1001).

(1) დსალ. 114,6.

ვნებათწარმწემედელისა CD ვნებათა წარმწემედელთა EF. მდაბალმზრახველობისათვის LBCD მდაბალმზრახველობისათვის EF. უხილავითა B უხილავთა E უხილისლავითა F. 29,2 შრომის ALBCDF. 29,3 აღუზუავებლად L აღუზუავებლად B აღუზუავებლად CD. აღუძრველად CD. 29,4 ნანაჲ თანა CD. გლოვა CD. ცად მიჰრეკს[ქ] ცამირ პრეჲს LBCD. 29,5 წმიდა LCDEF წმინდა B. 30,1 ყოველ L. 30,3 ვინა LBCDEF. 30,4 ყოველი—CD, წყუღიად BCD. 30,5 უსიმდაბლო CDE. 31,1 მდაბალმზრახველობა LB მდაბალმზრახველობა EF[ქ] კდ მზრახველობა CD. 31,2 ვინაჲ LE ვინაჲ ACD ვინაჲ F. სხუა ქება BCDEF. მზრახველისა LBCD მზრახველისა E მზრახველისა F. 31, 3 პირუძლი D. სრულთა LBCDEF. 31,4 მორწმუნეთა LBCDEF. 32,2 იმარხა[ქ] იმოსხა CD. 32,3 ვერაჲსსამც L ვერაჲა სამცა B ვერაჲსმც DF[ქ] ვერაჲა CD. საღირსოს LEF საღირსოს B. შესამენის ALBCD. შეეძლო BCD. 32,4 დამდაბლებამან[ქ] დამდაბლებლმან C დამდაბლებლმან D.

\* 31-ე სტროფს აქ უნდა აკლდეს მე-2 ტაეპი, რომელსაც წყაროში შევსაბამება შემდეგი ტექსტით: „და სხუა ღუწაჲ მდაბალმზრახველობადმი“. ამას ადასტურებს ისიც, რომ ამავე სტროფში, როგორც წყაროში, სამივე განახილული საკითხია ჩამოთვლილი: მდაბალმზრახველობა, ღუწაჲ მდაბალმზრახველობადმი და ქებაჲ მდაბალმზრახველისა.



A v

33. ანგელოზთაგან უკუეთუ ვიეთნიმე  
ეშმაკად ამან იმოქმედნა და მასცა  
ძალ-უც ნამდვლვე ეშმათაგან ანგელოსთა  
ქმნად, რომლისა ძლით დაცემული მინდობილ  
მსასოებელობდ დამდაბლებისა მიერ.

34. ვისწრაფით უკუე და ვიხარკით ყოვლისა  
მიერ ძალისა ამისსა თხემსა აღსლვად,  
ხოლო არათუ მკართალა ზედა სადამე,  
არამედ კუალად ვმკელობლობთ ლათუ რასმე,  
მკლავთაგან მისთა ჩუენ ნულარა განეცვეთ.

თავი. 26. განხვისათჳს გულისიხუყუათა და ვნებათა  
და სათნოებათასა

35. ზესთსახიერი მეუფე და უფალი  
რაჲამს მრავალგზის ვიეთ უმცონარესთა  
მოლუაწების ძლით იხილავს უძლურების  
მიერ ნამდვლვე, ვითარ უმჭირსესითა  
მოლუაწებითა, დაუმდაბლებს სხეულსა.

36. ვიხილე რადმე ბოროტი ჩუეულება,  
ბაძვით ცოდვისა სხუად სხვსაგან მასწავლელი.  
პირველმცოდველმან თანგრძნობად მოსლვით იწყო  
სინანულად და ბოროტისაგან დასცხრა,  
ხოლო მოწფის ძლით უძლურ სინანულ იქმნა.

33. უკუეთუ ანგელოზთაგან ვიეთნიმე ეშმაკად ამან იმოქმედნა, ნამდვლვე და მასცა ეშმაკ-  
თაგან ანგელოზთა ქმნად ძალ-უც, რომლისა ძლით დაცემული მინდობილ იყვნენ (A—39,  
143v; H—1669-ს აქ აკლია 1 ფ.; PG 88, col. 1001).

34. ვისწრაფით და ვიხარკით ყოვლისა მიერ ძალისა თხემისა ზედა აღსლვად ამისსა,  
ხოლო უკუეთუ არა მკართალა ზედა სადამე, ხოლო ვკელობთ ლათუ რასმე, მკლავთაგან მისთა  
ნულარა განეცვეთ, რამეთუ მიერ განგრძობილთაგანი, მიკვრს, უკუეთუ მიემთხვოს რას სა-  
უყუნოვანსა ნივისასა (A—39, 143v; H—1669-ს აქ აკლია 1 ფ. (144v—145r-ს შორის); PG 88,  
col. 1001).

35. სახიერი ჩუენი და ყოვლად სახიერი მეუფე და უფალი, რაჲამს ვიეთმე მრავალგზის  
უმცონარესთა მოლუაწებისა ძლით იხილავს უძლურებისა მიერ ნამდვლვე, ვითარცა უმჭირსესისა  
მოლუაწებისა მიერ, დაუმდაბლებს სხეულსა. არს უკუე ოდეს და სულსაეა გულისიხუყუათაგან  
ბოროტთა განსწმედს და ვნებათა (A—39, 152r; H—1669, 152v; PG 88, col. 1024).

ბ) მისი ივე განმსჯელობითისათჳს კეთილ განსჯილისა

36. ვიხილე ჩუეულება ბოროტი, სხვსაგან მსწავლელი სხუად და ესელა მასწავლელმან,  
ვიდრემე თანგრძნობად მოსრულმან, სინანულად იწყო და ბოროტისაგან დასცხრა, ხოლო  
მოქმედებისა ძლით მოწფისასა უძლურ იქმნა სინანული მისი (A—39, 162r; H—1652, 162v—  
163r; PG 88, col. 1061).

33,1 ანგელოზთაგან LBCDEF. უკუეთუ LBCDEF. ვიეთნიმე B. 33,2 ხელნაწერებშია: ეშმაკეულად  
ALBCDEF. ამასცა B ამას CD. 33,3 ძალუძს CDEF. ნამდვილვე B ნანდვლვე CEF ნანდვლუმ D-  
ეშმაკათაგან LBCDEF. ანგელოსთ CD. 33,4 რომლისა] ძალისა LBCD. 33,5 მასასოებელად LBCDEF.  
დამდაბლებისა] დამბადებელისა B მბადებელსა CD. 34,1 ვიხარკით BD ვიხარკით C ვიხარ-  
კით E] ვიხარკით F. 34,2 აღსლვად B აღსლვად CD. 34,4 მხართალა D. სადამე LBCEF. 34,5  
მკლავთაგან+მა A მკლავთაგანთა LB. ნულარა LF ნულარა+მცა B ნულარამცა C ნულარამცა D  
ნულარა E. განეცვეთ L განეცვიეთ B განეცვით C განუცვთ D./სათნოებათასა LBEF სათნოება-  
თათჳს CD. 35,1 ოფლი E. 35,3 უძლურებას LD. 35,4 ნანდვლვე CE ნანდვლუმ D. უმჭირე-  
სითა B. 36,2 ბაძვთ LBCDEF. ცოდვისა LCDEF. სხვსაგან ALBCD. მსწავლელი CD. 36,3 პი-  
რულმ. მცოდუმლმან BDEF. თანგრძნობად BC. მოსლვით LDE მოსლვით B. 36,5 მოწფისა  
BCD მოწფის+LEF. უძლური L. იქმნ L.

37. ჰკითხვიდა ვინმე ხედვად შემძლებელთასა:  
რაასათჳს წინმცნობან ვიეთთამე) ცოდვათამან  
სასწაულთა და ნიშთ მიერ ამჟუნა აჟა?  
და მან ჰრქჳთა: რაათა ნეშტნიცა სულიერნი  
განაკრძალნეს და უსიტყუსგებო ყვენეს მუნ.

A 71

თავი 29. ქუყუანის ზედახათჳს წმიდისა ღმრთისმგავისისა  
უენებელობისა და სისრულისა და აღდგომისათჳს სულისა  
პირველ ზოგადისა აღდგომისა

1\* 2\* 38. არ შემტკიცენების დიადიმად სამეფოა  
ერთისა მიერ ქვისა და არ იქმნების  
უენებელობა სრულ, უკუეთუ ერთიცა  
დამთხუევითი ჩუენ უდებ ვყოთ სათნოებად.  
უენებელობად ვიდრემე გულისკმამა-ჰყო  
ზეციერისა მეფისა ზეცათ შინაა  
პალატი, ხოლო მრავალ სავანედ შორის  
ქალაქისა მის დაკარგება და ზღუდედ  
ირუსალჳმად — მიტეება ცოდვათად.

5

39. მოვიცალოთ ჩუენ და რამეთუ მომცლელად  
წარვიწერენით: არა არს დაცემისა,  
არა ჟამისა, არა ტურთვით მიზეზ-დგმა  
უფლის მიმღებთა საბანელისა მიერ,  
ესე იგი არს მეორედ შობისაჲსა,

5

37. ჰკითხა ვინმე ხედვად შემძლებელთასა ვისმე, ვითარმედ: რაასათჳს წინამცნობელმან  
ღმერთმან ვიეთთამე შეცოდებათამან ესენი სასწაულებისა და ნიშებისა მიერ შეამკენა? ხოლო  
მან ჰრქჳთა: რაათა და ნეშტნიცა სულიერნი განაკრძალნეს და თჳთმფლობელობა აჩუენოს და  
უსიტყუსგებო ყვენეს განსჯასა შინა (A—39, 163r; H—1669, 163v; PG 88, col. 1061).

38. არ შემტკიცენების დიადიმად სამეფოა ერთისა მიერ ქვისა და არ სრულ იქმნების უ-  
ნებელობა, უკუეთუ ერთიცა დამთხუევითი უდებ ვყოთ სათნოებად. უენებელობად ვიდრემე  
გულისკმამა-ჰყო ზეციერისა მეფისა ზეცათ შინაა პალატი, ხოლო მრავალ სავანედ შინაგან ქა-  
ლაქისა მის დაკარგებანი ზღუდედ, იერუსალიმი — მიტეება იგი ცოდვათად (A—39, 197v—  
198r; H—1669, 198r; PG 88, col. 1149).

39. მოვიცალოთ და რამეთუ მომცლელად წარვიწერენით: არა არს დაცემისა, არა არს  
ჟამისა, არა არს ტურთისა მიზეზ-დგმა, რამეთუ რაოდენთა მიიღეს უფალი, საბანელისა მიერ  
მეორედ შობისაჲსა,

37,1 ჰკითხვდა LCD მკითხვდა EF. ხედვად BCDEF. 37,2 რასათჳს LCD რასათჳს B  
რასათჳს EF. წინა—CD. ვეთიმე A ვეთიმე CD. ცოდვათამან LBCDEF. 37,3 ნიშთა LBF) ნიშთ  
A. 37,4 რათა] რა B რა CD რათა EF. ნეშტნიცა A ნაშინიცა CDEF. 37,5 განეკრძალნეს\*E განე-  
კრძალნეცა F. უსიტყუსგებო D. ჰყუნეს LBCDEF. /ქუყუანისა LE ქუყუანისა D. ზედა-  
სათჳს LBE. წმიდის B] ცისა E ცის F. ღრისა C ღოთისა D. მსგავსისა CDF. უენებელობისათჳს C  
ოენებელობისათჳს D. სასრულისა L სისროლისა D. აღდგომისათჳს LBCDEF. პირულ D. ზოგა-  
დის D. 38,1. შემტკიცენების F. დიადიმა LBCDEF. სამეფო F. 38,2 ქესა LBCDEF. 38,3  
ოენებელობა E. უკუეთუ LBCDEF. 38,4 დამთხუევითი LBCF დამთხუევითად D დამთხუევით E.  
უდებეპყოთ LBCDF უდებ-ყოთ E. სათნოება LBCDEF. 38,5 ოენებელობად E. გულისკმამა-ჰყო  
LCF. გულისკმამა-ჰყო BDF. 38,6 მეუფისა B მეუფის CDEF. ზეცათა B. შინაჲს CD შინა EF.  
38,7 დაკარგება D. 38,9 იეროსალიმი IB იეროსალიმი C იეროსალიმი D იერუსალჳმა E ირუ-  
სალჳმა F. ცოდვათა LBCDEF. 39,1 ჩუენ D. 38,2 წარვიწერენით B წარვიწერენით D. 39,3  
თვრთვთ AEF ტურთით BCD. 39,4 უფლისა B ოფლის E. 39,5 შობისაჲსა LBCDEF.

„მისცა კელ-ფლობა შვილ ღმრთის ყოფად“<sup>(1)</sup> მეტყუელმან,  
„მოიცალეთ და ცანთ, რამეთუ მე ღმერთ“<sup>(2)</sup> და  
უენებელობა. მისსა დიდებამ, ამინ,  
საუკუნეთა მიმართ უკუნისამდე.

თავი 30. თანშემკრველისათჳს სათნოებანიისა სამობისა  
სათნოებათა შინა

- A v
- 2\* 40. მნებებელმან თქუმაღ ღმრთის სიყუარულისათჳს  
ღმრთისათჳს კელ-ყო თქუმაღ, რამეთუ ღმრთისათჳს  
სიტყუათა მიერ განსლვა საცთომელ ფრიაღ  
და ზედ საღელვო არ განმკაცრებულათჳს,  
ანგელოსთა და გამობრწყინვით საცნოასა.
41. მოქმედებისებრ სიყუარული ვიდრემე  
ღმრთის მიმსგავსება, რაოდენ შესაძლებელ  
კაცთადა, ხოლო საქმიერობისაებრ —  
სულის სიმთრვალე და თვთებისებრ — წყარო  
სარწმუნოების და ზღუა სულგრძელთ სიმდაბლის.
42. სათნოებათა შორის კეთილო, მითხარ:  
„სად ჰმწყსი ცხოვართა, სად აკარვებ შუადღე?“<sup>(3)</sup>  
განგუანათლენ ჩუენ, მასუ ჩუენ, მიძელუ ჩუენ შენდა,  
კელ-ყვანებულ მყვენ, ვინა აღსლვად შენდამი  
გუნებაეს, რამეთუ ნამდულ ყოველთ შენ ჰმეფობ.

„მისცა მათ კელმწიფებამა შვილ ღმრთისა ყოფად“<sup>(1)</sup> მეტყუელმან: „მოიცალეთ და ცანთ,  
რამეთუ მე ვარ ღმერთი“<sup>(2)</sup> და უენებელობამ. მისსა დიდებამ საუკუნეთა. ამინ. (A—39,  
198r—v; H—1669, 198v; PG 88, col. 1152).

40. ღმრთის სიყუარულისათჳს თქუმაღ მნებებელმან ღმრთისათჳს თქუმაღ კელ-ყო, ხოლო  
ღმრთისათჳს სიტყუათა მიერ განსლვა საცთომელ და ზედ საღელვო არ განმკაცრებულთად,  
სიყვარულის ძლითი სიტყუამ ანგელოზთადა საცნაურ და მათადაცა საქმიერობისაებრ გამო-  
ბრწყინებისაასა (A—39, 199r; H—1669, 199r; PG 88, col. 1156).

41. სიყუარული მოქმედებისაებრ ვიდრემე მიმსგავსება ღმრთისა, რაოდენ კაცთადა შე-  
საძლებელ, ხოლო საქმიერობისაებრ — სიმთრვალე სულისა და თვთებისაებრ — წყარო სარწმუნ-  
ოებისა, უფსკრულ სულგრძელებისა, ზღუა სიმდაბლისა (A—39, 199r; H—1669, 199r; PG 88,  
col. 1156).

42. მომითხარ ჩუენ, მ კეთილო, სათნოებათა შორის: „სადა ჰმწყსი ცხოვართა, სადა და-  
აკარვებ შუადღე?“<sup>(3)</sup> განგუანათლენ ჩუენ, მასუ ჩუენ, მიძელუ ჩუენ, კელ-ყვანებულ მყვენ  
ჩუენ, ვინათგან აღსლვად შენდამი გუნებაეს ნამდულე, რამეთუ შენ ჰმეფებ ყოველთა  
(A—39, 200v; H—1669, 201v—202r; PG 88, col. 1160).

(1) იოან. 1,12. (2) ფსალ. 45,11.

(3) ქ. ქ. 1,6.

39,6 მიჰსცა F. შკლ LCDEF. ღმრთისა-ყოფად LBC ღმრთის-ყოფად D მეტყუელმან LDEF.  
39,7 სცანთ IB მსცანთ CDEF. 39,8 მისა BEF. დღებამა LBCDEF. /თანშემკრველისათჳს LEF  
თანშემკრველისათჳს BC თანშემკრველისათჳს D. 40,1 A-შია: მეგებელმან. ღმრთის B ღმრთის D. 40,2  
ქელ-ყო LBCDEF 40,3 განსლვა CD. 40,4 განმკაცრებულთათჳს ALEF. 40,5 გამობრწყინვით D.  
საცნოასა CDEF. 41,1 მოქმედებისაებრ LBD. 41,2 ღმრთის D. მსგავსება L მიმსგავსება CF.  
41,3 საქმიერობისაებრ საქმე ერთობისაებრ ALBCDEF. 41,4 სიმთრვალე BCDEF. თვთებისაებრ  
B. 41,5 სიმდაბლისა B. 42,2 მწყსი LBCDEF. აკარვებ D. 42, 3 ჩუენ D. მასუ მის DC.  
ჩუენ D. მიძელუ CF მიძელუ D. ჩუენ—CDEF. 42,4 A-შია: კელ-ყვანებულ კელ-ყვანებულ L  
კელმყუანებულ B კელ-მყუანებულ C კელმყუანებულ DEF. მყვენ LBCDEF. აღსლვად B აღ-  
სლვად CDF. 42,5 ნამდვილ B ნანდელ DE. ყოველთა LBCE ყოველთა D. ჰმეფობ მყოფობ C  
მყოფ D.

2\* 43. მკურნალთა შორის ნეტარ ანავსიაჲ და წინამდგომელთა შორის უვნებლობაჲ, რამეთუ იგი, სიძნელის არმყნოსელნი, ყოველსა შინა სიმყარალის კურნებასა ყოველად ყოველითურთ უცონელად ჭელ-ჰყოფენ, არამედ ამით ყოვლის მომკუდრისა სულისა ცოცხალ-ყოფად და აღდგინებად შეუძლონ.

5

A 74

44. ვინ ღმრთისა მიერ ესევითარი განმგე დადგენილ იქმნა, ვითარმცა თვსთ წყაროთა\* და თვსთ სწრაფათა უმოქენოდ დაღვა, სხუთ განწმედისა მიერ ამით ღმრთისამი წესკეთილობით ურიდებლად მკუმეველი.

45. სულთა უფროსდა და სხეულთა, ვნებითა შემწიკულებულთა, განწმედად ნუ დასცხრები, რამათა არ მხოლოდ თვსთა, არამედ სულთა და უცხოთაცა გვრგვნსა კანდიერად გამოიძევდე ღვაწლის დამდებისაგან.

თ ა ვ ი 2

43. ნეტარ ანავსიაჲ მკურნალთა შორის და წინამდგომელთა შორის უვნებლობაჲ, რამეთუ სიძნელის არმყნოსელნი ვიდრემე იგინი ყოველსა შინა სიმყარალის კურნებასა უცონელად ჭელ-ჰყოფენ, ხოლო ამით ყოვლისა მომკუდრისა სულისა აღდგინებად შეუძლონ (A—39, 204r; H—1669, 205r; PG 88, col. 1169).

თ ა ვ ი 13

44. ვინმე ღმრთისა მიერ ესევითარი დადგინებულ იქმნა განმგებელი, ვითარმცა თვსთა წყაროთა და მოსწრაფებათა უმოქენოდ დაღვა და სხუათა განწმედისა მიმართ ამით ღმრთისამი ურიდებლად იტუმევედა (A—39, 211r; H—1669, 210v—211r; PG 88, col. 1193).

45. სულთა და უფროსდა სხეულთა შემწიკულებულთა განწმედად ნუ დასცხრები, რამათა არა მხოლოდ თვსთა, არამედ და უცხოთაცა სულთა გვრგვნებასა კეთილისაგან ღვაწლის დამდებისა კანდიერებით გამოიძევდე (A—39, 211r; H—1669, 211r; PG 88, col. 1193).

მისვე BC მისუტ D. 43,2 უვნებლობა ALCDEF 43,3 სიძნელისა CD. არ მყნოსელ CD. 43,5 უცონელად უცნობელად CD. ამით] სამთ ALB სამთა CD. 43,6 სულის მომკუდრისა CD 43,7 ცოცხალად C ცოცხლად D. ყოფა CD. 44,1 ღუთისა D. 44,2 დადგენილი B. 44,3 თვსთ] თვთ L თვსთ BCD. უქმოქენოდ B უმოქენოდ D უმოქენოდ E უმოქენოდ F. დასდგა CDF. 44,4 სხუათა BCD. ღუთისადმი D. 44,5 მკუმეველი BC მხმეველი DF. 45,2 ნუ დასცხრები F. 45,3 რათა DEF. არა BC. 45,4 გვირგვინსა B.

\* A-ში (და აქედან სხვა ხელნაწერებშიც) 71v-ზე წყდება „მწყემსისა მიმართ“ თავი (44-ე სტროფის მე-2 ტაქტი) და 72r—v (გრიგოლ ნაზიანზელის „ოთხტაქტების“ ნაწყევტი) და 73r—v (თ. 23,24) უაღვლოდაა ჩაყვრებული, ამიტომ „მწყ. მიმ.“ თავის დანარჩენი ნაწილი ტექსტის ბოლოს თ. 23;24-ს შემდეგ აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ EF-ს აკლია საერთოდ ეს თავი („მწყ. მიმ.“ სტრ. 43; 44, 1—2 ტაქტი), მისი ბოლო ნაწილი ამ ხელნაწერებში ჩვეულებისამებრ შეინც თ. 23,24-ის შემდეგაა მოთავსებული.

ნოვოვყავლენნაა გრუზინსკაა ვერსია «ლესტიცყა» იოანნა სინაიტა

რეზიუმე

ვყავსნილს, ცო კრემე ივსენნყს პროზაიკესკის დი პოეტისკეს გრუზინსკის ვერსის «ლესტიცყა» იოანნა სინაიტა (VI—VII ვვ.) სუცესთვუე ალდე დიდა, ნეივსენნა დო ნასთყავსო ვრემენი სტიხთვორნაა ანონიმნაა იპოლნა ვერსია (გლ. 7, 11, 12, 14, 15, 22, 23, 24, 25, 26, 29, 30; კ. ლასტყრუ), სოხრავივსაყა ვ რუკოსიყს XVIII—XIX ვვ., კოტორაა პრედსტავლყს სობოი პერელოჟენიე ვ იამბიკესკიე სტიხი დედელნყს მესტ ივს პროზაიკესკი ვერსიი იოანნა პეტრიცი (XI—XII ვვ.) დი ვყიპოლნენა ეგო ნეივსენნყს პოსლედოვატელემ.

ნასთყავსა რაბოთა ყავლყსა პერვოი პუბლიკაციეი კრიტიკესკო გოტესტა ნოვოი გრუზინსკი სტიხთვორნოი ვერსიი «ლესტიცყა». დლა უსტანოვლენიე ტესტა ისპოლზოვანყს ვსე სუცესთვოიყს რუკოსი (A: S—2568, XVIII ვ.; L: C—9, 1788 გ. B: H—1737, XVIII ვ.; C: S—348, XVIII—XIX ვვ.; D: S—379, XIX ვ.; E: S—3642, 1800 გ.; F: S—3731, 1809 გ.; I: A—711, 1785 გ.). ვ კაჩესტვე დსოვნოი სისკა ისპოლზოვან სავსყ რანნიი სისკო A, პო ვსეი ვეროყანნი, პერეპისანნი ს ნეივსენნყს ნამ ბოლეს რანნიი იპოლნოი რუკოსი, ისხოდყს ივს პეტრიცოი ლიტერატურნოი სკოლყ (XII—XIV ვვ.). სისკო A ყავლყს ისტოყნიკო დლა დსალნყს სისკოვ, კოტორე პერეპისანყს პოსლედოვატელი დი ლიტერატურნოი სკოლყ ანტონა I (XVIII ვ.). ტესტ სოპროვოჟდყს პოლნყ სისკოვ ვარიანტოვ დი უკაჟენიე ნა ბიბლყსკიე ისტოყნიკი პამყნიკა. პარალლელნო პუბლიკოვტყს თე მესტა ივს პეტრიცოი პროზაიკესკი ვერსიი «ლესტიცყა» (H—1669, A—39, XI—XIII ვვ.), კოტორყ დი პოლზოვალყს ანონიმ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება  
 წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

## ქ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

გივი ნეპირიძე

### ერთი გაუმგებრობის გამო

ძველი ქართული ენის კათედრის შრომების 27-ე ტომში (1988 წ.) გამოქვეყნდა თ. მეტრეველის სტატია «ასპექტის შესწავლის ისტორიიდან ქართულში», გვ. 136—146), რომელშიც ავტორი ბრალს ვედებს პლაგიატში, რაც სხვა არაფერია, თუ არა უბრალო გაუმგებრობა. საქმე ეხება „წერდა~წერა~დაწერა“ ტიპის ოპოზიციითა ვალიფიკაციის ასპექტობრივი თვალსაზრისით. ავ. შანიძე, როგორც ცნობილია, პირველი ორი ტიპის ფორმებს (წერდა~წერა) უსრული ასპექტისად მიიჩნევს, ხოლო მესამე ტიპის ფორმებს (დაწერა) — სრული ასპექტისად. რომ განსხვავოს ერთმანეთისგან „წერდა“ და „წერა“ უსრული ასპექტის ფორმები, ავ. შანიძე პირველი ტიპის ფორმებს (წერდა) უწყვეტად განიხილავს, მეორე ტიპის ფორმებს კი (წერა) — წყვეტილად. თანაც „უწყვეტლობის“ და „წყვეტილობის“ ცნებებს იგი მჭკრავის კატეგორიას აკუთვნებს და არა ასპექტის კატეგორიას (იხ. ავ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 220).

თ. მეტრეველმა „წყვეტილობა“ ასპექტის კატეგორიას მიაკუთვნა და „წერა“, „ხატა“ და სხვა ამ ტიპის ფორმები ქართულში მიიჩნია უსრული და შეწყვეტილი ასპექტის გამოხატველ ფორმებად (იხ. თ. მეტრეველი, ასპექტის კატეგორიისათვის ქართულში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1979, № 3, გვ. 108, 112). ერთი სიტყვით, თ. მეტრეველმა გარკვეულად შეასწორა ავ. შანიძის მოდელი ასპექტისა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ავ. შანიძის მოდელის ამგვარი შესწორება დაუშვებელია.

თ. მეტრეველის მიხედვით, ქართულში უსრულობაც ასპექტია და წყვეტილობაც. ამიტომ „წერა“, „ხატა“ და სხვა ამ ტიპის ფორმები ორჯერ გამოდის დახასიათებული ასპექტის მიხედვით, რაც პრინციპულად შეუძლებელია როგორც საერთოდ, ისე ქართულშიც. ასპექტის მიხედვით ზმნური ფორმების დახასიათება ყოველთვის ცალსახა უნდა იყოს. თუ ჩვენ „წერას“ ზმნის უსრულ მოქმედების გამოხატვად ფორმად მივიჩნევთ, მაშინ იგივე „წერს“ აღარ შეიძლება იყოს სრული ასპექტისა. ასევე, თუ „წერა“, „ხატა“ ტიპის ფორმები უსრულ ასპექტს გამოხატავენ, მაშინ ამავე ფორმებმა აღარ შეიძლება გამოხატონ შეწყვეტილი ასპექტი. ალბათ ავ. შანიძემ მოახერხებდა იმს თქმას, რომ წყვეტილობა ქართულში ასპექტია და არა მჭკრავი და თუ იგი წყვეტილობას მაინც მჭკრავად მიიჩნევს, ეს იმით, რომ წყვეტილობის ასპექტად განიხილა ავ. შანიძის მოდელში დაუშვებელია. თუ „წერა“, „ხატა“ ტიპის ფორმები უსრულ ასპექტს გამოხატავენ, მაშინ წყვეტილობა შეიძლება იყოს მხოლოდ მჭკრავი და არა ასპექტი. თ. მეტრეველი „წერა“, „ხატა“ ტიპის ფორმებს უსრული ასპექტის გამოხატველად მიიჩნევს და ამიტომ „წყვეტილობა“ მისთანაც მჭკრავია ისევე, როგორც ავ. შანიძესთან. ერთი სიტყვით, თ. მეტრეველს რაიმე ცვლილება ავ. შანიძის მოდელში არ მოუხდენია და ამიტომ მისი ნაშრომის დამოწმება ჩვენთვის უხერხულიც კი იყო.

ამრიგად, თუ „წერა“, „ხატა“ ტიპის ფორმები უსრულ ასპექტს გამოხატავენ, მაშინ წყვეტილობა შეიძლება იყოს მხოლოდ მჭკრავი და არა ასპექტი. პირიქით, თუ წყვეტილობა ასპექტია, მაშინ „წერა“, „ხატა“ ტიპის ფორმები არ შეიძლება უსრულ ასპექტს გამოხატავდნენ. სხეულ სტატიაში ჩვენ სწორედ ამას ვამტკიცებთ, რაც თ. მეტრეველს, სამწუხაროდ, ვერ გაუგია. ჩვენ წყვეტილობა ასპექტად მივიჩნევთ და ასპექტური ოპოზიციის ერთ-ერთ წევრად ჩავთვალეთ, რამაც მოითხოვა ასპექტის ბინარული (ორწევრი) მოდელის (უსრული — სრული) ასპექტის ტერნარული (სამწევრი) მოდელში ტრანსფორმაცია (უსრული — შეწყვეტილი — სრული). ასპექტის ტერნარული მოდელი ქართულში ნიშნავს იმას, რომ „წყვეტილობა“ ასპექტური ოპოზიციის სრულფუნქციან წევრად მივიჩნევთ. იგი უპირისპირდება და განსხვავდება, ერთი მხრივ, უსრული, ხოლო, მეორე მხრივ, სრული ასპექტისაგან. ამიტომ „წერა“, „ხატა“ ტიპის ფორმები თუ შეწყვეტილ ასპექტს გამოხატავენ, მაშინ იგივე ფორმებმა შეუძლებელია უსრული ასპექტის გამოხატველ ფორმებად მივიჩნვიოთ. ამ თვალსაზრისის დამტკიცებას ეძღვნება სწორედ ჩვენი ხსენებული ნაშრომი და ეს თვალსაზრისი სრულიად ახალია. რა თქმა უნდა, საჭირო იყო თ. მეტრეველის თვალსაზრისის კრიტიკული განხილვა და იმის ჩვენება, რომ ავ. შანიძის მოდელი წყვეტილობის ასპექტად მიიჩნევა შეუძლებელია, მაგრამ გარკვეული მოუხერხების გამო მაშინ ამგვარ განხილვას მოგერიდეთ, რამაც, როგორც ჩანს, თ. მეტრეველს ობტერტორი ცთომილების ნიადაგზე აღძურა გარკვეული ილუზია და თავისად მოაჩვენა ის, რაც სინამდვილეში მისი არ არის. წყვეტილობა რომ ასპექტია, ამას თ. მეტრეველამდღაც აღნიშნავდნენ, მაგრამ ეს თვალსაზრისი ჩვენამდე არავის არ დაუბტკიცებია. ამიტომაც ჩვენ არ დავიმოწმეთ და არც უნდა დავიმოწმებინათ. თ. მეტრეველის ხსენებული ნაშრომი.

Ю. В. ЗЫЦАРЬ

## ТЕОРИЯ ГАМКРЕЛИДЗЕ-ИВАНОВА И КАРТВЕЛО-БАСКСКАЯ ГИПОТЕЗА

Речь идет, разумеется, о теории «индоевропейской прародины» Т. В. Гамкрелидзе и Вяч. Вс. Иванова и об их книге «Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры» (с предисловием Р. Якобсона), Тбилиси, изд-во ТГУ, 1984, где заявлена эта теория.

Сначала несколько слов о данной книге. Уже отмечалось, что она является исключительным событием в сравнительной лингвистике вообще и индоевропейской в частности. И таким событием (добавим) она является потому, что составляет творческий итог развития индоевропейской лингвистики за очень длительный период (по существу за весь текущий век), как одновременно и основу ее будущего.

В самом деле, книга охватывает здание индоевропейской лингвистики в целом, от чердака до подвала, от проблем первичного расселения носителей индоевропейских диалектов до вопросов фонологической структуры индоевропейского праязыка. Нет буквально ни одного сколько-нибудь существенного или заметного конкретного вопроса индоевропейского сравнительного языкознания, который не затрагивался бы в обсуждаемой книге, включая вопросы структуры индоевропейского корня, типологии в целом, ареальности, методов реконструкции и лингвистической палеонтологии, затем проблем миграции индоевропейцев, хронологии праязыка, древнейших контактов и т. д. и т. п., ср. хотя бы из конкретных разделов оглавления, например: «Роль лошади у древних индоевропейцев», «Ритуальная роль волка в древних индоевропейских традициях», «Индоевропейское название краба», «Индоевропейское название орла», «Коза и козье хозяйство у древних индоевропейцев», «Общенидоевропейское название быка, коровы», «Индоевропейские названия улья и воска» и т. д. (включая кизил и вишню, мох, виноград, обозначения моря, солнца, дождя, соли, масел, огня, голода, шитья, меди, упряжи, оружия, дома, крови и различных видов родства, частей тела, чисел и числительных, ср. также вопросы реконструкции индоевропейского текста и поэтической речи и т. д.).

И надо сказать, что каждый из этих и многих других вопросов не просто затрагивается в данной книге, но и освещается в его современном состоянии, как правило, образцовым образом, для чего из всей длительной и даже зачастую необъятной научной традиции избирается всегда нечто действительно важное, существенное и достаточно надежное (оставляя все остальное в стороне), а одновременно закладывается и основа дальнейшего изучения данного вопроса, его перспектива.

Все это настолько грандиозно (не побоимся такой оценки), что невольно возникает вопрос: как мог подобный труд оказаться посильным всего лишь для двух человеческих умов. И как раз в таком грандиозном творческо-итоговом, энциклопедическом, всеобъемлющем характере рассматриваемой книги и заключается, по нашему мнению, ее основная ценность, в этом смысле она и составляет исключительное событие, представляя собой нечто капитально-этапное, что, насколько мы знаем, не подчеркивалось или недостаточно подчеркивалось в других оценках, даваемых настоящей книге. Для иллюстрации этого характера той же книги отметим, что мы лично уже ввели ее материал и ее выводы в следующие интересующие нас вопросы собственных исследований: а) версионные отношения и т. н. индоевропейский медиум, б) типология прономинальных систем, в) эргативность и номинативность, г) происхождение названий волка и собаки, д) древнейшая дихотомия живого и неживого, е) первичное земледелие и его термины, ж) первичное

животноводство и его термины, з) начала счета, и) истоки семьи, к) миграции эпохи раннего неолита в Средиземноморье и т. д.

В то же время является несомненным (и мы согласны в этом с мнениями долго ряда других рецензентов), что рассматриваемая книга содержит ряд оригинальных, имеющих самостоятельную ценность теорий авторов по таким фундаментальным проблемам индоевропейской лингвистики, как первичная прародина индоевропейцев и характер исходной фоносистемы индоевропейского языка или структуры мира и бытия в представлении носителей индоевропейского языка.

Конечно, та же теория Т. В. Гамкрелидзе и Вяч. Вс. Иванова о древнейшей прародине индоевропейцев, т. е. та мысль, что такую прародину составляла территория от Восточной Анатолии до Иранского Нагорья включительно, не является новой (ср. Г. В. Джаукян и др.), и в то же время она не оказывается в настоящее время общепризнанной после выхода рассматриваемой книги (ср. иные подходы И. М. Дьяконова, Ю. В. Откупщикова и др.). Однако нельзя, по нашему мнению, не признать, что если ранее эта мысль находилась на уровне не более, чем гипотезы, то теперь, благодаря книге Г. Т. Гамкрелидзе и Вяч. Вс. Иванова, она составляет действительно оснащенную серьезную теорию, вполне способную противостоять другим, и большой заслугой авторов является здесь, кстати, то, что лингвистический аспект проблемы они смогли соотнести с археологическим.

Не знаем, отмечалась ли кем-нибудь из рецензентов (а это обязательно должно быть сделано), что теория индоевропейской прародины, выдвинутая Т. В. Гамкрелидзе и Вяч. Вс. Ивановым, органично вписывается во все принципиальные и даже глобальные представления (в самый контекст представлений) современной археологии о характере человеческих миграций эпохи неолита. Если раньше археологи не допускали мысли о каких-либо больших движениях населения в неолите (в частности, в неолите Средиземноморья) и думали, что т. н. производящее хозяйство (т. е. земледелие и животноводство) распространялось само по себе, без перемещения носителей этой культуры, то современная археология решает этот вопрос иначе: открытие производящего хозяйства должно было вызвать т. н. демографическое давление и расселение носителей этого хозяйства с плотным оседанием на землю от одной границы до другой даже в таких громадных регионах, как северное или южное Средиземноморье. Если раньше было непонятно с археологической точки зрения, как же в неолите могли так широко распространиться по северному Средиземноморью индоевропейцы, по южному—афразийцы (хамито-семиты), то современная археология связывает их распространение именно с производящим хозяйством в начале неолита и с вытекающим демографическим давлением. Той территорией, с которой началось в Средиземноморье производящее хозяйство и обусловленное им неолитическое расселение, демографическое давление, был т. н. полумесяц плодородия к югу от Кавказа, но сюда-то как раз и входит первичная (по Т. В. Гамкрелидзе и Вяч. Вс. Иванову) прародина индоевропейцев: именно отсюда Т. В. Гамкрелидзе и Вяч. Вс. Иванов и выводят индоевропейцев, и отсюда же должно было начинаться движение в Средиземноморье всех народов, которые участвовали в открытии, завоевании, в овладении первичным производящим хозяйством.

Иначе говоря, территория, откуда, по Т. В. Гамкрелидзе и Вяч. Вс. Иванову, началась миграция индоевропейцев, была с позиций современной археологии экономическим, хозяйственным «инкубатором» всех основных средиземноморских миграций эпохи неолита, и с этой территории, следовательно, должны были начинаться миграции афразийцев и других групп народов, включая, возможно, как думаем, носителей тех языков, от которых на Западе сейчас сохраняется один баскский.

То положение, что распространение производящего хозяйства в Средиземноморье должно было неизбежно иметь источником распространение человеческих масс, демографическое давление как особую новую неолитическую форму миграции, приводящую к плотному заселению территорий, высказывается в настоящее время во многих археологических работах, и одним из первых с наибольшей ясностью высказал это положение Н. Я. Мерперт (см. его «Миграции в эпоху неолита и энеолита», «Советская археология», 1978, № 3, с. 9—28; ср. статью В. С. Титова «К изучению миграций бронзового века» — сб. «Археология Старого и Нового Света», Москва, 1962, с. 89—145).





Между тем, было время, когда считалось, что все великие миграции принадлежали только эпохе палеолита, будучи связаны с движением охотников вслед за стадами животных (ср. заселение целых континентов: Америка, Австралия и т. п.)<sup>1</sup> но, повторяем, такой подход не объяснял, как могли возникнуть в неолите семьи, подобные индоевропейской, языки которой «разместнулись» от Исландии до Бенгальского залива.

В связи с этим очевидно, что теория Т. В. Гамкрелидзе и Вяч. Вс. Иванова о распространении индоевропейцев в Средиземноморье из полумесяца плодородия идет не только в русле движения всей современной археологической мысли, но и является лишь началом целого ряда других аналогичных теорий о прародине других средиземноморских языковых семей и групп, носители которых находились рядом с древнейшими индоевропейцами в том же полумесяце плодородия.

Целый ряд конкретных языковых фактов, которые в данной статье мы лишены возможности привести, указывает на то, что баскский язык составлял некую общность с картвельскими и, возможно, другими кавказскими языками в эпоху раннего неолита, когда предкам басков и картвелов была уже известна из домашних животных овца (и коза) и когда они умели пользоваться шерстью и молоком этих животных, а также имели зачатки примитивного земледелия с ячменем и пшеницей, могли делать шерстяную ткань и ограды и располагали числительным по меньшей мере для 1,2, также 5 («рука») и 10 («рука» или «руки»). Независимо от того, что связывало или не связывало эти языки в палеолите, а также, возможно, в позднем неолите, в эпоху меди, все это говорит о ранних неолитических истоках баскско-картвельской общности в полумесяце плодородия, где-то по соседству с индоевропейцами, и очевидно, что если афразийские народы распространялись из этого полумесяца, из этого «инкубатора» миграций по южным берегам Средиземноморья, то носители баскско-картвельских языков должны были еще до индоевропейцев распространяться в сторону Западной Европы по северному Средиземноморью через Балканы, как на это указывают, в частности, многочисленные остатки древнейших субстратов на Балканах, в Северной Италии, Малой Азии и т. д. (ср. особенно многочисленные и капитальные исследования Йоганна Губшинда).

Насколько мы знаем, Вяч. Вс. Иванов придерживается примерно такого же мнения по данному вопросу. Во всяком случае, ознакомившись со структурой и материалом баскского языка, Вяч. Вс. Иванов в последние годы постоянно говорит о том, что нет более смысла подчеркивать изолированность баскского языка по отношению в частности к кавказским, а тем более настаивать на такой изолированности: и надо сказать (имея в виду особенно западноевропейских ученых), что в этом Вяч. Вс. Иванов вовсе не одинок.

Независимо от этого, само обсуждаемое здесь капитальное исследование Т. В. Гамкрелидзе и Вяч. Вс. Иванова, поскольку в нем выдвигается положение о закавказской прародине тех индоевропейцев, которые населяют в наше время Западную Европу (и в связи со всем указанным выше), оказывается также говорящим не против, а скорее в пользу кавказских истоков баскского языка. Одно никак не противоречит другому.

Весь соответствующий круг вопросов рассмотрен нами в книге «Об исходном состоянии языка и культуры картвело-басков» (120 с.), которую к сожалению, мы не смогли пока где-либо поместить для издания. Часть этой книги выходит как комментарий к переизданию очерка В. Ф. Шишимарова «Баскский язык» в составе переиздаваемой в Ленинграде его же книги «Очерки по истории языков Испании».

Наконец, имеет смысл отметить, что относительно переднеазиатского (ближневосточного) региона в целом всегда признавалась его особая роль в истории афразийского человечества (тем более средиземноморского), начиная с самых отдаленных палеолитических времен (ex Oriente lux). Правда, в наше время в связи с общим удревнением глубокой истории Запада имеет место и удревнение (с пределом до тысячи лет) так называемой мегалитической культуры западноевропейских побережий, что дает основание для крупномасштабных миграционных построений (гипотез) обратной векторности запад-восток (ср. для Кавказа: В. И. Мар-



კოვინ, Дольмены Западного Кавказа, М., 1978); с удивлением мегалитики сопоставимо и археологическое открытие лодок VI тыс. до н. э. в Скандинавии, еще тогда служивших здесь для межплеменного обмена различными продуктами; открытие письменности шумерского типа в Тертерье (Румыния), относящейся к V тыс. до н. э. и др. Но в то же время не снимаются, а наоборот, крепнут теории переднеазиатского происхождения кроманьонского населения Западной Европы, ее основных злаков, также главных религий Средиземноморья, не говоря об общекультурных влияниях, шедших на запад из Шумера, и т. д.

Из литературы последних лет см. об этом как наиболее всеохватывающие: П. М. Долуханов. История средиземных морей, М., 1988; его же, Природа и этнос Древнего Востока, Л., 1988.

**ახალი წიგნები**

**გამომცემლობა „მეცნიერება“**

თეიმურაზ შირიანაშვილი, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია.

132 გვ., ფასი 1 მან. 30 კაპ., ტირაჟი 3000.

მანანა კვატაია, ილია ჭავჭავაძის ეპისტოლური მემკვიდრეობა და შემოქმედებითი ევოლუცია.

112 გვ., ფასი 1 მან. 20 კაპ., ტირაჟი 2500.

ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია.

640 გვ., ფასი 5 მან. 30 კაპ., ტირაჟი 6000.

იური ზიცარი, რეკონსტრუქციები ბასკურ ენაში (რუსულ ენაზე).

124 გვ., ფასი 1 მან. 10 კაპ., ტირაჟი 500.

მედეა დლოტი, ბასკური კალენდრის ტიპოლოგიისათვის (რუსულ ენაზე).

108 გვ., ფასი 1 მან. 20 კაპ., ტირაჟი 1300.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლები XI, წიგნი ძუელისა აღოქუმისანი ნაკვეთი 1, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. გამოკვეთვა ბაქარ გიგინეიშვილისა.

640 გვ., ფასი 6 მან. 80 კაპ., ტირაჟი 20 000.

გიორგი გოგოლაშვილი, ციციო კვანტალიანი, დალი, შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი.

440 გვ., ფასი 3 მან., ტირაჟი 3300.

ფასი 1 მან. 20 კაპ.

ბ 137/144.

ინდექსი 76198

